

## **უძრავი ქონება**

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოქებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი  
ადმინისტრაციულ საქმეებზე**

2022, №5

**Decisions of the Supreme Court of Georgia  
on Administrative Cases  
(in Georgian)**

2022, №5

**Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien  
in Verwaltungssachen  
(in der georgischen Sprache)**

2022, №5

**Решения Верховного Суда Грузии  
по административным делам  
(на грузинском языке)**

2022, №5

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი  
**ლიანა ლომიძე**

**ტექნიკური რედაქტორი  
გარიგა გალავანიშვილი**

**რედაქციის მისამართი:**

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 298 20 75;  
[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)

ურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და  
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების  
დეპარტამენტის მხარდაჭერით

## **საპირელი**

### **1. უძრავი ქონების რეგისტრაცია**

უძრავ ქონებაზე მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების დამდგენი დოკუმენტის რელევანტურობა მოთხოვნილ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების რეგისტრაციისათვის ..... 4
ადმინისტრაციულ ორგანოში რეგისტრაციის მიზნებისათვის წარდგენილი მიღება-ჩაბარების აქტის ნამდვილი შინაარსის შეფასება ..... 26
მენაშენეთა ამხანაგობის წევრების მიმართ რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ საჯარო რეესტრის გადაწყვეტილების კანონიერება ..... 58
მიწის ნაკვეთის რეგისტრაციის კანონიერება მისი რეალური ადგილმდებარეობის მიხედვით ..... 83

### **2. მიწის საკუთრების უფლების აღიარება**

საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევა და შეფასება ..... 93
მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების პროცესის მონაწილე სუბიექტები ..... 110
თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების საფუძველი ..... 137
ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიწის საკუთრების უფლების აღიარებაზე უარის თქმის კანონიერება ..... 154

## 1. შპრავი ქონების რეგისტრაცია

შპრავ ქონებაზე მიღის ნაკვეთზე საკუთრების  
უფლების დაგენერირებული რეგისტრაციის რელევანტურობა  
მოთხოვნილ მიღის ნაკვეთზე საკუთრების უფლების  
რეგისტრაციისათვის

### განჩინება საქართველოს სახელით

№ბს-381(4კ-20)

27 ოქტომბერი, 2021 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ქ. ცინცაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. ქადაგიძე,  
ნ. სხირტლაძე

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-  
თლებრივი აქტების ბათილად ცნობა, ქმედების განხორციელების  
დავალება

#### აღნერილობითი ნაწილი:

2016 წლის 14 ივნისს ო. ნ-ამ სასარჩელო განცხადებით მიმარ-  
თა ფოთის საქალაქო სასამართლოს, მოპასუხების – სსიპ საჯარო  
რეესტრის ეროვნული სააგენტოს, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვ-  
ნული სააგენტოს სამეცნიერო რეგიონული ოფისის, სს „...ის“, სს  
„...ისა“ და მესამე პირის – სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული  
სააგენტოს მიმართ.

მოსარჩელემ ფოთის სარეგისტრაციო სამსახურის 2016 წლის  
27 აპრილის №... და 2016 წლის 30 მაისის №... გადაწყვეტილებებისა  
და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 24 ივნი-  
სის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, ასევე, საჯარო რეეს-  
ტრის სარეგისტრაციო ჩანაწერის (განცხადების რეგისტრაციის  
№..., მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №..., მესაკუთრე –  
შპს „...ა“; განცხადების რეგისტრაციის №..., მიწის (უძრავი ქონე-  
ბის) საკადასტრო კოდი №..., მესაკუთრე – საქართველოს სამ-  
სახურისთვის ნარდგენილი დოკუმენტების საფუძველზე ქ. ფოთი,  
...ის ქ. №...-ში მდებარე 1573.57 კვ.მ მიწის ნაკვეთის ო. ნ-ას სახელ-  
ზე დარეგისტრირებისა და საჯარო რეესტრიდან ამონაწერის გა-  
ცემის დავალება მოითხოვა.

ფოთის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 27 სექტემბრის გა-დაწყვეტილებით ო. ნ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი: ფო-თის სარეგისტრაციო სამსახურის 27.04.2016 წლის №... გადაწყვე-ტილება, ფოთის სარეგისტრაციო სამსახურის 30.05.2016 წლის №... გადაწყვეტილება, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 24.06.2016 წლის №... გადაწყვეტილება; საჯარო რეესტრის ეროვ-ნულ სააგენტოს დაევალა ფოთის საქალაქო სასამართლოს 27.09.2016 წლის გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვეს ვადაში, გადაწყვეტილებაში მითითებული არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევა-შეფასების შემდეგ, ახა-ლი ინდივიდუალური აღმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გა-მოცემა დავის საგნიდან გამომდინარე, რადგან ხსენებული აქტის ბათილად ცნობისათვის არსებობდა მხარის გადაუდებელი კანო-ნიერი ინტერესი; სარჩელი დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

ფოთის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 27 სექტემბრის გა-დაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს სს „...ამ“ და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ. აპელანტებმა გა-საჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტი-ლებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-მეთა პალატის 2017 წლის 13 მარტის განჩინებით სსიპ სახელმწი-ფო ქონების ეროვნული სააგენტოსა და სს „....ის“ სააპელაციო სა-ჩივრები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა ფოთის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილება და საქ-მე ხელახლა განსახილებად დაუბრუნდა სასამართლოს იმავე შე-მადგენლობას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-მეთა პალატის 2017 წლის 13 მარტის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ო. ნ-ამ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქ-მება და ახალი გადაწყვეტილების მიღება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-მეთა პალატის 2017 წლის 14 სექტემბრის განჩინებით ო. ნ-ას საკა-საციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად; უცვლელად დარჩა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 13 მარტის განჩინება.

ფოთის საქალაქო სასამართლოში სამართლწარმოების ეტაპ-ზე, მოსარჩელის მიერ სარჩელის საბოლოოდ დაზუსტების შემდეგ, სასამართლოს წინაშე განსახილებად წარდგენილი მოთხოვნები ფორმულირებულ იქნა შემდეგი სახით:

ბათილად იქნეს ცნობილი, საჯარო რეესტრის ეროვნული საა-

გენტოს ფოთის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ მიღებული, სა-რეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ №... (27.04.2016) გა-დაწყვეტილება;

ბათილად იქნეს ცნობილი, საჯარო რეესტრის ეროვნული საა-გენტოს ფოთის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ მიღებული, სა-რეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ №... (30.05.2016) გა-დაწყვეტილება;

ბათილად იქნეს ცნობილი, საჯარო რეესტრის ეროვნული საა-გენტოს 2016 წლის 24 ივნისის №... გადაწყვეტილება;

ნაწილობრივ ბათილად იქნეს ცნობილი „სიპ სახელმწიფო ქო-ნების ეროვნული სააგენტოს“ №1/4-1156 ბრძანება (ო. ნ-ას მიწის ნაკვეთან ზედდების ნაწილში, ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის საფუძველზე), დამოწმების თარიღი 19.08.2016;

ნაწილობრივ ბათილად იქნეს (ცნობილი უძრავი ქონების (ს/კ) სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრაციის შესახებ №... გადაწყვე-ტილება (ო. ნ-ას მიწის ნაკვეთან ზედდების ნაწილში, ექსპერტი-ზის ეროვნული ბიუროს დასკვნის საფუძველზე);

ნაწილობრივ ბათილად იქნეს ცნობილი: საქართველოს ეკონო-მიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს №05/1537 მიმარ-თვა, დამოწმების თარიღი 25.11.2010 წ. და თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკურებულოს №11/73 განკარგულება (ო. ნ-ას მიწის ნაკ-ვეთან ზედდების ნაწილში, ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის საფუძველზე);

ნაწილობრივ ბათილად იქნეს ცნობილი უძრავი ქონების სახელ-მწიფო საკუთრებად რეგისტრაციის შესახებ №... გადაწყვეტილე-ბა (ო. ნ-ას მიწის ნაკვეთან ზედდების ნაწილში, ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის საფუძველზე);

ნაწილობრივ ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ „საწარმოთა მარ-თვის სააგენტოს“ №13/1080 ბრძანება (ო. ნ-ას მიწის ნაკვეთან ზედდების ნაწილში, ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის საფუძველზე), დამოწმების თარიღი 09.12.2010.;

ნაწილობრივ ბათილად იქნეს ცნობილი უძრავი ქონების (ს.კ. ...) შპს „...ის“ საკუთრებად რეგისტრაციის შესახებ №... გადაწყვეტი-ლება (ო. ნ-ას მიწის ნაკვეთან ზედდების ნაწილში, ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის საფუძველზე);

ნაწილობრივ ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ „სახელმწიფო ქო-ნების ეროვნული სააგენტოს“ №1/4-1155 ბრძანება (ო. ნ-ას მიწის ნაკვეთან ზედდების ნაწილში, ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის საფუძველზე), დამოწმების თარიღი 19.08.2016 წ.;

ნაწილობრივ ბათილად იქნეს ცნობილი უძრავი ქონების (ს.კ. ...) სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრაციის შესახებ №... გადაწყვე-

ტილება (ო. ნ-ას მიწის ნაკვეთთან ზედდების ნაწილში, ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის საფუძველზე);

ნაწილობრივ ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ №1/4-1154 ბრძანება (ო. ნ-ას მიწის ნაკვეთთან ზედდების ნაწილში, ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის საფუძველზე), დამოწმების თარიღი 19.08.2016 წ.;

ნაწილობრივ ბათილად იქნეს ცნობილი უძრავი ქონების (ს.კ. ...) სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრაციის შესახებ №... გადაწყვეტილება (ო. ნ-ას მიწის ნაკვეთთან ზედდების ნაწილში, ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის საფუძველზე);

ნაწილობრივ ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს №... მომართვა (ო. ნ-ას მიწის ნაკვეთთან ზედდების ნაწილში, ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის საფუძველზე), დამოწმების თარიღი 01.04.2010 წ.;

ნაწილობრივ ბათილად იქნეს ცნობილი უძრავი ქონების სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრაციის შესახებ №... გადაწყვეტილება (ო. ნ-ას მიწის ნაკვეთთან ზედდების ნაწილში, ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის საფუძველზე);

ნაწილობრივ ბათილად იქნეს ცნობილი: სსიპ „საწარმოთა მართვის სააგენტოს“ №13/346 ბრძანება, დამოწმების თარიღი 17.05.2010 და საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის №131 ბრძანება (ო. ნ-ას მიწის ნაკვეთთან ზედდების ნაწილში, ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის საფუძველზე), დამოწმების თარიღი 02.09.2013 წ.

ნაწილობრივ ბათილად იქნეს ცნობილი უძრავი ქონების (ს.კ. ...) სააქციო საზოგადოება „...ის“ საკუთრებად რეგისტრაციის შესახებ №... გადაწყვეტილება (ო. ნ-ას მიწის ნაკვეთთან ზედდების ნაწილში, ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის საფუძველზე);

დაევალოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამეცნიელოს რეგიონულ ოფისს ნასყიდობის ხელშეკრულებისა და ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, მიწის ნაკვეთი, მდებარე: ქ. ფოთი, ...ის ქ. №...-ში, ფართობი 1573.57 კვ.მ, დაარეგისტრიროს ო. ნ-ას სახელზე და გასცეს ამონანერი საჯარო რეესტრიდან.

ფოთის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 26 მარტის განჩინებით ო. ნ-ას სასარჩელო მოთხოვნები: სსიპ „საწარმოთა მართვის სააგენტოს“ №1-3/1080 ბრძანების (ო. ნ-ას მიწის ნაკვეთთან ზედდების ნაწილში, ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის საფუძველზე), ნაწილობრივ ბათილად ცნობის, უძრავი ქონების (ს.კ. ...) შპს „...ის“ საკუთრებად რეგისტრაციის შესახებ №... გადაწყვეტილების (ო. ნ-ას მიწის ნაკვეთთან ზედდების ნაწილში, ექსპერ-

ტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის საფუძველზე) ნაწილობრივ ბათილად ცნობის, სსიპ „საწარმოთა მართვის სააგენტოს“ № 1-3/346 ბრძანების ნაწილობრივ ბათილად ცნობის, ცნობის და უძრავი ქონების (ს.კ. ...) სააქციო საზოგადოება „...ის“ საკუთრებად რეგისტრაციის შესახებ №... გადაწყვეტილების (ვინაიდან აღნიშნული მოთხოვნა გამომდინარეობდა პირველი და მეორე მოთხოვნებიდან) ნაწილობრივ ბათილად ცნობის თაობაზე, გამოეყო საქმეს და განსჯადობის წესების დაცვით განსახილველად დაექვემდებარა ფოთის საქალაქო სასამართლოს, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველად.

ფოთის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 26 მარტის გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნა: ფოთის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ მიღებული, სარეგისტრაციო ნარმოების შეჩერების №... (27.04.2016) გადაწყვეტილების, ამავე სამსახურის მიერ მიღებული, სარეგისტრაციო ნარმოების შეწყვეტის შესახებ №... (30.05.2016) გადაწყვეტილების, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 24 ივნისის №... გადაწყვეტილების, ბათილად ცნობის თაობაზე დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, კერძოდ: უძრავი ნივთის, მდგრავი, ქ. ფოთი, ...ის ქ. №..., 34.39 კვ.მ. შენობა-ნაგებობის (დემონტირებული) მის ქვემოთ არსებულ ამავე ოდენობის მინის ნაკვეთის ფართის ნაწილში; საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამეცნიერო რეგიონულ ოფისს დაევალა ო. ნ-ას სახელზე, უძრავი ნივთი, მდგრავი, ქ. ფოთი, ...ის ქ. №..., 34.39 კვ.მ. შენობა-ნაგებობის (დემონტირებული) დარეგისტრირება მის ქვემოთ არსებულ ამავე ოდენობის მინის ნაკვეთის ფართით; სასარჩელო მოთხოვნები: სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ № 1/4-1156 ბრძანების ნაწილობრივ ბათილად ცნობის, უძრავი ქონების სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრაციის შესახებ №... გადაწყვეტილების ნაწილობრივ ბათილად ცნობის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს № 05/1537 მომართვის ნაწილობრივ ბათილად ცნობის, თვითმმართველი ქ. ფოთის საკრებულოს № 11/73 განკარგულების ნაწილობრივ ბათილად ცნობის, უძრავი ქონების სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრაციის შესახებ №... გადაწყვეტილების ნაწილობრივ ბათილად ცნობის, სსიპ „საწარმოთა მართვის სააგენტოს“ № 1/4-1155 ბრძანების ნაწილობრივ ბათილად ცნობის, უძრავი ქონების სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრაციის შესახებ №... გადაწყვეტილების ნაწილობრივ ბათილად ცნობის, უძრავი ქონების სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრაციის შესახებ №... გადაწყვეტილების ნაწილობრივ ბათილად ცნობის, სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ № 1/4-1154 ბრძანების ნაწილობრივ ბათილად ცნობის, უძრავი ქონების სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრაციის შესახებ №... გადაწყვეტილების ნაწილობრივ ბათილად ცნობის,

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს №... მომართვის ნაწილობრივ ბათილად ცნობის, უძრავი ქონების სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრაციის შესახებ №... გადაწყვეტილების ნაწილობრივ ბათილად ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ო. ნ-ამ, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამეგრელოს რეგიონულმა ოფიციალურად მომართვილა აღნიშნული სააგენტოს სამეგრელოს რეგიონულმა ოფიციალურად.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 9 იანვრის გადაწყვეტილებით სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამეგრელოს რეგიონული ოფიციალურად მომართვილა აღნიშნული სააგენტოს სამეგრელოს რეგიონული ოფიციალურად: ასეთი გადაწყვეტილების შესახებ ბათილად იქნა ცნობილი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ფოთის სარეგისტრაციო სამსახურის 2016 წლის 27 აპრილის №... გადაწყვეტილება სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ; ბათილად იქნა ცნობილი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ფოთის სარეგისტრაციო სამსახურის 2016 წლის 30 მაისის №... გადაწყვეტილება სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ; ბათილად იქნა ცნობილი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 24 ივნისის №... გადაწყვეტილება ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ; ლევან სამხარაულის სახელმწიფო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2018 წლის 4 დეკემბრის №5007667918 საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზით დადგენილი, დაინტერესებული პირის ო. ნ-ას მიერ სარეგისტრაციოდ წარდგენილი მინის ნაკვეთის ზედდების ნაწილში ბათილად იქნა ცნობილი შემდეგი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები: სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 19 აგვისტოს №1/4 1156 ბრძანება უძრავ ნივთზე სახელმწიფო საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნის შესახებ; სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 29 სექტემბრის №...-03 გადაწყვეტილება უძრავი ქონების (ს/კ № ...) სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრაციის შესახებ; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2010 წლის 25 ნოემბრის №05/1537 მიმართვა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ფოთის სარეგისტრაციო სამსახურისადმი ქ. ფოთში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის ნაკვეთების სახელმწიფო საკუთრებაში დარეგისტრირების შე-

სახებ; თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოს 2010 წლის 12 ნოემბრის №11/73 განკარგულება თვითმმართველი ქალაქ ფოთის ტერიტორიაზე არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრაციაზე და შპს „...ისათვის“ გადაცემასთან დაკავშირებით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის თანხმობის მიცემის შესახებ; სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2010 წლის 2 დეკემბრის №...-06 გადაწყვეტილება უძრავი ქონების (ს.კ ...) სახელმწიფოს საკუთრებად რეგისტრაციის შესახებ; სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული საგენტოს 2016 წლის 19 აგვისტოს №1/41155 ბრძანება უძრავ ნივთზე სახელმწიფო საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნის შესახებ; სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 24 აგვისტოს №...-03 გადაწყვეტილება უძრავი ქონების (ს.კ ...) სახელმწიფოს საკუთრებად რეგისტრაციის შესახებ; სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული საგენტოს 2016 წლის 19 აგვისტოს №1/41154 ბრძანება უძრავ ნივთზე სახელმწიფო საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნის შესახებ; სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 29 სექტემბრის №...-03 გადაწყვეტილება უძრავი ქონების (ს.კ № ...) სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრაციის შესახებ; საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2010 წლის 1 აპრილის №... მიმართვა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ფოთის სარეგისტრაციო სამსახურისადმი ქ. ფოთში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების სახელმწიფო საკუთრებაში დარღვეისტრირების შესახებ; სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2010 წლის 8 აპრილის №...-03 გადაწყვეტილება უძრავი ქონების (ს.კ. ...) სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრაციის შესახებ.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს მასალების ხანძრის შედეგად განადგურების ფაქტის მიუხედავად, მხარეს უძრავ ქონებაზე იმ დროისთვის მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, გააჩნდა ქონების საკუთრებაში აღრიცხვის ფაქტის დამადასტურებელი იურიდიული დოკუმენტები. ო. ნ-ას მხრიდან მისი საკუთრების უფლებადამდგენი დოკუმენტების წარდგენის შემდეგ საჯარო რეესტრი ვალდებული იყო გადაეხედა და შეემონგებანა უკვე განხორციელებული რეგისტრაციების მართლზომიერების საკითხი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 9 იანვრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი გან-

ვითარების სამინისტრომ, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ და სს „ამ“. კასატორებმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საკასაციო საჩივრის თანხმად, 2016 წლის 02 მარტს ო. ნ-ს წარმომადგენელმა ლ. ა-ემ მიმართა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ფოთის სარეგისტრაციო სამსახურს №... განცხადებით და მოითხოვა უძრავ ქონებაზე (1573.57 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე) საკუთრების უფლების რეგისტრაცია. ფოთის სარეგისტრაციო სამსახურის №...-03 გადაწყვეტილებით სარეგისტრაციო წარმოება შეჩერდა ზედდების არსებობის გამო. წარდგენილი აზომვითი ნახაზის მიხედვით მიწის ნაკვეთი იჭრებოდა ორ მომიჯნავე მიწის ნაკვეთის საზღვრებში, საკადასტრო კოდზე (... და ...), თუმცა ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით ბათილად ცნო ხუთ საკადასტრო კოდზე (...; ...; ...; ...) რეგისტრირებული სახელმწიფოს საკუთრების უფლება. სასამართლოს გადაწყვეტილება დაეყრდნო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2018 წლის 4 დეკემბრის დასკვნას და მხედველობაში არ იქნა მიღებული ის გარემოება, რომ ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ მიწის ნაკვეთის გაორიენტირება განხორციელდა არა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში №... განაცხადზე წარდგენილი აზომვითი ნახაზის მიხედვით, არამედ ო. ნ-ას მიერ კონკრეტული ტერიტორიის მითითებით. კასატორს მიაჩნია, რომ საჯარო რეესტრის გადაწყვეტილებების (ს/კ ...; ...; ...) ბათილად ცნობის მიმართ არ დასტურდებოდა მოსარჩელის კანონიერი ინტერესი.

კასატორის მითითებით, სადაც უძრავი ქონების პირველ შემძენს – გ. უ-ეს საკუთრების უფლება გააჩნდა არა მიწის ნაკვეთზე, არამედ მხოლოდ საცხოვრებელ სახლზე, რაც დასტურდება საქმეში წარმოდგენილი ცნობებით, მათ შორის, ტექნიკური ინვენტარზაციის ბიუროს 1995 წლის 25 იანვრის სახლთმცვლობელობის მოკლე დახასიათებით, რომელშიც არაფერი იყო მითითებული მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით. ამასთან, კასატორის შეფასებით, მხოლოდ ტექნიკური ინვენტარზაციის/აღრიცხვის ბიუროს ცნობა ვერ იქნება გამოყენებული მიწის ნაკვეთზე გ. უ-ის და შემდგომ ო. ნ-ას საკუთრების უფლების დამდგენ დოკუმენტად, ვინაიდან, „მიწის რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს 1996 წლის 14 ნოემბრის კანონის შესაბამისად, მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია ხორციელდებოდა მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ. კასატორი ასევე აღნიშნავს, რომ ფოთის მი-

წის მართვის საქალაქო სამმართველოს 1999 წლის 21 იანვრის №7 ცნობა ვერ იქნება მიჩნეული მიწის ნაკვეთზე მოთხოვნის უფლების საფუძვლად, ვინაიდან აღნიშნული სამმართველო 1996 წლიდან – 1997 წლის 28 ოქტომბრამდე მოქმედებდა.

კასატორი აღნიშნავს, რომ იმ პირობებში, როდესაც გ. უ-ეს არ გააჩნდა საკუთრების უფლება მიწის ნაკვეთზე, ხელშეკრულებაში ნასყიდობის საგნად მიწის ნაკვეთის მითითება ვერ წარმოშობდა ო. ნ-ას საკუთრების უფლებას. საცხოვრებელ სახლთან დაკავშირებით კი კასატორი მიუთითებს, რომ საცხოვრებელი სახლის, როგორც საკუთრების ობიექტის განადგურებით, გამოირიცხა მასზე საკუთრების უფლების არსებობა.

კასატორი სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო აღნიშნავს, რომ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს შესაბამისი ბრძანებების საფუძველზე, სახელმწიფო საკუთრების უფლების რეგისტრაციის განხორციელებისას არ დგინდებოდა კერძო პირთა საკუთრებაში მყოფი მიწის ნაკვეთების მონაცემებთან გადაფარვა.

საკასაციო საჩივრის თანახმად, სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა, რომ საქმეში წარმოდგენილი ექსპერტის დაკვინების თანახმად, შეუძლებელია გ. უ-ესა და ო. ნ-ას შორის დადგებული ნასყიდობის ხელშეკრულებაში მითითებული მიწის ნაკვეთის ზუსტი ადგილმდებარეობის დადგენა. ამასთან, კასატორი მიუთითებს, რომ თავდაპირველ მესაკუთრე – გ. უ-ეს უსასყიდლოდ მიღებული აქვს მხოლოდ საცხოვრებელი სახლი – 34.39 კვ.მ., ხოლო სადაც მინის ნაკვეთი მას საკუთრებაში არ მიულია და ვერ მიიღებდა სამხედრო ნაწილისგან, რომელსაც არ გააჩნდა საკუთრებაში მიწის ნაკვეთი.

კასატორი – ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო აღნიშნავს, რომ თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოს 2010 წლის 12 ნოემბრის №11/73 განკარგულება გამოცემული იქნა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2010 წლის 02 ნოემბრის №05/2015 წერილის საფუძველზე, რომლითაც სამინისტრო ითხოვდა თანხმობის გაცემას თვითმმართველი ქალაქ ფოთის ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთების სახელმწიფო საკუთრებად საჯარო რეესტრში რეგისტრაციაზე. საკრებულოს მიერ განხილულ იქნა წერილი, გამოკვლეული იქნა ის გარემობა, რომ მოთხოვნილ მიწის ნაკვეთზე არ იყო საკუთრების უფლება რეგისტრირებული და გაცემულ იქნა თანხმობა, რეგისტრაციის შესახებ, რომლითაც არ მომხდარა ვინმესთვის საკუთრების უფლების ჩამორთმევა ან მინიჭება. ამდენად, საკრებულოს განკარგულებით მოსარჩელეს არ ადგება პირდაპირი და უშუალო ზიანი.

კასატორი სს „...ა“ მიუთითებს, რომ გ. უ-ეს საკუთრებაში გადა-ცემული ჰქონდა მხოლოდ საცხოვრებელი სახლი/ბინა და არა მი-ნის ნაკვეთი, შესაბამისად ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძ-ველზე, იგი ვერ გადასცემდა საკუთრების უფლებას ო. ნ-ას. კასა-ტორი აღნიშნავს, რომ საქმეში არ არის წარმოდგენილი დოკუმენ-ტაცია, რომლითაც დადასტურდებოდა მინის ნაკვეთზე გ. უ-ისა და შემდგომ ო. ნ-ას საკუთრების უფლება. ამასთან, უდავოა ის გა-რემოვბა, რომ სადაცო/მოთხოვნილი მინის ნაკვეთის ზუსტი ად-გილმდებარეობა ვერ დგინდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-მეთა პალატის 2020 წლის 29 ივნისის განჩინებებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწი-ლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამონმებლად წარმოებაში იქ-ნა მიღებული საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითა-რების სამინისტროს, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული საა-გენტოს, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და სს „...ის“ საკასაციო საჩივრები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-მეთა პალატის 2020 წლის 28 ოქტომბრის განჩინებით საქართვე-ლოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დასაშვებად იქნა მიჩნეუ-ლი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამი-ნისტროს, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს, ქა-ლაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და სს „...ის“ საკასა-ციო საჩივრები და მათი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, გასაჩივ-რებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის, სა-კასაციო საჩივრების საფუძვლიანობის შემონმებისა და მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შედეგად მიიჩნევს, რომ საქარ-თველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და სს „...ის“ საკასაციო საჩივ-რები არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმეზე დადგენილ შემ-დეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

1994 წლის 25 მაისის განცხადებით გ. უ-ემ მოითხოვა ნებართვა ქ. ფოთში, „...ის ქ. №...-ში მდებარე სახლის პრივატიზაციაზე, რომე-ლიც აშენებული იყო 1934 წლს და იყო ავარიულ მდგომარეობაში.

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს №... სამ-

ხედრო ნაწილის 1994 წლის 01 ივნისის №48 მიმართვის შესაბამისად, გ. უ-ეს ნება დაერთო ქ. ფოთში, ...ის ქ. №...-ში მდებარე ბინის პრივატიზაციაზე.

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს №... სამხედრო ნაწილის 1994 წლის 01 ივნისის №45 ცნობის შესაბამისად, გ. უ-ე ნამდვილად ცხოვრობდა ქ. ფოთში, ...ის ქ. №...-ში, ორთახიანი ბინის 34,39 კვ.მ. ფართში. დოკუმენტს ხელს ანერდნენ №...-ის სამხედრო ნაწილის მეთაური მაიორი შ-ა და ამავე სამხედრო ნაწილის სახლმართველობის უფროსი ზ. ა-ა.

ნოტარიულად დამოწმებული 1994 წლის 9 ივნისის ხელშეკრულებით, ქალაქ ფოთის №... სამხედრო ნაწილის საბინაო განყოფილების ნარმომადგენელმა, თანახმად 1994 წლის 07 ივნისის გაცემული №52 მინდობილობისა, უ-ე გ., მცხ. ქ. ფოთი, ...ის №...-ში, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის დადგენილების საფუძველზე დადგებული ხელშეკრულების საფუძველზე გადასცა საცხოვრებელი ბინა მდებარე – ქ. ფოთი, ...ის №...-ში. აღნიშნული ბინა იყო ორ ოთახიანი, საერთო ფართით: 34,39 კვ.მ. საცხოვრებელი ფართით: 22,79 კვ.მ. საცხოვრებელი ბინა ეკუთვნოდა ქალაქ ფოთის №... სამხედრო ნაწილს.

1994 წლის 14 ივნისის №661 ცნობით დასტურდება, რომ გ. უ-ეს პრივატიზებული ჰქონდა ორთახიანი ბინა 34,39 ფართით, მდებარე: ქ. ფოთი, ...ის ქ. №...-ში.

ქ. ფოთის სანოტარო ბიუროში დაცული 1999 წლის 26 იანვრის ნასყიდობის საქმე №29-ზე დართული ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს 1999 წლის 25 იანვრის №16 ცნობა-დახასიათებით გ. უ-ეს გააჩნდა საკუთრების უფლების დამადასტურებელი საბუთი („9.06.1994 წლის სანოტარო ხელშეკრულება ბინის უსასყიდლოდ გადაცემაზე №...“). ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს მიერ შედგენილი სახლმფლობელობის მოკლე დახასიათებაში ობიექტის სახელწოდებაში მითითებული იყო, ლიტერი „ა“, ერთსართულიანი ხის საცხოვრებელი ბინა, საცხოვრებელი ოთახების რაოდენობა: ორი, სასარგებლო ფართი: 47,41 კვ.მ; საცხოვრებელი ფართი: 34,39 კვ.მ. დამხმარე ფართი: 13,02 კვ.მ. ასევე მითითებული იყო მინის ნაკვეთის საერთო ფართი 1560 კვ.მ.

ქალაქ ფოთის მინის მართვის საქალაქო სამმართველოს 1999 წლის 21 იანვრის №7 ცნობით დასტურდება, რომ გ. უ-ეს, მცხოვრები: ქ. ფოთი, ...ის ქ. №..., გააჩნდა საკუთარი მინის ნაკვეთი ფართით 1560,6 კვ.მ. ცნობა მიეცა ნოტარიუსთან წარსადგენად.

1999 წლის 26 იანვრის №29 ნასყიდობის სანოტარო საქმეზე თანდართული ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების თანახმად გ. უ-ემ ო. ნ-ას 4000 ლარად მიჰყიდა მთელი თავისი საცხოვრებელი სახლი

მიწის ნაკვეთით, მდებარე ქ. ფოთი, ...ის ქ. №...-ში. მთელი საცხოვრებელი სახლი საგან ორი ოთახით, საცხოვრებელი ფართით: 34,39 კვ.მ. დამხმარე ფართით: 13,02 კვ.მ. სულ ფართით: 47,41 კვ.მ., მიწის ნაკვეთი ფართით: 1560,6 კვ.მ. გ. უ-ეს საცხოვრებელი სახლი მიწის ნაკვეთით ეკუთვნილა: ადგილობრივი მმართველობის ორგანოს ფოთის ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროდან 1999 წლის 25 იანვარს გაცემული №16 ცნობის, 1994 წლის 09 ივნისის უსასყიდლოდ გადაცემის ხელშეკრულების (რეესტრის ნომერი: ...) და ქ. ფოთის მიწის მართვის საქალაქო სამმართველოს მიერ 1999 წლის 21 იანვარს გაცემული №7 ცნობის თანახმად.

2016 წლის 24 თებერვალს შესრულებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზის თანახმად, ქ. ფოთი, ...ის ქ. №...-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ფართობი იყო 1573.57 კვ.მ.

2016 წლის 02 მარტს ო. ნ-ას წარმომადგენელმა, ლ. ა-ემ ფოთის სარეგისტრაციო სამსახურში წარადგინა №... განცხადება და მოითხოვა საკუთრების უფლების რეგისტრაცია ქალაქ ფოთში, ...ის ქუჩა №...-ში მდებარე 1573.57 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე. სარეგისტრაციო განცხადებას განმცხადებელმა დაურთო 1999 წლის 26 იანვრის ნასყიდობის ხელშეკრულების ასლი (ნოტარიუსი – ბ-ა), ასლის დამოწმების რეგისტრაციის ნომერი: ..., თარიღი: 28.01.2016 წ. მინდობილობის ასლი (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი: ..., თარიღი: 28.01.2016), საკადასტრო აზომვითი ნახაზი, ნასყიდობის ხელშეკრულება თანდართული დოკუმენტაციით (გაცემული ნოტარიუს ბ-ას მიერ, სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი: ..., თარიღი: 02.03.2016 წ.) და ლ. ა-ის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

ფოთის სარეგისტრაციო სამსახურის №....-03 (09.03.2016 წ.) გადაწყვეტილებით სარეგისტრაციო წარმოება შეჩერდა, ვინაიდან სარეგისტრაციოდ წარდგენილ და საჯარო რეესტრში რეგისტრირებული უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემებს შორის არსებობდა ინსტრუქციით განსაზღვრული ზედდება, კერძოდ, განცხადებაზე თანდართული საკადასტრო აზომვითი ნახაზის მიხედვით, წარდგენილი მიწის ნაკვეთის საკადასტრო მონაცემები არ შეესაბამებოდა მომიჯნავე უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემებს და მიწის ნაკვეთის საზღვრები იჭრებოდა მომიჯნავე მიწის ნაკვეთის საზღვრებში, საკადასტრო კოდებით: .... და .... აღნიშნულიდან გამომდინარე, მარეგისტრირებულმა ორგანომ დაინტერესებულ პირს განუსაზღვრა 30-დღიანი ვადა კორეგტირებული საკადასტრო აზომვითი ნახაზის წარსადგენად; ამდენად, სარეგისტრაციო სამ-

სახურის მიერ ხარვეზი დადგენილ იქნა მხოლოდ საკადასტრო მონაცემებს შორის ინსტრუქციით განსაზღვრული ზედდების და არა იმის გამო, რომ ო. ნ-ას საკუთრების უფლების დამდგენი დოკუმენტები არ იყო რელევანტური და საკმარისი მოთხოვნილ მინის ნაკვეთზე საკუთრების უფლების რეგისტრაციისათვის.

ფოთის სარეგისტრაციო სამსახურის №...-04 (11.04.2016 წ.) გადაწყვეტილებით, იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების ვადაში დაინტერესებული პირის მიერ არ იქნა წარდგენილი შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტი/ინფორმაცია, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის „ბ“ პუნქტის საფუძველზე, სარეგისტრაციო წარმოება შეწყდა.

ო. ნ-ას წარმომადგენელმა 2016 წლის 22 მარტს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში №... ადმინისტრაციული საჩივრით გაასაჩივრა №...-03 (09.03.2016) და №...-04 (11.04.2016) გადაწყვეტილებები. საჩივრის ავტორმა მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ო. ნ-ას წარმომადგენლის მიერ წარდგენილი დოკუმენტების საფუძველზე უძრავი ქონების, მდებარე: ქ. ფოთი, ...ის ქ. №...-ში, ო. ნ-ას სახელზე დარეგისტრირება.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 22 აპრილის №... გადაწყვეტილების თანახმად წანილობრივ დაკმაყოფილდა ო. ნ-ას წარმომადგენლის ლ. ა-ის 2016 წლის 22 მარტის №... ადმინისტრაციული საჩივარი და ბათილად იქნა ცნობილი სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ ფოთის სარეგისტრაციო სამსახურის №...-03 (09.03.2016).) და სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ №...-04 (11.04.2016.) გადაწყვეტილებები, ფოთის სარეგისტრაციო სამსახურს დაევალა №... სარეგისტრაციო წარმოებაზე საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების სრულყოფილად შესწავლა, გამოკვლევა, ურთიერთშეჯერება და სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ ახალი გადაწყვეტილების მიღება ამ აქტის სამართლებრივი დასაბუთების, 2.7. პუნქტში მითითებული მსჯელობის გათვალისწინებით.

2016 წლის 22 აპრილის №... გადაწყვეტილების შესაბამისად, განახლდა სარეგისტრაციო წარმოება და 2016 წლის 27 აპრილს სარეგისტრაციო სამსახურმა მიიღო წარმოების შეჩერების შესახებ №... (27.04.2016) გადაწყვეტილება, იმ საფუძვლით, რომ განცხადებაზე დართული დოკუმენტაციით უძრავი ნივთის ზუსტი ადგილმდებარების იდენტიფიკაცია შეუძლებელი იყო, ვინაიდან სარეგისტრაციო წარდგენილი მინის ნაკვეთი იყო შენობა-ნაგებობის გარეშე, ხოლო ნასყიდობის ხელშეკრულებით, დაინტერესებულ პირს გადაეცა საცხოვრებელი სახლი მინის ნაკვეთან ერთად. აგრეთ-

ვე, მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზით, უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემები ზედდებაში იყო უკვე რეგისტრირებულ საკადასტრო მონაცემებთან (საკადასტრო კოდები: ... და ...).

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 19 მაისის №... წერილით ო. ნ-ას წარმომადგენელს ეცნობა, რომ 2016 წლის 02 მარტს წარმოდგენილი №... განცხადებაზე თანდართული დოკუმენტაციით უძრავი ნივთის ადგილმდებარეობის იდენტიფიკაცია შეუძლებელი იყო, ვინაიდან სარეგისტრაციოდ წარდგენილი იყო მიწის ნაკვეთი შენობა-ნაგებობის გარეშე, ხოლო ნასყიდობის ხელშეკრულებით, დაინტერესებულ პირს გადაეცა საცხოვრებელი სახლი მიწის ნაკვეთან ერთად, ასევე მიწის ნაკვეთის აზომვითი ნახაზი ზედდებაში იყო უკვე რეგისტრირებულ მონაცემებთან.

2016 წლის 30 მაისს, იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების ვადაში დაინტერესებული პირის მიერ არ იქნა წარდგენილი შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტი/ინფორმაცია, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის „ბ“ პუნქტის საფუძველზე, სარეგისტრაციო წარმოება შეწყდა.

2016 წლის 24 მაისს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს №... ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა ო. ნ-ას წარმომადგენელმა ლ. ა-ემ და მოითხოვა წარმოების შეჩერების შესახებ ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის რეგიონული რეგისტრაციის მართვის სამსახურის სამეცნიერო რეგიონული ოფისის №... (27.04.2016 წ.), სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ №... (30.05.2016 წ.) გადაწყვეტილებების ბათილად ცნობა და წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე ო. ნ-ას საკუთრების უფლების რეგისტრაცია.

2016 წლის 24 ივნისს საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ მიიღო ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ №... გადაწყვეტილება. სააგენტომ აღნიშნა, რომ №... ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, ერთხელ უკვე იმსჯელა საქმის გარემოებებზე და მიიღო ადმინისტრაციული საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ 2016 წლის 22 აპრილის №... გადაწყვეტილება. ამასთან, №... სარეგისტრაციო წარმოებაზე წარდგენილი არ ყოფილა დამატებითი დოკუმენტაცია/ინფორმაცია, რომელიც განაპირობებდა განმცხადებლისათვის უფრო ხელსაყრელი აქტის გამოცემას. ასეთი დოკუმენტაცია/ინფორმაცია წარმოდგენილი არ ყოფილა არც №... ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული წარმოების ფარგლებში.

ამასთან, საქმის მასალებით დადგენილია ის გარემოება, რომ

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ 2010 წლის 01 აპრილის №... წერილით მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ფოთის სარეგისტრაციო სამსახურს ქ. ფოთში, ...ის ზონაში საკადასტრო აზომვით ნაზაზზე მითითებული 3514 კვ.მ. მიწის ნაკვეთის სახელმწიფო საკუთრებაში დარეგისტრირების მოთხოვნით.

რეგისტრაციის შესახებ ფოთის სარეგისტრაციო სამსახურის №...03 (08.04.2010) გადაწყვეტილებით, ქალაქ ფოთში, ...ის ზონაში მდებარე 3517 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე დარეგისტრირდა სახელმწიფოს საკუთრების უფლება (საკადასტრო კოდი ...), უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2010 წლის 01 აპრილის №... მიმართვა.

სსიპ სანარმოთა მართვის სააგენტოს 2010 წლის 17 მაისის №1-3/346 ბრძანების 1.18 პუნქტის შესაბამისად უძრავი ნივთი საკადასტრო კოდით: ..., შეტანილ იქნა სს „...ის“ საწესდებო კაპიტალში.

საჯარო რეესტრის 2010 წლის 02 ივნისის რეგისტრაციის შესახებ №... გადაწყვეტილებით, უძრავი ნივთი საკადასტრო კოდით: ..., სსიპ სანარმოთა მართვის სააგენტოს 2010 წლის 17 მაისის №1-3/346 ბრძანების 1.18 პუნქტის საფუძველზე დარეგისტრირდა სს „...ის“ (ს/ნ ...) საკუთრებაში.

საჯარო რეესტრიდან 2013 წლის 08 ოქტომბრის №... ამონანერის შესაბამისად, ქ. ფოთში, ...ის ზონაში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 3517 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის (ს.კ. ...) მესაკუთრე იყო სს „...ა』.

თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოს 2010 წლის 12 ნოემბრის №11/73 განკარგულების შესაბამისად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიეცა თანხმობა სახელმწიფო საკუთრებად დაერეგისტრირებინა და შპს „...ისთვის“ გადაეცა, თვითმმართველი ქალაქ ფოთის (თვითმმართველი ერთეული) ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთები (378 კვ.მ, 1397 კვ.მ, 442 კვ.მ, 981 კვ.მ, 719 კვ.მ) თანახმად, თანდართული მიწის ნაკვეთების საკადასტრო აზომვითი ნაზაზისა და ელექტრონული ვერსიისა, მოქმედი კანონმდებლობის დაცვით.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ 2010 წლის 25 ნოემბრის №05/1537 წერილით მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ფოთის სარეგისტრაციო სამსახურს ქ. ფოთში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების სახელმწიფოს საკუთრებაში დარეგისტრირებისა და ამონანერების გაცემის მოთხოვნით.

2010 წლის 02 დეკემბრის საჯარო რეესტრიდან ამონანერის მი-

ხედვით (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: ...), ქ. ფოთში მდებარე 442 კვ.მ. მიწის ნაკვეთის, საკადასტრო კოდით: ..., მესაკუთრე იყო სახელმწიფო, უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 25.11.2010 წ. №05/1537 მიმართვა.

სსიპ საწარმოთა მართვის სააგენტოს 2010 წლის 09 დეკემბრის №1-3/1080 ბრძანების შესაბამისად, შპს „...ის“ კაპიტალში შეტანილ იქნა მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდით: ..., ფართობი: 442 კვ.მ; 2010 წლის 23 დეკემბრის საჯარო რეესტრიდან ამონანერის შესაბამისად (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: ...), არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი ..., ფართობი 442 კვ.მ.) მესაკუთრე იყო შპს „....ა“.

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 19 აგვისტოს №1/4-1155 ბრძანების თანახმად, სააგენტომ მოითხოვა უძრავ ნივთზე სახელმწიფოს საკუთრების უფლების რეგისტრაცია (ქ. ფოთში, ...ის ქუჩაზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო და-ნიშნულების 3056 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთი).

2016 წლის 24 აგვისტოს საჯარო რეესტრიდან ამონანერის შესაბამისად (განაცხადის ნომერი: ...), ქ. ფოთში, ...ის ქუჩაზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 3056 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის (ს.კ. ...) მესაკუთრე იყო სახელმწიფო, უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი: სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 19 აგვისტოს №1/4-1155 ბრძანება.

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 19 აგვისტოს №1/4-1156 ბრძანების თანახმად, სააგენტომ მოითხოვა უძრავ ნივთზე (ქ. ფოთში, ...ის ქუჩაზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 2942 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთი) სახელმწიფოს საკუთრების უფლების რეგისტრაცია.

საჯარო რეესტრიდან 2017 წლის 24 აგვისტოს №... და 2017 წლის 29 სექტემბრის №... ამონანერების თანახმად, ქ. ფოთში, ალექსანდრე ...ის ქუჩაზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 2942 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის (ს.კ. ...) მესაკუთრე იყო სახელმწიფო, უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი: სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 19 აგვისტოს №1/4-1156 ბრძანება.

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 19 აგვისტოს №1/4-1154 ბრძანების თანახმად, სააგენტომ მოითხოვა უძრავ ნივთზე (ქ. ფოთში, ...ის ქუჩაზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 12496 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთი) სახელმწიფოს საკუთრების უფლების რეგისტრაცია.

საჯარო რეესტრიდან 2017 წლის 24 აგვისტოს № ... და 2017 წლის

29 სექტემბრის №... ამონაწერების თანახმად, ქ. ფოთში, ...ის ქუჩაზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 12496 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის (ს.კ. ...) მესაკუთრე იყო სახელმწიფო, უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი: სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 19 აგვისტოს №1/4-1154 ბრძანება.

პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განხორციელებული ადგილზე დათვალიერებით დადგენილია, რომ მიწის ნაკვეთზე სახლის ადგილას არსებობდა მხოლოდ ორი ქვა, რომელიც შესაძლებელია ყოფილიყო ხის ნაგებობის დასაყრდენი. აღნიშნული ნაგებობა დაშლილ და გატანილ იქნა მოსარჩელე ო. ნ-ას მიერ, რომლის ახალოგი იმ დროისთვის განთავსებული იყო მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე.

ლევან სამხარაულის სახელმწიფო სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2018 წლის 04 დეკემბრის №5007667918 დასკვნის თანახმად, საჯარო რეესტრში მოსარჩელის მიერ წარდგენილ ნახაზზე მითითებული მიწის ნაკვეთის უმტესი ნაწილი, ემთხვეოდა ექსპერტიზის მიერ გაორიენტირებული მიწის ნაკვეთის მდებარეობას. ექსპერტიზის მიერ გაორიენტირებული 1560.6 კვ.მ. მიწის ნაკვეთის სავარაუდო მდებარეობა ზედდებას ახდენდა საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ შემდეგ მიწის ნაკვეთებთან: ს.კ. ... (მესაკუთრე სახელმწიფო) 11.6 კვ.მ-ზე; ს.კ. ... (მესაკუთრე შპს „...ა“) 8.13 კვ.მ-ზე; ს.კ. ... მიწის ნაკვეთთან (მესაკუთრე სახელმწიფო) 1.68 კვ.მ-ზე; ს.კ. ... მიწის ნაკვეთთან (მესაკუთრე შ. ნ-ა) 112,40 კვ.მ-ზე; ს.კ. ... მიწის ნაკვეთთან (მესაკუთრე სახელმწიფო) 15.95 კვ.მ-ზე; ს.კ. ... მიწის ნაკვეთთან (მესაკუთრე სს „...ა“) 600.59 კვ.მ-ზე; №661 ცნობაში მითითებული მისამართი (ქ.ფოთი, ...ის ქ. №...) შეესაბამებოდა ექსპერტიზისათვის წარმოდგენილი ტერიტორიის სავარაუდო მისამართს. საჯარო რეესტრში სარეგისტრაციოდ (წარმოების ნომერი ...) წარდგენილ ნახაზზე მითითებული მიწის ნაკვეთის კონფიგურაცია და ფართობი, ძირითადად შეესაბამებოდა ნასყიდობის ხელშეკრულების გეგმაზე მითითებული მიწის ნაკვეთის შესაბამის მონაცემებს.

ამასთან, საკასაციო სასამართლო, საქმის მასალებისა და მხარეთა ახსნა-განმარტებების გათვალისწინებით, დადგენილად მიიჩნევს იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ ფოთის ტექნიკური აღრიცხვის ტერიტორიული სამსახურის არქივი დამწვარია, ამდენად, ვერ ხერხდება საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა საჭირო დოკუმენტის გამოთხვა და მოძიება. ასეთ პირობებში კი განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საქმეზე არსებული მტკიცებულებების ერთიანობაში შეფასებას და მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის სწორ გადანაწილებას.

საკასაციო სასამართლო კიდევ ერთხელ განსაკუთრებულ ყუ-

რადლებას მიაქცევს იმ გარემოებაზე, რომ ქ. ფოთის სანოტარო ბიუროში დაცული 1999 წლის 26 იანვრის ნასყიდობის საქმე №29-ზე დართული ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს 1999 წლის 25 იანვრის №16 ცნობა-დახასიათებით გ. უ-ეს გააჩნდა საკუთრების უფლების დამადასტურებელი საბუთი („9.06.1994 წლის სანოტარო ხელშეკრულება ბინის უსასყიდლოდ გადაცემაზე №...“). ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს მიერ შედგენილი სახლმფლობელობის მოკლე დახასიათებაში ობიექტის სახელწოდებაში მითითებული იყო, ლიტერი „ა“, ერთსართულიანი ხის საცხოვრებელი ბინა, საცხოვრებელი ოთახებს რაოდენობა: ორი, სასარგებლო ფართი: 47,41 კვ.მ; საცხოვრებელი ფართი: 34,39 კვ.მ. დამხმარე ფართი: 13,02 კვ.მ. ასევე მითითებული იყო მინის ნაკვეთის საერთო ფართი 1560 კვ.მ. ამასთან, მინის ნაკვეთზე საკუთრების უფლება და-დასტურებული იყო ქ. ფოთის მინის მართვის საქალაქო სამმართველოს 1999 წლის 21 იანვრის №7 ცნობით. ამასთან, 1999 წლის 26 იანვრის ნასყიდობის ხელშეკრულებაში გ. უ-ემ ო. ნ-ას მიჰყიდა სახლი მინის ნაკვეთით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სადაცო პერიოდში მოქმედი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (24/07/1997 – 19/02/1999 მოქმედი რედაქცია) 183-ე მუხლის თანახმად, უძრავი ნივთის შესაძნად აუცილებელი იყო სახოტარო წესით დამოწმებული საბუთი და შემძენის რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. რეგისტრაციისათვის განცხადების შეტანა შეეძლო როგორც გამსხვისებელს, ისე შეძენს. საბუთში ზუსტად უნდა აღნიშნულიყო უძრავი ნივთის შეძენის საფუძველი.

სადაცო პერიოდში მოქმედი, „მინის რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველ პუნქტის მიხედვით, მინის მიმართ უფლებათა სახელმწიფო რეგისტრაცია იყო საქართველოს მინის კადასტრის შემადგენელი ნაწილი და შეიცავდა აუცილებელ მონაცემებს მინის ნაკვეთის და მასთან უძრავად დაკავშირებული ქონების ობიექტების საზღვრების, რაოდენობრივ-თვისებრივი და სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ. იმავე მუხლის მე-5 პუნქტში კი ერთმნიშვნელოვნად და არაორაზროვნად იყო აღნიშნული, რომ მინის სახელმწიფო რეგისტრაცია საქართველოს ტერიტორიაზე ხდებოდა საჯარო რეესტრში ამ კანონით განსაზღვრული ჩანაწერის წარმოების ერთიანი სისტემით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მინის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის 10.01.1998 წ. №2-5 ბრძანების თანახმად, საქართველოში საჯარო რეესტრი ამოქმედდა 1998 წლის 10 იანვრიდან. აღნიშნული პერიოდის შემდეგ მინის ნაკვეთსა და სხვა უძრავ ქონებაზე უფლებათა რეგისტრაციას „მინის რეგისტრაციის შესა-

ხებ“ კანონის თანახმად ახდენდა მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულის სახით არსებული საჯარო რეგულაციის სტრუქტურის პარალელურად ადგილობრივი მმართველობის ორგანოების გამგებლობის სფეროში არსებობდა ტექნიკური აღრიცხვის ტერიტორიული ორგანოები. ამასთან, მიწის ნაკვეთების ყოველი ახალი შეძენის რეგისტრაციის სამსახურის სისტემადან უნდა მომხდარიყო მიწის რეგისტრაციის სამსახურის სისტემაში არსებული საადგილმამულო წიგნის (საჯარო რეგულაციის) სამსახურში (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებები: 2007 წლის 19 სექტემბრის №ბს-238-226(ქ-07) და 2021 წლის 27 აპრილის №ბს-236(ქ-19)).

საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 28 ოქტომბრის №603 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის დებულების“ (ძალადაკარგულია – საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №372 1999 წლის 17 ივნისი) II.7.დ მუხლის თანახმად, დეპარტამენტის ამოცანა იყო მიწის სახელმწიფო კადასტრი, მიწის და მასთან უძრავად დაკავშირებული ქონების რეგისტრაცია საჯარო რეგულაციი (საადგილმამულო წიგნში), მონიტორინგი, მიწის შეფასება, შესაბამისი ნორმატიული და მეთოდური მასალების მომზადება, ქალაქთმშენებლობის კადასტრის შემუშავებაში მონაწილეობა. ამავე დებულების III.8.დ. მუხლის შესაბამისად, დეპარტამენტის ძირითადი ფუნქცია იყო საჯარო რეგულაციის (საადგილმამულო წიგნის) ნარმოება, შესაბამისი სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად მიწის სახელმწიფო კადასტრის რეგისტრაციის, მონიტორინგის, მიწათმოწყობის, მიწის შეფასებისა და მიწის რეფორმის სამუშაოთა ორგანიზაცია. ამავე დებულების XII.7 მუხლის თანახმად კი, დეპარტამენტის ტერიტორიულ ქვედანაყოფსა და დაქვემდებარებულ ორგანიზაციას წარმოადგენდა სამეცნიერო-ზემო სვანეთის მხარის მიწის მართვის საკონკრეტული საბჭოს (ქ. ზუგდიდი) – ფოთის რაიონის მიწის მართვის სამმართველო.

ამდენად, საქასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ქ. ფოთის მიწის მართვის საქალაქო სამმართველოს 1999 წლის 21 იანვრის №7 ცნობა, რომლითაც დასტურდებოდა, რომ გ. უ-ეს, მცხოვრები: ქ. ფოთი, ...ის ქ. №..., გააჩნდა საკუთარი მიწის ნაკვეთი ფართით 1560.6 კვ.მ. წარმოადგენდა სადაც უძრავ ქონებაზე, მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების დამდგენ დოკუმენტს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ქ. ფოთის მიწის მართვის საქალაქო სამმართველოს 1999 წლის 21 იანვრის №7 ცნობა წარმოადგენს ძალაში მყოფ სამართლებრივ დოკუმენტს, რომლის უკანონობა მხარეთა მიერ კანონით დადგენილი წესით სადაც დადგენდა.

არ გამხდარა. ამდენად, მხოლოდ ის გარემოება, რომ სამმართველოს უფროსის, გ. დ-ას მიერ ხელმოწერილი ცნობის ბლანკზე/ბეჭედზე მითითებულია ქ. ფოთის მიწის მართვის საქალაქო სამმართველო, ნაცვლად – ფოთის რაიონის მიწის მართვის სამმართველოსი, ვერ ჩაითვლება ცნობაში მითითებული მონაცემების სისწორეში ეჭვის შეტანის საკარის საფუძვლად.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორთა პოზიციას, იმის შესახებ, რომ უძრავი ქონების თავდაპირველ მესაკუთრეს – გ. უ-ეს საკუთრების უფლებით ერიცხებოდა მხოლოდ საცხოვრებელი ბინა და ამის გამო, ვერ მოახდენდა საცხოვრებელ სახლთან ერთად, მიწის ნაკვეთის გასხვისებას. საკასაციო სასამართლო საქმეში ნარმოდგენილი მტკიცებულებებისა და მხარეთა ახსნა-განმარტებების საფუძველზე, მიუთითებს, რომ გ. უ-ესა და ო. ნ-ას შორის ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებისას, დაცულ იქნა იმ პერიოდისთვის უძრავი ქონების ნასყიდობის მიმართ მოქმედი საკანონმდებლო მოთხოვები, ნოტარიუსის მიერ კანონით დადგენილი წესით შეფასდა გ. უ-ის საკუთრების უფლება საცხოვრებელ სახლსა (1994 წლის 09 ივნისის უსასყიდლოდ გადაცემის ხელშეკრულება) და მიწის ნაკვეთზე (ქ. ფოთის მიწის მართვის საქალაქო სამმართველოს (ცნობა). შესაბამისად, ო. ნ-ას, როგორც კეთილსინდისიერი შემძენის მიერ, დაცულ იქნა წინდახედულობისა და გულისხმიერების მოთხოვნები.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საკუთრებისა და მექვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია. საკუთრების უფლება აღიარებულია „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით“ და „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის“ პირველი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლით. მიუხედავად იმისა, რომ გაეროს სამოქალაქო და პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური, კულტურული და სოციალური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტებში საკუთრების უფლება არ არის დეკლარირებული, მათში ასახული მთელი რიგი უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზაციისათვის აუცილებელია, რომ საკუთრების უფლება იყოს დაცული. ყოველ ფიზიკურ და იურიდიულ პირს აქვს თავისი საკუთრებით შეუზღუდავად სარგებლობის უფლება. მხოლოდ საზოგადოებრივი საჭიროებისათვის შეიძლება ჩამოერთვას ვინმეს თავისი საკუთრება კანონითა და საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებით გათვალისწინებულ პირობებში.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის პირველი ოქმის პირველი მუხლის ფარგლებში არსებუ-

ლი პოზიტიური ვალდებულებების კუთხით, სასამართლო ხაზს უსვამს „კარგი მმართველობის“ პრინციპის პრაქტიკულ მნიშვნელობას, რაც მოითხოვს, რომ როდესაც საზოგადო ინტერესის საგანი არის სასწორზე, კერძოდ, როდესაც ზიანი ადგება ადამიანის ისეთ ფუნდამენტურ უფლებას, როგორიცაა საკუთრების უფლება, საჯარო ხელისუფლების ორგანოებამა უნდა იმოქმედონ დროულად, შესაბამისი და, უპირველეს ყოვლისა, თანმიმდევრული ფორმით (Beyeler v. Italy [დიდი პალატა], § 120; Megadat.com SRL v. Moldova, § 72; Rysovskyy v. Ukraine, § 71; Moskal v. Poland, § 72; Maria Mihalache v. Romania, § 70) კერძოდ, საჯარო ხელისუფლების ვალდებულებაა, განახორციელონ შიდა პროცედურები, რომლებიც აძლიერებენ მათი მოქმედებების გამჭვირვალობასა და სიცხადეს, მინიმუმამდე დაჰყავთ შეცდომების რისკი (იხ. Lelas v. Croatia, № 55555/08, § 74, 20.05.2010, და Toscuta and others v. Romania, no. 36900/03, § 37, 25.11.2008) და ხელი შეუწყოს სამოქალაქო ტრანზაქციების სამართლებრივ სიცხადეს, სტაბილურობას, რომლებიც გავლენას ახდენენ ქონებრივ ინტერესებზე (იხ. Oneryildiz საქმე, § 128, და Beyeler საქმე, § 119).

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მართალია, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, მარეგისტრირებელი ორგანო და მისი თანამშრომელი პასუხს არ აგებენ წარმოდგენილი სარეგისტრაციო დოკუმენტაციის ნამდვილობაზე, თუმცა ისინი ამავე ნორმის თანახმად, პასუხისმგებელი არიან რეგისტრირებული მონაცემების და მათთან დაცული სარეგისტრაციო თუ სხვა დოკუმენტაციის ურთიერთშესაბამისობასა და უსაფრთხოებაზე. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ფოთის ტექნიკური აღრიცხვის ტერიტორიული სამსახურის არქივი დამწვარია და არ არის შემონახული სრულყოფილი მონაცემები, არსებული მტკიცებულებებითა და დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სადაცო მინის ნაკვეთზე საკუთრების უფლება მოპოვებული პქნდა გ. უ-ეს და შემდგომში, 1999 წლის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე – მოსარჩევე ო. ნ-ას, რაც გამორიცხავდა უძრავ ნივთზე სხვა პირთა, მათ შორის, სახელმწიფოს საკუთრების უფლების რეგისტრაციის, რაც განხორციელებული რეგისტრაციების და მათი სამართლებრივი საფუძვლების (მიმართვები) ბათილად ცნობის საფუძველს ქმნის.

ამასთან, სადაცო მინის ნაკვეთის ადგილმდებარეობასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო მიუთითებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განხორციელებულ ადგილზე დათვალიერების ოქმზე, რომლის თანახმადაც, მინის ნაკვეთზე სახლის ადგილას არსებობს მხოლოდ ორი ქვა, რომელიც შესაძლებელია ყოფილიყო ხის ნაგებობის დასაყრდენი. აღნიშნული ნაგებობა დაშ-

ლილ და გატანილ იქნა მოსარჩელე ო. ნ-ას მიერ, რომლის ანალოგი ამჟამადაც არის განთავსებული მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე.

ამასთან, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2018 წლის 04 დეკემბრის №5007667918 დასკვნის თანახმად, საჯარო რეესტრში მოსარჩელის მიერ წარდგენილ ნახაზზე მითითებული მიწის ნაკვეთის უმეტესი ნაწილი, ემთხვევა ექსპერტიზის მიერ გაორიენტირებული მიწის ნაკვეთის მდებარეობას. ექსპერტიზის მიერ გაორიენტირებული 1560.6 კვ.მ. მიწის ნაკვეთის სავარაუდო მდებარეობა ზედდებას ახდენს საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ შემდეგ მიწის ნაკვეთებთან: ს.კ. .... (მესაკუთრე სახელმწიფო) 11.6 კვ.მ-ზე; ს.კ. .... (მესაკუთრე შპს „....ა“) 8.13 კვ.მ-ზე; ს.კ. .... მიწის ნაკვეთთან (მესაკუთრე სახელმწიფო) 1.68 კვ.მ-ზე; ს.კ. .... მიწის ნაკვეთთან (მესაკუთრე შ. ნ-ა) 112,40 კვ.მ-ზე; ს.კ. .... მიწის ნაკვეთთან (მესაკუთრე სახელმწიფო) 15.95 კვ.მ-ზე; ს.კ. .... მიწის ნაკვეთთან (მესაკუთრე სს „....ა“) 600.59 კვ.მ-ზე; №661 ცნობაში მითითებული მისამართი (ქ. ფოთი, ...ის ქ. №...) შეესაბამება ექსპერტიზისათვის წარმოდგენილი ტერიტორიის სავარაუდო მისამართს. საჯარო რეესტრში სარეგისტრაციოდ (წარმოების ნომერი ...) წარდგენილ ნახაზზე მითითებული მიწის ნაკვეთის კონფიგურაცია და ფართობი, ძირითადად შეესაბამება ნასყიდობის ხელშეკრულების გეგმაზე მითითებული მიწის ნაკვეთის შესაბამის მონაცემებს.

ამდენად, იმ ფონზე, როდესაც ო. ნ-ას საკუთრების უფლება და-დასტურებულია სადაცო მიწის ნაკვეთზე და ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე განსაზღვრულია მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობა და კონფიგურაცია, ხოლო საქმეში არ არის წარმოდგენილი ალტერნატიული ექსპერტიზის დასკვნა ან სხვა რაიმე მტკიცებულება, მიწის ნაკვეთის განსხვავებული ადგილმდებარეობის შესახებ, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორთა პოზიციას აღნიშნული მოტივით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლიანობის შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად გადაწყვიტა დავა, რის გამოც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს, ქალაქ ფოთის მუნიციპიალიტეტის საკრებულოსა და სს „....ის“ საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს აღმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 9 იანვრის გადაწყვეტილება.

## **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ად-  
მინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნა-  
ნილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე,  
410-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სა-  
მინისტროს, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს, ქა-  
ლაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და სს „...ის“ საკასა-  
ციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს;

2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ად-  
მინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 9 იანვრის გადაწყვე-  
ტილება;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლო-  
ოა და არ საჩივრდება.

**ადმინისტრაციულ რჩგაოში რეგისტრაციის  
მიზნებისათვის წარდგენილი მიღება-ჩაპარების აქტის  
ნამდვილი შინაარსის შეფასება**

**გადაწყვეტილება  
საქართველოს სახელით**

NNბა-133(კ-20)

9 დეკემბერი, 2021 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: გ. აბუსერიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ბ. სტურუა

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-  
თლებრივი აქტების ბათილად ცნობა, ახალი ადმინისტრაციულ-სა-  
მართლებრივი აქტის გამოცემის დავალება

## **ადმინისტრაციონური ნაწილი:**

2018 წლის 31 იანვარს ს. გ-მა სარჩელით მიმართა თეთრიწყა-  
როს რაიონულ სასამართლოს მოპასუხების: სსიპ საჯარო რეეს-

ტრის ეროვნული სააგენტოს და საჯარო რეესტრის ეროვნული სა-აგენტოს ქვემო ქართლის რეგიონული ოფისის მიმართ. სარჩელის დაზუსტების შემდეგ, ს. გ-მა მოიხოვა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 23 ნოემბრის №..., 2018 წლის 12 იანვრის №..., 2018 წლის 15 ივნისის №..., 2018 წლის 23 ივლისის №..., 2018 წლის 24 ივლისის №..., 2018 წლის 8 აგვისტოს №..., 2018 წლის 15 აგვისტოს №..., 2018 წლის 5 სექტემბრის №... გადაწყვეტილებების ბათილად ცნობა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსათვის ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება №..., №... განცხადებების დაკმაყოფილებისა და 1997 წლის 7 იანვრის №215 მინის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, 2018 წლის 18 ივნისს შპს „...ის“ მიერ შედგენილი საკადასტრო აზომვითი ნახაზის შესაბამისად, უძრავ ნივთზე (თეთრიწყაროს რაიონის ...ში, სოფელ ...აში (...ი) მდებარე 6722 კვ.მ. ფართის მინის ნაკვეთზე) ს. გ-ის საკუთრების უფლების რეგისტრაციის თაობაზე.

მოსარჩელის განმარტებით, 2017 წლის 30 აგვისტოს განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს სახელმწიფო პროექტის ფარგლებში უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნით. განცხადებასთან ერთად წარდგენილი ჰქონდა 1997 წლის 7 იანვრის მინის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტი №215, რომლითაც ...ში მცხოვრებ ჯ. ბ-ს გადაეცა სოფელ ...აში (...ში) მდებარე, მის სარგებლობაში არსებული 6722 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის ნაკვეთი. განცხადებას ასევე ერთოდა 2013 წლის 29 ივნისს გაცემული სამკვიდრო მოწმობა, რომლის თანახმად, 1997 წლის 7 იანვრის №215 მინის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტში მითითებულ მინის ნაკვეთზე მოთხოვნის უფლება მოპოვებული ჰქონდა ს. გ-ს. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სადაც გადაწყვეტილებებით მისი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა იმ მოტივით, რომ წარმოებისას ვერ იქნა მოძიებული სარეგისტრაციო დოკუმენტაცია, ამასთანავე, საკუთრების უფლების აღიარების კომისიამ არ დაკმაყოფილა მოთხოვნა თვითნებურად დაკავებულ მინის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ. სააგენტომ მიუთითა, რომ ს. გ-ის სახელზე უკვე რეგისტრირებული იყო თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ...ში მდებარე მინის ნაკვეთი (ს/კ ...), რომლის პირველადი რეგისტრაციაც მოხდა 1997 წლის 13 აპრილის №229 მიღება-ჩაბარების აქტით. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, 700 კვ.მ. მინის ნაკვეთი გადაეცა ჯ. ბ-ს. ამდენად, ერთსა და იმავე დასახლებაში გაცემული ორი მიღება-ჩაბარების აქტი სარეგისტრაციოდ ვერ იქნებოდა გამოყენებული. მოსარჩელის მოსაზრებით, სხვა მიღება-ჩაბარების აქტზე

მითითებით სააგენტომ უსაფუძვლოდ განაცხადა უარი №215 მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ...ში, სოფელ ...აში მდებარე 6722 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დაბიშნულების მინაზე საკუთრების უფლების რეგისტრაციაზე, იმ პირობებში, როდესაც სარეგისტრაციო დოკუმენტს უფლებრივი ნაკლი არ გააჩნდა. საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტოს სადაცო გადაწყვეტილებები ს. გ-ის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს, იგი ვერ ირეგისტრირებს კუთვნილ მინის ნაკვეთს, რომელიც მას მიღება-ჩაბარების აქტით გადაეცა. მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად მოსარჩელებ მიუთითა „საჯარო რეგისტრის შესახებ“ საქართველოს კანონზე, ასევე „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონზე.

თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 2018 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილებით ს. გ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 23 მაისის განჩინებით ს. გ-ის სააპელაციო საჩივრი არ დაკმაყოფილდა, უკვლელად დარჩა თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 2018 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სასამართლებრივი შეფასება და აღნიშნა, რომ ს. გ-ის ინტერესს ნარმოადგენდა სახელმწიფო პროექტის ფარგლებში, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ...ში მდებარე 6722 კვ.მ. უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია. აღნიშნული ინტერესის დამაყოფილების მიზნით, ს. გ-მა სააგენტოში წარადგინა 1997 წლის 7 იანვრის №215 მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტი, სამკვიდრო მოწმობა და -საკადასტრო აზომვითი ნახაზი. სარეგისტრაციო წარმოების ფარგლებში საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2017 წლის 5 სექტემბრის №... წერილით თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგობიდან, ქვემო ქართლის რეგიონული არქივიდან და სსიპ შემოსავლების სამსახურიდან გამოთხოვილი ინფორმაციის პასუხად, სსიპ შემოსავლების სამსახურის 2017 წლის 7 სექტემბრის №21-02-1/136118 წერილით სააგენტოს ეცნობა, რომ სსიპ შემოსავლების სამსახურში ინახებოდა 2002, 2004, 2005, 2006 წლების თეთრიწყაროს რაიონის ...ის სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების გადასახადის გადამხდელთა სიები, თუმცა ჯ. ბ-ი და ლ. ც-ე აღნიშნულ სიებში არ ფიქსირდებოდნენ. თეთრიწყაროს მუნიცი-

პალიტეტის გამგეობის 2017 წლის 11 სექტემბრის №4967-13 ნერილით სააგენტოს ეცნობა, რომ გამგეობაში არ ინახებოდა ინფორმაცია ...ში მცხოვრები ჯ. ბ-ის კომლის შემადგენლობის, მასზე რიცხული ქონებისა და გადასახადის გადამხდელად აღრიცხვის შესახებ. ქვემო ქართლის რეგიონული არქივის 2017 წლის 20 სექტემბრის №... ნერილით სააგენტოს ეცნობა, რომ თეთრინყოროს რაიონის ...ის 1992-2007 წლების საკომლო წიგნების, მიწის მიღება-ჩაბარების აქტების, ასევე მიწის განაწილების (სარეფორმო) და საგადასახადო სიების შესახებ მონაცემები არქივში დაცული არ იყო.

სააპელაციო პალატამ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2017 წლის 16 ნოემბრის №13-1/398 ნერილით სააგენტოში გადაგზავნილ იქნა თეთრინყაროს მუნიციპალიტეტის მერიის მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2017 წლის 13 ნოემბრის №278 განკარგულება, რომლითაც ს. გ-ს უარი ეთქვა თეთრინყაროს მუნიციპალიტეტის ...ში მდებარე 6722 კვ.მ. მიწის ნაკვეთის დაკანონებაზე. შესაბამისად, 2017 წლის 23 ნოემბრის №... გადაწყვეტილებით დაინტერესებულ პირს უარი ეთქვა რეგისტრაციაზე.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ ჯ. ბ-ის სახელზე 1997 წელს გაცემული იყო ორი მიღება-ჩაბარების აქტი, რომელთაგან 1997 წლის 13 აპრილს გაცემული №229 მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2009 წლის 10 ივლისის №... გადაწყვეტილებით აღნიშნულ პირზე უკვე რეგისტრირებულია 700 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. რაც შეეხება №... და №... სარეგისტრაციო განცხადებზე თანდართულ, 1997 წლის 7 იანვარს გაცემულ №215 მიღება-ჩაბარების აქტს, აღნიშნული დოკუმენტის გარდა, სხვა რაიმე სახის დოკუმენტით არ დასტურდებოდა, რომ ჯ. ბ-ს ან მისი ოჯახის (კომლის) რომელიმე წევრს, სოფელ ...აში, დროის რომელიმე მონაკვეთში, მფლობელობაში გააჩნდა 6722 კვ.მ. მიწის ნაკვეთი. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში, ამ სახის დოკუმენტაციის არსებობა არსებითია, რამდენადაც მოსარჩელის მიერ სარეგისტრაციოდ წარდგენილ 1997 წლის 7 იანვრის №215 მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტს სანდოობასთან დაკავშირებით გარკვეული პრობლემები გააჩნდა; აღნიშნული დოკუმენტი გაცემული იყო 1997 წლის 7 იანვარს. 1990 წლის 22 ნოემბრიდან ამოქმედებული „უქმე დღეების გაუქმებისა და ტრადიციულთა აღდგენის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის მე-3 პუნქტის შესაბამისად, საეკლესიო დღესასწაულთან დაკავშირებულ უქმე დღედ აღდგენილ იქნა 7 იანვარი (შობა უფლისა ღვთისა და

მაცხოვრისა ჩვენისა იქსო ქრისტესი – 7 იანვარი (ძველი სტილით 25 დეკემბერი)). კანონი მოქმედებდა 1997 წლის 7 იანვრის მდგომარეობით. ამდენად, სასამართლოსთვის გაუგებარი იყო როგორ გასცა ოფიციალურად აღიარებულ დასვენების დღეს თეთრიწყაროს რაიონის ...ის მიწის რეფორმის კომისიამ №215 მიღება-ჩაბარების აქტი.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ 1997 წლის 22 იანვარს კ. ბ-ის მიმართ გაცემული იყო №216 მიღება-ჩაბარების აქტი, რომელში მითითებული მიწის ნაკვეთიც №215 მიღება-ჩაბარების აქტით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთის მოსაზღვრეს უნდა წარმოადგენდეს. №216 მიღება-ჩაბარების აქტით დასტურდება, რომ სამხრეთის, დასავლეთისა და აღმოსავლეთის მხრიდან ნაკვეთს ესაზღვრება ტყე, ხოლო ჩრდილოეთის მხრიდან – ბ-ი. რაც შეეხება №215 აქტს – მასში მოსაზღვრებად მითითებულია: ჩრდილოეთით – ტყე, სამხრეთი – ბ-ი, აღმოსავლეთით – ტყე და დასავლეთით – ნ-ი. ამდენად, მითითებულ აქტებში ასახული ინფორმაცია არ იყო ერთმანეთთან თანხვედრაში. გარდა ამისა, ერთმანეთისა-გან განსხვავებული იყო მიღება-ჩაბარების აქტებზე საკრებულოს გამგებლის – მ-ის ხელმოწერა.

1997 წლის 7 იანვრის №215 მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტის სანდობასთან დაკავშირებით სააპელაციო პალატამ ასევე მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ 1997 წლისთვის მოქმედი საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა ერთსა და იმავე პირზე ერთზე მეტი მიღება-ჩაბარების აქტის გაცემას. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვრის №48 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-11 პუნქტის თანახმად, მიწების გაცემას ახდენდა სოფლის (დაბის) მმართველობისა დაგილიბრივი ორგანო, შემდგომ ამტკიცებდა რაიონის (ქალაქის) მმართველობის ორგანო საქართველოს რესპუბლიკის მიწის რესურსებისა და მიწის რეფორმის სახელმწიფო კომიტეტის სათანადო სახელმწიფო აქტით, რაც დასტურდებოდა სანოტარო წესით და რეგისტრირდებოდა მიწების აღრიცხვის სახელმწიფო წიგნში. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 24 თებერვლის №148 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მეორე მუხლის თანახმად, თითოეულ კონკრეტულ მიწათმოსარგებლებზე დგებოდა მიწის ნაკვეთის აქტი 5 ცალად, სადაც აღნიშნული იყო შერჩეული ნაკვეთის ადგილმდებარეობა და საერთო ფართობი სავარგულების მიხედვით. მონაცემების დატანა ხდებოდა მიწათმარებლის გეგმაზე. ამავე დებულების მე-13 მუხლის თანახმად, მიწის ნაკვეთს იღებდა დამოუკიდებელი ოჯახის ერთ-ერთი სრულწლოვანი წევრი. მიწის ნაკვეთების მისაღებად მო-

ქალაქებს განცხადებასთან ერთად უნდა წარედგინათ: а) ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან; б) ცნობა საბალე ან სააგარაკო ნაკვე-  
თის მფლობელობის შესახებ; გ) ცნობა სამუშაო ადგილიდან ოჯახ-  
ში შემავალი ყველა სრულწლოვანი წევრისა, რომ არ იღებენ სხვა  
მიწის ნაკვეთს.

ზემოაღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე, სააპელაციო პა-  
ლატის მოსაზრებით, გაუგებარი იყო თუ როგორ მოხდა ერთი პი-  
რის მიმართ რამდენიმე თვის შუალედით ორი მიღება-ჩაბარების  
აქტის გაცემა მაშინ, როდესაც სადავო პერიოდში მოქმედი კანონ-  
მდებლობის შესაბამისად, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების  
მიწის რეფორმის ფარგლებში მესაკუთრებზე გაიცემოდა მხოლოდ  
ერთი მიწათსარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი – მი-  
წის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტი, რომელიც მოიცავდა კონ-  
კრეტული პირისათვის გადაცემულ ყველა მიწის ნაკვეთს. გარდა  
აღნიშნულისა, პალატის განმარტებით, აპელანტმა ვერ წარმოად-  
გინა არგუმენტაცია ჯ. ბ-ისადმი 1997 წლის 7 იანვრის №215 მიღე-  
ბა-ჩაბარების აქტის გადაცემის სამართლებრივი საფუძვლისა და  
სხვა მნიშვნელოვანი მონაცემების თაობაზე (თარიღი, მიწის ნაკ-  
ვეთის რაოდენობა, მიწის რეფორმამდე არსებული მდგომარეობა  
და ა.შ.). ამასთან, ვერც მარეგისტრირებულმა ორგანომ მოიძია  
მსგავსი სახის დოკუმენტაცია.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო  
პალატამ უდავოდ დადგენილად მიიჩნია ის, რომ თეთრიწყაროს რა-  
იონის ...ის მიწის რეფორმის კომისიის 1997 წლის 13 აპრილს №229  
მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ჯ. ბ-ზე უკ-  
ვე რეგისტრირებული იყო მისთვის გამოყოფილი 0.07 ჰა მიწის ნაკ-  
ვეთი. ს. გ-ის სარეგისტრაციო განცხადებასთან დაკავშირებით ვერ  
იქნა მოიიღებული სხვა რაიმე საკუთრების ან/და მიწის მართლზო-  
მიერი მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ამასთანა-  
ვე, თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღი-  
არების კომისიამაც უარყოფითი გადაწყვეტილება მიიღო მიწის ნაკ-  
ვეთის აღიარებასთან დაკავშირებით. ამდენად სააპელაციო სასა-  
მართლომ დაასკვნა, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სა-  
მართლებრივი აქტები შესაბამისობაში იყო მოქმედ კანონმდებლო-  
ბასთან და არ არსებობდა მათი ბათილად ცნობის სამართლებრივი  
საფუძველი. ამასთანავე, უსაფუძვლო იყო სასარჩელო მოთხოვნა  
მოპასუხისათვის მიწის ნაკვეთის რეგისტრაციის დავალების თაო-  
ბაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-  
მეთა პალატის 2019 წლის 23 მაისის განჩინება საკასაციო წესით  
გაასაჩივრა ს. გ-მა. კასატორმა გასაჩივრებული განჩინების გაუქ-

მება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, სადაც არ არის, რომ 1997 წლის 7 იანვარს თეთრიწყაროს რაიონის ...ის მიწის რეფორმის კომისიამ №215 მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტით ...ში მცხოვრებ ჯ. ბ-ს გადასცა სოფელ ...ში (...ში) მდებარე, მის სარგებლობაში არსებული 6722 კვ.მ. ფართის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. მიღება-ჩაბარების აქტი ხელმოწერილია კომისიის წევრებისა და ჯ. ბ-ის მიერ, დამოწმებულია უფლებამოსილ პირთა მრგვალი ბეჭდებით. აქტის მიხედვით, ჩრდილოეთით მიწის ნაკვეთს ესაზღვრება ტყე, სამხრეთით – ბ-ის მიწის ნაკვეთი, აღმოსავლეთით – ტყე, დასავლეთით – ნ-ის მიწის ნაკვეთი. მიღება-ჩაბარების აქტი გაუქმებული ან ბათილად ცნობილი არ არის და ის ნარმოადგენს „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ საკუთრების უფლების დამადასტურებელ დოკუმენტს.

მოცემულ შემთხვევაში, ს. გ-ის მიერ 2017 წლის 30 აგვისტოს ნარდგენილი №... სარეგისტრაციო განცხადება თანდართული მიღება-ჩაბარების აქტით, სრულად აკმაყოფილებდა კანონით დადგენილ მოთხოვნებს, თუმცა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 23 ნოემბრის №... გადაწყვეტილებით განცხადება არ დაკმაყოფილდა იმ მოტივით, რომ ვერ იქნა მოძიებული სარეგისტრაციო დოკუმენტაცია. კასატორის განმარტებით, სარეგისტრაციოდ ნარდგენილი მიღება-ჩაბარების აქტი ნარმოადგენს „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მეორე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღლურულ სარეგისტრაციო დოკუმენტს, შესაბამისად არ არსებობდა რეგისტრაციის დამაბრკოლებელი გარემოება. გარდა ამისა, საკუთრების უფლების აღიარების კომისიის თვის გადაგზავნას ექვემდებარებოდა მხოლოდ თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთზე არსებული დოკუმენტაცია, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი არსებობს, თუ სარეგისტრაციო დოკუმენტი გამოცემული, მიღებული ან შედგენილია არაუფლებამოსილი პირის მიერ. მოცემულ შემთხვევაში, სარეგისტრაციო დოკუმენტი გამოცემულია უფლებამოსილი ორგანოს მიერ, ის კანონიერ ძალაშია და დადგენილი წესით სადაცოდ არ გაუხდია მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს ან/და სხვა დაინტერესებულ პირს.

კასატორის განმარტებით, სასამართლომ არ დაადგინა ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 7 მარტის №... პასუხის მიხედვით, 2018 წლის პირველი მარტის №... განცხადებაზე თანდართულ სიტუაციურ ნახაზზე მონიშნული ტერიტორია თანხვედრაში იყო საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დაცულ მონაცემებთან (ფიქსირდება ჩანაწერი – ..., ბ-ი ჯ.) და ნარმოადგენს დაუზუსტებელ, დაურეგისტრირებელ საკადასტრო მონაცემს, რომლის სარეგისტრაციო მასალებიც დაცული არ არის; თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოსადმი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 5 აპრილის №... პასუხის მიხედვით, საჯარო რეესტრში დაცულია სისტემური აღრიცხვის შედეგად მიღებული უფლებადაურეგისტრირებელი, დაუზუსტებელი გრაფიკული საკადასტრო მონაცემი, რომლის მიხედვით, №6... სარეგისტრაციო განაცხადზე თანდართულ საკადასტრო აგეგმით/აზომვით ნახაზზე მონიშნულ ტერიტორიაზე განხორციელებულია სისტემური აღწერები (ფიქსირდება ჩანაწერები: ..., ..., ბ-ი ჯ., ბ-ი ა., ... – ბ-ი შ.). აღნიშნული ჩანაწერების სარეგისტრაციო ნარმობის მასალები საარქივო დოკუმენტაციაში დაცული არ არის; სიტუაციური გეგმისა და 2018 წლის 2 მარტის სისტემური აღწერის მიხედვით, განცხადებაზე თანდართულ სიტუაციურ ნახაზზე მონიშნული ტერიტორიის მფლობელად მითითებულია ბ-ი ჯ. . სასამართლომ ასევე არ დაადგინა ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ 2018 წლის 11 ივნისის №... სარეგისტრაციო განცხადებას ზაკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის მიზნებისათვის, ერთოდა №... სარეგისტრაციო განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემდგომ უშუალოდ დაინტერესებული პირის მიერ მოპოვებული მტკიცებულებები, რომლებითაც ფაქტობრივ-სამართლებრივი მდგომარეობა შეიცვალა დაინტერესებული პირის სასარგებლოდ. აღნიშნული მტკიცებულებები არ იყო მოძიებული და შეფასებული ამ ნარმობის მიმდინარეობისას, მაშინ, როდესაც ისინი უშუალოდ ადმინისტრაციულ ორგანოს მოეპოვებოდა. მითითებული ფაქტობრივი გარემოებები ასახულია №... განცხადებაზე დართულ დოკუმენტებში, რომლებითაც დასტურდება, რომ ჯ. ბ-ის სახელზე რეგისტრაციისა თუ სისტემური აღრიცხვის წესით აღრიცხული იყო თეთრიწყაროში, ...ში, ...აში მდებარე მინის ნაკვეთი, მას მინიჭებული ჰქონდა საკადასტრო კოდი №... და საჯარო რეესტრს შედგენილი აქვს სიტუაციური გეგმა, სისტემური აღწერის რუკა, გაცემულია წერილობითი განმარტებები და სხვა.

კასატორის განმარტებით, საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ და სასამართლომ მიუთითეს, თითქოს 2018 წლის 11 ივნი-

სის სარეგისტრაციო განცხადება წინააღმდეგობაში მოდიოდა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის დათქმასთან. 2017 წლის 30 აგვისტოს №... სარეგისტრაციო განცხადებაც წარდგენილი იყო იგივე მოთხოვნით, რაზეც მხარეს 2017 წლის 23 ნოემბრის №... გადაწყვეტილებით ეთქვა უარი. სასამართლომ არ დაადგინა ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ ს. გ-ის 2018 წლის 20. ივნისის საჩივრის დაკმაყოფილებისა და 2018 წლის 15 ივნისის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძვლი გახდა სწორედ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 102-ე მუხლის მოთხოვნების დაცულობა. ამასთანვე, გათვალისწინებულ იქნა, რომ №... ადმინისტრაციულ საჩივარზე წარდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, №... სარეგისტრაციო განცხადებისგან განსხვავებით, არ ფიქსირდებოდა ზედდება საჯარო რეესტრში დაცულ მონაცემებთან, რაც ასევე გახდა რეგისტრაციაზე უარის საფუძველი. სააგენტომ სარეგისტრაციო სამსახურს დაავალა, ეხელ-მძღვანელა №... საჩივარზე თანდართული აზომვითი ნახაზით.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ ასევე არ დაადგინა ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ 2018 წლის 20 ივნისის №... ადმინისტრაციულ საჩივარზე წარდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, №... სარეგისტრაციო განცხადებისგან განსხვავებით, არ ფიქსირდებოდა ზედდება საჯარო რეესტრში დაცულ მონაცემებთან, ანუ სარეგისტრაციო მინის ნაკვეთი აღნიშნული ჰერიონდისთვის არ იყო მოქცეული დაცული ტერიტორიების საზღვრებში, რაც იმას ნიშნავს, რომ ადრე №... სარეგისტრაციო განცხადებაზე არსებული ზედდება აღმოჩენილი იქნა. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება დადასტურებულია სააგენტოს 2018 წლის 23 ივლისის №... გადაწყვეტილებითაც.

კასატორის განმარტებით, მოუხედავად იმისა, რომ მოცემულ შემთხვევაში მთავარ შესაფასებელ საკითხს წარმოადგენს მიღება-ჩაბარების აქტის რეგისტრაციის საფუძვლად მიჩნევა, გაურკვეველია, რომელი სადავო ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი დასაბუთების მიზნით გამოიყენა სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებულ განჩინებაში მითითებული ნორმები. სასამართლომ მიუთითა, რომ „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მინის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე, მიღება-ჩაბარების აქტი საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტია, საჯარო რეესტრი კი ვალდებულია მის საფუძველზე მოახდინოს რეგისტრაცია, თუმცა პასუხებულების დარჩა, რატომ არ ჩათვალა სასამართლო №215 მიღება-ჩაბარების აქტი მიწის მართლზო-

მიერი მფლობელობის დამადასტურებელ დოკუმენტად ან/და საკუთრების უფლების დამადასტურებელ დოკუმენტად. სასამართლოს სრულყოფილად რომ მოეხდინა მითითებული კანონის ნორმათა ციტირება, გაცხადდებოდა, რომ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შედგენილად ითვლება ასევე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე მიწის რეფორმის კომისიის მიერ გაცემული მიღება-ჩაბარების აქტი, თუ მასში მითითებულია აქტის გაცემის წელი, მიწის ნაკვეთის ფართობი, აქვს მიწის რეფორმის კომისიის არანაკლებ 2 წევრის ხელმოწერა და ბეჭედი. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ იშსჯელა მიწის რეფორმის კომისიის მიერ კანონმდებლობის შესაბამისად გაცემულ №215 მიღება-ჩაბარების აქტზე, რომლის ნამდვილობაც დავის საგანს არ ნარმოადგენდა. აღნიშნული აქტი ჩაითვალა რეგისტრაციისთვის უვარგისად ან/და ფაქტობრივად იურიდიული ძალის არ მქონედ/ბათილად საჯარო რეგისტრის მიერ მიწოდებული კანონ-საწინააღმდეგო განმარტების საფუძველზე, რომლის მიხედვითაც, ჯ. ბ-ზე 1997 წლის 13 აპრილს ასევე გაცემული იყო №229 მიღება-ჩაბარების აქტი 700 კვ.მ. საკარმიდამო მიწის ნაკვეთზე. იმდროინდელი კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა ერთი და იმავე პირზე ერთზე მეტი მიღება-ჩაბარების აქტის გაცემას. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის რეფორმის ფარგლებში პირზე გაიცემოდა მხოლოდ ერთი მიღება-ჩაბარების აქტი, რომელიც მოიცავდა კომლზე გადაცემულ ყველა მიწის ნაკვეთს (უძრავ ქონებას).

კასატორის განმარტებით, დანაწესი იმის შესახებ, რომ კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ერთ პირზე ორი მიღება-ჩაბარების აქტის გაცემას, არ არსებობს. ასეც რომ იყოს, გაუგებარია, რა ნიშნით და რა საფუძვლით ჩათვალა საჯარო რეგისტრმა და სასამართლომ დროის მიხედვით წინმსწრები №215 მიღება-ჩაბარების აქტი რეგისტრაციისათვის უვარგისად (№229 მიღება-ჩაბარების აქტი გაცემულია უფრო მოვალეანებით – 1997 წლის 13 აპრილს). ამას-თანავე გაუგებარია, რა შემხებლობა აქვს ...ში მდებარე საკარმიდამო მიწის ნაკვეთზე გაცემულ №229 მიღება-ჩაბარების აქტს, ...ში, ...აში, ...ში მდებარე 6722 კვ.მ. (საძოვარზე) გაცემულ №215 მიღება-ჩაბარების აქტთან, მით უფრო, რომ რეფორმის ფარგლებში სოფლად მცხოვრებ მოსახლეობას სარგებლობაში გადაეცემოდა 0.07 ჰა-ზე მეტი სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი, ხოლო №229 მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი მოიცავდა მხოლოდ საცხოვრებელი სახლის მიერ დაკავებულ ტერიტორიას და ეზოს. სასამართლომ მოახდინა რა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 24 თებერვლის

№148 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მეორე მუხლის ციტირება („თითოეულ კონკრეტულ მიწათმოსარგებლებზე აფენები მიწის ნაკვეთის აქტს 5 ცალად, სადაც აღინიშნებოდა შერჩეული ნაკვეთის ადგილმდებარეობა და საერთო ფართობი სავარგულების მიხედვით. მონაცემები დაიტანებოდა მიწათსარგებლობის გეგმაზე“), დასაკვნა, რომ დებულების ციტირებული ნაწილიდან გამომდინარე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმის ფარგლებში მესაკუთრებზე გაიცემოდა მხოლოდ ერთი მიწათსარგებლობის დოკუმენტი – მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტი, რომელიც მოიცავდა კონკრეტული პირისთვის გადაცემულ შინის ნაკვეთს. კასატორის განმარტებით, დადგენილებაში მითითება იმის შესახებ, რომ კონკრეტულ მიწათმოსარგებლებზე უნდა გაიცეს მხოლოდ ერთი მიწათსარგებლობის დოკუმენტი, ასახული არ არის. ასეთი დათქმა არც ციტირებული ნაწილიდან ჩანს.

კასატორი მიუთითებს, რომ გასაჩივრებულ განჩინებაში ასახული სასამართლოს მსჯელობიდან გამომდინარე, გაუგებარია, მიწის რეფორმის უფლებამოსილი კომისიის მიერ გაცემულ მიღება-ჩაბარების აქტზე უფრო მაღალი იერარქიის რა დოკუმენტს მოიაზრებს სასამართლო მიწის ნაკვეთის ფლობის დამადასტურებლად – მოწმის ჩვენებას თუ გადამხდელთა სიას. მიღება-ჩაბარების აქტი, თავად სასამართლოთა მიერ მითითებული კანონთა ნორმების მიხედვით, არის სწორედ უფლების დამდგენი სარეგისტრაციო დოკუმენტი, რაც რეგისტრაციის საფუძველია. ასევე უსაფუძვლოა სასამართლოს მოსაზრება, რომ მოსარჩელეს უნდა წარედგინა ინფორმაცია №215 მიღება-ჩაბარების აქტის ჯ. ბ-ისადმი გადაცემის სამართლებრივი საფუძვლისა და სხვა მნიშვნელოვანი მონაცემების თაობაზე. მოსარჩელის იურიდიულ ინტერესში არ შედიოდა №215 მიღება-ჩაბარების აქტის ნამდვილობის შემოწმება ან/და სამართლებრივი დასაბუთება, მით უფრო, რომ ეს აქტი სადაცოდ არ გაუხდია საჯარო რეესტრს ან/და სხვა დაინტერესებულ პირს. ამასთანავე, მოსარჩელის პრეროგატივას არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს მიერ გაცემული მიღება-ჩაბარების აქტის სამართლებრივი დასაბუთება. აღნიშნულის ვალდებულება აკისრია არა ფიზიკურ პირს, არამედ ამ აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. სასამართლომ არასწორად გადაანილა მტკიცების ტვირთი.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს დასკვნა იმის შესახებ, რომ №215 მიღება-ჩაბარების აქტს სანდოობასთან დაკავშირებით გარევული პრობლემები გააჩნია, საერთოდ სცილდება დავის საგანს და ფარგლებს. კასატორი მიუთითებს, რომ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 28

იგნისის №503 დადგენილების მეორე პუნქტის შესაბამისად, მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტი არის მიწათსარგებლობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო აქტის გაცემის ძირითადი საფუძველი. საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 16 მაისის №327 ბრძანებულების მიხედვით, მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტი საკარისა მიწის საკუთრების უფლების პირველადი რეგისტრაციისათვის, ხოლო „საჯარო რეგისტრის შესახებ“ კანონისა და იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის №4 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო რეგისტრის შესახებ“ ინსტრუქციის თანახმად, მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტი წარმოადგენს სარეგისტრაციო დოკუმენტს – სამართლებრივ აქტს, რომელიც წარმოშობს უძრავ ნივთზე საკუთრების რეგისტრაციის მოთხოვნის უფლებას.

კასატორი მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე, 96-ე, 97-ე მუხლებზე და მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები დაუსაბუთებელია, გამოცემულია მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაუცველად, შესაბამის მტკიცებულებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევა-შეფასების გარეშე. ამდენად, სახეზეა მათი ბათოლად ცნობის საფუძველი, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად. სადავო აქტები პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას და ინტერესს, ვინაიდან მოსარჩელე ს. გ-ს სრულიად უსაფუძვლოდ უარი ეთქვა რეგისტრაციაზე, ის საკუთრების უფლებით რეგისტრაციაში ვერ ატარებს მის კუთვნილ მიწის ნაკვეთს, რომელიც მიწის რეფორმის კომისიის მიერ გაცემული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზეა გადაცემული, ეს მიღება-ჩაბარების აქტი კი ადმინისტრაციული ხელშეკრულებაა, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია და კანონის თანახმად სარეგისტრაციო დოკუმენტად არის აღიარებული. შესაბამისად, ს. გ-ი იძულებულია, რომ სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებით მოითხოვოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული შისთვის ზიანის მომტანი აქტების ბათოლად ცნობა და მოითხოვოს ახალი აქტის გამოცემა მისი სარეგისტრაციო განცხადების დაკმაყოფილების თაობაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 17 თებერვლის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოება-ში იქნა მიღებული ს. გ-ის საკასაციო საჩივარი. ამავე სასამართლოს 2021 წლის 18 ნოემბრის განჩინებით, საკასაციო საჩივარი მიჩნე-

ულ იქნა დასაშვებად და გადაწყდა მხარეთა მონაწილეობით მისი არსებითად განხილვა.

საკასაციო სასამართლოში საქმის არსებითი განხილვისას კასა-ტორმა მხარი დაუჭირა წარმოდგენილ საკასაციო საჩივარს და მისი დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის პროცესუალური მოწინააღმდეგის – საჯარო რეეს-ტრის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელმა სასამართლო სხდომაზე მიცემულ ახსნა-განმარტებაში აღნიშნა, რომ ახალი სა-რეგისტრაციო წარმოების პროცესში, ჯ. ბ-ის სახელზე 1997 წლის 7 იანვარს გაცემული №215 მიღება-ჩაბარების აქტი მარეგისტრირე-ბელი ორგანოს მიერ მიჩნეული იქნა ვალიდურ დოკუმენტად, თუმცა მინის ფართის იდენტურობის დასადგენად, იმის გამო, რომ მინას არავინ ესაზღვრება და მომიჯნავე მეზობლების საშუალებით ვერ დგინდებოდა ადგილმდებარეობა, საკითხი გაგზავნილი იქნა შესაბამის გამგეობაში და პასუხის მიღებამდე, მარეგისტრირებელი ორგანო მოკლებული იყო შესაძლებლობას, იდენტურობის და-დასტურების გარეშე განხილა მხარის მოთხოვნა. უშუალოდ რეესტრის მიერ ადგილზე გასვლა არ განხორციელებულა, რადგან მო-მიჯნავედ მდებარე მინის ნაკვეთის მესაკუთრე ფიზიკური პირი, ვისგანაც შეიძლება მარეგისტრირებელ ორგანოს მიეღო რამე სა-ხის ინფორმაციი მინის ნაკვეთის ადგილმდებარეობის შესახებ, მო-სარჩელის დაინტერესებაში არსებულ და აზომვითი ნახაზით წარ-მოდგენილ მინის ნაკვეთს, არ ესაზღვრება. რაც შეეხება იმ საკითხს თუ გასაჩივრებულ აქტში რატომ არ იქნა იდენტურობა სადაცოდ გამხდარი, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წარმომად-გენელმა სასამართლო სხდომაზე განმარტა, რომ ვინაიდან განცხა-დების განხილვისას უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის ვა-ლიდურობა არ დგინდებოდა, მარეგისტრირებელი ორგანო არ შე-ვიდა არსებით მსჯელობაში, თუმცა მას შემდეგ, რაც უფლების და-მადასტურებელი დოკუმენტის ვანონშესაბამისობა დადასტურდა, დადგა დღის წესრიგში სარეგისტრაციოდ წარდგენილი მინის ნაკ-ვეთის ადგილმდებარეობის განსაზღვრა.

### **სამოტივაციო წანილი:**

საკასაციო პალატა საქმის მასალების შესწავლის, გასაჩივრე-ბული განჩინების კანონიერებისა და საკასაციო საჩივრის საფუძ-ვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ს. გ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმესთან დაკავშირებულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის

28 ივნისის №503 დადგენილების საფუძველზე, 1997 წლის 7 იანვარს გაცემულია №215 მიღება-ჩაბარების აქტი, რომლის თანახმად, ჯ. ბ-ს თეთრიწყაროს რაიონის სოფელ ...ში (...ა, ...ი) გამოეყო 6722 კვ.მ. ფართის მიწის ნაკვეთი. მიღება-ჩაბარების აქტი დამოწმებულია ბეჭდით, უფლებამოსილი პირების და ნაკვეთის მიმღები პირის ხელმოწერებით, შეიცავს მითითებას მისი 5 ეგზემპლარად შედგენის შესახებ. ამასთან, მიღება-ჩაბარების აქტს ერთვის ნახაზი მიწის ნაკვეთის მოსაზღვრების მითითებით (ჩრდილოეთით – ტყე, სამხრეთით – ტყე, დასავლეთით – ტყე, დასაც-ლეთით – ტყე).

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 28 ივნისის №503 დადგენილების საფუძველზე, 1997 წლის 13 აპრილს გაცემულია №229 მიღება-ჩაბარების აქტი, რომლის თანახმად, ჯ. ბ-ს თეთრიწყაროს რაიონის სოფელ ...ში გამოეყო 700 კვ.მ. ფართის სამოსახლო მიწის ნაკვეთი. აღნიშნული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2009 წლის 10 ივნისის №... გადაწყვეტილებით, 700 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე დარეგისტრირდა ჯ. ბ-ის საკუთრების უფლება.

2013 წლის 29 ივნისის სამკვიდრო მოწმობით დგინდება, რომ 2011 წლის 6 დეკემბერს გარდაცვლილი ლ. ც-ის დანაშთ ქონებაზე მემკვიდრედ ცნობილია მისი პირველი რიგის მემკვიდრე – მეუღლე ს. გ-ი. ს. გ-მა, როგორც კანონისმიერმა მემკვიდრემ, პირველი რიგის მემკვიდრეთა წრიდან საკუთრებაში მიღლო სამკვიდრო ქონება, მასში შემავალი აქტივებით დ ა პასივებით, რომელიც

ჰქონდა მამკვიდრებელს – ლ. ც-ეს გარდაცვალების მომენტი-სათვის და ასევე რომელიც მიღებული ჰქონდა გარდაცვლილი დე-დის – ჯ. ბ-ისაგან.

2017 წლის 30 აგვისტოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქვემო ქართლის რეგიონულ ოფისს განცხადებით მიმართა ს. გ-მა და ნარდგენილი დოკუმენტების – 1997 წლის 7 იანვრის №215 მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტის, სამკვიდრო მოწმობისა და საკადასტრო აზომვითი ნახაზის საფუძველზე, მოითხოვა სახელმწიფო პროექტის ფარგლებში საკუთრების უფლების რეგისტრაცია, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, ...ში მდებარე 6722 კვ.მ. უძრავ ნივთზე.

სარეგისტრაციო წარმოების მიმდინარეობის შესახებ 2017 წლის 5 სექტემბრის №... გადაწყვეტილებით დაინტერესებულ პირს ეცნობა, რომ მისი მხრიდან არ იყო წარდგენილი უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების ან მართლზომიერი მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტი. სააგენტო 2017 წლის 5 სექტემბრის №...

მიმართვით გამოითხოვა ინფორმაცია საქართველოს ეროვნული არქივიდან, სსიპ შემოსავლების სამსახურიდან და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობიდან ჯ. ბ-ის და ლ. ც-ის კომლის შემადგენლობის, მასზე რიცხული ქონებისა და გადასახადის გადამხდელად აღრიცხვის შესახებ 2007 წლამდე მდგომარეობით. დაინტერესებულ პირს დამტებით ეცნობა, რომ დაფიქსირდა ზედდება სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრირებულ №... უძრავ ნივთან.

სსიპ შემოსავლების სამსახურის 2017 წლის 7 სექტემბრის №21-02-1/136118 წერილით სააგენტოს ეცნობა, რომ სსიპ შემოსავლების სამსახურში ინახება 2002, 2004, 2005, 2006 წლების თეთრიწყაროს რაიონის ...ის სასოფლო-სამეურნეო მინის ნაკვეთების გადასახადის გადამხდელთა სიები, თუმცა ჯ. ბ-ი და ლ. ც-ე აღნიშნულ სიებში არ ფიქსირდებიან. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის 2017 წლის 11 სექტემბრის №4967-13 წერილით სააგენტოს ეცნობა, რომ გამგეობაში არ ინახება ინფორმაცია ...ში მცხოვრები ჯ. ბ-ის კომლის შემადგენლობის, მასზე რიცხული ქონებისა და გადასახადის გადამხდელად აღრიცხვის შესახებ. ქვემო ქართლის რეგიონული არქივის 2017 წლის 20 სექტემბრის №... წერილით სააგენტოს ეცნობა, რომ თეთრიწყაროს რაიონის ...ის 1992-2007 წლების საკომლო წიგნების, მინის მიღება-ჩაბარების აქტების, ასევე მინის განაწილების (სარეფორმო) და საგადასახადო სიების შესახებ მონაცემები არქივში დაცული არ არის.

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მინის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2017 წლის 16 ნოემბრის №13-1/398 წერილით საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტომ გადაიგზავნა კომისიის 2017 წლის 13 ნოემბრის №278 განკარგულება, რომლითაც ს. გ-ს უარი ეთქვა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ...ში მდებარე 6722 კვ.მ. მინის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარებაზე.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 23 ნოემბრის №... გადაწყვეტილებით, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის შესაბამისად, ს. გ-ს უარი ეთქვა სახელმწიფო პროექტის ფარგლებში საკუთრების უფლების რეგისტრაციაზე, თეთრიწყაროს რაიონის ...ში მდებარე 6722 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების უძრავ წიგნზე. ადმინისტრაციულ-მაორგანობ ჩათვალა, რომ დაინტერესებულ პირს არ წარუდგენია უძრავ ნივთზე საკუთრების ან მართლზომიერი მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტი. სააგენტომ მიუთითა „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მინის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური

და სპორტის რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლზე, „საჯარო რეგისტრის შესახებ“ კანონის მეორე მუხლის „კ“ ქვეპუნქტზე, მე-9 მუხლის პირველ პუნქტზე და დაადგინა, რომ სარეგისტრაციო წარმოებისას ვერ იქნა მოძიებული სარეგისტრაციო დოკუმენტაცია, ამასთანავე, თვითნებურად დაკავებულ მინის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიამ არ დააკმაყოფილა ს. გ-ის განცხადება თვითნებურად დაკავებულ მინის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ.

2017 წლის 23 ნოემბრის №... გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა სააგნენტოს 2018 წლის 12 იანვრის №... გადაწყვეტილებით. სააგნენტომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ დაინტერესებულმა პირმა საკუთრების უფლების რეგისტრაცია მოითხოვა 1997 წლის 7 იანვრის №215 მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, რომლის თანახმად, ჯ. ბ-ს ...ში, ....აში (...ი) გადაეცა 6772 კვ.მ. მინის ნაკვეთი. საჯარო რეგისტრში დაცული მონაცემების მიხედვით, ს. გ-ზე რეგისტრირებულია თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ...ში მდებარე მინის ნაკვეთი (ს/კ ...), რომლის პირველადი რეგისტრაციაც განხორციელდა 1997 წლის 13 აპრილს გაცემული №229 მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. აღნიშნული დოკუმენტით ჯ. ბ-ს გადაეცა 700 კვ.მ. მინის ნაკვეთი. სააგნენტომ მიუთითა, რომ ერთსა და იმავე პირზე ერთსა და იმავე დასახლებაში გაცემულ ორ მიღება-ჩაბარების აქტს სარეგისტრაციოდ ვერ გამოიყენებდა, შესაბამისად, კანონიერია მარეგისტრირებელი ორგანოს ქმედება დოკუმენტაციის საკუთრების უფლების აღიარების კომისიაში გადაგზავნასთან დაკავშირებით. სააგნენტომ მიუთითა „საჯარო რეგისტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მეორე, მე-8, მე-9 მუხლებზე, „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მინის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „მ“, „ნ“ ქვეპუნქტზე და ჩათვალა, რომ დაინტერესებულ პირს არ წარუდგენია საკუთრების უფლების ან მართლზომიერი მფლობელობის დამადასტურებელი რაიმე სახის დოკუმენტი, ამასთან, ვერც მარეგისტრირებელმა ორგანომ მოიძია მსგავსი სახის დოკუმენტაცია. სააგნენტომ აღნიშნა, რომ საქმეში არსებული დოკუმენტაციის მიხედვით, ერთ პირზე გაცემულია ორი მინის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტი. საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა ერთსა და იმავე პირზე ერთზე მეტი მიღება-ჩაბარების აქტის გაცემას. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის რეფორმის ფარგლებში, პირზე გაიცემოდა მხოლოდ ერთი მიღება-ჩაბარების აქტი, რომელიც

მოიცავდა კომლზე გადაცემულ ყველა მიწის ნაკვეთს.

2018 წლის 11 ივნისს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს №... განცხადებით მიმართა ს. გ-ის წარმომადგენელმა თ. კ-ამ და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, ...ში მდებარე 6722 კვ.მ. უძრავ ნივთზე სახელმწიფო პროექტის ფარგლებში საკუთრების უფლების რეგისტრაცია მოითხოვა. დაინტერესებულმა პირმა სარეგისტრაციო განცხადებას დაურთო კორექტირებული საკადასტრო აზომვითი ნახაზი (შედგენილი შპს „...ის“ მიერ 2018 წლის 8 ივნისს) და №... სარეგისტრაციო განცხადებაზე თანდართული დოკუმენტები.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 15 ივნისის №... გადაწყვეტილებით დაინტერესებულ პირს უარი ეთქვა რეგისტრაციაზე და განემარტა, რომ ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტში იგივე მოთხოვნით წარდგენილი იყო №... სარეგისტრაციო განცხადება. მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად აუცილებელი იყო ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოებების დამადასტურებელი სარეგისტრაციო დოკუმენტაციის წარდგენა, რაც არსებითად შეცვლიდა გარემოებებს.

2018 წლის 20 ივნისს ს. გ-მა ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და 2018 წლის 15 ივნისის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა მოითხოვა. საჩივრის ავტორმა დამატებით წარადგინა შპს „...ის“ მიერ 2018 წლის 18 ივნისს შედგენილი კორექტირებული საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზი.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 23 ივლის №... გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ს. გ-ის წარმომადგენლის ადმინისტრაციული საჩივარი; ბათილად იქნა ცნობილი რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ 2018 წლის 15 ივნისის №... გადაწყვეტილება და შესაბამის სამსახურს დაევალა ახალი გადაწყვეტილების მიღება. სააგენტომ ჩათვალა, რომ 2018 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილება მიღებული იყო შესაბამისი გარემოებების გამოკვლევისა და ურთიერთშეჯვერების გარეშე. სააგენტომ მიუთითა ადმინისტრაციულ საჩივარზე თანდართულ დოკუმენტაციაზე, მათ შორის, საკადასტრო აზომვითი ნახაზის ქაღალდისა და ელექტრონულ ვერსიებზე. სააგენტოს განმარტებით, გეოდეზისა და გეოინფორმაციის დეპარტამენტის კადასტრის უზრუნველყოფის სამსახურის 2018 წლის 19 ივლისის №414800/17 სამსახურებრივი ბარათით და მასზე თანდართული სიტუაციური ნახაზით დგინდება, რომ არ ფიქსირდება ზედდება საჯარო რეესტრში დაცულ მონაცემებთან. შესაბამისად, რეგისტრაციის სამსახურმა უნდა იხელმძღვანელოს საჩივარზე წარდგენილი ნახაზით და გა-

დაუგზავნოს იგი საკუთრების უფლების აღიარების კომისიას.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 24 ივლის №... სარეგისტრაციო წარმოების მიმდინარეობის შესახებ გადაწყვეტილებით ს. გ-ს ეცნობა, რომ მის მიერ სარეგისტრაციოდ წარდგენილი 1997 წლის 7 იანვრის მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტი №215 ვერ იქნებოდა მიჩნეული საკუთრების/მართლზომიერი მფლობელობის დამადასტურებელ დოკუმენტად. მისი მამკვიდრებლის – ჯ. ბ-ის სახელზე №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული იყო თეთრიწყაროს რაიონის ...ში მდებარე მიწის ნაკვეთი 1997 წლის 13 პრილის №229 მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. ერთსა და იმავე პირზე იდენტურ დასახლებაში გაცემული ორი მიღება-ჩაბარების აქტი ვერ იქნებოდა გამოყენებული სარეგისტრაციოდ. ამავე გადაწყვეტილებით დაინტერესებულ პირს ეცნობა, რომ თეთრიწყაროს რაიონის გამგეობის, ქვემო ქართლის არქივისა და შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, ვერ იქნა მოძიებული დოკუმენტაცია ჯ. ბ-ის სახელზე რიცხული ქონებისა და გადასახადის აღრიცხვის შესახებ. სააგენტომ 2018 წლის 24 ივლისის წერილით გამოითხოვა ინფორმაცია საინფორმაციო სამსახურისაგან იმისათვის, რომ დოკუმენტაცია გადაგზავნილიყო კომისიაში.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 8 აგვისტოს №... და 2018 წლის 15 აგვისტოს №... გადაწყვეტილებებით ს. გ-ს 2018 წლის 11 ივნისის №... სარეგისტრაციო განცხადებასთან დაკავშირებით ეცნობა, რომ მის მიერ არ იყო წარდგენილი უძრავ ნივთზე საკუთრების ან მართლზომიერი მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტი. განცხადებაზე წარდგენილი და სააგენტოს მიერ მოძიებული დოკუმენტაცია 2018 წლის 31 ივლისის მიმართვით გადაეგზავნა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიას. სარეგისტრაციო მოთხოვნასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მიღებოდა 2018 წლის 31 ივლისის წერილზე პასუხის მიღებისთანავე.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 5 სექტემბრის №... გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა ს. გ-ის ადმინისტრაციული საჩივარი, უცვლელად დარჩა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 24 ივლისის №..., 2018 წლის 8 აგვისტოს №... და 2018 წლის 15 აგვისტოს №... გადაწყვეტილები.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ საქმეზე მოსარჩევის ინტერესი უკავშირდება საჯარო რეესტრში წარდგენილი უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის – 1997 წლის 7 იანვრის №215 მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე თეთრიწ

ყაროს მუნიციპალიტეტში, ...ში მდებარე 6722 კვ.მ. უძრავ ნივთზე სახელმწიფო პროექტის ფარგლებში საკუთრების უფლების რეგისტრაციას. მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ სადაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით ჩათვალა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, მოსარჩელის მიერ სარეგისტრაციოდ წარდგენილი მიღება-ჩაბარების აქტი ვერ ჩაითვლებოდა მისი საკუთრების უფლების დამადასტურებელ დოკუმენტად.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მინის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტის ფორმა დამტკიცდა „საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთათვის სარგებლობაში გადაცემულ მიწის ნაკვეთებზე დოკუმენტაციის გაფორმების რეგულირების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 28 ივნისის №503 დადგენილებით, დანართის შესაბამისად. დადგენილების მეორე პუნქტის თანახმად, მიღება-ჩაბარების აქტი მიჩნეულ იქნა მინათსარგებლობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო აქტის გაცემის ერთადერთ საფუძვლად. ამასთანავე, საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 16 მაისის №327 პრძანებულების მიხედვით, მინის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტი საკმარისი იყო მინის საკუთრების უფლების პირველადი რეგისტრაციისათვის. პალატა ასევე მიუთითებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის წლის 24 თებერვლის №148 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში მცხოვრებთათვის მინის ნაკვეთების გამოყოფის წესის შესახებ“ დებულების მე-10 პუნქტზე, რომლის თანახმად, მოქალაქეთათვის სარგებლობაში გამოყოფილი მინის ნაკვეთების ადგილზე გამიჯვნის შემდეგ თითოეულ პიროვნებაზე დგებოდა ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტი 5 ცალად. აქტს ხელს აწერდნენ სოფლის გამგეობის და მეურნეობის/სასოფლო-სამეურნეო საწარმოს/ხელმძღვანელი, აგრეთვე რაიონის მინის რესურსებისა და მინის რეფორმის განყოფილების უფროსი, საპროექტო ორგანიზაციის წარმომადგენელი და მინის მიმღები პირი დადგენილი წესის მიხედვით. მიღება-ჩაბარების აქტის თითო ეგზიმპლარი ეძლეოდათ მინის მიმღებ მოქალაქეს, სოფლის გამგეობას/გამგებელს/, მინის გამოყოფი რაიონის გამგეობას, „საქალაქაგროსერვისის“ და საქართველოს რესპუბლიკის მინის რესურსებისა და მინის კადასტრის კომიტეტს. მითითებული დადგენილების მე-13 პუნქტის შესაბამისად, მინის ნაკვეთს იღებდა დამოუკიდებელი ოჯახის ერთერთი სრულწლოვანი წევრი.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის საკუთრების შესახებ“ კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 22 მარ-

ტის დადგენილების მე-2 პუნქტით, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვრის №48, 1992 წლის 06 თებერვლის №128, 10 მარტის №290, 1992 წლის 22 სექტემბრის №949, 1993 წლის 16 იანვრის №39, 1993 წლის 24 თებერვლის №148, 1993 წლის 28 ივნისის №503, 1994 წლის 29 ნოემბრის №815, 1995 წლის 10 მარტის №129 დადგენილების, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 21 ოქტომბრის დეკემბრის, საქართველოს სახელმწიფო მეთაურის 1994 წლის 30 დეკემბრის №249 განკარგულების, 1995 წლის 22 თებერვლის №45 ბრძანებულების, საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 11 თებერვლის №166 ბრძანებულების მოთხოვნების შესაბამისად, საქართველოს მოქალაქეთა კომლებისათვის, ოჯახებისათვის გაცემული მინის ნაკვეთები, აგრეთვე, 1992 წლამდე მათ კანონიერ სარგებლობაში არსებული საბალე, საბოსტნე, სააგარაკო, სამოსახლო, საკარმი-დამო ნაკვეთები გამოცხადდა მათ კერძო საკუთრებად.

საკასაციო პალატა თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში, მო-სარჩელის ინტერესისა და მისი დაუმაყოფილების შეუძლებლობის შესახებ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებში ასა-ხული მოტივების გათვალისწინებით, უპირველესად უნდა შეფას-დეს ადმინისტრაციულ ორგანოში რეგისტრაციის მიზნებისათვის წარდგენილი მიღება-ჩაბარების აქტის ნამდვილი შინაარსი და დად-გინდეს, გააჩინა თუ არა აღნიშნულ დოკუმენტს საკუთრების უფ-ლების წარმომშობი ბუნება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, სარეგის-ტრაციო წარმოების დაწყების საფუძველია განცხადება ან უფლე-ბამოსილი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება. განცხადე-ბას უნდა ერთვოდეს ინსტრუქციით განსაზღვრული სარეგისტრა-ციო დოკუმენტაცია და ინფორმაცია. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მარეგისტრირებელი ორგანო უფლებამოსილია კონკრე-ტულ შემთხვევაში დამატებით მოთხოვოს სარეგისტრაციო წარ-მოებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტის ან ინფორ-მაციის წარმოდგენა, რომელიც აუცილებელია განცხადებით მოთ-ხოვნილ საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად. მე-9 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით კი, რეგისტრაცია წარმოებს როგორც უშუალოდ სარეგისტრაციო თუ სხვა დოკუმენტების, აგრეთვე ამ დოკუმენტაციის სათანადო წესით შექმნილი ელექტრონული ას-ლების საფუძველზე.

„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხ-ლის „კ“ ქვეპუნქტის თანახმად, სარეგისტრაციო დოკუმენტი არის სამართლებრივი აქტი, რომელიც უშუალოდ წარმომშობს ამ კან-

ნით განსაზღვრული რეგისტრაციის მოთხოვნის უფლებას, ხოლო ამავე მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სარეგისტრაციო დოკუმენტაცია არის რეგისტრაციის მიზნით მარეგისტრირებულ ორგანოში წარსადგენი სარეგისტრაციო და სხვა დოკუმენტები.

ამ ნორმების შინაარსიდან გამომდინარე ცალსახაა, რომ უძრავი ქონების პირის სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრაციისათვის აუცილებელია მას გააჩიდეს ამ ქონების კუთვნილებასთან დაკავშირებით კანონით გათვალისწინებული უფლების დამდგენი დოკუმენტი, რომელშიც მოცემული უფლების ფარგლები განმსაზღვრელია რეგისტრაციას დაქვემდებარებული უძრავი ქონების საიდენტიფიკაციო მონაცემებისა თუ სხვა კონკრეტული მახასიათებლების ფიქსაციისათვის.

საკასაციო პალატა მიუთითებს „მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ 2016 წლის 3 ივნისის საქართველოს კანონზე, რომელიც უკვე ამოქმედებული იყო სადაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემასთან და კაზშირებით მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების დროს და წარმოადგენდა შესაბამისი აქტების გამოცემის ძირითად სამართლებრივ საფუძველს. აღნიშნული კანონის სადაც პერიოდში მოქმედი რედაქციის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ხელშეკრულება (მიღება-ჩაბარების აქტი ან სხვა დოკუმენტი) მიჩნეულია საკუთრების უფლების დამადასტურებელ დოკუმენტად. ამავე კანონის მე-17 მუხლის მეორე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შედგენილად მიიჩნევა მიწის რეფორმის კომისიის მიერ გაცემული მიღება-ჩაბარების აქტი, თუ მასში მითითებულია მიწის ზავეთის მესაკუთრე და ფართობი და მასზე დასმულია მიწის რეფორმის კომისიის, მუნიციპალიტეტის ან სხვა უფლებამოსილი ორგანოს ბეჭედი, მიუხედავად იმისა, მასში მითითებულია თუ არა მიღება-ჩაბარების აქტის გაცემის წელი.

საგულისხმოა, რომ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისას დაწვებული ხარვეზები იმთავითვე არ გამორიცხავს უფლების დამდგენ დოკუმენტად მის აღიარებას. „მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შედგენილად მიიჩნევა ასევე მიღება-ჩაბარების აქტი, რომელიც არ შეესაბამება „საქართველოს რესაუბლივის მოქალაქეთათვის სარგებლობაში გადაცემულ მიწის ნაკვეთებზე დოკუმენტაციის გაფორმების რეგუ-

ლირების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 28 ივნისის №503 დადგენილებით დამტკიცებულ ფორმას, მაგრამ აკმაყოფილებს ამ მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ამ ნორმების შესაბამისად ცალსახაა, რომ მიღება-ჩაბარების აქტი მის მფლობელს უქმნის მართლზომიერ მოლოდინს იმისა, რომ მოახდენს მიღება-ჩაბარების აქტით მოპოვებული საკუთრების უფლების რეგისტრაციას საჯარო რეესტრში.

მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ მოსარჩელემ საკუთრების უფლების დამადასტურებელ დოკუმენტად საჯარო რეესტრში წარადგინა 1997 წლის 7 იანვრის მინის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტი №215, რომლის საფუძველზეც მის მამკვიდრებელს – ...ში მცხოვრებ ჯ. ბ-ს გადაეცა სოფელ ...აში (...ში) მდებარე, მის სარგებლობაში არსებული 6722 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის ნაკვეთი. როგორც ზემოთ აღინიშნა, №215 მიღება-ჩაბარების აქტში მითითებულია მინის ნაკვეთის მესაკუთრე და ფართობი, დამოწმებულია ბეჭდით, უფლებამოსილი პირების და ნაკვეთის მიმღები პირის ხელმოწერებით, შეიცავს მითითებას მისი 5 ეგზემპლარად შედგენის შესახებ. ამასთან, მიღება-ჩაბარების აქტს ერთვის ნახაზი მინის ნაკვეთის მოსაზღვრეების მითითებით (ჩრდილოეთით – ტყე, სამხრეთით – ბ-ი, აღმოსავლეთით – ტყე, დასავლეთით – წ-ი).

საკასაციო პალატა თვლის, რომ საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული და უზრუნველყოფილი საკუთრების უფლების მნიშვნელობიდან გამომდინარე, დაუშვებელია ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან მოსარჩელის ინტერესის დაკმაყოფილების ერთადერთ დამაბრკოლებელ გარემოებად საკუთრების უფლების დამადასტურებლად წარდგენილი მიღება-ჩაბარების აქტის არასათანადო და მიჩნევა და იმ გარემოებაზე მითითება, რომ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის რეფორმის ფარგლებში მესაკუთრეზე დაიშვებოდა მხოლოდ ერთი მინათსარგებლობის დოკუმენტის – მინის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტის გაცემა. შით უფრო იმ პირობებში, როდესაც ამ სახის ნორმატიული ჩანაწერი არ არსებობს – 1997 წლის 7 იანვრის №215 მინის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტის შედგენის დროს მოქმედი კანონმდებლობა, მათ შორის – საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 24 თებერვლის №148 დადგენილებით დამტკიცებული დებულება ამ სახის ჩანაწერს არ შეიცავს. შესაბამისად კონკრეტულ შემთხვევაში აღნიშნული სამართლებრივი აქტის განვირცობითი განმარტება და ამით მოსარჩელის უფლებრივი მდგომარეობის გაუარესება, დაუშვებელია.

საგულისხმოა, რომ „საქართველოს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვრის №48, 1992 წლის 6 თებერვლის №128 და 1992 წლის 10 მარტის №290 დადგენილებებით განისაზღვრა მოქალაქეთათვის მფლობელობა-სა და სარგებლობაში გადასაცემი მიწის ზღვრული ნორმები ბარში და ზეგანზე: სოფლად მუდმივად მცხოვრები და სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მოქალაქებისათვის – 1 ჰექტრამდე, ხოლო სოფლად მუდმივად მცხოვრები სხვა სფეროს მუშა-მოსამსახურებისათვის – 0,75 ჰექტრამდე. მოცემულ შემთხვევაში, 1997 წლის 13 აპრილის №229 მიღება-ჩაბარების აქტით ჯ. ბ-ს გადაცემული ჰქონდა 700 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, ხოლო 1997 წლის 7 იანვარს გაცემული №215 მიღება-ჩაბარების აქტით – 6722 კვ.მ. მიწის ნაკვეთი. ამდენად, ორივე მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული, მოქალაქისათვის გადაცემული მიწის ნაკვეთების ჯამური ფართი არ აღემატება შესაბამისი მარეგულირებელი აქტებით გათვალისწინებული, მოქალაქისათვის გადასაცემი ფართების მაქსიმალურ ოდენობას. აღნიშნული გარემოება კიდევ ერთხელ ადასტურებს დაბრკოლების არარსებობას მოსარჩელის მიერ სარგებლივი სამართლებრივი წარდგენილი დოკუმენტის საფუძველზე საკუთრების უფლების აღრიცხვისათვის.

საკასაციო პალატა უსაფუძვლოდ მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ 1997 წლის 7 იანვრის №215 მიღება-ჩაბარების აქტს სანდოობასთან დაკავშირებით პრობლემები გააჩნია, რამდენადც იგი შედგენილია ოფიციალურად აღიარებულ დასვენების დღეს. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სააპელაციო პალატის აღნიშნული დასკვნა არ ეფუძნება რაიმე სახის მტკიცებულებას, მხოლოდ მოსაზრება არასამუშაო დღეს მისი გამოცემის შესახებ არ ქმნის შესაბამისი ფაქტობრივი გარემოების დადგენის საკმარის საფუძველს. დადასტურებული არ არის 1997 წლის 7 იანვრის №215 მიღება-ჩაბარების აქტის სიყალბე, დოკუმენტი ძალაშია და შეიცავს მისი შედგენის დროს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ აუცილებელ მონაცემებს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოსარჩელე ვალდებულია დაასაბუთოს თავისი სარჩელი და წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები. მოპასუხევალდებულია წასუხი (შესაგებელი) და შესაბამისი მტკიცებულებები. ამავე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, თუ კანონით სხვა რამ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარა აქტად აღიარების, ბათოლად

ცნობის ან პალადაკარგულად გამოცხადების შესახებ სარჩელის წარდგენის შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ეკისრება ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელმაც გამოსცა ეს აქტი. ამდენად, ზოგადი წესის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. მტკიცების ტვირთი მოიცავს აგრეთვე ფაქტების მითოთების ტვირთსაც. თითოეულმა მხარემ უნდა მიუთითოს თავის სასარგებლოდ მოქმედ გარემოებებზე და თუ იგი სადაცო გახდება, უნდა დაამტკიცოს ამ გარემოების არსებობა. ამასთან, ადმინისტრაციულ პროცესის თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის შემთხვევაში მტკიცების ტვირთი, თუ კანონით სხვა რამ არ არის დაგენილი, ეკისრება იმ ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელმაც გამოსცა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული ამტკიცოს მის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერება და წარუდგინოს სასამართლოს ამის დამადასტურებელი ყველა მტკიცებულება. საგულისხმოა, რომ კანონმდებლის მიერ ადმინისტრაციული ორგანოსათვის დაკისრებული მტკიცების ტვირთი არ გულისხმობს მოსარჩელის გათავისუფლებას სასარჩელო მოთხოვნის დასაბუთებისა და მტკიცებულებათა წარმოდგენისაგან.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატა თვლის, რომ არ დასტურდება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, მოპასუხე მხარის მიერ რაიმე მტკიცებულების წარმოდგენა, რომლითაც დადასტურდებოდა მოსარჩელის უფლების არარსებობა სარეგისტრაციო უძრავ ქრონებაზე. საყურადღებოა, რომ საკასაციო სასამართლოს სხდომაზე გამოცხადებულმა ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენელმა დაადასტურა მოსარჩელის მიერ სარეგისტრაციოდ წარდგენილი დოკუმენტის ვალიდურობა და აღნიშნა, რომ ამ ეტაპისთვის სარეგისტრაციოდ მოთხოვნილ უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების მოპოვების დამაბრკოლებელ გარემოებას აღარ წარმოადგენდა კანონით გათვალისწინებული სათანადო დოკუმენტის წარუდგენლობა. ამდენად, ადმინისტრაციული ორგანო თავადვე ადასტურებს მოსარჩელის სარეგისტრაციო განცხადებების დაკამაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების ძირითადი ფაქტობრივი საფუძვლის არარსებობას. საკასაციო პალატა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მოსარჩელის ინტერესში შემავალი უძრავი ქრონების რეგისტრაციის ერთადერთ დამაბრკოლებელ გარემოებად ადმინისტრაციულმა ორგანომ მიიჩნია არასა-თანადო უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა და

სხვაგვარი დოკუმენტაციით შესაბამისი უფლების დადასტურების შეუძლებლობა. საქმის მასალებით და მხარეთა განმარტებებით, მათ შორის – თავად ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენლის მიერ სასამართლო სხდომაზე მიცემული განმარტებით დადასტურდა, რომ მითითებული გარემოება რეალურად არ წარმოადგენდა ხელშემძლელ ფაქტორს რეგისტრაციისათვის. ამდენად, სასარჩელო მოთხოვნა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 23 ნოემბრის №..., 2018 წლის 12 იანვრის №..., 2018 წლის 15 ივნისის №..., 2018 წლის 23 ივლისის №..., 2018 წლის 24 ივლისის №..., 2018 წლის 8 აგვისტოს №..., 2018 წლის 15 აგვისტოს №..., 2018 წლის 5 სექტემბრის №... გადაწყვეტილებების ბათილად ცნობის თაობაზე, საფუძვლინია და უნდა დაქმაყოფილდეს.

მოსარჩელის მოთხოვნას ასევე წარმოადგენს 1997 წლის 7 იანვრის №215 მინის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, თეთრიწყაროს რაიონის ...ში, სოფელ ...აში (...ი) მდებარე 6722 კვ.მ. ფართის მინის ნაკვეთზე მოპასუხისათვის ს. გ-ის საკუთრების უფლების რეგისტრაციის დავალება.

როგორც უკვე აღინიშნა, საჯარო რეესტრში საკუთრების უფლების რეგისტრაცია ემყარება უფლებადამდგენი სარეგისტრაციო დოკუმენტის არსებობას. ამასთანავე, მარეგისტრირებულ ორგანოში უფლების რეგისტრაცია არ ემსახურება მარტოოდენ მის ფიქ-საციას. „... რეგისტრაციის სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში აღრიცხვა, ამავ-დროულად, განაპირობებს უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების წარმოშობას..“ (სუს 2021 წლის 18 მაისის №ბს-957(კ-19) გადაწყვეტილება). სწორედ რეგისტრაციის მომენტიდან, უძრავი ქონების მართლზომიერი მფლობელი აღიჭურვება მესაკუთრის ექსკლუზიური უფლებებით.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის საკუთრების უფლების პირველადი რეგისტრაციის გადაუდებელ ღონისძიებათა და საქართველოს მოქალაქეთათვის სარეგისტრაციო მოწმობების გაცემის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 16 მაისის №327 ბრძანებულებიდან გამომდინარე, სასოფლო-სამეურნეო მინის განაწილებისას გაცემული მიღება-ჩაბარების აქტი, მესაკუთრისა და მინის მიახლოებით მდებარეობაზე ინფორმაციას მოიცავდა. იმ პერიოდისთვის არ არსებობდა საკადასტრო აზომვა, საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 16 მაისის №327 ბრძანებულება არ ითვალისწინებდა საკადასტრო აზომვითი ნახაზის შედგენას ელექტრონულ კორდინატთა სისტემაში. უნდა აღინიშნოს, რომ აშშ-ს განვითარების სააგენტოს (USAID) პროექტის ფარგლებში ჩატარებული საკადასტრო

სამუშაოების საფუძველზე, სისტემური რეგისტრაციის მიზნით, არაერთხელ განხორციელდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების პირველადი რეგისტრაციის (საკადასტრო სამუშაოები, რეგისტრაცია, საკუთრების დამადასტურებელი სერტიფიკატების გაცემა) უზრუნველყოფა და შესაბამისი შედეგების ასახვა გრაფიკულ მონაცემები (გეგმები, რუკი), საკვლევი ობიექტური სინამდვილის გადმოცემა რუკის მემკვეობით. საქართველოში 1998 წლიდან მოქმედებს „გეოდეზიური და კარტოგრაფიული საქმიანობის შესახებ“ კანონი, რომლის მიზანია სახელმწიფოს, ფიზიკური და იურიდიული პირების მოთხოვნათა დაკმაყოფილება გეოდეზიურ მონაცემებსა და კარტოგრაფიულ პროდუქციაზე. აღნიშნული კანონის 3.1 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, გეოდეზიური და კარტოგრაფიული საქმიანობა მოიცავს სახელმწიფო ტოპოგრაფიული რუკებისა და გეგმების გრაფიკული (მყარ საფუძველზე), ციფრული და სხვა ფორმით შექმნას, განახლებას და გამოცემას, ხოლო 5.3 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო გეოდეზიური და კარტოგრაფიული საქმიანობის სფეროში თავის საქმიანობას ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეშვეობით.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, 1997 წლის 7 იანვრის №215 მიღება-ჩაბარების აქტი უდავოდ ადასტურებს შესაბამისი ფართობის მიწის ნაკვეთზე მოსარჩელის მამკვიდრებლის – ჯ. ბ-ის უფლების არსებობას. ამასთანავე, აღნიშნული დოკუმენტი შედგენილია კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით, მათ შორის, შეიცავს მითითებას მიწის ნაკვეთის მესაკუთრისა და ფართობის შესახებ. მიღება-ჩაბარების აქტს ერთვის ნახაზი მიწის ნაკვეთის მოსაზღვრების მითითებით.

საგულისხმოა, რომ ჯ. ბ-ი ფიქსირდება საქმეზე წარმოდგენილ, საჯარო რეესტრის მიერ შედგენილ სიტუაციურ ნახაზებში, სისტემურ წესით აღრიცხულ მონაცემებში: საქმეში არსებული საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 5 აპრილის №... წერილის მიხედვით, საჯარო რეესტრში დაცულია სისტემური აღრიცხვის შედეგად მიღებული, უფლებადაურეგისტრირებელი, დაუზუსტებელი გრაფიკული საკადასტრო მონაცემი, რომლის თანახმად, ... სარეგისტრაციო განაცხადზე თანდართულ საკადასტრო აგეგმით/აზომვით ნახაზზე მონიშნულ ტერიტორიაზე განხორციელებულია სისტემური აღწერები (ფიქსირდება ჩანაწერები: ..., ..., ბ-ი ჯ., ბ-ი ა., ..., წ-ი შ.). საქმეს ასევე ერთვის ს. გ-ის წარმომადგენლისადმი სააგენტოს 2018 წლის 7 მარტის №... წერილი, რომლის მიხედვით, ელექტრონული საკადასტრო რუკის მონაცემებით, დაინტერესებული პირის მიერ განცხადებაზე თანდართულ სიტუა-

ციურ ნახაზზე მონიშნული ტერიტორია თანხვედრაშია საჯარო რე-ესტრის ეროვნულ სააგენტოში დაცულ, სისტემური აღწერების შე-დეგად მიღებული უფლებადაურეგისტრირებული დაუზუსტებელი საკადასტრო მონაცემების კომპიუტერული დამუშავების შედეგად მიღებულ ინტეგრირებულ გრაფიკულ მონაცემთა ბაზასთან (ფიქ-სირდება ჩანაწერი ...; ბ-ი ჯ.) და ნარმოადგენს დაუზუსტებელ, და-ურეგისტრირებულ საკადასტრო მონაცემს, რომლის სარეგისტრა-ციონ ნარმოების მასალებიც დაცული არ არის. მითითებულ წერილს დანართის სახით ერთვის სიტუაციური ნახაზი, სისტემური აღწე-რების ფენის (ე.წ. ყვითელი ფენის) მითითებით. აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციულ ორგანოში მასალების დაუცველობა არ წარმო-ადგენს უფლების რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველს, რად-განაც ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან დოკუმენტაციის სა-თანადო წესით დაუცველობის ნეგატიური შედეგი არ შეიძლება აი-სახოს დაინტერესებული პირის სამართლებრივად დაცულ სიკე-თეზე – საკუთრების უფლებაზე (იხ. სუსგ 07.12.2017წ. №ბს-900-896(კ-17)).

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საკუთრების უფლე-ბა აღიარებულია არა მხოლოდ ეროვნული, არამედ საერთაშორისო აქტებითაც, კერძოდ, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენ-ციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლით, რომელიც ად-გენს, რომ ყოველ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს აქვს თავისი სა-კუთრებით შეუფერხებელი სარგებლობის უფლება. პალატა მიუ-თითებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის სამართლებრივ შინაარსზე, რომელიც „უზრუნველყოფს უფლებას არსებულ ქონებაზე, რაც ასევე მოიცავს მოთხოვნებს, რომლის საფუძველზეც განმცხადე-ბელს აქვს საკუთრების უფლებით ეფექტიანი სარგებლობის მო-პოვების მინიმუმ „ლეგიტიმური მოლოდინი“.“ (მორისი საფრანგე-თის წინააღმდეგ (Maurice v. France), No. 11810/03, 6.10.03; პლეხანოვი პოლონეთის წინააღმდეგ (Plechanow v. Poland), No. 22279/04, 7.7.09).

საკუთრების ცნება არ შემოიფარგლება მხოლოდ ფიზიკურ საგ-ნებზე საკუთრების უფლებით. ...ზოგიერთი სხვა უფლება და სარ-გებელი, რომელიც ქმნის ქონებას, ქონებრივი ღირებულებები, მათ შორის უფლება მოთხოვნაზე, რაც კანონიერი მოლოდინის საფუძ-ველზე წარმოიშობა და პირის საკუთრების ეფექტურ გამოყენებას განაპირობებს, შესაძლოა განხილულ იქნეს როგორც საკუთრება და უფლება საკუთრებაზე (საქართველოს საკონსტიტუციო სასა-მართლოს 30.07.2010წ. №1/5/489-498 განჩინება, II-2). საკუთრება მოიცავს როგორც მატერიალურად არსებულ ქონებას, ასევე აქტი-ვებს (ქონებრივ უფლებებს), მათ შორის მოთხოვნებს რომელთა

მიმართაც მომჩივანს შეუძლია ამტკიცოს, რომ აქვს საკუთრებით სარგებლობის გაგრძელების შესაძლებლობის სულ მცირე გონივ-რული და ლეგიტიმური მოლოდინი (Hamer v. Belgium, no.21861/03, §§75, 76, ECHR 2007-V(extracts)).

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორა-დული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონი მიზნად ისა-ხავს სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთების სრულ-ყოფილი უფლებრივი და საკადასტრო მონაცემების შექმნის უზ-რუნველყოფას. აღნიშნული კანონის სადაც პერიოდში მოქმედი რედაქციის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, საქარ-თველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილე-ბების განხორციელების გარდა, საკუთარი ინიციატივით სახელმწი-ფო პროექტის ფარგლებში ახორციელებს სარეგისტრაციო დოკუ-მენტაციის მოძიებასა და სისტემატიზაციას; ახორციელებს მიწის ნაკვეთების საკადასტრო აღნერას და შესრულებული სამუშაოს შე-დეგების დოკუმენტირებას საპილოტო პროექტის მიზნებისათვის. ამავე რედაქციის მე-5 მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, საპი-ლოტო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფ-ლების სისტემური რეგისტრაცია წარმოებს საპილოტო პროექტით გათვალისწინებულ საქართველოს დასახლებაში სააგენტოს მიერ პროაქტიულად და სისტემურად მოპოვებული სარეგისტრაციო დო-კუმენტაციისა და მის მიერვე პროაქტიულად და სისტემურად შედ-გენილი მიწის ნაკვეთის საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახა-ზის საფუძველზე, ამ კანონით გათვალისწინებული შეღავათების შესაბამისად.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში სა-დავო უძრავ ქონებასთან დაკავშირებით საქმეში არსებული მტკი-ცებულებებით, მათ შორის მიღება-ჩაპარების აქტითა და საარქი-ვო მასალებით უტყუარად დგინდება მიწის ნაკვეთის ფაქტობრივი მდებარეობა, რაც იძლევა თეთრიწყაროს რაიონის ...ში, სოფელ ...აში (...ი) მდებარე 6722 კვ.მ. ფართის მიწის ნაკვეთზე ს. გ-ის საკუთრე-ბის უფლების რეგისტრაციის ნინაპირობას, მით უფრო იმ პირო-ბებში, როდესაც არ დასტურდება მოსარჩელის ინტერესში შემა-ვალი უძრავი ნივთის გადაფარვა სხვა პირების სახელზე დარეგის-ტრირებულ უძრავ ნივთებთან, სარეგისტრაციო მიწის ნაკვეთი არ ექცევა სხვა უძრავი ნივთის ფარგლებში, ასევე წარმოდგენილი არ არის მტკიცებულება სარეგისტრაციოდ წარდგენილი საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზის „საჯარო რეესტრის შესახებ“ ინ-

სტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 31 დეკემბრის №487 ბრძანების მოთხოვნებთან შეუსაბამობა.

პალატა კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საკუთრება არის ფაქტი და დაუშვებელია ბუნებაში მისი აბსტრაქტული სახით არსებობა. საჯარო რეესტრში კონკრეტული მონაცემების დაფიქსირება ხორციელდება სარეგისტრაციო წარმოების გზით, რომელიც გულისხმობს რეგისტრაციას დაქვემდებარებულ მონაცემთა სრულყოფილად აღრიცხვის პროცესს. რეგისტრაცია არის უძრავ ქონებაზე უფლების წარმოშობის, შეცვლის სახელმწიფოს მხრიდან დადასტურების იურიდიული აქტი, როთაც რეგისტრაციის განმახორციელებელი ორგანო კისრულობს უძრავ ქონებასთან დაკავშირებული სამართალურთიერთობათა კომპლექსის დაცვის ვალდებულებას, სახელმწიფო რეგისტრაცია მოწოდებულია მთლიანობაში სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის განმტკიცებისკენ, ის არის ტიტულის, პირის უფლებების სახელმწიფო დაცვის ფორმალური პირობა (იხ. სუსგ 28.02.2013წ. №ბა-367-363(კ-12)).

„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 111 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზის შესადგენად უძრავი ნივთის ადგილმდებარეობისა და საზღვრის იდენტიფიცირებსთვის პასუხისმგებელია ამ ნივთის მესაკუთრე/მართლზომიერი მფლობელი, ხოლო მეორე პუნქტის თანახმად, საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოების სრულყოფილად შესრულებისა და საკადასტრო აგეეგმვითი/აზომვითი ნახაზის მონაცემთა სისწორისთვის პასუხისმგებელია საკადასტრო აგეეგმვითი/აზომვითი სამუშაოების შემსრულებელი პირი. საკასაციო პალატა საგულისხმოდ მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ ერთ-ერთ სადაცვო აქტში – 2018 წლის 23 ივლისის №... გადაწყვეტილებაში, სარეგისტრაციო წარმოების ფარგლებში მოსარჩევის მიერ წარდგენილ 2018 წლის 18 ივნისის საკადასტრო აზომვით ნახაზსა და შესაბამის მტკიცებულებებზე მითითებით (საკადასტრო აზომვითი ნახაზის ქაღალდისა და ელექტრონული ვერსიები, გეოდეზისა და გეონიფორმაციის დეპარტამენტის კადასტრის უზრუნველყოფის სამსახურის 2018 წლის 19 ივლისის №414800/17 სამსახურებრივი ბარათი, მასზე თანდართული სიტუაციური ნახაზით) დაადასტურა სარეგისტრაციო უძრავი ნივთის ზედდების არარსებობა საჯარო რეესტრში დაცულ მონაცემებთან და აღნიშნულ გარემოებას მნიშვნელობა მიანიჭა მარეგისტრირებული ორგანოს მიერ სადაცვო საკითხის ხელახლა გადაწყვეტისათვის. მოსარჩევე სწორედ 2018 წლის 18 ივნისის საკადასტრო აზომვითი ნახაზის შესაბამისად ით-

ხოვს თეთრიწყაროს რაიონის ...ში, სოფელ ...აში (...ი) მდებარე 6722 კვ.მ. ფართზე საკუთრების უფლების რეგისტრაციას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სა-სამართლო თვლის, რომ იმ პირობებში, როდესაც №215 მიღება-ჩაბარების აქტი ადასტურებს მოსარჩევის მაკვიდრებლისათვის თეთრიწყაროს რაიონის ...ში, სოფელ ...აში (...ი) 6722 კვ.მ. ფართის მიწის ნაკვეთის გამოყოფას, ასევე იმ გარემოების გათვალისწინე-ბით, რომ დასტურდება საჯარო რეესტრში უძრავ ნივთთან დაკავ-შირებული, სისტემური რეგისტრაციის ამსახველი დოკუმენტაცი-ის არსებობა (მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანო ადასტურებს მითითებულ ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ნივთზე და მის მიმ-დებარე ტერიტორიაზე მიწის ნაკვეთების სარეგისტრაციო ნომრე-ბის, გეოგრაფიული ადგილმდებარების, საზღვრების დადგენი-სათვის აუცილებელი სიტუაციური და გეოდეზიურ-ტოპოგრაფიუ-ლი მაჩვენებლების შემცველი „ყვითელი ფენის“ არსებობას), სახე-ზეა ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან მოსარჩევის უფლების დარღვევის ფაქტი – ნლების განმავლობაში სარეგისტრაციო წარ-მოების უსაფუძვლო გაჭიანურებითა და უსწორო გადაწყვეტილე-ბების მიღებით მოსარჩევეს არ მიეცა სახელმწიფოს მიერ 1997 წლის 7 იანვრის №215 მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტით გადაცემულ მიწის ნაკვეთზე მოპოვებული უფლების საკუთრებად ტრანსფორმირებისა და უძრავი ქონების სამოქალაქო ბრუნვაში მოქცევის შესაძლებლობა, რა მოქმედებებიც აკნინებს საჯარო რე-ესტრის უმთავრეს დანიშნულებას, იყოს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობისა და საჯარო წესრიგის გარანტი.

საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის თანახმად, საკუთ-რებისა და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველ-ყოფილია. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „აღნიშ-ნული კონსტიტუციური დებულებით აღიარებულია საკუთრების ინ-სტიტუტის, როგორც დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ სა-ფუძვლად არსებული ღირებულების კონსტიტუციური მნიშვნელო-ბა, რომელიც ინდივიდის პიროვნული თავისუფლებისა და ინდივი-დუალური თვითორეალიზების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომო-ნენტს წარმოადგენს. საკუთრების უფლება ადამიანის არა მარტო არსებობის ელემენტარული საფუძველია, არამედ უზრუნველყოფა მის თავისუფლებას, მისი უნარისა და შესაძლებლობების ადეკვა-ტურ რეალიზაციას, ცხოვრების საკუთარი პასუხისმგებლობით წარმართვას. ყოველივე ეს კანონზომიერად განაპირობებს ინდი-ვიდის კერძო ინიციატივებს ეკონომიკურ სფეროში, რაც ხელს უწ-ყობს ეკონომიკური ურთიერთობების, თავისუფალი მეწარმეობის, საბაზრო ეკონომიკის განვითარებას, ნორმალურ, სტაბილურ სა-

მოქალაქო ბრუნვის“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივნისის №1/2/384 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – დავით ჯიმშელეიშვილი, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალალიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-5).

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ენინააღმდეგება კანონს, ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში, მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ამ კოდექსის 22-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის შესახებ თუ ადმინისტრაციული აქტი ენინააღმდეგება კანონს და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას, ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდდას მას. ამავე კოდექსის 33-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარი კანონს ენინააღმდეგება ან დარღვეულია მისი გამოცემის ვადა და ეს პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, სასამართლო ამ კოდექსის 23-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალებს, გამოსცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

ზემოაღნიშნული მსჯელობისა და მითითებული სამართლებრივი ნორმების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არსებობს გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობისა და მოპასუხისათვის ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების საფუძველი. ამდენად, ს. გ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს თბილისის საპელაციო სასამართლოს ადმინისტრა-

ციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 23 მაისის განჩინება და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძვლზე საქმეზე მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი დაკმაყოფილდება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯებს გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამდენად, სარჩელის სრულად დაკმაყოფილების პირობებში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს ს. გ-ის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის სახით პირველი ინსტანციის სასამართლოში გადახდილი 100 ლარის, სააპელაციო სასამართლოში გადახდილი 150 ლარის და საკასაციო სასამართლოში გადახდილი 300 ლარის (სულ 550 ლარის) ანაზღაურება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე, 411-ე მუხლებით და

### **გ ა დ ა ც ყ ვ ი ტ ა:**

1. ს. გ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 23 მაისის განჩინება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ს. გ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს;
4. ბათილად იქნეს ცნობილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 23 ნოემბრის №... გადაწყვეტილება;
5. ბათილად იქნეს ცნობილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 12 იანვრის №... გადაწყვეტილება;
6. ბათილად იქნეს ცნობილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 15 ივნისის №... გადაწყვეტილება;
7. ბათილად იქნეს ცნობილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 23 ივლისის №... გადაწყვეტილება;

8. ბათილად იქნეს ცნობილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 24 ივნისის №... გადაწყვეტილება;
9. ბათილად იქნეს ცნობილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 8 აგვისტოს №... გადაწყვეტილება;
10. ბათილად იქნეს ცნობილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 15 აგვისტოს №... გადაწყვეტილება;
11. ბათილად იქნეს ცნობილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 5 სექტემბრის №... გადაწყვეტილება;
12. დაევალოს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ს. გ-ის №... და №... განცხადებების დაკმაყოფილების თაობაზე, მამკვიდრებლის – ჭ. ბ-ის სახელზე გაცემული 1997 წლის 7 იანვრის №215 მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე;
13. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს ს. გ-ის სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 550 ლარის ოდენობით;
14. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**მენაშენეთა ამხანაგობის წევრების მიმართ  
რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ საჯარო  
რეესტრის გადაწყვეტილების კანონიერება**

**გადაწყვეტილება  
საქართველოს სახელი**

№ბს-893(კ-20) 23 დეკემბერი, 2021 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა:** მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
გ. აბუსერიძე,  
ბ. სტურუა

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა; ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება

**აღწერილობითი ნაწილი:**  
2018 წლის 31 ივნისს ქალაქ თბილისის „...ის“ მენაშენეთა ამხა-

ნაგობის წევრებმა: რ. გ-ემ, ლ. ხ-მა, თ. თ-მა, პ. რ-ემ (ი. რ-ის შვილი) და შ. ტ-ემ სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის საქალა-ქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუ-ხების – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის ცენტრალუზებული რეგისტრაცი-ის სამსახურისა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ.

მოსარჩელეთა განმარტებით, 2018 წლის 18 მაისს მენაშენეთა ამხანაგობა „...ის“ მიერ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენ-ტოს წარედგინა №... განცხადება (განცხადებელი: აშხანაგობის თავმჯდომარე – რ. გ-ე). განცხადებით მოთხოვნილ იქნა სახელ-მწიფო პროექტის ფარგლებში ქ. თბილისში, ...ის მიმდებარე ტერი-ტორიაზე (ნაკვ. ...) უფლების რეგისტრაცია. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 24 მაისის №... გადაწყვეტილე-ბით მოსარჩელებს უარი ეთვეათ რეგისტრაციაზე იმ მოტივით, რომ ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტში 2016 წელს წარდგე-ნილი იყო №... სარეგისტრაციო განცხადება იმავე მოთხოვნით, რომ-ლის თაობაზეც, ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტმა მიიღო „სარეგისტრაციო წარმოებაზე უარის თქმის შესახებ“ №... გადაწ-ყვეტილება ასევე იმ საფუძვლით, რომ №... სარეგისტრაციო გან-ცხადებაზე დაინტერესებული პირის მიერ წარდგენილი არ ყოფი-ლა ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოებების და-მადასტურებელი სარეგისტრაციო დოკუმენტაცია, რომელიც არ-სებითად შეცვლიდა გარემოებებს.

მოსარჩელეთა მითითებით, 2018 წლის 29 მაისს რ. გ-ემ, როგორც ამხანაგობის თავმჯდომარემ, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 24 მაისის №... გადაწყვეტილება სსიპ საჯა-რო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში გასაჩივრა და გასაჩივრებუ-ლი გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და სარეგისტრაციო განაც-ხადის დაკმაყოფილება მოითხოვა. სააგენტომ უარის თქმის მოტი-ვად მიუთითა იმავე სამართლებრივ საფუძვლებზე, რომლებზეც მითითებულ იქნა 2016 წლის №... განაცხადზე უარის თქმის დროს, რა დროსაც მხედველობაში არ მიიღო ის გარემოება, რომ 2016 წელს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს მიმართა რ. გ-ემ, რო-გორც ინდივიდუალურმა ფიზიკურმა პირმა.

მოსარჩელეთა განმარტებით, რამდენადაც მიწის ნაკვეთის მე-ნაშენეთა ამხანაგობისათვის გადაცემის შესახებ უფლებრივი დო-კუმენტაცია ვერ ჩაითვლებოდა ინდივიდუალურად მხოლოდ რ. გ-ის საკუთრების უფლების დამადასტურებელ მტკიცებულებად, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ სარეგისტრაციო დოკუმენტაცია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან არ-

სებულ თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიას გადაუგზავნა, რომლის 2017 წლის 4 აგვისტოს №... განკარგულებით რ. გ-ეს უარი ეთქვა საკუთრების უფლების აღიარებაზე. მიუხედავად იმისა, რომ აღიარების კომისიის მიერ სადაც ფართზე საკუთრების უფლების აღიარებაზე უარი ეთქვა ფიზიკურ პირს – რ. გ-ეს, მოსარჩელეები მიიჩნევნ, რომ განცხადება საკუთრების უფლების აღიარების კომისიას არ უნდა გადაგზავნოდა. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს რ. გ-ისათვის უნდა მიეცა შესაძლებლობა, დაეზუსტებინა მისი მოთხოვნა, კერძოდ, იგი ითხოვდა სარეგისტრაციო ობიექტებზე ინდივიდუალურად მისი საკუთრების უფლების რეგისტრაციას თუ მოქმედებდა როგორც მენაშენეთა ამხანაგობის თავმჯდომარე.

მოსარჩელეთა მითითებით, რამდენადაც ამგვარი ქმედება საჯარო რეესტრს არ განუხორციელება, ისინი იძულებული გახდნენ მენაშენეთა ამხანაგობის (და არა ფიზიკური პირის – რ. გ-ის) სახელით მიემართათ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო-სათვის, თუმცა არასწორი განხილვის, დასაბუთებისა და კანონით გათვალისწინებული საქმის გარემოებათა სათანადო გამოკვლევის გარეშე, სააგენტომ მოსარჩელებს უარი უთხრა რეგისტრაციაზე, კერძოდ, მოსარჩელეები მიიჩნევნ, რომ საჯარო რეესტრმა არ უზრუნველყო „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონისა და მის საფუძველზე დამტკიცებული ინსტრუქციით გათვალისწინებული პროცედურები.

მოსარჩელეთა აღნიშვნით, მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ მათ მიერ სარეგისტრაციოდ წარდგენილი ობიექტი (ქ. თბილისში, ...ის მიმდებარე ტერიტორიაზე, ...ის ქუჩის მიმდებარედ (ნაკვ. ...) არსებული მიწის ნაკვეთი არაკანონიერად (არამართლზომიერად) არის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საკუთრებაში, ვინაიდან იგი თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 08.09.1988წ.-ის №583 გადაწყვეტილებისა და მის საფუძველზე გამოცემული ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის სახალხო დეპუტატთა ვაკის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 24.05.1989წ.-ის №... გადაწყვეტილების შესაბამისად, მენაშენეთა ამხანაგობა „...ის“ მართლზომიერი მფლობელობის საგანია.

ამასთან, მოსარჩელეები დაზუსტებულ სარჩელში დამატებით განმარტავენ, რომ ისინი არ წარმოადგენენ „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ

ამხანაგობას, რომელთა უფლებები და ამ სტატუსით განსაზღვრული ვალდებულებები პირებს მრავალბინიან სახლში ინდივიდუალური საკუთრების არსებობით წარმოეშობათ. შესაბამისად, მათი სამართლებრივი მდგომარეობა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1512-ე მუხლის გათვალისწინებით, მიესადაგება საბინაო-სამშენებლო კონკრეტული მდგრადი მომართაც სახელმწიფოს ვალდებულებები ადრე შექმნილი საბინაო-სამშენებლო კონკრეტული მდგრადი მინიჭების წინაშე ძალაში რჩება, რადგან თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 08.09.1988ნ.-ის №583 გადაწყვეტილებითა და მის საფუძველზე ქალაქ თბილისის ორჯონიძის სახალხო დეპუტატთა ვაკის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 24.05.1989წ.-ის №... გადაწყვეტილებით მიწის გამოყოფის შედეგად, 900 კვ.მ მიწის ნაკვეთის მართლზომიერ მფლობელებად განისაზღვრნენ მოსარჩელები მენაშენეთა ამხანაგობა „...ის“ სახელწოდების ფორმით (აღნიშნული სახელწოდებით იმყოფებოდნენ სახელმწიფოსთან ურთიერთობაში).

ამდენად, მოსარჩელებმა „რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 24 მაისის №... გადაწყვეტილების, ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარი თქმის თაობაზე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 25 ივნისის №... გადაწყვეტილების ბათილად ცონბა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსთვის „საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის“ მე-14 მუხლის 29-ე პუნქტის გათვალისწინებით, მიწის ნაკვეთზე დაინტერესებული პირის საკუთრების უფლების (მართლზომიერი მფლობელობის უფლების დამდგენი დოკუმენტაციის საფუძველზე) აღიარებაზე თანხმობის მოპოვების მიზნით, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსათვის (ქალაქ თბილისის მერიისთვის) მიმართვის საფუძველზე, ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება მოითხოვეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 22 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქმეში მესამე პირად ჩაება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

მოპასუხეთა წრის დაზუსტების შედეგად, მოპასუხედ განისაზღვრა მხოლოდ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილებით მოსარჩელების – ქალაქ თბილისის „...ის“ მერაშენეთა ამხანაგობის წევრების: რ. გ-ის, ლ. ხ-ის, თ. თ-ის, ბ. რ-ისა (ი. რ-ის შვილი) და შ. ტ-ის

სარჩელი არ დაქმაყოფილდა.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2016 წლის 27 სექტემბერს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს წარედგონა რ. გ-ის განცხადება სახელმწიფო პროექტის ფარგლებში უფლების რეგისტრაციის თაობაზე, უძრავ ნივთზე მდებარე ქ. თბილისი, ...ის მიმდებარე ტერიტორია (ნაკვ. ...). განცხადებას თან ერთოდა შემდეგი დოკუმენტები: 1. წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი; 2. საკადასტრო აზომვითი ნახაზი; 3. თანხმობა დოკუმენტაციის აღიარების კომისიაში გადაგზავნის თაობაზე; 4. თანხმობა შედიატორის/წოტარიუსის დანიშვნის თაობაზე; 5. ელ.ვერსია; 6. ორთოფოტო 2 ც.; 7. გადაწყვეტილება 24.05.916.; 8. მოხსენებითი ბარათი ინდივიდუალურ მენაშენეთა სახელზე; 9. მოხსენებითი ბარათი საქართველოს რესპუბლიკის ...ის – ს-ას სახელზე; 10. მიმართვა ...ის დირექტორს – ბ-ეს; 11. მიმართვა რეგიონული გაერთიანება „...ის“ უფროსს; 12. მიმართვა ქალაქ ...ს – ლ-ს № 105; 13. მიმართვა ....ო სამმართველოს უფროსს №5; 14. წერილი გაკის რაიონის გამგეობის სახელზე №10002/22; 15. თბილისის ...ო სამმართველოს „...ის“ წერილი; 16. ინდივიდუალური ბინათმენებლობის სამმართველოს წერილი; 17. ამხანაგობის მიმართვა შემნახველ ბანკზე 629-3; 18. გენ-გეგმა.

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 4 იანვრის №...-08 გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ სარეგისტრაციო მოთხოვნასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მიღებული იქნებოდა 2016 წლის 21 ოქტომბრის №... წერილზე პასუხის მიღებისთანავე.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 21 ოქტომბრის №... წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული თვითნებურად დაკავებულ მინზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2017 წლის 10 აგვისტოს წერილით, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს გაეგზავნა ამავე კომისიის 2017 წლის 4 აგვისტოს №... განკარგულება რ. გ-ისათვის მიწის ნაკვეთზე (მისამართი: ქ. თბილისი, ...ის მიმდებარე ტერიტორია (ნაკვ. ...)) საკუთრების უფლების აღიარებაზე უარის თქმის თაობაზე.

სასამართლომ ასევე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ რ. გ-ის მიერ წარდგენილ იქნა საჩივარი მასალების აღიარების კომისიაში გადაგზავნის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით. ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის ფარგლებში, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ საქართველოს ეროვნული არქივიდან გამოთხოვილ იქნა დოკუმენტაცია, რის საფუძვლზეც, საქართველოს ეროვნული არქივის 2017 წლის 15 მარტის

№... წერილით სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს გაეგზავნა არქივში დაცული დოკუმენტაცია.

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 21 მარტის №... გადაწყვეტილებით რ. გ-ის ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა. გადაწყვეტილებით მიჩნეულ იქნა, რომ რ. გ-ის მიერ წარდგენილ სარეგისტრაციო განცხადებას არ ერთოვდა სარეგისტრაციო დოკუმენტაცია, რომელიც უშუალოდ წარმოშობდა უძრავ ნივთზე საკუთრებას ან/და მართლზომიერი მფლობელობის/სარგებლობის „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ რეგისტრაციის მოთხოვნის უფლებას. კერძოდ, ვერ დგინდებოდა სამშენებლოდ გამოყოფილი მიწის ნაკვეთის ფართობი. შესაბამისად, „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სარეგისტრაციო დოკუმენტაციის აღიარების კომისიისათვის გადაგზავნა მარეგისტრირებელი ორგანოს 2016 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილებით კანონშესაბამისი იყო და არ არსებობდა მისი ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძველი.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 17 აგვისტოს №... გადაწყვეტილებით რ. გ-ის განცხადება ქ. თბილისში, ...ის მიმდებარე ტერიტორიაზე (ნაკვ. ...) მდებარე უძრავ ნივთზე სახელმწიფო პროექტის ფარგლებში უფლების რეგისტრაციის თაობაზე, არ დაკმაყოფილდა. მარეგისტრირებელმა ორგანომ დაადგინა, რომ ვერ იქნა მოძიებული სარეგისტრაციო დოკუმენტაცია მართლზომიერი მფლობელობის/სარგებლობის დასადასტურებლად, ხოლო თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთის საკუთრების უფლების აღიარებაზე მიღებულ იქნა უარი აღიარების კომისიის მიერ.

სასამართლომ, აგრეთვე, დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ 2018 წლის 18 მაისს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს წარედგინა რ. გ-ის განცხადება ქ. თბილისში, ...ის მიმდებარე ტერიტორიაზე (ნაკვ. ...) მდებარე უძრავ ნივთზე სახელმწიფო პროექტის ფარგლებში უფლების რეგისტრაციის მოთხოვნით. სარეგისტრაციო განცხადებას ერთვოდა წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი; თანხმობა წოტარიუსის დანიშვნის თაობაზე; განცხადება; მიწის ნაკვეთის მშენებლობის ორგანიზაციის პროექტიდან ასლი (2.გ.); ხარჯთაღრიცხვის წიგნიდან ასლი (3); გენ-გეგმა. ამავე განცხადებით მითითება გაკეთდა №... საქმეზე.

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 24

მაისის №... გადაწყვეტილებით რ. გ-ეს უარი ეთქვა ქ. თბილისში, ...ის მიმდებარე ტერიტორიაზე (ნაკვ. ...) მდებარე უძრავ ნივთზე სახელმწიფო პროექტის ფარგლებში უფლების რეგისტრაციაზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 102-ე მუხლი შესაბამისად.

ამასთან, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 25 ივნისის №... გადაწყვეტილებით რ. გ-ის ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ მიუთითა „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონზე, „საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის №4 ბრძანებაზე, „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მინის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური ნებისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონზე, ყურადღება გაამახვილა ფაქტობრივ გარემოებებზე და მიიჩნია, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილებით სწორად შეფასდა საჩივრის ავტორის მიერ სადავოდ გამხდარი ფაქტობრივი გარემოებები და სწორი სამართლებრივი შეფასება მიეცა მათ. სასამართლოს შეფასებით, სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას ადმინისტრაციულმა ორგანომ სრულყოფილად გამოიკვლია სათანადო ინფორმაცია.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ №... (24.05.2018წ.) გადაწყვეტილების მიღებისას, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ მართებულად გამოიყენა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 102-ე მუხლი. ამავე გარემოებათა სამართლებრივ შეფასებას დაეფუძნა ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარი თქმის თაობაზე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 25.06.2018წ. №... გადაწყვეტილება. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობდა სადავო გადაწყვეტილებების ბათილად ცნობისა და მოპასუხისათვის ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების სამართლებრივი საფუძველი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილება სააპელაციით წესით გაასაჩივრეს ქალაქ თბილისის „...ის“ მენაშენეთა ამხანაგობის წევრებმა: რ. გ-ემ, ლ. ხ-მა, თ. თ-მა, ბ. რ-ემ (ი. რ-ის შვილი) და შ. ტ-ემ, რომლებმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მო-

ითხოვეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 14 ივლისის განჩინებით ქალაქ თბილისის „...ის“ მენაშენეთა ამხანაგობის წევრების: რ. გ-ის, ლ. ხ-ის, თ. თ-ის, ბ. რ-ის (ი. რ-ის შვილი), შ. ტ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ მიუთითა საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის №4 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის“ მე-14 მუხლის 29-ე პუნქტზე, რომლის თანახმად, თუ ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირის მიერ მოთხოვნილია მის მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ მინის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარება, რომელზეც კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებულია სახელმწიფოს/ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრების უფლება, მარეგისტრირებელი ორგანო ვალდებულია მიმართოს სახელმწიფოს/ ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამის ორგანოს ამ მინის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარებაზე თანხმობის მოპოვების მიზნით. ასეთ შემთხვევაში სარეგისტრაციო წარმოება ჩერდება, ხოლო იგი განახლდება და საბოლოო გადაწყვეტილება მიიღება მხოლოდ შესაბამისი ორგანოსგან პასუხის მიღების შემდეგ.

სააპელაციო სასამართლომ ასევე მიუთითა „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, სარეგისტრაციო წარმოების განმავლობაში მარეგისტრირებელი ორგანო იღებს გადაწყვეტილებას რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ, თუ არსებობს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძვლები. ამავე კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად კი, ერთსა და იმავე საკითხზე განცხადების ხელახლა წარდგენისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვები არ ვრცელდება ამ კანონის 22-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაზე.

სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 102-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, განცხადება იმ საკითხთან დაკავშირებით, რომლის თაობაზედაც არსებობს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი განცხადების, აგრეთვე საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, შეიძლება წარდგენილი იქნეს მხოლოდ

იმ შემთხვევაში, თუ ფაქტობრივი ან სამართლებრივი მდგომარეობა, რომელიც საფუძვლად დაეფი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას, შეიცვალა დაინტერესებული პირის სასარგებლოდ, ან თუ არსებობს ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემობანი (მტკიცებულებები), რომლებიც განაპირობებს განმცხადებლისათვის უფრო ხელსაყრელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით კი, თუ განცხადებაში არ არის მითითებული ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემობანი, ადმინისტრაციული ორგანო განცხადების განუხილველად გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს განცხადებაზე უარის თქმის შესახებ. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში მითითებული უნდა იყოს ის სამართლებრივი აქტი, რომლის საფუძველზედაც უარი ითქვა განცხადების დაკმაყოფილებაზე.

სააპელაციო სასამართლომ საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნია, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 17 აგვისტოს №... გადაწყვეტილებით რ. გ-ის განცხადება ქ. თბილისში, ...ის მიმდებარე ტერიტორიაზე (ნაკვ. ...) მდებარე უძრავ ნივთზე სახელმწიფო პროექტის ფარგლებში უფლების რეგისტრაციის თაობაზე, არ დაკმაყოფილდა. მარეგისტრირებელმა ორგანომ დაადგინა, რომ ვერ იქნა მოძიებული სარეგისტრაციო დოკუმენტაცია მართლზომიერი მფლობელობის/სარგებლობის დასადასტურებლად, ხოლო თვითხებურად დაკავებული მინის ნაკვეთის საკუთრების უფლების აღიარებაზე მიღებულ იქნა უარი აღიარების კომისიის მიერ.

სააპელაციო პალატის მიერ დადგენილად იქნა მიჩნეული ასევე ის გარემოება, რომ 2018 წლის 8 მაისს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსათვის წარდგენილ განცხადებას, წინა განცხადისაგან განსხვავებით, ერთვოდა მინის ნაკვეთის მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის ასლი (2.გვ.); ხარჯთაღრიცხვის წიგნის ასლი (3); გენ-გეგმა. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ აღნიშნული დოკუმენტებით ასევე არ ხდებოდა იდენტიფიცირება, თუ რა მინის ნაკვეთი გამოიყო ამხანაგობას ბინათმშენებლობისათვის. შესაბამისად, სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომრ. გ-ის მიერ 2018 წლის 8 მაისს წარდგენილი განცხადება ამხანაგობის სახელზე მართლზომიერ მფლობელობაში მინის გადაცემის ფაქტის დადასტურებისათვის საჭირო რაიმე ახალ გარემოებას არ შეიცავდა.

სააპელაციო პალატის შეფასებით, საქალაქო სასამართლომ მართებულად განმარტა, რომ დამატებით წარდგენილი მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის ასლი და ხარჯთაღრიცხვის წიგნის ასლი

არ იძლეოდა შესაძლებლობას, რომ ამხანაგობისათვის გამოყოფილი მინის ნაკვეთი იდენტიფიცირებული ყოფილიყო რ. გ-ის მიერ მოთხოვნილ სარეგისტრაციო უძრავ ნივთან. რაც შექება ინდივიდუალური ბინათმენებლობისათვის მინის გამოყოფის დამადასტურებელ დოკუმენტაციას, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 17 აგვისტოს №... გადაწყვეტილება არ იქნა მიჩნეული მართლზომიერი მფლობელობის დამადასტურებელ დოკუმენტად.

სააპელაციო პალატამ დამატებით აღნიშნა, რომ მოცემული დავის გადაწყვეტისათვის სამართლებრივ საფუძვლად გამოყენებული ვერ იქნებოდა საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის №4 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის“ მე-14 მუხლის 29-ე პუნქტი, ვინაიდან სარეგისტრაციოდ წარდგენილი დოკუმენტაცია არ შეიცავდა რამე ისეთ ახალ გარემოებას, რომლის საფუძველზეც მოხდებოდა ამხანაგობისათვის გამოყოფილი მინის ნაკვეთის ადგილმდებარეობის დოკუმენტურად დადასტურება. მხოლოდ ასეთი დადასტურების შემთხვევაში იქნებოდა მარეგისტრირებელი ორგანო ვალდებული სახელმწიფოს/ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი ორგანოსათვის მიემართა ამ მინის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარებაზე თანხმობის მოპოვების მიზნით.

სააპელაციო სასამართლომ ასევე ყურადღება გაამახვილა „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტზე, რომლის თანახმად, რეგისტრაციაზე უარის თქმის, სარეგისტრაციო ნარმოების შეჩერების ან შეწყვეტის შესახებ მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილება, გარდა მოძრავ ნივთასა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლების რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილებისა და ეკონომიკური საქმიანობის რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილებისა, რომლის მიღების წინაპირობა უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებაა, საჩივრდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტების მოსაზრებები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივრაში მითითებული არგუმენტები ვერ გახდებოდა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, რამდენადაც რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს №... (24.05.2018წ.) გადაწყვეტილება მართებულად იყო გამოცემული საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 102-ე მუხლზე დაყრდნობით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-

მეთა პალატის 2020 წლის 14 ივლისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ქალაქ თბილისის „....ის“ მენაშენეთა ამხანაგობის წევ-რებმა: რ. გ-ემ, ლ. ხ-მა, თ. თ-მა, პ. რ-ემ (ი. რ-ის შვილი) და შ. ტ-ემ, რომლებმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გა-დაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-მეთა პალატის 2020 წლის 13 ნოემბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწი-ლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქ-ნა მიღებული ქალაქ თბილისის „....ის“ მენაშენეთა ამხანაგობის წევ-რების: რ. გ-ისა და შ. ტ-ის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-მეთა პალატის 2021 წლის 11 თებერვლის განჩინებით განუხილვე-ლი დარჩა ქალაქ თბილისის „....ის“ მენაშენეთა ამხანაგობის წევრე-ბის: ლ. ხ-ის, თ. თ-ისა და პ. რ-ის (ი. რ-ის შვილი) ნაწილში ქალაქ თბილისის „....ის“ მენაშენეთა ამხანაგობის წევრების: რ. გ-ის, ლ. ხ-ის, თ. თ-ის, პ. რ-ისა (ი. რ-ის შვილი) და შ. ტ-ის საკასაციო საჩივარი.

კასატორთა განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ მსჯე-ლობისა და შესაბამისად, დასაბუთების გარეშე დატოვა დავის სა-განი, კერძოდ, სადავო მინის ნაკვეთი იმყოფებოდა თუ არა თბი-ლისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 08.09.1988წ. №583 გადაწყვეტილებისა და ამ გადაწ-ყვეტილების საფუძველზე გამოცემული ქალაქ თბილისის ორჯო-ნიკიდის სახალხო დეპუტატთა ვაკის რაიონული საბჭოს აღმასრუ-ლებელი კომიტეტის 24.05.1989წ. №... გადაწყვეტილებით მენაშე-ნეთა ამხანაგობა „....ის“ მართლზომიერ მფლობელობაში. იმ პირო-ბებში, როდესაც ზემოაღნიშნული არც ერთი გადაწყვეტილება დღემდე არ გაუქმებულა და ძალაშია, მხოლოდ ფორმალური სა-ფუძვლით მათი მართლზომიერი მფლობელობის დამადასტურებელ დოკუმენტად მიუჩნევლობა, არ შეიძლებოდა გამხდარიყო სარჩე-ლის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი.

კასატორთა შითითებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორი მიმართულებით გამოიყენა საჯარო რეესტრის ინსტრუქციის მე-14 მუხლის 29-ე პუნქტი, რამდენადაც აღნიშნული დანაწესი არე-გულირებს ისეთ სიტუაციას, როდესაც დაინტერესებული პირის მი-ერ მოთხოვნილია მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ მინის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარება და ამ მინის ფართზე რეგისტრირებულია ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრე-ბა. ასეთ შემთხვევაში, მარეგისტრირებული ორგანო ვალდებულია მიმართოს შესაბამის ორგანოს ამ მინის ნაკვეთზე საკუთრების უფ-ლების აღიარებაზე თანხმობის მოპოვების მიზნით. კასატორთა

განმარტებით, განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელეთა მხრიდან მოთხოვნილ იქნა სწორედ მათ მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ მინის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარება. შესაბამისად, მარეგისტრირებელი ორგანო ვალდებული იყო გამოეყენებინა აღნიშნული მუხლის დანაწესი და სარეგისტრაციო დოკუმენტაცია გადაეგზავნა ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი ორგანოსათვის, რომელიც, თავის მხრივ, იმსჯელებდა, იყო თუ არა საკმარისი მათ მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია სარეგისტრაციო ობიექტზე საკუთრების უფლების აღიარებისათვის. ამდენად, კასატორები მიიჩნევენ, რომ მარეგისტრირებელი ორგანო შეიჭრა სხვა ადმინისტრაციული ორგანოს კომპეტენციაში.

ამასთან, კასატორები განეული საპროცესო ხარჯების მოპასუხებისათვის ანაზღაურების დაკისრებას მოითხოვენ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 13 მაისის განჩინებით ქალაქ თბილისის „...ის“ მენაშენეთა ამხანაგობის წევრების: რ. გ-ისა და შ. ტ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებობის საკითხის განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 28 ოქტომბრის განჩინებით ქალაქ თბილისის „...ის“ მენაშენეთა ამხანაგობის წევრების: რ. გ-ისა და შ. ტ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 25 ნოემბრის სასამართლო სხდომიდან ქალაქ თბილისის „...ის“ მენაშენეთა ამხანაგობის წევრების: რ. გ-ისა და შ. ტ-ის საკასაციო საჩივრის განხილვა გადაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე, 2021 წლის 23 დეკემბერს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შედეგადაც მივიდა დასკვნამდე, რომ ქალაქ თბილისის „...ის“ მენაშენეთა ამხანაგობის წევრების: რ. გ-ისა და შ. ტ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ქალაქ თბილისის „...ის“ მენაშენეთა ამხანაგობის წევრების: რ. გ-ისა და შ. ტ-ის ნაწილში გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 14 ივლისის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ქალაქ თბილისის „...ის“ მენაშენეთა ამხანაგობის წევრების: რ. გ-ისა და შ. ტ-ის სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო უპირველესად მიუთითებს, რომ გან-სახილველ შემთხვევაში, დავის საგანს წარმოადგენს „რეგისტრა-ციაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 24 მაისის №... გადაწყვეტილების, ადმინის-ტრაციული საჩივრის დაქმაყოფილებაზე უარი თქმის თაობაზე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 25 ივნისის №... გადაწყვეტილების კანონიერება და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსთვის „საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქ-ციის“ მე-14 მუხლის 29-ე პუნქტის გათვალისწინებით, მინის ნაკ-ვეთზე დაინტერესებული პირის საკუთრების უფლების (მართლზო-მიერი მფლობელობის უფლების დამდგენი დოკუმენტაციის საფუძ-ველზე) აღიარებაზე თანხმობის მოპოვების მიზნით, ადგილობრი-ვი თვითმმართველობის ორგანოსათვის (ქალაქ თბილისის მერიის-თვის) მიმართვის საფუძველზე, ახალი ადმინისტრაციულ-სამარ-თლებრივი აქტის გამოცემის დავალება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მართალია, სარჩელის აღძრისა და ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ საქმის გან-ხილვის დროს საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის №4 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო რეესტრის შესა-ხებ ინსტრუქციის“ მე-14 მუხლის 29-ე პუნქტი მოქმედი იყო, თუმ-ცა საქმის საკასაციო ინსტანციის სასამართლოში განხილვის მო-მენტში აღნიშნული ნორმა ძალადაკარგულად გამოცხადდა, ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ დასახელებული სასარჩელო მოთხოვ-ნა მიმართულია სწორედ ამ ნორმის საფუძველზე მოპასუხისათ-ვის ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალებისაკენ, საკასაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებ-ლობას, ხსენებული სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობის შე-მოწმების პროცესში იმსჯელოს ძალადაკარგული ნორმის – „საჯა-რო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის“ მე-14 მუხლის 29-ე პუნქტის საფუძველზე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსათ-ვის ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალებაზე.

საკასაციო პალატა მიუთითებს „სახელმწიფო პროექტის ფარ-გლებში მინის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირ-ველ პუნქტზე, რომლის თანახმად, სახელმწიფო პროექტის ფარ-გლებში მინის ნაკვეთზე საკუთრების უფლების სპორადული რე-გისტრაცია წარმოებს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, დაინტერე-სებული პირის განცხადების, სარეგისტრაციო დოკუმენტაციისა და ამ კანონის შესაბამისად შედგენილი მინის ნაკვეთის საკადასტრო

აგეგმვითი/აზომვითი ნახაზის საფუძველზე, ამავე კანონით გათვალისწინებული შეღავათების შესაბამისად. ამავე კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სპორადული რეგისტრაციის შემთხვევაში მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლება რეგისტრირდება დაინტერესებული პირის განცხადების, მიწის მართლზომიერი მფლობელობის (სარგებლობის) დამადასტურებელი დოკუმენტისა და ამ კანონის შესაბამისად შედგენილი მიწის ნაკვეთის საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზის საფუძველზე.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოთხოვნილ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის თაობაზე მოსარჩელეთა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლად იქცა ის გარემოება, რომ ნარდენილ სარეგისტრაციო განცხადებას არ ერთვოდა სარეგისტრაციო დოკუმენტაცია, რომელიც უშუალოდ ნარმოშობდა უძრავ ნივთზე საკუთრებას ან/და მართლზომიერი მფლობელობის/სარგებლობის „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ რეგისტრაციის მოთხოვნის უფლებას. ამასთან, ვერ დგინდებოდა სამშენებლოდ გამოყოფილი მიწის ნაკვეთის ფართობი. შესაბამისად, მარეგისტრირებულმა ორგანომ დაადგინა, რომ ვერ იქნა მოძიებული სარეგისტრაციო დოკუმენტაცია მართლზომიერი მფლობელობის/სარგებლობის დასადასტურებლად, ხოლო თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთის საკუთრების უფლების აღიარებაზე მიღებულ იქნა უარი აღიარების კომისიის მიერ.

საკასაციო პალატა უპირველესად ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მოსარჩელები ნარმოადგენენ ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობებს წევრებს, რომელთა მიმართაც კონპერატიული ბინათმშენებლობის ფარგლებში თბილისის ორჯონიკიძის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით უნდა განხორციელებულიყო სამშენებლოდ გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე №629 კორპუსის აშენება და ამხანაგობის წევრების სადარბაზოების მიხედვით ჩამაგრება. უფრო კონკრეტულად, საქმეში ნარმოდგენილია „...ში ინდივიდუალური მენაშენების ამხანაგობაში განუვრიანებულ მოქალაქეთა კორპუსებისა და სადარბაზოების მიხედვით დაჯგუფების შესახებ“ თბილისის ორჯონიკიძის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1989 წლის 24 მაისის №... გადაწყვეტილება, რომელშიც მითითებულია, რომ „საქალაქო საბჭოს აღმასკომის 08.09.88 წლის №583 გადაწყვეტილებით ორჯონიკიძის რაისაბჭოს აღმასკომს ...ში გამოეყო 64 ბინა ინდივიდუალური მენაშენების ამხანაგობის ასაშენებლად, რის საფუძველზეც აღმასკომმა გააწევ-

რიანა აღრიცხვაზე მყოფი მოქალაქეები. რაისაბჭოს აღმასკომში შემოსული მთავარი არქიტექტორულ-დაგეგმარებით სამმართველოდან 30.12.88 წ. №4563 წერილით და სქემატური ნახაზით ირკვევა, რომ ინდივიდუალურ მენაშენების ამხანაგობები დანომრილია კორპუსებად, რომლებიც თავის მხრივ დანომრილია სადარბაზოებად. №629 კორპუსი შედგება სამი სადარბაზოსგან 1,2 და 3, რაც გვაძლევს სამუალებას აღმასკომის მიერ განკვრიანებული მოქალაქეები, რომლებმაც თავის სურვილის მიხედვით შექმნეს 8-8 კაციანი ამხანაგობები, ჩავამაგროთ კორპუსისა და სადარბაზოს მიხედვით“. აღნიშნულის საფუძველზე, ამავე გადაწყვეტილებით აღმასკომმა გადაწყვიტა, რომ „თანახმად არქიტექტორულ დაგეგმარებითი სამმართველოს 30.12.88 წლის №4563 წერილისა, ...ში ინდივიდუალურ მენაშენების ამხანაგობაში 6 მ/რ №629 კორპუსი, 3 სადარბაზოში დამტკიცდნენ შემდეგი მოქალაქეები: ვ. მ-ი, ლ. ხ-ი, თ. თ-ი, ი. რ-, შ. ტ-ე, რ. გ-ე, ნ. კ-ე, თ. ბ-ი.

საქმეში ასევე წარმოდგენილია ქ. თბილისის მთავარი არქიტექტორის 1989 წლის 12 დეკემბრის №913 ბრძანება, რომლითაც შეთანხმებულად ჩაითვალა ქ. თბილისში, ...ოს რაიონში, „...ის VI მ/რაიონში ნაკვეთზე №629-III ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობისათვის ორსართულიანი, რვა ხუთ-ოთახიან ბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი. მითითებული ბრძანების საფუძვლად განსაზღვრულ იქნა ქ. თბილისის ორჯონიშვილის სახალხო დებუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1989 წლის 24 მაისის №... გადაწყვეტილება, ამასთან, ამავე ბრძანებაში მიეთითა მინის ნაკვეთის ფართი – საერთო ეზო; მოშენების ფართი – 367 კვ.მ; მოცულობა – 6384 კუბ.მ. საცხოვრებელი ფართი – 715 კვ.მ; სასარგებლო/საერთო/ფართი – 909 კვ.მ.

ამასთან, საქმეში წარმოდგენილია „ინდივიდუალური მენაშენების ამხანაგობა, საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად. ქ. თბილისი, ...ოს რაიონში, „...ის“ საცხოვრებელ რაიონში №629, ბლოკი III“ – სახელით დასათაურებული 1989 წლის 24 აპრილს გაცემული სამშენებლო პასპორტი №32, აგრეთვე, საცხოვრებელი კორპუსის დეტალური გეგმა და პროექტი, სადაც მინის ნაკვეთის მოშენების ფართად ასევე მითითებულია 367 კვ.მ. საგულისხმოა ასევე ისიც, რომ საქმეში წარმოდგენილია შესაბამისი თანხების გადახდის დამადასტურებელი მტკიცებულებები, კერძოდ, ხარჯთაღრიცხვა და ვაკის რაიონის გამგეობის 1993 წლის 26 თებერვლის №16002/22 მოხსენება, საიდანაც ირკვევა, რომ ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „...ი – 629-3-ის“ მიერ №...-ის ანგარიშზე შეტანილი იყო ბანკში: 1990წ. – 164 600 (ას სამოცდაოთხი ათას ხუთასი მანეთი); 1991წ. – 166 101 (ას სამოცდაექვსი ათას ას ერთი მანე-

თი), სულ – 330 601 (სამას ოცდაათი ათას ექვსას ერთი მანეთი).

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ იმ პერიოდში მოქმედი დი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საპინაო კოდექსის პარველი მუხლით განსაზღვრული იყო, რომ სსრ კავშირის კონსტიტუციისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად, საქართველოს სსრ მოქალაქეებს ჰქონდათ ბინის უფლება. ამ უფლებას უზრუნველყოფდა სახელმწიფო. თავის მხრივ, კერძო საკუთრება არ ვრცელდებოდა მინის ნაკვეთებზე, რის გამოც არ არსებობდა კონკრეტული მინის ნაკვეთის ფიზიკურ პირთა საკუთრებაში მოქცევის სამართლებრივი შესაძლებლობა.

რაც შეეხება უშუალოდ საქმეში წარმოდგენილ დოკუმენტაციას, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მართალია, ზემოაღნიშნული დოკუმენტები პირდაპირ არ იძლევა მითითებას საცხოვრებელი კორპუსის ასაშენებლად მინის ნაკვეთის ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობის მართლზომიერ მფლობელობაში გადაცემის შესახებ, თუმცა საქმეზე არსებული სრული სურათის გადმოსაცემად არსებითია არა დოკუმენტაციაში გადმოცემულ სიტყვათა წყობის პირდაპირი გაგება, არამედ ამ დოკუმენტაციის რეალური შინაარსისა და მათ საფუძველზე დაგეგმილი პროექტის განხორციელების შედეგად მიღწევადი შედეგის სრულყოფილი აღქმა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის კუმულაციური გამოკვლევა-შეფასება ცხადყოფს, რომ მინის ნაკვეთი მოსარჩევეთა საცხოვრებელი ბინებით დასაქმაყოფილებლად გამოიყო. შესაბამისად, არსებული მიზნის წარმატებით რეალიზების შემთხვევაში, მენაშენეთა ამხანაგობის წევრები საცხოვრებელი ბინებით დაკმაყოფილდებოდნენ და მინის ნაკვეთიც მათ მფლობელობაში გადავიდოდა. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებათა ერთობლიობა ადასტურებს მინის ნაკვეთის მენაშენეთა ამხანაგობის სასარგებლოდ გამოყოფის ფაქტს.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე, კერძოდ, 2018 წლის 18 მაისს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს წარედგინარ. გ-ის განცხადება ქ. თბილისში, ...ის მიმდებარე ტერიტორიაზე (ნაკვ. ...) მდებარე უძრავ ნივთზე სახელმწიფო პროექტის ფარგლებში უფლების რეგისტრაციის მოთხოვნით. სარეგისტრაციო განცხადებას ერთვოდა წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი; თანხმობა ნოტარიუსის დანიშვნის თაობაზე; განცხადება; მინის ნაკვეთის მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის ასლი (2.გვ.); ხარჯთაღრიცხვის წიგნის ასლი (3); გენ-გეგმა. ამავე განცხადებით მითითება გაკეთდა №... საქმეზე.

არსებითია, რომ მოცემულ შემთხვევაში სადაცოა სსიპ საჯარო

რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 24 მაისის №... გადაწყვეტილება, რომლითაც რ. გ-ეს უარი ეთქვა ქ. თბილისში, ...ის მიმდებარე ტერიტორიაზე (ნაკვ. ...) მდებარე უძრავ ნივთზე სახელმწიფო პროექტის ფარგლებში უფლების რეგისტრაციული კოდექსის 102-ე მუხლი შესაბამისად. მარეგისტრირებელმა ორგანომ მიიჩნია, რომ დამატებით არ იყო წარდგენილი ისეთი ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოებების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებიც განმცხადებლისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის დადგომას განაპირობებდა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მართალია, სარეგისტრაციოდ დამატებით წარდგენილი დოკუმენტაცია (მიწის ნაკვეთის მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი (ასლი), ხარჯთაღრიცხვის წიგნი (ასლი) და გენ-გეგმა) ცალკე აღებული არ ქმნიდა რეგისტრაციის საფუძველს, თუმცა სხვადასხვა სარეგისტრაციო წარმოებაში წარდგენილი მტკიცებულებები ერთობლიობაში განამტკიცებდა განმცხადებლის სამართლებრივ მდგომარეობას მიწის ნაკვეთან მიმართებით, რაც სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს მხედველობაში უნდა მიეღო. თავის მხრივ, საგულისხმოა ისიც, რომ სარეგისტრაციო განცხადებაში ასევე მითითება გაკეთდა იმ საქმეზე, რომელზედაც სარეგისტრაციოდ წარდგენილ იქნა მთელი რიგი დოკუმენტები.

ამასთან, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს განსახილველ დავაში მესამე პირის სტატუსით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მონაწილეობაზე. საგულისხმოა, რომ „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ამ კანონის მიღებამდე სახელმწიფო საშინაო ვალად აღიარებულ იქნა კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულება. ამასთან, «სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით აღიარებულ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის №419 განკარგულების პირველი და მეორე პუნქტების თანახმად, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სახელმწიფო საშინაო ვალის სახით არსებული, დედაქალაქში კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით წარმოქმნილი ვალდებულების საკითხის მოგვარების მიზ-

ნით: ეთხოვოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის შემდეგი ღონისძიებების განხორციელება: ა) უზრუნველყოს კონკრეტული ბინათ მშენებლობის წევრებისთვის განსაზღვრული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაცემა, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე მათი მხრიდან უარის თქმის სანაცვლოდ; ბ) უზრუნველყოს გადასაცემი ქონების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება; გ) უზრუნველყოს კონკრეტული ბინათმშენებლობის წევრებისთვის უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის თაობაზე მათთან სათანადო ხელშეკრულებების გაფორმება. ეთხოვოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიაწოდოს იმ პირთა სია, რომელთაც ამ განკარგულების პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გადაწყვეტილებების შემდგომ გადაეცემათ უძრავი ქონება.

ზემოაღნიშნულ სამართლებრივ საფუძვლებზე დაყრდნობით, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კონპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით არსებული ვალდებულებები სახელმწიფოს მიერ შიდა ვალად იქნა აღიარებული, რომლის გასტუმრებაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის აქტიური ჩართულობით განისაზღვრა. შესაბამისად, მოსარჩევლები სწორედ იმ ნაკვეთზე მოითხოვენ საკუთრების უფლების რეგისტრაციას, რომელზეც კონპერატიული ბინათმშენებლობის დაუსრულებლობის მოტივით სახელმწიფომ საშინაო ვალდებულებად იყისრა ამ პროცესით დაზარალებულ პირთა საცხოვრებელი ბინების გადაცემის გზით დაქმაყოფილება. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სახელმწიფო საშინაო ვალში მითითებული ვალდებულებების აღება სწორედ კონპერატიული ბინათმშენებლობის პროცესში კონკრეტული ფიზიკური პირების დაზარალებით იყო განპირობებული. ამდენად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სარეგისტრაციო ნარმებაში აქტიური ჩართულობა არსებითია იმისათვის, რათა განისაზღვროს, სადავო უძრავ ქონებაზე ამხანაგობის წევრთა საკუთრების უფლების რეგისტრაციით ხომ არ იქვითება კონპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით უშუალოდ ამ პირთა მიმართ ნაკისრი სახელმწიფო საშინაო ვალი. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არათავსებადია, ერთდროულად განხორციელდეს კონპერატიული ბინათმშენებლობისათვის გამოყოფილი მინის ნაკვეთის კერძო პირთა საკუთრებაში რეგისტრაცია და აღნიშნულის პარალელურად, სახელმწიფოს შეუნარჩუნდეს ამავე მინა-

ზე კოოპერატიული ბინათმშენებლობის განუხორციელებლობით ნაკისრი სახელმწიფო საშინაო ვალად ალიარებული ვალდებულებები. თავის მხრივ, არსებული მდგომარეობა შესაძლოა ხელსაყრელი იყოს როგორც მენაშენებისათვის, ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისათვის, რამდენადაც მათ შორის შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში და სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურების აქტიური მონაწილეობით, შესაძლოა შესაძლებელი გახდეს საცხოვრებელი კორპუსის სწორედ სადაც მინის ნაკვეთზე განთავსება, მოსარჩელეთა საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფა და მათ მიმართ სახელმწიფო ვალის გასტუმრება, აღნიშნულის პარალელურად კი, ამავე კორპუსში დაუმთავრებელი კოოპერატიული ბინათმშენებლობებით უშუალოდ სხვა დაზარალებულ პირთა ბინებით დაკმაყოფილება, რაც, ცხადია, შედის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და ზოგადად, სახელმწიფოს ინტერესებში.

სწორედ ასეთი ურთიერთთანმხვედრი ინტერესების არსებობის მოტივით, საქართველოს უზენაეს სასამართლოში მხარეთა მორიგების მიზნით ჩანიშნულ იქნა სასამართლო სხდომა და მხარეებს მიეცათ გონივრული ვადა აღნიშნულ საკითხებზე შესათანხმებლად. სასამართლოს არა ერთი მცდელობის მიუხედავად, მხარეთა შორის მორიგება ვერ შედგა. მიუხედავად აღნიშნულისა, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საჭიროა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სარეგისტრაციო წარმოებაში აქტიური მონაწილეობა, რაც ხელს შეუწყობს მხარეთა ინტერესების უკეთ გამორკვევას, მათ ურთიერთდაბალანსებას და საბოლოოდ, სადაც ურთიერთობის მოწესრიგებას.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ხელახალ სარეგისტრაციო წარმოებაში ჩართულობა აუცილებელია იმ კუთხითაც, რომ გამოირკვეს უშუალოდ მოსარჩელეთათვის გადაცემული მინის ნაკვეთის ზუსტი მოცულობა. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმის მასალებში დაცულ დოკუმენტებში (აღმასკომის გადაწყვეტილება, კორპუსის პროექტი და გეგმა და ა.შ.) მოსარჩელეთათვის გამოყილი კორპუსის ასაშენებელ ფართად მითითებულია 367 კვ.მ, თუმცა სასარგებლო საერთო ფართად დაფიქსირებულია 909 კვ.მ. თავის მხრივ, როგორც საქმის მასალები მოწმობს, თბილისის ორჯონივიძის სახალხო დეპუტატთა რაოინული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს განზრახული ჰქონდა არა მხოლოდ მოსარჩელეთა ბინით დაკმაყოფილება, არამედ უნდა განხორციელებულიყო რამდენიმე კორპუსის აშენება და საბოლოოდ 64 ბინით ინდივიდუალური მენაშენების ამხანაგობის უზრუნველყოფა. ამდენად, სა-

კასაციონ პალატა მიიჩნევს, რომ სადაც საკითხის ხელახალი შესწავლის პროცესში, სისიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჩართულობით უნდა გამოარკვიოს მოსარჩელეთათვის გადასაცემი მიწის ნაკვეთის ზუსტი მოცულობა და დაადგინოს, გამოყოფილ საერთო ფართზე სრულად უნდა იქნეს გაერცელებული მოსარჩელეთა უფლება თუ მხოლოდ მიწის ნაკვეთის მხოლოდ იმ ნაწილზე, სადაც უშუალოდ უნდა განთავსებულიყო მოსარჩელეთა ბინებით დაქმაყოფილების მიზნით ასაშენებელი საცხოვრებელი კორპუსი. ამასთან, საკასაციონ პალატა ხაზგასმით მიუთითებს, რომ სადაც მიწის ნაკვეთზე უფლება წარმოადგენს მენაშენეთა ამხანაგობის წევრთა საერთო უფლებას, რომლის რეალიზაციის პროცესშიც, კერძოდ, სარეგისტრაციო წარმოების ფარგლებში, გათვალისწინებული უნდა იყოს არა მხოლოდ წინამდებარე დავაში მონაწილე ყველა მოსარჩელე (მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი წანილის მიმართ განუხილველად იქნა დატოვებული), არამედ აგრეთვე თანაბრად მენაშენეთა ამხანაგობის ყველა ის წევრი, რომელსაც არ წარუდგენია სარჩელი საკუთარი უფლების რეალიზაციის მიზნით.

საკასაციონ სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 წანილზე, რომლის თანახმად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, იგი უფლებამოსილია სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს, ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი. სასამართლო ამ გადაწყვეტილებას იღებს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისათვის არსებობს მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი.

ზემოთ განვითარებული შსჯელობის გათვალისწინებით, საკასაციონ სასამართლო აღნიშნავს, რომ მოსარჩელეთა ინტერესების გამორკვევის, სახელმწიფო საშინაო ვალის საკითხების გადაწყვეტისა და მოთხოვნილი მიწის ნაკვეთის ზუსტი მოცულობის განსაზღვრის მიზნით, არსებობს სარეგისტრაციონ წარმოებაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის აქტიური ჩართულობისა და ზემოხსენებული ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევის საჭიროება, რის გამოც ამ ეტაპზე საკასაციონ სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, არსებითად გადაწყვიტოს მოცემული დავა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციონ სა-

სამართლო მიიჩნევს, რომ ქალაქ თბილისის „...ის“ მენაშენეთა ამ-ხანაგობის წევრების: რ. გ-ისა და შ. ტ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნანილობრივ, ქალაქ თბილისის „...ის“ მენაშენე-თა ამხანაგობის წევრების: რ. გ-ისა და შ. ტ-ის ნაწილში, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 14 ივლისის განჩინება და ამ ნაწილში მიღე-ბულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ქალაქ თბილისის „...ის“ მენაშენეთა ამხანაგობის წევრების: რ. გ-ისა და შ. ტ-ის სარ-ჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნანილობრივ, კერძოდ, ქალაქ თბი-ლისის „...ის“ მენაშენეთა ამხანაგობის წევრების: რ. გ-ისა და შ. ტ-ის მიმართ, ბათილად იქნეს ცნობილი ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარი თქმის თაობაზე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 25 ივნისის №... გადაწყვეტილე-ბა, ქალაქ თბილისის „...ის“ მენაშენეთა ამხანაგობის წევრების: რ. გ-ისა და შ. ტ-ის მიმართ, სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათი-ლად უნდა იქნეს ცნობილი „რეგისტრაციაზე უარის თქმის შესა-ხებ“ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 24 მაისის №... გადაწყვეტილება და მოპასუხეს – სსიპ საჯარო რეეს-ტრის ეროვნულ სააგენტოს დაევალოს კანონით დადგენილ ვადა-ში, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდი-ვიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა; დანარჩენ ნაწილში უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელა-ციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 14 ივლისის განჩინება.

საკასაციო პალატა ასევე მიუთითებს, რომ კასატორები საკა-საციო საჩივრით მოპასუხე მხარისათვის მათ მიერ გაწეული საპ-როცესო ხარჯების ანაზღაურების დაგალებას მოითხოვენ. საკა-საციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მართლმსაჯულების განხორ-ციელება დაკავშირებულია საპროცესო ხარჯებთან, კერძოდ, სა-სამართლო ხარჯებთან და სასამართლოსგარეშე ხარჯებთან. ად-ვოკატისათვის გაწეული ხარჯი წარმოადგენს სასამართლოს გარეშე ხარჯებს (სსსკ-ის 37.3 მუხ.). საქართველოს სამოქალაქო საპრო-ცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხა-რის წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეულ ხარჯებს, რომ-ლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასა-მართლო დააკასრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგ-რამ არაუმეტეს დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტისა, ხო-ლო არაქონებრივი დავის შემთხვევაში – განსახილველი საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, 2 000 ლარამდე ოდენობით.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მართალია, ზოგადი წესის მიხედვით ხარჯების განსაზღვრა ხდება სასამართლოში მხარის მიერ წარდგენილი ფაქტობრივად გა-წეული ხარჯების ოდენობის დამადასტურებელი მტკიცებულებე-ბის საფუძველზე, თუმცა ამგვარი მტკიცებულებების არარსებო-ბის შემთხვევაში, მხარის მოთხოვნის საფუძველზე, სასამართლოს თავადაც შეუძლია განსაზღვროს იურიდიული დახმარებისათვის გაწეული ხარჯების ოდენობა (სუს 11.02.086. №ას-792-1114-07 გან-ჩინება), თუკი აშკარაა, რომ პირის უფლების დარღვევის აღკვე-თის მიზნით წარმომადგენლობითი მომსახურება გაწეულია. იური-დიული მომსახურების ანაზღაურების ამსახველი ქვითრის, საგა-დახდო დავალების შესრულების დოკუმენტაციის წარუდგენლო-ბა, არ გამორიცხავს საქმის განხილვასთან დაკავშირებით გაწეუ-ლი მომსახურების ლირებულების ანაზღაურების შესაძლებლობას (სუს 09.02.2012წ., №ბს-1330-1315(კ-11); 30.10.2015წ. №ას-444-423-2015; 25.03.2016წ. №ას-12-12-2016წ., 17.01.2019წ. №ბს-809-805(3კ-17); 07.02.2019წ. №ბს-432-429(2კ-17) გადაწყვეტილებები).

განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით უდავოდ დას-ტურდება კასატორთათვის ადვოკატის მიერ იურიდიული მომსა-ხურების გაწევა, კერძოდ, მიმდინარე დავის ფარგლებში ადვოკა-ტები – რ. გ-ი და ზ. მ-ი კასატორთა წარმომადგენლობას ახორციე-ლებდნენ სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოში.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მარნეულებელსა და ადვო-კატს მორის წარმოშობილი ურთიერთობის მატერიალური საფუძ-ველი დავალების ხელშეკრულებაა (სსკ-ის 709-ე მუხ.). მარნეუ-ლები ვალდებულია გადაუხადოს რწმუნებულს გასამრჯელო ხელ-შეკრულებით ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში (სსკ-ის 710-ე მუხ.). გაწეული მომსახურების ლირებულების ანაზღაუ-რება, რაც შესაძლოა განხორციელდეს წინასწარ, პერიოდულად ან შემდგომში, პრეზუმირებულია. იურიდიული მომსახურების გაწე-ვის შემთხვევაში ივარაუდება მხარეთ შორის სასყიდლინი დავა-ლების ხელშეკრულების არსებობა, საწინააღმდეგო დამტკიცებას საჭიროებს. ამასთან, ვინაიდან მინდობილობის შინაარსი და დავა-ლების შინაარსი არ არის ურთიერთგამომრიცხავი დოკუმენტი, არ გამოირიცხება მათი ერთ დოკუმენტში – მინდობილობაში მოქცე-ვა (სუს 17.01.2019წ. №ბს-809-805(3კ-17); 07.02.2019წ. №ბს-432-429(2კ-17) გადაწყვეტილებები).

საგულისხმოა, რომ განსახილველ დავაში, მოსარჩელე მხარე სარჩელშივე ითხოვდა სარჩელის დაკამაყოფილების შემთხვევაში მოპასუხეს დაკისრებოდა მის მიერ წარმომადგენლის მომსახურე-ბისათვის გაწეული ხარჯის ანაზღაურება. ამასთან, მართალია, საქ-

მეში არ არის წარმოდგენილი საადვოკატო მომსახურების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულება ან ასეთი მომსახურებისათვის ხარჯის განევის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება, თუმცა საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებულ სასამართლო პრატიკაზე, რომლის თანახმად, „ხარჯების ოდენობა უნდა განისაზღვროს მხარის მიერ სასამართლოში წარდგენილი ფაქტობრივად განეული ხარჯების ოდენობის დამადასტურებელი მტკიცებულებების საფუძველზე. ამგვარი მტკიცებულებების არარსებობის შემთხვევაში, სასამართლოს მხარის მოთხოვნის საფუძველზე თვითონაც შეუძლია გონივრულ ფარგლებში განსაზღვროს მხარის მიერ განეული ხარჯების ოდენობა, თუკი აშკარაა, რომ პირის უფლების დარღვევის აღკვეთის მიზნით ხარჯი გაღებულია“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 9 თებერვლის №ძს-1330-1315(კ-11) გადაწყვეტილება).

ამდენად, როგორც ზემოთ აღინიშნა, საადვოკატო მომსახურების განევის ან ამგვარი მომსახურებისათვის მხარის მიერ კონკრეტული ოდენობის ხარჯის გაღების დამადასტურებელი მტკიცებულებების საქმეში არარსებობა არ ქმნის მოცემული დავის ფარგლებში განეული ასეთი მომსახურების ანაზღაურების მოპასუხე მხარისათვის დაკისრებაზე უარის თქმის საფუძველს, რამდენადაც ადვოკატის მომსახურების განევა იმთავითვე პრეზუმირებულია, ხოლო სანინააღმდეგო გარემოებების, კერძოდ, მომსახურების ხელშეკრულების არარსებობის დამადასტურებელი მტკიცებულება მოპასუხე მხარის მიერ წარმოდგენილი არ ყოფილა.

საკასაციო სასამართლოს აღნიშნავს, რომ სასამართლოს გარეშე ხარჯების ოდენობის განსაზღვრისას საკასაციო სასამართლო ხელმძღვანელობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53.1 მუხლის მოთხოვნებით, აგრეთვე მხედველობაში იღებს წარმომადგენლობითი ფუნქციის განხორციელების ინტენსივობას, ხანგრძლივობას და სხვა გარემოებებს. ამასთან, საპროცესო ხარჯის ოდენობა უნდა განისაზღვროს საქმეზე დამდგარი საბოლოო შედეგის მიხედვით, სამივე ინსტანციის სასამართლოში წარმომადგენლობითი საქმიანობის შედეგის გათვალისწინებით. საკასაციო პალატა თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან წარმოდგენილი სარჩელი დაკმაყოფილდა ნანილობრივ, შესაბამის ნანილში არსებობს ასევე საადვოკატო მომსახურების ხარჯის მონინააღმდეგე მხარისათვის დაკისრების წინაპირობაც. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, დავის სირთულისა და წარმომადგენლის მიერ განეული მომსახურების, ასევე დავის გადაწყვეტის შედეგის გათვალისწინებით, სიიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს მოსარჩელეე-

ბის – ქალაქ თბილისის „....ის“ მენაშენეთა ამხანაგობის წევრების: რ. გ-ისა და შ. ტ-ის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს საადვოკატო მომ-სახურების ხარჯის ანაზღაურება 700 ლარის ოდენობით.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სა-მოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველ წინადაღებაზე, რომლის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღე-ბული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტა-ნილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხა-რე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილ-და, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამარ-თლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპა-სუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რო-მელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემული იყო საქმის გარემოებების სათანადო გამოკვლევის გარეშე, ადმინისტრაციუ-ლი ორგანო ვალდებულია აანაზღაუროს პროცესის ხარჯები მის სასარგებლოდ გადაწყვეტილებს გამოტანის შემთხვევაშიც.

ამდენად, ზემოაღნიშნული სამართლებრივი საფუძვლის გათ-ვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოპასუხეს – სის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მოსარჩელეების – ქა-ლაქ თბილისის „....ის“ მენაშენეთა ამხანაგობის წევრების: რ. გ-ისა და შ. ტ-ის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს მათ მიერ საქალაქო, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში საქმის განხილვისათ-ვის გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 400 ( $300 + (100 + 150) : 5 \times 2 = 400$ ) ლარის ანაზღაურება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ად-მინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნა-წილით, მე-10 მუხლის მე-2 ნაწილით, 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილით, 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ც ყ ვ ი ტ ა:**

1. ქალაქ თბილისის „....ის“ მენაშენეთა ამხანაგობის წევრების: რ. გ-ისა და შ. ტ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობ-

რივ;

2. ქალაქ თბილისის „...ის“ მენაშენეთა ამხანაგობის წევრების: რ. გ-ისა და შ. ტ-ის ნაწილში, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სა-სამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 14 ივ-ლისის განჩინება და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვე-ტილება;
3. ქალაქ თბილისის „...ის“ მენაშენეთა ამხანაგობის წევრების: რ. გ-ისა და შ. ტ-ის საარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. ქალაქ თბილისის „...ის“ მენაშენეთა ამხანაგობის წევრების: რ. გ-ისა და შ. ტ-ის მიმართ, ბათილად იქნეს ცნობილი ადმინისტრა-ციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარი თქმის თაობაზე სსიპ სა-ჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 25 ივნისის №... გადაწყვეტილება;
5. ქალაქ თბილისის „...ის“ მენაშენეთა ამხანაგობის წევრების: რ. გ-ისა და შ. ტ-ის მიმართ, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნეს ცნობილი „რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 24 მაი-სის №... გადაწყვეტილება და მოპასუხეს – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს დაევალოს კანონით დადგენილ ვადაში, საქ-მისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების სრულ-ყოფილი გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუა-ლური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა;
6. დანარჩენ ნაწილში უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელა-ციონ სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 14 ივლისის განჩინება;
7. მოპასუხეს – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს მოსარჩელეების – ქალაქ თბილისის „...ის“ მენაშენეთა ამხანაგო-ბის წევრების: რ. გ-ისა და შ. ტ-ის სასარგებლოდ დაეკისროს საპ-როცესო ხარჯის სახით საადვოკატო მომსახურების ანაზღაურება 700 ლარის ოდენობით;
8. მოპასუხეს – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მოსარჩელეების – ქალაქ თბილისის „...ის“ მენაშენეთა ამხანაგო-ბის წევრების: რ. გ-ისა და შ. ტ-ის სასარგებლოდ დაეკისროს მათ მიერ საქალაქო, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში საქ-მის განხილვისათვის გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 400 (300+(100+150):5X2=400) ლარის ანაზღაურება;
9. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება სა-ბოლოოა და არ საჩივრდება.

# მინის ნაკვეთის რეგისტრაციის კანონიერება მისი რეალურიადგილობრივი მიხედვით

## გადაცევაფილება საქართველოს სახელით

№პს-354(კ-19)

14 აპრილი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ქ. ცინცაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
6. სხირტლაძე,  
გ. გოგიაშვილი

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-  
თლებრივი აქტების ბათილად ცნობა

### აღწერილობითი ნაწილი:

2017 წლის 12 იანვარს ა. ბ-იმა სასარჩელო განცხადებით მიმარ-  
თა გორის რაიონულ სასამართლოს, მოპასუხე – სსიპ საჯარო რე-  
ესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ.

მოსარჩელებ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს  
კასპის სარეგისტრაციო სამსახურის 2012 წლის 3 თებერვლის №...  
გადაწყვეტილების და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენ-  
ტოს შიდა ქართლის რეგიონული ოფისის 2016 წლის 22 აპრილის  
№... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა მოითხოვა.

გორის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 5 სექტემბრის გან-  
ჩინებით მოპასუხე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო,  
შეიცვალა სათანადო მოპასუხე – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვ-  
ნული სააგენტოს შიდა ქართლის რეგიონული ოფისით.

გორის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 5 სექტემბრის და  
2017 წლის 31 ოქტომბრის განჩინებებით, საქართველოს ადმინის-  
ტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის შე-  
საბამისად, საქმეში მესამე პირებად ჩაეტნენ – მ. ი-ი, რ. ს-ე, ი. მ-ა  
და რ. ბ-ე.

გორის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 29 ნოემბრის გა-  
დაწყვეტილებით ა. ბ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ბა-  
თილად იქნა ცნობილი მინის ნაკვეთზე რ. ს-ეს საკუთრების უფ-  
ლების რეგისტრაციის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული საა-  
გენტოს კასპის სარეგისტრაციო სამსახურის 2012 წლის 3 თებერ-  
ვლის № ... გადაწყვეტილება ა. ბ-ის მიერ 2016 წლის 21 ივლისის  
განცხადებით (№...) ნარდგენილ საკადასტრო მონაცემებთან ზედ-

დების ნაწილში; ა. ბ-ის სარჩელი საჯარო რეესტრის ეროვნული სა-აგენტოს კასპის სარეგისტრაციო სამსახურის 2012 წლის 3 თებერ-ვლის №... გადაწყვეტილების სრულად ბათილად ცნობის ნაწილში არ დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი მიწის ნაკვეთზე მ. ი-ის საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შიდა ქართლის რეგიონული ოფისის 2016 წლის 22 აპრილის №... გადაწყვეტილება ა. ბ-ის მიერ 2016 წლის 21 ივლისის განცხადებით (№...) წარდგენილ საკადასტრო მონაცემებთან ზედდების ნაწილში; ა. ბ-ის სარჩელი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შიდა ქართლის რეგიონული ოფისის 2016 წლის 22 აპრილის № ... გადაწყვეტილების სრულად ბათილად ცნობის ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

გორის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმდება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოიხსოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 04 ოქტომბრის განჩინებით საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შუამდგომლობა მოთხოვნის ნაწილში საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ, დაკმაყოფილდა; გაუქმდა გორის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შიდა ქართლის რეგიონული ოფისის 2016 წლის 22 აპრილის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნის ნაწილში; ქ. კასპში, ...ს ქუჩაზე, ე. ნ. ...ზე მდებარე 866 მ2 სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) მიწის ნაკვეთის მ. ი-ის საკუთრებაში №... საკადასტრო კოდით რეგისტრაციის შესახებ, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შიდა ქართლის რეგიონული ოფისის 2016 წლის 22 აპრილის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნის ნაწილში შეწყდა საქმის წარმოება, სარჩელის დაუშვებლობის საფუძვლით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 30 ოქტომბრის განჩინებით სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა გორის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს კასპის სარეგისტრაციო სამსახურის 2012 წლის 3 თებერვლის №... გადაწყვეტილების (ა. ბ-ის მიერ 2016 წლის 21 ივლისის განცხადებით (№ ...)) წარდგენილ საკადასტრო მონაცემებთან ზედდების ნაწილში) ბათილად ცნობის ნაწილში.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევა-

ში, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებისა და შესაბამისი სამართლებრივი ნორმების ურთიერთშეჯერების საფუძველზე, მართებული იყო პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა, რომ ა. ბ-ის, მ. ი-ისა და რ. ს-ეს უფლების დამდგენი დოკუმენტების – კასპის გამგეობის გადაწყვეტილებებისა და მიწის ნაკვეთების განაწილების სიის საფუძველზე გააჩნდათ საკუთრების უფლება მიწის ნაკვეთებზე, თუმცა, რ. ს-ეისა და მ. ი-ის მიერ საჯარო რეესტრში წარდგენილი იქნა მათთვის გადაცემული მიწის ნაკვეთების ადგილმდებარეობის შესახებ არასწორი საკადასტრო მონაცემები, რაც სადავოდ გამხდარი ზედდების ნაწილში მათი რეგისტრაციების ბათილად ცნობის საფუძველი იყო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 30 ოქტომბრის განჩინება საკასაციო ნესით გაასაჩივრა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ (შიდა ქართლის რეგიონული ოფისი), რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკამაყოფილებაზე უარის თქმა მოიხსოვა.

კასატორი აღნიშნავს, რომ მოცემულ დავაში ცალსახა ფაქტობრივი გარემოებაა, რომ ა. ა-ის მიწის ნაკვეთი არ არის რეგისტრირებული უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში, აღნიშნული პირი არც ყოფილა საქმეში ჩაბმული მესამე პირად და შესაბამისად, არ გამოკვლეულა მის მიერ მყარი ღობით შემოლობილ მიწის ნაკვეთზე უფლების დამადასტურებელი დოკუმენტები. სასამართლოს არ უმსჯელია თუ სად უნდა მდებარეობდეს გ-თვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთი, რომლის სამხრეთით მდებარეობს რ. ს-ეის მიწის ნაკვეთი. ა. ბ-ის ნაკვეთი არ მდებარეობს იმ ადგილას, სადაც იგი წარმოდგენილ მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვით ნახაზზე უთითებს.

რაც შეეხება ა. ბ-ის უფლების დამდგენ დოკუმენტს და მასში მითითებულ მომიჯნავე მიწის ნაკვეთებს, მოსარჩელეზე გადაცემული უძრავი ნივთის მოსაზღვრები არიან: აღმოსავლეთით – ...ს ქუჩა, დასავლეთით – ნ. კ-ი, სამხრეთით – ნ. ჯ-ი, ჩრდილოეთით – ს-ე. აღნიშნული მოსაზღვრები არ ემთხვევა ფაქტობრივად არსებულ მონაცემებს, რაც დასტურდება საქმეში არსებული დოკუმენტებით. დადგენილია, რომ ა. ბ-ის მიერ წარმოდგენილი აზომვითი ნახაზის მიხედვით, აღმოსავლეთით მიწის ნაკვეთს ესაზღვრება ბ-ის და არა ...ს ქუჩა, სამხრეთით დ. ჯ-ის და არა ნ. ჯ-ის მიწის ნაკვეთი, დასავლეთით არ ესაზღვრება ნ. კ-ის მიწის ნაკვეთი, ხოლო ჩრდილოეთით რ. ს-ეის და არა ს-ეის მიწის ნაკვეთი. ა. ბ-ის უფლების დამდგენი დოკუმენტი გაცემულია 2003 წელს, ხოლო 1998 წლის დადგენილების საფუძველზე ს-ეისთვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთი უკვე გადაცემული იყო რ. ს-ეისთვის, შესაბამისად, 2003 წლის

მიწის ნაკვეთის გამოყოფის დოკუმენტში ს-ე ვერ იქნებოდა მომიჯნავე მიწის ნაკვეთის მესაკუთრე. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 10 აპრილის განჩინებით (მოსამართლე – ვასილ როინიშვილი) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს (შიდა ქართლის რეგიონული ოფისი) საკასაციო საჩივარი.

ამასთან, მოსამართლე – ვასილ როინიშვილის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად არჩევის გამო, 2020 წლის 23 ივნისს ზემოაღნიშნული ადმინისტრაციული საქმე ელექტრონული პროგრამის მეშვეობით განაწილდა მოსამართლე – ქეთევან ცინცაძეზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 9 დეკემბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დასაშვებად იქნა მიჩნეული სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივარი და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე, საქმის მასალების გაცნობის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-და-საბუთებულობისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს (შიდა ქართლის რეგიონული ოფისი) საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო მოცემულ საქმეზე დადგენილად მიიჩნევს შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

კასპის დეპუტატთა საკრებულოს გამეობის 1993 წლის 27 აგვისტოს განკარგულებით, ომიდან დაბრუნებულ მეომართათვის დასახმარებლად, საქართველოს ეროვნული ერთიანობისათვის მებრძოლებზე ინდივიდუალური ბინათმშენებლობისათვის ქალაქ კასპში, ...ს ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე, „...სთან“ 0,08 – 0,08 ჰა (25X32) მიწის ნაკვეთები გაუნანილდა და მშენებლობის წებართვა მიეცა 3 პირს: რ. ბ-ეს, უ. ს-ესა და გ. გ-ის.

გ. გ-იის ნაკვეთს აღმოსავლეთით ესაზღვრებოდა ...ს ქუჩა, დასავლეთით – თავისუფალი მიწის ნაკვეთი, სამხრეთით – უ. ს-ეის ნაკვეთი, ჩრდილოეთით – მ. ა-ის ნაკვეთი; უ. ს-ეის ნაკვეთს აღმოსავლეთით ესაზღვრებოდა ...ს ქუჩა, დასავლეთით – თავისუფალი მიწის ნაკვეთი, სამხრეთით – რ. ბ-ეის ნაკვეთი, ჩრდილოეთით – გ.

გ-იის ნაკვეთი.

ქალაქ კასპის გამგეობის 1998 წლის 6 ნოემბრის დადგენილებით რ. ს-ეს გადაუფორმდა გარდაცვლილი მეუღლის – უ. ს-ეის სახელზე რიცხული საკარმიდამო მიწის ნაკვეთი ინდივიდუალური ბინათმშენებლობისათვის ქალაქ კასპში, ...ს ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე, „...სთან“ ზომით 25X32, რომელსაც აღმოსავლეთით ესაზღვრებოდა ...ს ქუჩა, დასავლეთით – თავისუფალი მიწის ნაკვეთი, სამხრეთით – რ. ბ-ეის ნაკვეთი, ჩრდილოეთით – გ. გ-იის ნაკვეთი.

ქალაქ კასპის გამგეობის 2003 წლის 30 ოქტომბრის დადგენილებით დამტკიცდა მიწათსარგებლობის საკითხთა კომისიის სხდომის ოქმის №1 საკითხი და ა. ბ-ის ქალაქ კასპში, ...ს ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე, „...სთან“ გამოეყო საკარმიდამო 0,08 ჰა მიწის ნაკვეთი ზომით 25X32, რომელსაც აღმოსავლეთით ესაზღვრებოდა ...ს ქუჩა, დასავლეთით – ნ. კ-ის მიწის ნაკვეთი, სამხრეთით – ნ. ჯ-ის ნაკვეთი, ჩრდილოეთით – ს-ეის ნაკვეთი.

ქალაქ კასპის 1998 წლის მიწის ნაკვეთების განაწილების სიით მი. ზ.-ს ძე ი-ის პირად საკუთრებაში ერიცხებოდა: არსებული 1224 მ<sup>2</sup>, პრივატიზებული – 0,15 ჰა. ქალაქ კასპის მიწის ნაკვეთების განაწილების სიით (სია დათარიღებული არ იყო) მი. ი-ის პირად საკუთრებაში ერიცხება 0,20 ჰა.

კასპის არქივის 2012 წლის 18 იანვრის №AA2012000672-03 საარქივო ცნობით დადასტურებული ქალაქ კასპის გამგეობის 1998 წლის 6 ნოემბრის №148 დადგენილების საფუძველზე რ. ს-ეის სახელზე №... საკადასტრო კოდით 2012 წლის 3 თებერვალს საკუთრების უფლებით აღირიცხა კასპში, ...ს ქუჩაზე, „...ზე“ მდებარე 800 მ<sup>2</sup> სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (საკარმიდამო) მიწის ნაკვეთი.

მითითებული უძრავი ქონება 2012 წლის 27 ივნისს ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე აღირიცხა მ. ი-ის სახელზე.

კასპის არქივის 2016 წლის 7 აპრილის №AA2016030013-03 საარქივო ცნობით დადასტურებული მიწის ნაკვეთების განაწილების სიით მი. ზ.-ს ძე ი-ის სამკვიდრო ქონებაში შემავალი 866 მ<sup>2</sup> სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) მიწის ნაკვეთი, სამკვიდრო მოწმობების საფუძველზე, 2016 წლის 22 აპრილს №... საკადასტრო კოდით აღირიცხა მ. ი-ის (შვილიშვილი) სახელზე.

მ. ი-იზე №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ნაკვეთი ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე 2016 წლის 27 ივლისს აღირიცხა ი. მ-ას სახელზე.

ა. ბ-იმა 2016 წლის 21 ივლისს განცხადებით (№ ...) მიმართა საჯარო რეესტრის სამსახურს, წარადგინა საკადასტრო აზომვითი ნახაზი 806,4 მ<sup>2</sup> მიწის ნაკვეთზე და მოითხოვა რეგისტრაცია, თუმცა რე-

გისტრაცია ვერ მოხდა იმის გამო, რომ არსებობდა ზედდება №... და №... საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მონაცემებთან.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში სადავოა არა მესამე პირთა საკუთრების უფლება, არა-მედ განხორციელებული რეგისტრაციების კანონიერება, უძრავი ნივთების, მიწის ნაკვეთების რეალური აღვილმდებარეობის თვალსაზრისით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „ფიქციაა არა ის ქონება, რომელსაც პირი რეგისტრაციის საფუძველზე ფლობს, არა-მედ ფიქციაა თავად რეგისტრირებული მონაცემების უტყუარობა, შესაბამისად დაუშვებელია სარეგისტრაციო მონაცემის და ნამდვილი მდგომარეობის შეუსაბამობა, არ დაიშვება რეგისტრირებულ მონაცემებს შორის კონკურენციის არსებობის შესაძლებლობა. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საგანთა ნამდვილი მდგომარეობა და რეგისტრირებული მონაცემები უნდა იყოს თანხვედრაში, ხოლო დუბლირების და პარალელიზმის გამოვლენის შემთხვევაში უნდა გაირკვეს საკითხი იმის შესახებ, თუ რომელს გააჩნია უკათესი სამართლებრივი საფუძველი“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 28 თებერვლის განჩინება საქმე №ბს-367-363(კ-12)).

მართალია, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 3-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად (სადავო პერიოდში მოქმედი „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონი – 32.1.), მარეგისტრირებელი ორგანო და მისი თანამშრომელი პასუხს არ აგებენ ნარმოდგენილი სარეგისტრაციო დოკუმენტაციის ნამდვილობაზე, თუმცა ისნი ამავე ნორმის თანახმად, პასუხისმგებელი არიან რეგისტრირებული მონაცემების და მათთან დაცული სარეგისტრაციო თუ სხვა დოკუმენტაციის ურთიერთშესაბამისობასა და უსაფრთხოებაზე. ამიტომაც, სარეგისტრაციო სამსახურს ეკისრება პასუხისმგებლობა, საკუთრების უფლების პირველადი რეგისტრაციის განხორციელებისას, ყოველმხრივ გადამოწმოს სხვა პირზე რეგისტრაციის არსებობა“ (საქართველოს უზენაესი სასამართლის 2015 წლის 24 მარტის განჩინება საქმე №ბს-459-453(კ-14)).

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის“ 30-ე მუხლის თანახმად, საკადასტრო აზომვითი ნახაზის სიზუსტეზე პასუხისმგებლობა ეკისრება უძრავი ნივთის მესაკუთრეს, თუმცა აღნიშნული არ გულისხმობს მარეგისტრირებელი ორგანოს მხრიდან საკუთრების უფლების დამდგენი დოკუმენტაციით გათვალისწინებული უძრავი ნივთის ნამდვილმდებარეობასა და სარეგისტრაციოდ ნარდგენილი განაცხადით განსაზ-

ლვრული უძრავი ნივთის მდებარეობას შორის შეუსაბამობის დაშვებას, სხვა პირთა საკუთრების უფლების შელახვის ხარჯზე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ როდესაც საკუთრების უფლების რეგისტრაციასთან დაკავშირებულ დავებში ერთმანეთს უპირისპირდება რამდენიმე დაინტერესებული მხარის უფლება, სამართალურთიერთობა ექცევა სასამართლო კონტროლის ფარგლებში, რა დროსაც სასამართლოს მხრიდან მაქსიმალური სიფრთხილითა და მტკიცებულებათა ზედმინევნითი გადამოწმებით უნდა მოხდეს საქმის გარემოებების შეფასება, რათა გამოვლინდეს დაცვის ღირსი უფლება და უზრუნველყოფილ იქნეს მისი რეალიზაცია.

საკასაციო სასამართლო კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, საკუთრების უფლების დამდგენი დოკუმენტაციის მიხედვით, როგორც მესამე პირების, ისე მოსარჩელე ა. ბ-ის მინის ნაკვეთებს აღმოსავლეთით ესაზღვრებოდა – ...ს ქუჩა. ამასთან, გ. გ-ის მინის ნაკვეთის სამხრეთით მითითებული იყო – უ. ს-ე. უ. ს-ეის სამხრეთით მითითებული იყო – რ. ბ-ე. ა. ბ-ის საკუთრების დამდგენი დოკუმენტაციის მიხედვითაც, მის ნაკვეთს ჩრდილოეთიდან ესაზღვრებოდა – ს-ეის ნაკვეთი, თუმცა, რ. ბ-ეის მინის ნაკვეთი მის მეზობლად არ ფიქსირდებოდა. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო იზიარებს ქვედა ინსტანციის სასამართლოთა შეფასებას, განხორციელებული სადაცვო რეგისტრაციის ფარგლებში, მოპასუხის მხრიდან საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების დადგენისა და შეფასების ვალდებულების დარღვევის თაობაზე, თუმცა აქვე აღნიშნავს, რომ იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელე ა. ბ-ის მინის ნაკვეთის ზუსტი ადგილმდებარების დადგენა ცალსახად არ მომხდარა, საფუძველს მოკლებულია სადაცვო რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების არსებითად ბათილად ცნობა (ა. ბ-ის მინის ნაკვეთის გადაფარვის ნაწილში).

ამდენად, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოპასუხის მიერ 2012 წლის 3 თებერვლის №... გადაწყვეტილების მიღებისას არ იქნა გამოკვლეული საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები, კერძოდ – მარეგისტრირებულ ორგანოს არ გამოუკვლევია მინის ნაკვეთებზე საკუთრების რეგისტრაციისას არ შეუდარებია სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი დოკუმენტაცია მიღება-ჩაბარების აქტებთან, ცნობებთან და ამონაწერებთან, არ დაუდგენია სადაცვო მინის ნაკვეთის მომიჯნავედ მდებარე მინის ნაკვეთების კოდები, მესაკუთრეები, გეოგრაფიული მდებარეობა, რათა სარწმუნოდ დაედგინა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტები და არ დაეშვა მინის ნაკვეთების ნამდვილი ადგილ-მდებარეობისა და საკუთრების უფლებით ფაქტობრივად რეგის-

ტრირებული მიწის ნაკვეთების ადგილმდებარეობის შეუსაბამობა, რაც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ქმნის სადაც საკითხის გადაუწყვეტლად, სადაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისა და ადმინისტრაციული ორგანოსათვის, გადაწყვეტილებაში მითითებულ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი აქტის გამოცემის დავალების საფუძვლებს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომელის მიხედვითაც ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული ნარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძვლებზე.

ადმინისტრაციულ პროცესში მოქმედი ინკვიზიციურობის პრინციპის გათვალისწინებით (სასკ-ის მე-4, მე-19 მუხ.) მართალია, სასამართლოს აქვე შესაძლებლობა ფაქტობრივი გარემოებების სრულყოფილად გამოკვლევის მიზნით შეაგროვოს დამატებითი მტკიცებულებები, თუმცა აღნიშნული უზრუნველყოფს ადმინისტრაციული ნარმოების ფარგლებში დაშვებული ხარვეზების აღმოფხვრას და არა ორგანოში განსახორციელებელი წარმოების ჩანაცვლებას. განსახილველ შემთხვევაში გამოკვლევას საჭიროებს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე რიგი გარემოებები. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია საკითხი შეისწავლოს სზაკ-ით დადგენილი წესით, სრულად გამოიკვლიოს საქმესთან დაკავშირებული გარემოებები და მიიღოს სათანადოდ დასაბუთებული გადაწყვეტილება. განსახილველ შემთხვევაში სადაც აქტი ვერ აკმაყოფილებს აღნიშნულ სტანდარტს (საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 10 თებერვლის №ბს-968(2კ-19) განჩინება).

განსახილველი საკითხის ფარგლებში, მარეგისტრირებელმა ორგანომ უნდა დაადგინოს მიწის ნაკვეთების ზუსტი მდებარეობა და საზღვრები. ამჟამად მოქმედი „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტო უფლებამოსილია სახელმწიფო პროექტის ფარგლებში საკუთარი ინიციატივით შეცვალოს დაზუსტებული საკადასტრო მონაცემებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო მონაცემები, თუ სარეგისტრაციო დოკუმენტაციით ან/და საკადასტრო აღნე-

რის შედეგად დადგინდა რეგისტრირებული საკადასტრო მონაცემების მიწის ნაკვეთის ფაქტობრივ მდებარეობასთან შეუსაბამობა და უზრუნველყოს ამ მიზნით დაწყებულ ადმინისტრაციულ ნარმოებაში ყველა დაინტერესებული პირის ჩართვა. ამასთან, „საჯარო რეგისტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 61 პუნქტის თანახმად, მარეგისტრირებული ორგანო უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით დააზუსტოს, შეცვალოს, ძალადაკარგულად გამოაცხადოს ან ბათილად ცნოს უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრში რეგისტრირებული მცდარი ან ურთიერთშეუსაბამო მონაცემები და უზრუნველყოს ამ მიზნით დაწყებულ ადმინისტრაციულ ნარმოებაში ყველა დაინტერესებული პირის ჩართვა. ამასთან, ამავე კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სარეგისტრაციო ნარმოების პროცესში მუნიციპალიტეტის ნარმომადგენელი საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ადგენს უფლების დამადასტურებელი დოკუმენტით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთის ან/და საჯარო რეგისტრში რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის და მიწის ნაკვეთის საკადასტრო აგეგმვით/აზომვით ნახაზზე ასახული მიწის ნაკვეთის იდენტურობას, გარდა სისტემური რეგისტრაციისა და იმ შემთხვევისა, როდესაც სარეგისტრაციო დოკუმენტაციის საფუძველზე უტყუარად დგინდება მიწის ნაკვეთის ფაქტობრივი მდებარეობა.

ამდენად, ადმინისტრაციულმა ორგანომ საკითხის ხელახლა განხილვისას, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სრულყოფილად უნდა გამოიკვლიოს საქმის გარემოებები და დაადგინოს მიწის ნაკვეთების ზუსტი მდებარეობა და საზღვრები, ხოლო დუბლირების გამოვლენის შემთხვევაში დაადგინოს საკითხის უკეთესი უფლების მქონე სუბიექტის შესახებ.

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის ნაწილობრივ დაკამაყოფილების საფუძველი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმის გარემოების

ბების სათანადო გამოკვლევის გარეშე, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია აანაზღაუროს პროცესის ხარჯები მის სასარგებლოდ გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაშიც. ამდენად, სადაც ვაკითხის სასკ-ის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე გადაწყვეტის პირობებში, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს შიდა ქართლის რეგიონულ ოფისს ა. ბ-ის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის სახით პირველი ინსტანციის სასამართლოში გადახდილი 100 ლარის აანაზღაურება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, ამავე კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილით და 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე და 411-ე მუხლებით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ს ა:**

1. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს (შიდა ქართლის რეგიონული ოფისის) საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 30 ოქტომბრის განჩინება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. ა. ბ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

4. სადაც საკითხის გადაუწყვეტლად, ბათილად იქნეს (ცნობილი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს კასპის სარეგისტრაციო სამსახურის 2012 წლის 3 თებერვლის №... გადაწყვეტილება (ა. ბ-ის მიერ 2016 წლის 21 ივლისის განცხადებით (№...) წარდგენილ საკადასტრო მონაცემებთან ზედდების ნაწილში) და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შიდა ქართლის რეგიონულ ოფისს დაევალოს, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შეფასების და გამოკვლევის შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა;

5. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს შიდა ქართლის რეგიონულ ოფისს ა. ბ-ის სასარგებლოდ დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის სახით პირველი ინსტანციის სასამართლოში გადახდილი 100 ლარის აანაზღაურება.

6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 2. მიწის საკუთრების უფლების აღიარება

საქართველოს არსებითი მნიშვნელობის მქონე  
გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევა და შეფასება

### გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ბს-1146(კ-20)

9 დეკემბერი, 2021 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატამ  
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
გ. აბუსერიძე,  
ბ. სტურუა

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-  
თლებრივი აქტების ბათილად ცნობა; ახალი ინდივიდუალური ად-  
მინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება

#### აღწერილობითი ნაწილი:

2018 წლის 8 ოქტომბერს ე. მ-იმა სასარჩელო განცხადებით მი-  
მართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-  
მეთა კოლეგიას, მოპასუხის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტე-  
ტის მერთან არსებული თვითმებურად დაკავებულ მიწაზე საკუთ-  
რების უფლების აღიარების კომისიის მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, 2016 წლიდან დღემდე აღიარების  
კომისიისადმი წარდგენილი არაერთი მტკიცებულებითა და დასა-  
ბუთებით, იგი ცდილობს მოიპოვოს საკუთრების უფლება საცხოვ-  
რებელ სახლსა და სახლში შესასვლელ მიწის ნაკვეთზე, რომელ-  
საც იგი 1970 წლიდან ფლობს. მოსარჩელის მოსაზრებით, აღიარე-  
ბის კომისიის მიერ 2017 წელს მიღებული ორივე უარყოფითი გა-  
დაწყვეტილების დასაბუთება ცალსახად მიუთითებს, რომ კომი-  
სია უსაფუძვლო არგუმენტებით თავს არიდებდა ე. მ-ის საკუთრე-  
ბის უფლების აღიარებას, ხოლო მას შემდეგ, რაც 2018 წლის 19  
თებერვალს მოსარჩელემ კომისიას წარუდგინა არაერთი მტკიცე-  
ბულება, რომელიც უდავოდ ადასტურებდა, რომ შენობა და შენო-  
ბაში შესასვლელი ტერიტორია 1970 წლიდან ცალსახად ე. მ-ის  
მფლობელობაშია, კომისიამ 2018 წლის 13 აგვისტოს №1131 გან-  
კარგულების უარყოფითი გადაწყვეტილება დააფუძნა იმ გარემო-  
ებას, რომ ნაკვეთი მდებარეობს ისტორიული განაშენიანების სა-  
ხელმწიფო დაცვის ზონაში. მოსარჩელე მიიჩნევს, რომ კომისიის

2018 წლის 13 აგვისტოს №1131 განკარგულება არის უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი, რაც მისი ბათილად ცნობის საფუძველს წარმოადგენს.

ამდენად, მოსარჩელემ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2018 წლის 13 აგვისტოს №1131 განკარგულების ბათილად და მოპასუხისმთვის ქ. თბილისში, ... №...-ის (ს.კ. №...) მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთსა (108 კვ.მ) და მასზე აღმართული შენობის ფართზე (45.97 კვ.მ), საერთო ფართობი – 185 კვ.მ, მისი საკუთრების უფლების აღიარების შესახებ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-თა კოლეგიის 2019 წლის 21 ივნისის გადაწყვეტილებით ე. მ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2014 წლის 29 სექტემბერს მ. ი-ისა (გამყიდველი) და ე. მ-ის (მყიდველი) შორის გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, ე. მ-იმა იყიდა მ. ი-ის საკუთრებაში არსებული, ქ. თბილისში, ... №...-ში მდებარე უძრავი ნივთი, კერძოდ: შენობა-ნაგებობები (გარდა შენობა-ნაგებობსა ფართით 86.87 კვ.მ, ფართით – 33.62 კვ.მ, ფართით – 46.1 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო, ს.კ. №...). ნასყიდობის საგნის ღირებულება განისაზღვრა 1200 აშშ დოლარად.

სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ მ. მ. ვ-ის 2015 წლის 6 აგვისტოს ნოტარიულად დამონმებული განცხადების თანახმად, განმცხადებელი ადასტურებს, რომ ე. მ-ი ფლობს და უვლის ...ის №...-ის მიმდებარე მიწის ნაკვეთს, შემოღობილი ეზოს სახით, მასზე მდებარე შენობა-ნაგებობით.

გ. მ-ის 2015 წლის 7 აგვისტოს ნოტარიულად დამონმებული განცხადების თანახმად, განმცხადებელი ადასტურებს, რომ 1970 წლიდან ე. მ-ი ფლობს და უვლის ...ის №...-ის მიმდებარე მიწის ნაკვეთს, შემოღობილი ეზოს სახით, მასზე მდებარე შენობა-ნაგებობით.

თ. გ-ის 2016 წლის 9 ივლისის ნოტარიულად დამონმებული განცხადების თანახმად, განმცხადებელი ადასტურებს, რომ ე. მ-ი ფლობს და უვლის ...ის №...-ის მიმდებარე მიწის ნაკვეთს, შემოღობილი ეზოს სახით, მასზე მდებარე შენობა-ნაგებობით.

ა. კ-ეის 2016 წლის 20 ივლისის ნოტარიულად დამონმებული განცხადების თანახმად, განმცხადებელი ადასტურებს, რომ ე. მ-ი ფლობს და უვლის ...ის №...-ის მიმდებარე მიწის ნაკვეთს, შემოღობილი ეზოს სახით, მასზე მდებარე შენობა-ნაგებობით.

სასამართლომ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ

2016 წლის 8 იანვარს ე. მ-იმა №14/226 განცხადებით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიას და ქალაქ თბილისში, ...ის შესახვ. I, №...-ში მისი საკუთრების უფლების აღიარება მოითხოვა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2016 წლის 30 მაისის №504 იქმის 68-ე საკითხით, გადაიდო ე. მ-ის 2016 წლის 8 იანვრის განცხადების განხილვა, მომიჯვნავე მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული თანხმობების წარმოდგენის მიზნით.

ე. მ-იმა განცხადებით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიას და თ. გ-ისა და ა. კ-ეის ნოტარიულად დამოწმებული თანხმობები წარადგინა.

სასამართლომ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2016 წლის 15 სექტემბრის №528 იქმის 23-ე საკითხით, ე. მ-ის 2016 წლის 8 იანვრის განცხადების განხილვა გადაიდო ტექ. ბიუროდან ინფორმაციის გამოთხვევის მიზნით, კერძოდ, იმის დასადგენად, თუ რამდენი უძრავი ნივთი იყო აღრიცხული ...ის №....ზე, ამასთან, იმ შემთხვევაში, თუკი მისამართზე აღრიცხული იყო უძრავი ქონება, გამოსათხოვი იყო მათი ცნობა-დახასიათება საინვენტრიზაციო გეგმასთან ერთად.

2016 წლის 6 ოქტომბერს ე. მ-იმა განცხადებით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიას და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ცნობა-დახასიათება წარადგინა.

საჯარო რეესტრის 2016 წლის 6 სექტემბრის ამონაწერის თანახმად, ქ. თბილისში, ... №...-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს.კ. №...; დაზუსტებული ფართი – 185 კვ.მ), საკუთრების უფლებით 2016 წლის 15 სექტემბრიდან აღრიცხულია გ. მ-ის, ე. მ-ისა და მ. ვ-ის საკუთრებად. კერძოდ, ე. მ-ის საკუთრებაშია: შენობა-ნაგებობები (გარდა შენობა-ნაგებობების

ბისა ფართით – 40.50 კვ.მ, ფართით – 46.37 კვ.მ, ფართით 37.07 კვ.მ და ფართით – 46.1 კვ.მ) და სხვენის ნანილი შენობა №2-ში – 43.40 კვ.მ.

სასამართლომ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობა-ში) არსებული მინის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2016 წლის 17 ნოემბრის №544 ოქმის მე-12 საკითხით, მინის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების საკითხის განხილვა გადაიდო მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარდგენამდე, ვინაიდან ე. მ-ის მხრიდან არ იქნა წარდგენილი მოთხოვნილი დოკუ-მენტაცია.

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2017 წლის 20 იანვარს მომზადებული ინფორმაციის თანახმად, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ტექნიკური აღრიცხვის არქივში წარმოდგენილია საარქივო მასალა, მისამართით: ქ. თბილისი, ... №... (ს/ 6 ...). მოსარგებლეთა/მესაკუთრეთა შესაბამის გრაფაში მითითებულია: ვ. ე-ა და შ. ი-ი.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობა-ში) არსებული მინის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2017 წლის 2 თებერვლის №572 ოქმის მე-10 საკითხით ე. მ-ის უარი ეთქვა მოთხოვნილ მინის ნაკვეთზე (ქ. თბილისი, ...ის ქ. შესახვევი I, №...-ის მიმდებარედ) საკუთრების უფლების აღიარებაზე, ვინაიდან არ დასტურდებოდა მინის ნაკვეთის თვითნებურად დაკავებისა და ფლობის ფაქტი „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობა-ში) არსებულ მინის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებამდე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობა-ში) არსებული მინის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2017 წლის 22 თებერვლის №1/4877 განკარგულებით ე. მ-ის უარი ეთქვა მოთხოვნილ 78 კვ.მ მინის ნაკვეთზე, მდებარე ქ. თბილისი, ...ის ქ. შესახვევი I, №... ის მიმდებარედ, საკუთრების უფლების აღიარებაზე, ვინაიდან არ დასტურდებოდა მინის ნაკვეთის თვითნებურად დაკავებისა და ფლობის ფაქტი „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობა-ში) არსებულ მინის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებამდე.

სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ 2017 წლის 21 ივნისს ე. მ-იმა №7197 განცხადებით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან არსებულ თვითნებურად დაკავებულ მინაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიას და ქ. თბილისში, ...ის შესახვ. I, №...-ში მისი საკუთრების უფლების აღიარება მოითხოვა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული თვითნებურად დაკავებულ მინაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2017 წლის 10 ივლისის №640 განკარგულებით ე. მ-ის უარი ეთქვა მინის ნაკვეთზე (ქ. თბილისი, ...ის ქ. შესახვევი №...-ის მიმდებარედ 78 კვ.მ) საკუთრების უფლების აღიარებაზე.

სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ გ. ლ-ისა და მ. ლ-ის 2018 წლის 23 იანვრის ნოტარიულად დამოწმებული განცხადებების თანახმად, განმცხადებლები ადასტურებენ, რომ 1972 წელს მათმა მშობლებმა იყიდეს ბინა და გადავიდნენ საცხოვრებლად ქ. თბილისში, ...ის შესახ. №...-ში. მათი ოჯახის გადასვლამდე, აღნიშნულ მისამართზე უკვე ცხოვრობდა ე. მ-ი. მათი ბავშვობისა და მოზარდობის წლებიდან, ე. მ-ი და მათი ოჯახი უკვე ცხოვრობდა და სარგებლობდა მათი ფართის გასწრივ შემოღობილი ეზოთი (სადაც ახლაც მდებარეობს ეზოსა და სახლში შემოსასვლელი ჭიშკარი) და ამავე ეზოში აშენებული კაპიტალური ოთახით, შენობანაგებობებით. განმცხადებლები ასევე ადასტურებენ, რომ აღნიშნულ მისამართზე ე. მ-ის სარგებლობაში არსებული შემოღობილი ეზო და მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობა არ შეცვლილა 1972 წლიდან.

სასამართლომ ასევე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ შპს „....-ის“ 2018 წლის 23 იანვრის ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ქ. თბილისში, ... №...-ის (ს.კ. №...) მიმდებარედ არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინაზე (108 კვ.მ), 45.97 კვ.მ ფართზე განთავსებული დასაკანონებელი საცხოვრებელი შენობის ბეტონის საძირკველის მინისზედა ნაწილსა და შენობის მზიდ კედლებზე აღნიშნება წლების მანძილზე განვითარებული დეფორმაციები, ეროზიული დაზიანებები, ჩაწყვეტები, ბზარნარმონაქმნები და სხვადასხვა სახის მრავლობითი დეფექტები, რაც აშკარად მიანიშნებს შენობის ხანდაზმულობაზე. ჩატარებული კვლევისა და დამკვეთის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, დგინდება, რომ ე. მ-ი ზემოხსენებულ ტერიტორიას და მასზე განლაგებულ დასაკანონებელ საცხოვრებელ სახლს ფლობს დაახლოებით 1970 წლიდან დღემდე.

ამასთან, სასამართლომ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ 2018 წლის 19 თებერვალს ე. მ-იმა განცხადებით მიმარ-

თა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან არსებულ თვით-ნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კო-მისიას და ქ. თბილისში, ... №...-ში მდებარე საკუთრებაში არსებუ-ლი 185 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს.კ. №...) მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე (საერთო ფართობი – 108 კვ.მ.) საკუთრების უფლების აღიარება მოითხოვა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული თვით-ნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კო-მისიის 2018 წლის 21 მაისის №660 ოქმის მე-13 საკითხით, ე. მ-ის უარი ეთქვა მოთხოვნილ მიწის ნაკვეთზე (ქ. თბილისი, ...ის შესახვ. №...-ის მიმდებარედ) საკუთრების უფლების აღიარებაზე, ვინაი-დან ნარმოდგენილი დოკუმენტაციითა და აეროფოტოგადაღებე-ბის საფუძველზე დადგინდა, რომ მოთხოვნილი მიწის ნაკვეთი მოქ-ცეული იყო ისტორიული განაშენიანების სახელმწიფო დაცვის ზო-ნაში (ისტ-1).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული თვით-ნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კო-მისიის 2018 წლის 13 აგვისტოს №1131 განკარგულებით ე. მ-ის უა-რი ეთქვა მიწის ნაკვეთზე (ქ. თბილისი, ... №..., საერთო ფართობი – 185 კვ.მ) საკუთრების უფლების აღიარებაზე.

სასამართლომ მიუთითა „ფიზიკური და კერძო სამართლის იუ-რიდიული პირების მფლობელობაში(სარგებლობაში) არსებულ მი-წის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ სა-ქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმადაც, საკუთრების უფლების აღიარებას არ ექვემ-დებარება სანიტარიული და დაცვითი ზონები.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 ივლისის №376 დადგენილებით დამტკიცებული „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებ-ლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღი-არების წესის“ მე-3 მუხლის „ნ“ ქვეპუნქტზე, რომლითაც განსაზ-ლვრულია, რომ საკუთრების უფლების აღიარებას არ ექვემდება-რება სანიტარიული და დაცვითი ზონები.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, საქმეში ნარმოდგენილი მტკიცებულებების (მათ შორის, საკადასტრო აზომ-ვითი ნახაზების, ორთო-ფოტოების, დედაქალაქის მიწასთა რგებ-ლობის გენერალური გეგმის და სხვა) ურთიერთშეჯერებისა და ანა-ლიზის საფუძველზე, დასტურდებოდა, რომ მოთხოვნილი მიწის ნაკვეთი მოქცეული იყო ისტორიული განაშენიანების სახელმწი-ფო დაცვის ზონაში (ისტ-1) და ისტორიული განაშენიანების სახელ-მწიფო დაცვის ზონაში (ისტ-2). აღნიშნული გარემოება კი, თავის

მხრივ, „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მინის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის თანახად, გამორიცხავდა მოთხოვნილ მინის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების შესაძლებლობას. ამასთან, სასამართლოს შეფასებით, აღნიშნული გარემოება მეორეხარისხოვან მტკიცებულებებად აქცევდა მოსარჩელის მიერ მითითებულ გარემოებებს (უფლებასაღიარებელი მინის ნაკვეთის ე. მ-ის ფლობის ფაქტთან მიმართებით), რადგანაც მათ მნიშვნელობა ექნებოდათ მაშინ, თუკი თვითნებურად დაკავებული მინის ნაკვეთი დაექვემდებარებოდა საკუთრების უფლების აღიარებას. განსახილველ შემთხვევაში კი, ზემოაღნიშნული სპეციალური შეზღუდვის პირობებში, მოთხოვნილ მინის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარება დაუშვებელი იყო.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული განკარგულება მიღებული იყო „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მინის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესისა და საკუთრების უფლების მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 ივნისის №376 დადგენილების მოთხოვნათა სრული დაცვით, რის გამოც არ არსებობდა გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 21 ივნისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ე. მ-იმა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკავილების მოთხოვნა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 26 დეკემბრის განჩინებით ე. მ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 21 ივნისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მინის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, თვითნებურად დაკავებული მინა არის ამ კანონის ამოქმედებამდე ფიზიკური პირის მიერ თვითნებურად დაკავებული სახელმწიფო საკუთრების სასოფლო ან არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის ნაკვეთი, რომელზედაც განთავ-

სებულია საცხოვრებელი სახლი (აშენებული ან დანგრეული) ან არა-საცხოვრებელი დანიშნულების შენობა (აშენებული), ასევე დაინ-ტერესებული ფიზიკური პირის საკუთრებაში ან მართლზომიერ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავე, თვითნე-ბურად დაკავებული მიწის ნაკვეთი (შენობით ან მის გარეშე), რომ-ლის ფართობიც ნაკლებია საკუთრებაში ან მართლზომიერ მფლო-ბელობაში არსებული მიწის ნაკვეთის ფართობზე, ასევე კერძო სა-მართლის იურიდიული პირის საკუთრებაში ან მართლზომიერ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავე, თვითნე-ბურად დაკავებული მიწის ნაკვეთი, რომელზედაც განთავსებუ-ლია არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობა (აშენებული), რომ-ლის ფართობიც ნაკლებია საკუთრებაში ან მართლზომიერ მფლო-ბელობაში არსებული მიწის ნაკვეთის ფართობზე და რომელიც სა-კუთრების უფლების აღიარების მოთხოვნის მომენტისათვის სა-ხელმწიფოს მიერ არ არის განკარგული, გარდა ამ მუხლის „ა“ ქვე-პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

სააპელაციო სასამართლომ ასევე მიუთითა საქართველოს მთავ-რობის 2016 წლის 28 ივლისის №376 დადგენილებით დამტკიცებუ-ლი „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლო-ბელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრე-ბის უფლების აღიარების წესის“ მე-3 მუხლის „ნ“ ქვეპუნქტზე, „ფი-ზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელო-ბაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფ-ლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტზე, მათ საფუძველზე არ გაიზიარა აპე-ლანტის არგუმენტაცია და განმარტა, რომ ფიზიკურ პირზე საკუთ-რების უფლების აღიარება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებული პირი განცხადების წარდგენის მომენტისათვის ნამდვილად ფლობს თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთს და სარგებლობს მისით და აღნიშნული მიწის ნაკვეთი არ განეკუთვნე-ბა „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლო-ბელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრე-ბის უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხ-ლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ მიწის ნაკვეთების კატეგორიას.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინ-სტანციის სასამართლოს დასკვნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების (მათ შორის, საკადას-ტრო აზომვითი ნახაზების, ორთო-ფოტოების, დედაქალაქის მი-ნათსარგებლობის გენერალური გეგმის და სხვა) ურთიერთშეჯვე-რებისა და ანალიზის საფუძველზე, დასტურდებოდა, რომ მოთ-ხოვნილი მიწის ნაკვეთი მოქცეული იყო ისტორიული განაშენიანე-

ბის სახელმწიფო დაცვის ზონაში (ისტ-1) და ისტორიული განაშენიანების სახელმწიფო დაცვის ზონაში (ისტ-2). აღნიშნული გარემოება კი, თავის მხრივ, „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის თანახმად, გამორიცხავდა მოთხოვნილ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების შესაძლებლობას. სააპელაციო სასამართლომ ასევე გაიზიარა საქალაქო სასამართლოს შეფასება მასზედ, რომ სენებული გარემოება მეორეხარისხოვნი მტკიცებულებებად აქცევდა და მოსარჩელის მიერ მითითებულ გარემოებებს (უფლებასაღიარებელი მიწის ნაკვეთის ე. მ-ის ფლობის ფაქტთან მიმართებით), რადგანაც მათ მნიშვნელობა ექნებოდათ მაშინ, თუკი თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთი დაექვემდებარებოდა საკუთრების უფლების აღიარებას. მოცემულ შემთხვევაში კი, ზემოაღნიშნული სპეციალური შეზღუდვის პირობებში, მოთხოვნილ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარება დაუშვებელი იყო.

სააპელაციო სასამართლომ ასევე ყურადღება გაამახვილა აპელანტის მიერ საქმის ზეპირი განხილვისას გამოთქმულ მოსაზრებაზე, რომ აღიარების კომისიამ მის მეზობლებს ანალოგიურ ტერიტორიაზე უღიარა საკუთრების უფლება და მისი მოსაზრებით, საქმის გარემოებათა იდენტურობის გათვალისწინებით, დაუშვებელი იყო სხვადასხვა პირთა მიმართ განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა მოსარჩელის ზემოაღნიშნული არგუმენტაცია, ყურადღება გაამახვილა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით აღიარებულ კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპზე და მიზინია, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება თავის-თავად ვერ ჩაითვლებოდა კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპის დარღვევად. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, ამ მოთხოვნის დარღვევა სახეზეა მაშინ, როდესაც იკვეთება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის ერთ-ერთი მხარის შეზღუდვის ან მისთვის უპირატესობის მინიჭების გონივრული, საქმის არსიდან გამომდინარე საფუძველი. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი გულისხმობს სახელმწიფო ადმინისტრაციის მხრიდან თვითნებობის აკრძალვას, არსებითად იდენტური საქმის გარემოებების თვითნებურად არა-თანაბრად შეფასებისა და აქედან გამომდინარე, უკანონო გადაწყვეტილების მიღების დაუშვებლობას. ეს პრინციპი გულისხმობს თანასწორობას კანონიერებაში და არა უკანონობაში.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ე. მ-ის მიერ მითითებული გარემოება ვერ იმოქმედებდა მოსარჩელის მიმართ და ვერ გახდებოდა ამ საფუძვლით მისი მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 26 დეკემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ე. მ-იმა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, ის გარემოება, რომ მოთხოვნილი მიწის ნაკვეთი მოქცეულია ისტორიული განაშენიანების დაცვის ზონაში, ვერ იქნება სადაც უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების აღიარებაზე უარის თქმის მართლზომიერი საფუძველი, რამდენადაც მოთხოვნილი მიწის ნაკვეთი და შენობა-ნაგებობა, იმავდროულად, მოქცეულია საცხოვრებელ ზონა 3-ში. ამ ზონებში დასაშვებია არა მხოლოდ არსებული ფართის დაკანონება, არამედ მშენებლობაც კი, რაც ამჟამად ხორციელდება ქ. თბილისში, ...ის ქ. №...-ის მიმდებარედ, სადაც მიწის ნაკვეთისაგან დაახლოებით 30 მეტრში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 29 დეკემბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად ნარმობაზი იქნა მიღებული ე. მ-ის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაეს სასამართლოში 2021 წლის 28 ოქტომბერს ე. მ-ის საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი განხილულ იქნა მხარეთა დასწრებით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 28 ოქტომბრის განჩინებით ე. მ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ე. მ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 26 დეკემბრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ე. მ-ის სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „ფიზიკური და კერძო სა-მართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღარების შე-სახებ“ საქართველოს კანონის სადაცო პერიოდში მოქმედი რედაქ-ციის პირველ მუხლზე, რომლის თანახმად, ამ კანონის მიზანია მარ-თლზომიერ მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ, აგრეთვე თვითნებურად დაკავებულ სახელმწიფო საკუთრების მიწაზე ფი-ზიკური, კერძო სამართლის იურიდიული პირების ან კანონით გათ-ვალისწინებული სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნების საკუთრე-ბის უფლების აღარებით სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მი-წის ფონდის ათვისება და მიწის ბაზრის განვითარების ხელშეწყო-ბა.

ამავე კანონის ამავე რედაქციის მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, თვითნებურად დაკავებული მიწა არის ამ კანონის ამოქ-მედებამდე ფიზიკური პირის მიერ თვითნებურად დაკავებული სა-ხელმწიფო საკუთრების სასოფლო ან არასასოფლო-სამეურნეო და-ნიშნულების მიწის ნაკვეთი, რომელზედაც განთავსებულია საც-ხოვრებელი სახლი (აშენებული ან დანგრეული) ან არასაცხოვრე-ბელი დანიშნულების შენობა (აშენებული), ასევე დაინტერესებუ-ლი ფიზიკური პირის საკუთრებაში ან მართლზომიერ მფლობელო-ბაში არსებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავე, თვითნებურად დაკა-ვებული მიწის ნაკვეთი (შენობით ან მის გარეშე), რომლის ფართო-ბიც ნაკლებია საკუთრებაში ან მართლზომიერ მფლობელობაში არ-სებული მიწის ნაკვეთის ფართობზე, ასევე კერძო სამართლის იუ-რიდიული პირის საკუთრებაში ან მართლზომიერ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავე, თვითნებურად დაკავებუ-ლი მიწის ნაკვეთი, რომელზედაც განთავსებულია არასაცხოვრე-ბელი დანიშნულების შენობა (აშენებული), რომლის ფართობიც ნაკ-ლებია საკუთრებაში ან მართლზომიერ მფლობელობაში არსებუ-ლი მიწის ნაკვეთის ფართობზე და რომელიც საკუთრების უფლე-ბის აღიარების მოთხოვნის მომენტისათვის სახელმწიფოს მიერ არ არის განკარგული, გარდა ამ მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალის-წინებული შემთხვევებისა.

ზემოაღნიშნულ სამართლებრივ საფუძველზე დაყრდნობით, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარება დასაშვებია ორი საფუძ-ვლით: 1. თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საცხოვრებელი სახ-ლის (აშენებული ან დანგრეული) ან არასაცხოვრებელი დანიშნუ-ლების შენობის (აშენებული) არსებობის შემთხვევაში; 2. საკუთ-რებაში ან მართლზომიერ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვე-თის მომიჯნავედ თვითნებურად დაკავებულ მიწაზე. თუმცა გან-

სხვავებით პირველი შემთხვევისაგან, დაინტერესებული პირის საკუთრებაში ან მართლზომიერ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავედ არსებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარებისათვის „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის სადაც პერიოდში მოქმედი რედაქციით არ იყო აუცილებელი შენობა-ნაგებობის არსებობა. ამასთან, არსებითი იყო ისიც, რომ თვითნებურად დაკავებული მიწის ფართობი ნაკლები ყოფილიყო საკუთრებაში ან მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ მიწის ფართობზე. თუმცა საკუთრების უფლების აღიარებისათვის ორივე შემთხვევაში აუცილებელია, რომ დაინტერესებული პირი უტყუარად ადასტურებდეს თავად უფლებასაღიარებელი მიწის კანონის ამოქმედებამდე (2007 წლის 27 ივლისამდე) დაკავების ფაქტს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოსარჩელე ე. მ-ი წლების განმავლობაში ცდილობდა სადაც მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარებას. აღიარების საფუძვლად იგი მიუთითებდა იმ გარემოებას, რომ უფლებასაღიარებელი მიწის ნაკვეთი მდებარეობდა მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავედ, რომელსაც იგი თვითნებურად იყო დაუფლებული 1970 წლიდან. საგულისხმოა, რომ საჯარო რესტრის 2016 წლის 6 სექტემბრის ამონანერის თანახმად, ქ. თბილისში, ... №...-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს.კ. №...; დაზუსტებული ფართი – 185 კვ.მ), საკუთრების უფლებით 2016 წლის 15 სექტემბრიდან აღრიცხულია გ. მ-ის, ე. მ-ისა და მ. მ. ვ-ის საკუთრებად. კერძოდ, ე. მ-ის საკუთრებაშია: შენობა-ნაგებობები (გარდა შენობა-ნაგებობებისა ფართით – 40.50 კვ.მ, ფართით – 46.37 კვ.მ, ფართით 37.07 კვ.მ და ფართით – 46.1 კვ.მ) და სხვენის ნაწილი შენობა №2-ში – 43.40 კვ.მ. მიუხედავად აღნიშნულისა, არაერთი მიმართვის საპასუხოდ, უფლებასაღიარებელი მიწის ნაკვეთის ფლობისა და მისით სარგებლობის ფაქტის დაუდასტურებლობის მოტივით, საკუთრების უფლების აღიარების კომისიამ ყველა შემთხვევაში უარი უთხრა მოსარჩელეს საკუთრების უფლების აღიარებაზე.

საქმის მასალებით ასევე დადგენილია, რომ 2018 წლის 19 თებერვალს ე. მ-იმა კვლავ მიმართა განცხადებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან არსებულ თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიას და ქალაქ თბილისში, ... №...-ში მდებარე საკუთრებაში არსებული 185 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს.კ. №...) მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე (საერთო ფართობი

– 108 კვ.მ.) საკუთრების უფლების აღიარება მოითხოვა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2018 წლის 21 მაისის №660 ოქმის მე-13 საკითხით, ე. მ-ის უარი ეთქვა მოთხოვნილ მიწის ნაკვეთზე (ქ. თბილისი, ...ის შესახვ. №...-ის მიმდებარედ) საკუთრების უფლების აღიარებაზე, ვინაიდან ნარმოდგენილი დოკუმენტაციით და აეროფოტოგადაღებების საფუძველზე დადგინდა, რომ მოთხოვნილი მიწის ნაკვეთი მოქცეული იყო ისტორიული განაშენიანების სახელმწიფო დაცვის ზონაში (ისტ-1). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2018 წლის 13 აგვისტოს №1131 განკარგულებით ე. მ-ის უარი ეთქვა მიწის ნაკვეთზე (ქ. თბილისი, შესახვევი ...ი, №..., საერთო ფართობი – 185 კვ.მ) საკუთრების უფლების აღიარებაზე.

შესაბამისად, საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ უკანასკნელ შემთხვევაში, მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას აღიარების კომისიამ საფუძვლად დაუდო ის გარემოება, რომ უფლება-ასაღიარებელი მიწის ნაკვეთი მოქცეული იყო დაცვით ზონაში, ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ კანონმდებლობა კრძალავდა ასეთ ზონაში არსებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარებას, კომისია მოკლებული იყო შესაძლებლობას, დაექმაყოფილებინა მოსარჩელის მოთხოვნა.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს საქმეში წარმოდგენილ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის 2019 წლის 26 ივნისის №20191775 წერილზე, რომლის თანახმად, განმცხადებელს – ე. მ-ის 2019 წლის 23 აპრილის №01191134031-67 განცხადებასთან დაკავშირებით, უცნობა, რომ მის დაინტერესებაში არსებულ არეალზე (ს.კ. №...-ის მიმდებარედ) „დედაქალაქის მიწასარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწასარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის – რუკის მიხედვით, ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3).

ამავე წერილში აღნიშნულია, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების თანახმად, საცხოვრებელ ზონა 3-ში (სზ-3) განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს შერეული ტიპის საცხოვრებელი სახ-

ლები. დასაშვებია ამ წესების დანართი 1-ით განსაზღვრული ძირი-თადი და სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით დაშვებული სა-ხეობები.

წერილში ასევე მიეთითა „კულტურული მემკვიდრეობის შესა-ხებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლზე (ისტორიული განაშენი-ანების დაცვის ზონისა და რეჟიმის დადგენა), რომლის თანახმად, ისტორიული განაშენიანების დაცვის ზონად განისაზღვრება ტე-რიტორია, სადაც გამოვლენილია ძეგლებისა და კულტურული მემ-კვიდრეობის სხვა უძრავი ობიექტების დიდი კონცენტრაცია, ავ-თენტიკური სახით შენარჩუნებულია ქუჩათა ქსელი, განაშენიანე-ბა, გეგმარებითი სტრუქტურა და მორფოლოგია. ისტორიული გა-ნაშენიანების დაცვის ზონაში მშენებლობა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ: а) სამშენებლო ობიექტი ენაცვლება მწვავე ავარიულ მდგომარეობაში მყოფ, ისტორიულ და მხატვრულ ღირე-ბულებას მოკლებულ შენობას, ნაგებობას ან საინჟინრო-საკომუ-ნიკაციო ქსელს; ბ) სამშენებლო საქმიანობამ უნდა გააუმჯობესოს დეგრადირებული ურბანული ქსოვილი (შეაგსოს ისტორიულ განა-შენიანებაში ნგრევის შედეგად გაჩენილი სიცარიელები, შეცვა-ლოს ღირებულ შენობებს შორის მოქცეული არალირებული ნაგე-ბობები, გათავაზისუფლოს სივრცე ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოში დისონანსის შემტანი ნაგებობებისაგან, თავდაპირველი სახით აღადგინოს მისი ისტორიული გარემო და სხვა).

ზემოაღნიშნულ ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით, სა-კასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სადავო ადმინისტრაციულ-სა-მართლებრივი აქტის გამოცემისას საკუთრების უფლების აღიარე-ბის კომისიას მხედვებლობაში არ მიუღია ის გარემოება, რომ უფ-ლებასასალარებელ მინაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3) და გარკვეული შეზღუდვებით, დასაშვებია მისი სამშენებლოდ გამოყენებაც. ადმინისტრაციულ ორგანოს ასევე არ გაუთვალის-წინებია საქმეზე წარმოდგენილი არაერთი მტკიცებულებით და-დასტურებული ის ფაქტი, რომ ე. მ-ი სადავო მინის ნაკვეთს 1970-იანი წლებიდან ფლობს და წლების განმავლობაში საკუთარი შეხე-დულებისამებრ იყენებს მას. ამასთან, მოპასუხეს არ უმსჯელია იმის თაობაზე, რომ ე. მ-ის სადავო მინის ნაკვეთზე აღმართული აქვს შენობა-ნაგებობა, რომელიც შესაძლოა, ასევე წარმოადგენ-დეს ისტორიული განაშენიანების ნაწილს. ამდენად, საკასაციო სა-სამართლო მიიჩნევს, რომ სადავო განკარგულების გამოცემის მიზ-ნით გამართული ადმინისტრაციული წარმოების მიმდინარეობისას საკუთრების უფლების აღიარების კომისიას მხედველობაში არ მი-უღია მთელი რიგი ფაქტობრივი გარემოებები, რომელსაც შესაძ-ლოა გავლენა მოეხდინა სადავო საკითხის გადაწყვეტაზე და შეექ-

მნა მოსარჩელის სასარგებლო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის წინაპირობები.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო და კერძო ინტერესთა პროპორციულობის დაცვას უზდა დაეფუძნოს. დაუშვებელია, ადმინისტრაციული ორგანო, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სათანადო არგუმენტაციის გარეშე დაუსაბუთებელ უპირატესობას ანიჭებდეს რომელიმე მათგანს. განსახილველ შემთხვევაში, სადავო განკარგულების გამოცემისას ადმინისტრაციულ ორგანოს არ უმსჯელია საჯარო და კერძო ინტერესების ურთიერთმიმართების საკითხზე. კერძოდ, მართალია, სადავო მინა მოქცეულია ისტორიული განაშენიანების სახელმწიფო დაცვის ზონაში (ისტ-1), თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, პარალელურად მასზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3) და გარკვეული შეზღუდვებით დასაშვებია, მისი სამშენებლოდ განვითარებაც. აღნიშნული ადასტურებს უფლებაასალიარებელ მიწაზე საჯარო და კერძო ინტერესების თანაარსებობას, რაც საჭიროებს ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ხელახალი ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ხსენებულ ინტერესთა ურთიერთშეპირისპირებასა და ურთიერთდაბალანსებას. არსებოთია, ამგვარი შესაძლებლობის პირობებში, ადმინისტრაციულმა ორგანომ იმსჯელოს და იზრუნოს საჯარო და კერძო ინტერესთა ერთობლივ შენარჩუნებაზე, მისათვის, რათა დაცულ იქნეს, ერთი მხრივ, საჯარო ინტერესი, ხოლო მეორე მხრივ, გათვალისწინებულ იქნეს ე. მ-ის კერძო ინტერესი, რომელიც ათწლეულების განმავლობაში არის დაუფლებული სადავო მინის ნაკვეთს.

ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას ადმინისტრაციულმა ორგანომ ასევე მხედველობაში უზდა მიიღოს კასატორის მითითება, რომ სადავო მინის ნაკვეთისაგან დაახლოებით 30 მეტრში, კერძოდ, ქ. თბილისში, ...ის ქ. №...-ის მიმდებარედ, მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები, რაც ადასტურებს სადავო მინის მიმდებარე ტერიტორიის კერძო ინტერესებით გამოყენების შესაძლებლობას. ყოველივე აღნიშნული კი ცხადს ხდის ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან სადავო საკითხის არასრულყოფილ გამოკვლევას და ზემოხსენებული გარემოებების ახალი ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში გათვალისწინების აუცილებლობას.

ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას ადმინისტრაციულ ორგანოს მხედველობიდან გამორჩა ის ფაქტი, რომ ე. მ-ის მიერ უფლებააღიარებას მოთხოვნილი მინის ნაკვეთის მიმდებარებლობას.

რედ არსებულ თვითნებურად დაკავებულ მიწებზე ყველა თვითნებურად დამკავებელ პირს უღიარდა საკუთრების უფლება. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან მოსარჩელისადმი ამგვარმა მიღებომამ შესაძლოა ე. მ-ის გაუჩინოს განსხვავებული მოპყრობის განცდა, რის თავიდან ასარიდებლადც არსებითია, ადმინისტრაციული ორგანო გულისხმიერ დამოკიდებულებას იჩენდეს დაინტერესებული პირების მიმართ და საკითხთან დაკავშირებით მიღებულ ნებისმიერ გადაწყვეტილებას სათანადო ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძვლებით ასაბუთებდეს. ამდენად, ხელახალი ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, საკუთრების უფლების აღიარების კომისიამ მხედველობაში უნდა მიიღოს სადაც მინის მიმდებარედ არსებულ მინის ნაკვეთებზე სხვა პირთათვის საკუთრების უფლების აღიარების შემთხვევებიც.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, იგი უფლებამოსილია სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს, ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი. სასამართლო ამ გადაწყვეტილებას იღებს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისათვის არსებობს მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი.

ზემოთ განვითარებული მსჯელობის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ე. მ-ის მოთხოვნასთან მიმართებით, არსებობს ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ხელახალი ადმინისტრაციული წარმოების გამართვის, ასევე, გადაწყვეტილებაში მითითებული ზემოხსენებული ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევისა და მხედველობაში მიღების საჭიროება, რაც ამ ეტაპზე წარმოშობს სადაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნობისა და მოპასუხისათვის ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების აუცილებლობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ე. მ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის საპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 26 დეკემბრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება,

რომლითაც ე. მ-ის სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, კერძოდ, სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად უნდა იქნეს ცნობილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული თვითნებურად დაკავებულ მინაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2018 წლის 13 აგვისტოს №1131 განკარგულება და მოპასუხეს – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან არსებულ თვითნებურად დაკავებულ მინაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიას დაევალოს კანონით დადგენილ ვადაში, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემული იყო საქმის გარემოებების სათანადო გამოკვლევის გარეშე, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია აანაზღაუროს პირულის ხარჯები მის სასარგებლოდ გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაშიც.

ამდენად, ზემოაღნიშნული სამართლებრივი საფუძვლის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოპასუხეს – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან არსებულ თვითნებურად დაკავებულ მინაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიას ე. მ-ის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს მოსარჩელის მიერ საქალაქო, საპელაციო და საკასაციო სასამართლებში საქმის განხილვისათვის გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 550 (100+150+300) ლარის ანაზღაურება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, მე-10 მუხლის მე-2 ნაწილით, 32 მუხლის მე-4 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ნ დ ა ს ტ ა:**

1. ე. მ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 26 დეკემბრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ე. მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

4. სადაცო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნეს ცნობილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2018 წლის 13 აგვისტოს №1131 განკარგულება და მოპასუხეს – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან არსებულ თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიას დაევალოს კანონით დადგენილ ვადაში, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა;

5. მოპასუხეს – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან არსებულ თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიას მოსარჩევის – ე. მ-ის სასარგებლოდ დაეკისროს მის მიერ საქალაქო, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში საქმის განხილვისათვის გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 550 (100+150+300) ლარის ანაზღაურება;

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## მინის თავმისამართის საკუთრების უფლების აღიარების პროცესის მონაცილე სუბიექტები

### გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ბს-190(კ-21)

17 თებერვალი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
გ. აპუსერიძე,  
ბ. სტურუა

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა

#### აღწერილობითი ნაწილი:

2019 წლის 25 თებერვალს ი. გ-ემ სასარჩევო განცხადებით მიმართა ახალციხის რაიონულ სასამართლოს მოპასუხის – ბორჯო-

მის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და სსიპ ალსრულების ეროვნული ბიუროს მიმართ.

მოსარჩელის მითითებით, იგი ცხოვრობდა ქ. ბორჯომში, ... -ის ქ. №29-ში ორ შვილთან და მეუღლესთან ერთად. მეუღლის გარდაცვალებისა და სასწავლებლის დახურვის შედეგად შვილთან – მ. ბ-სთან ერთად გაემგზავრა და იქდან ეხმარებოდა თავის მეორე შვილს – ზ. გ-ეს და მის ოჯახს. მოსარჩელე აღნიშნავს, რომ იგი მინას ფლობდა მხოლოდ დროებით სარგებლობის უფლებით და როგორც კი შესაძლებლობა მიეცა, მან აიყვანა ადვოკატი – ნ. გ-ე, რომლის მეშვეობითაც მოახდინა მიწის ნაკვეთის დაკანონება, რის სანაცვლოდაც გადასახდელი იყო 914.35 ლარი. აღნიშნული თანხა მოსარჩელემ გაუგზავნა ადვოკატს, რომელმაც თანხა გადაიხადა და თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი დამატებით ნარუდგინა კომისიას საკუთრების მოწმობის მიღების მიზნით.

მოსარჩელის განმარტებით, საკანონმდებლო ცვლილებების გამო უფლებამონაცვლე კომისიამ ერთხელ უკვე განხილულ საკითხზე 2015 წლის 13 ივნისს გასცა №... საკუთრების უფლების მოწმობა, რომელშიც მესაკუთრედ ნაცვლად ი. გ-სა, შეცდომით მითითებულ იქნა ზ. გ-ე. შედეგად, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომაც შეცდომით დაარეგისტრირა ქონება.

მოსარჩელე ასევე აღნიშნავს, რომ ზ. გ-ემ ზ. ჭ-სგან აიღო სესხი, რომლის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთა მოსარჩელის კუთვნილი ქონება მისი თანხმობის გარეშე. 2019 წლის 31 იანვარს მოსარჩელე ჩამოვიდა საქართველოში და აღმოაჩინა, რომ მისი შვილი ზ. გ-ე იყო დაპატიმრებული. ამასთან, დაწყებული იყო სააღსრულებო წარმოება, რომლითაც ზ. გ-ე უნდა გამოსახლებულიყო მოსარჩელის უძრავი ქონებიდან, რომელიც წარმოადგენს მის ერთადერთ საცხოვრებელს და რომელიც მოსარჩელის ნების სანინა-აღმდეგოდ გავიდა მისი საკუთრებიდან.

ამდენად, მოსარჩელემ ზ. გ-ის ნაწილში ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2015 წლის 7 ივნისის №5 ოქმის, ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2015 წლის 13 ივნისს ს.კ. .... უძრავ ქონებაზე დამოწმებული და ზ. გ-ის სახელზე გაცემული №... საკუთრების მოწმობისა და ს.კ. .... უძრავ ქონებაზე სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ ზ. ჭ-ს სახელზე 2017 წლის 14 აგვისტოს გაცემული იძულებითი აუქციონის შესახებ №... განკარგულე-

ბის ბათილად ცნობა მოითხოვა.

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 26 მარტის გან-ჩინებით საქმეში მესამე პირებად ჩაებინებ ზ. გ-ე და ზ. ჭ-ე.

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 25 სექტემბრის სასამართლო სხდომაზე დაზუსტდა მოპასუხე მხარე და მოპასუ-ხედ განისაზღვრა ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის ფიზიკუ-რი და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მინის ნაკვეთებზე საკუთრების უფლე-ბის აღიარების კომისია.

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილებით ი. გ-ს სარჩევლი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2006 წლის 22 დეკემ-ბერს ზ. გ-ის სახელზე გაიცა სამკვიდრო მოწმობა პ. ბ-ის სამკვიდ-რო ქონებაზე – 938 კვ.მ მინის ნაკვეთსა და მასზე მდებარე შენო-ბა-ნაგებობაზე, მდებარე ქ. ბორჯომი, ...ის ქ. №29.

სასამართლომ ასევე დადგენილ ფაქტობრივ გარემობად მიიჩ-ნია, რომ 2010 წლის 26 აპრილს ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკ-რებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მინის ნაკვეთებზე სა-კუთრების უფლების აღიარების კომისიას განცხადებით მიმართა ზ. გ-ის წარმომადგენელმა – 6. გ-მ და ითხოვა ქ. ბორჯომში, ...ის ქ. №29-ში მდებარე, ზ. გ-ის მიერ მემკვიდრეობით მიღებული უძრავი ქონების მიმდებარედ უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშე არსებულ 321 კვ.მ მინის ნაკვეთსა და მასზე მდებარე შე-ნობა-ნაგებობაზე ზ. გ-ის საკუთრების უფლების აღიარება. 2010 წლის 15 ივნისს ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფი-ზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელო-ბაში (სარგებლობაში) არსებულ მინის ნაკვეთებზე საკუთრების უფ-ლების აღიარების კომისიამ ზ. გ-ის განცხადებასთან დაკავშირე-ბით დამატებით მოითხოვა ზ. გ-ის დედის – ი. გ-ის ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, რაც წარდგენილ იქნა.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფიზიკური და კერ-ძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლო-ბაში) არსებულ მინის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარე-ბის კომისიის 2011 წლის 31 მაისის №136 ოქმის საფუძველზე, დად-გენილად იქნა მიჩნეული, რომ ზ. და ი. გ-ების წარმომადგენლის – 6. გ-ის განცხადების საფუძველზე მოხდა საკუთრების უფლების აღიარება 146.48 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მი-ნის ნაკვეთზე მასზე მდგარი შენობა-ნაგებობით, მდებარე: ქ. ბორ-ჯომი, ...ის ქ. №29. კომისიის გადაწყვეტილებით ასევე განისაზღვრა, რომ მინის ნაკვეთზე გადასახდელი იყო თანხა, ჯამში 914.35 ლა-

რის ოდენობით, თანხის გადახდის ქვითრის წარდგენის შემდგომ კი მოხდებოდა საკუთრების უფლების მოწმობის გაცემა ი. გ-ის სახელზე. 2011 წლის 6 ივნისს აღიარების კომისიის თავმჯდომარებ წერილით მიმართა ი. და ზ. გ-ეების წარმომადგენელს – ნ. გ-ეს და აცნობა, რომ საკუთრების მოწმობის მისაღებად საჭირო იყო აღიარების საფასურის გადახდა 914.35 ლარის ოდენობით, ხოლო ქვითრის წარდგენის შემდეგ, კომისია სამი დღის შემდეგ მიიღებდა გადაწყვეტილებას. 2011 წლის 12 ოქტომბერს ზ. და ი. გ-ეების წარმომადგენლის მიერ გადახდილ იქნა საკუთრების უფლების აღიარების საფასური.

სასამართლომ დადგენილ გარემოებად მიიჩნია, რომ 2015 წლის 22 ივნისს ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკურებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის წაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიას განცხადებით მიმართა ზ. გ-ემ, წარადგინა გასწორებული ნახაზი და ითხოვა განცხადების ხელმეორედ განხილვა კომისიაზე, ვინაიდან ვერ მოახერხა საკუთრების მოწმობის დროულად გატანა. ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკურებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის წაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2015 წლის 7 ივლისის №5 ოქმით აღიარებულ იქნა განმცხადებლის საკუთრების უფლება 146.48 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის წაკვეთზე მდგომი შენობა-ნაგებობით, მდებარე ქ. ბორჯომი, ...ის ქ. №... რაზეც გადახდილ იქნა შესაბამისი საფასური. შესაბამისად, კომისიამ გადაწყვიტა ზ. გ-ის სახელზე საკუთრების უფლების მოწმობის გაცემა. შედეგად, 2015 წლის 13 ივლისს ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკურებულომ ზ. გ-ის სახელზე გასცა №... საკუთრების უფლების მოწმობა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 146.48 კვ.მ მიწის წაკვეთზე, მდებარე ქ. ბორჯომი, ...ის ქ. №29. 2015 წლის 27 ივლისს ქ. ბორჯომში, ...ის ქ. №29-ში მდებარე უძრავი ქონება (ფართით 146 კვ.მ, ს.კ. ...) აღირიცხა ზ. გ-ის საკუთრებად.

სასამართლომ 2016 წლის 7 სექტემბრის №... სესხის და იპოთეკის ხელშეკრულების საფუძველზე დადგენილად მიიჩნია, რომ ზ. გ-ემ ზ. ჭ-სგან ისესხა 12330 აშშ დოლარი ერთი წლის ვადით, 2017 წლის 8 სექტემბრამდე. სესხის დაბრუნების უზრუნველსაყოფად ზ. გ-ემ იპოთეკით დატვირთა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, ს.კ. ..., მდებარე ქ. ბორჯომი, ...ის ქ. №29. აღნიშნული ხელ-

შეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, 2017 წლის 3 თებერვალს ნოტარიუს ე. ჯ-ის მიერ გაიცა სააღსრულებო ფურცელი, ზ. გ-ის საკუთო ქონების რეალიზაციის თაობაზე. მითითებული სააღსრულებო ფურცლის თანახმად, აღსასრულებელი ვალდებულების მოცულობამ შეადგინა: სესხის ძირითადი თანხა – 12 330 აშშ დოლარი და ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, სესხის სარგებელი (3 თვის) – 1194 აშშ დოლარი, პირგასამტებლო – 2017 წლის 3 თებერვლიდან აღსრულებამდე ძირითადი თანხის 0.1%, ასევე სააღსრულებო ფურცლის გაცემის ხარჯი – 124.36 ლარი.

სასამართლომ ასევე დადგენილად მიჩნია, რომ სააღსრულებო ფურცლის აღსრულების მიზნით სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლის მიერ ზ. გ-ეს გაეგზავნა 2017 წლის 9 თებერვლის №... წინადადება გადაწყვეტილების შესახებ, რომლის თანახმად, მას ეცნობა, რომ 7 (შვიდი) დღის ვადაში უნდა გადაეხადა სააღსრულებო ფურცლით გათვალისწინებული თანხა. ამავე აქტით მას განემარტა, რომ ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში განხორციელდებოდა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული იძულებითი მოქმედებები, დაყადაღდებოდა და შეფასდებოდა აღსრულების საგანი, ქონებაზე ყადაღის დადგებიდან ერთი თვის ვადაში კი ჩატარდებოდა პირველი იძულებითი აუქციონი ელექტრონული წესით. 2017 წლის 9 თებერვლის №... წინადადება გადაწყვეტილების შესრულების შესახებ ზ. გ-ეს 2017 წლის 13 თებერვალს პირადად ჩაბარდა.

2017 წლის 14 მარტის სამცხე-ჯავახეთის სააღსრულებლო ბიუროს №... წერილით შეფასების სამსახურს ეთხოვა ზ. გ-ის კუთვნილი უძრავი ქონების შეფასება, მდებარე ქ. ბორჯომი, ...ის ქ. №29, დაზუსტებული ფართობი 146.00 კვ.მ, მასზე მდგომი შენობა-ნაგებობით, ს.კ. .... სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს შეფასების სამსახურის მიერ 2017 წლის 22 მაისის დასკვნით ზ. გ-ის კუთვნილი უძრავი ქონება (მდებარე ქ. ბორჯომი, ...ის ქ. №29, ს.კ. ...) შეფასებულ იქნა 40000 აშშ დოლარად. 2017 წლის 4 ივნისს აღმასრულებელ გ.მ-ის მიერ შედგენილ იქნა უძრავი ქონების აღნერისა და დაყადაღების შესახებ აქტი. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს 2017 წლის 14 აგვისტოს №... განკარგულების თანახმად, 2017 წლის 9 აგვისტოს გამართულ იძულებით საჯარო აუქციონზე ზ. გ-ის კუთვნილი უძრავი ქონების (მდებარე ქ. ბორჯომი, ...ის ქ. №29, ს.კ. ...) შემძენი გახდა ზ. ჭ. რომელმაც უძრავი ნივთი შეიძინა 4850 ლარად და თანხა გადაიხადა სრულად.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, კომისიას საკუთრების უფლების აღიარების მოთხოვნით მიმართა ზ. გ-ემ. კომისიამ მართალია ადმინისტრაციული წარმოებისას მოითხოვა ი. გ-ის მინდობილობა, თუმცა უშუალოდ ი. გ-ეს კომისიისათვის საკუთრების უფლების აღიარების მოთხოვნით არ მიუმართავს, ხოლო ზ. გ-ის განცხადება არ შეიცავდა მითითებას მიწის ნაკვეთის ი. გ-ესთან ერთობლივად თვითნებურად დაკავების თაობაზე და ამაზე მსჯელობას არ შეიცავდა არც აღიარების კომისიის შესაბამისი ოქმი. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ ამ უკანასკნელ შემთხვევაშიც კი ხსენებული გარემოება შესაძლებელია გამხდარიყო ზ. და ი. გ-ების საერთო საკუთრების უფლების აღიარების საფუძველი. ამის მიუხედავად, კომისიის 2011 წლის გადაწყვეტილებაში აღნიშნულია ი. გ-ის საკუთრების უფლების აღიარების თაობაზე. ამასთან, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მიუხედავად იმისა, რომ გადახდილ იქნა აღიარების საფასური, ი. გ-ის სახელზე საკუთრების მოწმობა გაცემული არ ყოფილა.

სასამართლოს მითითებით, 2015 წლის 22 ივნისს ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკურებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიას განცხადებით მიმართა ზ. გ-ემ, წარადგინა გასწორებული ნახაზი და ითხოვა საკითხის ხელმეორედ განხილვა, ვინაიდან ვერ მოახერხა საკუთრების მოწმობის დროულად გატანა, რაზეც ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკურებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2015 წლის 7 ივლისს გამართულ სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ზ. გ-ის სახელზე საკუთრების მოწმობის გაცემის თაობაზე, ვინაიდან კომისიის 2011 წლის 31 მაისის №... ოქმით აღირებულ იქნა ზ. გ-ის საკუთრების უფლება 146.48 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, მდებარე ქ. ბორჯომი, ...ს ქ. №29 და მის მიერ გადახდილ იქნა შესაბამისი საფასური. სასამართლომ მიიჩნია, რომ კომისიის მიერ შესწავლილი და გამოკვლეული იქნა მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების საკითხი, რის საფუძველზეც დადგინდა, რომ დაინტერესებული პირის – ზ. გ-ის მოთხოვნა საკუთრების უფლების მოწმობის გაცემის შესახებ (წარდგენილი დოკუმენტაცია) აკმაყოფილებდა „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით განსაზღვრულ პირობებს. შესაბამი-

სად, სასამართლომ მიიჩნია, რომ საკუთრების აღიარების საფასურის გადახდის შემდგომ კომისიამ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად მიიღო გადაწყვეტილება საკუთრების მოწმობის ზ. გ-ის სახელზე გაცემის შესახებ.

აღსრულების ეროვნული ბიუროს სადავო განკარგულებასთან დაკავშირებით, სასამართლომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონსა და იძულებითი აუქციონის ჩატარების ფორმების, წესისა და პროცედურების დამტკიცების შესახებ საქართველოს ოუსტიციის მინისტრის 2011 წლის 31 იანვრის №..., ბრძანებაზე მითითებით არ გაიზარა მოსარჩელის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ აუქციონზე მისი ქონება ისე იქნა გასხვისებული, რომ მას არ აცნობეს აღნიშნულის თაობაზე სასამართლომ აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით, აუქციონზე გატანილი და რეალიზებული ქონება წარმოადგენდა არა მოსარჩელის, არამედ ზ. გ-ის საკუთრებას. შესაბამისად, სააღსრულებო ბიუროს არ ჰქონდა ვალდებულება ზ. გ-ის გარდა კიდევ ვინმესთვის ეცნობებინა სააღსრულებო წარმოების თაობაზე. რაც შეეხება მოვალე ზ. გ-ეს, სასამართლოს მოსაზრებით, მის მიმართ აღმასრულებლის და შემდეგ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ ზედმიწევნით სწორად იქნა განხორციელებული სააღსრულებო ფურცლის აღსრულებისათვის საჭირო პროცედურები და მას ჰქონდა შესაძლებლობა, კანონით დადგენილი საშუალებებით გაცნობოდა აღსრულებასთან დაკავშირებით მომავალში განსახორციელებელ ცალკეულ ქმედებას და ვებ. გვერდის საშუალებით მიეღო ინფორმაცია აუქციონის მიმდინარეობის შესახებ. ამდენად, ახალციხის რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ აუქციონის მომზადებისა თუ ჩატარებისას სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონისა და შესაბამისი წესის რაიმე ნორმა არ დარღვეულა და აუქციონი ჩატარდა ხსნებულ ნორმათა დაცვით.

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ი. გ-ემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაქმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილებით ი. გ-ის სააპელაციო საჩივრარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა ახალციხის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ი. გ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობა-

ში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2015 წლის 7 ივლისის №5 ოქმი ზ. გ-ის ნაწილში, ასევე ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების 21 კომისიის 2015 წლის 13 ივლისს დამოწმებული და ზ. გ-ის სახელზე გაცემული საკუთრების მოწმობა №... (უძრავ ქონებაზე ს.კ. ...); სარჩელი აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ, ზ. ჭ-ს სახელზე 2017 წლის 14 აგვისტოს გაცემული იძულებითი აუქციონის შესახებ № ..., განკარგულების (უძრავ ქონებაზე ს.კ. ...) ბათილად ცნობის თაობაზე, არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასა-სამართლოს მსჯელობა და შედეგი აღიარების კომისიის მიმართ არსებულ სასარჩელო მოთხოვნებთან დაკავშირებით და აღნიშნულ ნაწილში გადაწყვეტილება საკითხის სხავაგვარად გადაწყვეტის შედეგად მიიღო.

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2011 წლის 31 მაისის №136 ოქმით, კომისიაშ შეისწავლა ზ. და ი. გ-ების ნარმომადგენლის – ნ. გ-ის მიერ წარდგენილი საბუთები, ასევე ადგილზე დამატებით მოახდინა მიწის ნაკვეთის დათვალიერება, მოახდინა საკუთრების უფლების აღიარება 146.48 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განაშენიანებულ საცხოვრებელ სახლზე და დაადგინა საკუთრების აღიარების თანხის – 1 კვ.მ-ზე 6.24 ლარის ოდენობით, სულ 914.35 ლარის გადახდა.

სააპელაციო პალატამ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ აღიარების კომისიის თავმჯდომარის 2011 წლის 6 ივნისს №28 წერილით ზ. გ-ისა და ი. გ-საის ნარმომადგენელს ეცნობა საკუთრების აღიარების საფასურის გადახდის ანგარიში, გადასახდელი თანხის ოდენობა და განემარტა, რომ ქვითორის წარდგენის შემდეგ, კომისია სამი დღის განმავლობაში მიიღებდა გადაწყვეტილებას. სალაროს შემოსავლის ორდერით (№...) დადგენილ იქნა, რომ ნარმომადგენლის მიერ 2011 წლის 12 ოქტომბერს გადახდილია საკუთრების აღიარების საფასური – 914.35 ლარი.

სააპელაციო სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ 2015 წლის 22 ივნისს ზ. გ-ემ განცხადებით მიმართა მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიას, ნარადგინა გასწორებული ნახაზი და განმარტა, რომ კომისიის სახელზე წარდგენილი ჰქონდა განცხადება მიწის ნაკვეთისა და მასზე მდგომი საც-

ხოვრებელი სახლის დაკანონებაზე, რაზეც მიღებული იყო დადებითი გადაწყვეტილება. მან ასევე მიუთითა, რომ ოჯახური პირობების გამო ვერ მოხერხდა მოწმობის დროულად გატანა და კომისიაზე საკითხის ხელმეორედ განხილვა მოითხოვა. ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მინის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2015 წლის 7 ივლისის №5 ოქმის შესაბამისად, სააპელაციო პალატის დადგენილად მიიჩნია, რომ 2015 წლის 27 მაისის კომისიის სხდომაზე განხილულ იქნა დღის წესრიგით გათვალისწინებული განცხადებები, მათ შორის, ზ. გ-ის (ქ. ბორჯომი, ...ის ქ. №29) განცხადება. სააპელაციო პალატის შეფასებით, ოქმში ცალსახად იყო მითითებული, რომ ზ. გ-ე ითხოვდა საკუთრების უფლების მოწმობის გაცემას. შედეგად, კომისიის 2015 წლის 7 ივლისის №., ოქმით გაიცა საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობის ზ. გ-ზე, ქ. ბორჯომში, ...ის ქ. №29-ში მდებარე 146.48 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის ნაკვეთზე მასზე მდგომი 146.48 კვ.მ შენობა-ნაგებობით და აღნიშნულის შემდეგ, ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2015 წლის 13 ივლისს ზ. გ-ის სახელზე გაიცა №... საკუთრების უფლების მოწმობა.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ იმ გარემოებს გათვალისწინებით, რომ 2010 წლის 26 აპრილს აღიარების მოთხოვნით წარდგენილი განცხადების ავტორებს წარმოადგენდნენ ზ. გ-ე და ი. გ-ე, შესაძლებელი იყო ბუნდოვნად ყოფილიყო მიჩნეული განცხადების ავტორი, თუმცა ყურადსალებ გარემოებას წარმოადგენდა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებულ აქტში გაკეთებული ჩანაწერი, სადაც ცალსახად მითითებულ იქნა შემდეგი – თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარდგენის შემდგომ მოხდეს საკუთრების უფლების მოწმობის გაცემა ი. გ-ზე ქ. ბორჯომში, ...ის ქ. №29-ში მდებარე 146.48 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო მინის ნაკვეთსა და მასზე მდგომ შენობა-ნაგებობაზე, ფართობით 228.3 კვ.მ. ამდენად, „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მინის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის 51 მუხლის ჩანაწერზე მითითებით, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საფასურის გადახდის წერილობითა შეტყობინების წარდგენის შემდგომ, კომისია გასცემს საკუთრების უფლების მოწმობას და დამოწმებულ საკადასტრო აზომვით ნახაზს. განსახილველ შემთხვევაში კი, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ კომისია ისე დაეყრდნო ზ. გ-ის განცხადებას, წარდგენილ საფასურის გადახდის ქვითარს და ისე გასცა საკუთრების უფლების მოწმობა ზ. გ-ის

სახელზე, რომ არ დაუდგენია, იყო თუ არა ნამსჯელი და მიღებული გადაწყვეტილება აღიარების კომისიის მიერ ზ. გ-ის სასარგებლოდ.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმის განხილვის ეტაპზე, ვერც პირველი ინსტანციის სასამართლოში და ვერც სააპელაციო სასამართლოში განხილვის დროს, აღმინისტრაციული ორგანოს მიერ ვერ დასახელდა, თუ რომელი საკანონმდებლო ნორმის და რეგულაციის საფუძველზე ჩატარდა ზ. გ-ის 2015 წლის 22 ივნისის განცხადებაზე აღმინისტრაციული წარმოება, როცა საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობის გაცემა არ საჭიროებდა ფორმალური ადმინისტრაციული წარმოების ჩატარებას, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც ქ. ბორჯომში, ...ის ქ. №29-ში მდებარე 146.48 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთსა და მასზე მდგომ შენობა-ნაგებობაზე (ფართობით 228.3 კვ.მ) აღიარების კომისიის 2011 წლის 31 მაისის №... ოქმით უკვე ნამსჯელი იყო თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითორის წარდგენის შემდგომ, ი. გ-ის სახელზე საკუთრების უფლების მოწმობის გაცემის შესახებ. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ განიხილა და გადაწყვიტა უკვე განხილული და გადაწყვეტილი საკითხი, თანაც იმგვარად, რომ პირველ შემთხვევაში (2011 წელი) საკუთრება ულიარდა ი. გ-ეს, ხოლო მეორე შემთხვევაში (2015 წელი) ზ. გ-ეს. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ზ. გ-ის მოთხოვნა რეალურად მიმართული იყო საკუთრების მოწმობის ფიზიკურად, მატერიალური ფორმით გაცემისაკენ, აღმინისტრაციულმა ორგანომ კი საკითხი განიხილა საკუთრების უფლების აღიარების თვალსაზრისით, ნაცვლად იმისა, რომ გაეცა საკუთრების მოწმობა ი. გ-ის სახელზე. მან ერთხელ გადაწყვეტილი საკითხი მეორედ, უკვე განსხვავებულად გადაწყვიტა, თანაც ი. გ-ის საზიანოდ.

აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ ზ. ჭ-ს სახელზე 2017 წლის 14 აგვისტოს გაცემული იძულებითი აუქციონის შესახებ №..., განკარგულების (უძრავ ქონებაზე ს.კ. ...) ბათოლად ცნობის თაობაზე, სააპელაციო პალატა დაეთანხმა და გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა და შედეგი და დამატებით განმარტა, რომ, ერთი მხრივ, საქმე ეხებოდა მოსარჩელის საკუთრების უფლების დაცვას, ხოლო, მეორე მხრივ, სახეზე იყო აუქციონზე გამარჯვებულად გამოვლენილი კეთილსინდისიერი შემძენი ზ. ჭ-ს სახით, რომელმაც არ იცოდა, თუ რა დაინტერესება შეიძლება ჰქონდა ნებისმიერ სხვა პირს (ი. გ-ე) მის მიერ შეძენილ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აუცილებელი იყო ინტერესთა გონივრული ბალანსის დაცვა. სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ დადგე-

ნილ გარემოებაზე, რომ სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების და-დებისას საჯარო რეესტრში უძრავი ქონების მესაკუთრედ აღრიც-ხული იყო ზ. გ-ე და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 185-და 312-ე მუხლებზე მითითებით, აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრს, როგორც უძრავ ნივთებზე უფლებათა მარეგისტრირებელ ორგანოს, გააჩნია სანდოობის მაღალი ხარისხი. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრს გააჩნია სამართლებრივი გარანტის ფუნქცია, კანონისმიერების პრეზუმუცია სწორედ საჯარო რეესტრში დარეგისტრირებული უფლების ჩანაწერის მიმართ არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ მესაკუთრეს არანაკლები ნდობა გააჩნია საჯარო რეესტრის მონაცემთა მიმართ, კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესები დაცვის ღირს უკეთეს სიკეთედ არის მიწნეული კანონმდებლის მიერ. პრეზუმუცია თავისი ბუნებით არის იურიდიული ფიქცია, ვარაუდი რეგისტრაციის სისრულის და სისწორის შესახებ, ამ ვარაუდს არ აუქმებს შემდგომში დადგენილი ფაქტი რეგისტრაციის ხარვეზის შესახებ. საჯარო რეესტრის მონაცემთა უტყუარობის პრეზუმუცია ობიექტური რეალობის სანინააღმდეგოდ დაიშვება და მას გამართლება აქვს სწორედ მესამე პირთა ინტერესების დასაცავად. ამდენად, სააპელაციო პალატამ მიიჩნა, რომ მართალია, დასტურდებოდა ი. გ-ის საკუთრების უფლების წარმოშობის (აღიარების) ფაქტი, თუმცა შექმნილი გარემოებებიდან გამომდინარე, მას სამართლებრივი თვალსაზრისით შეზღუდული ჰქონდა შესაძლებლობა – მოხედინა მისი უფლების რეალიზება სადაც უძრავ ქონებაზე. მხარე უფლებამოსილი იყო ბათილად ცნობილი აქტების გამოცემის დროსათვის არსებული ლირებულებით ადმინისტრაციული ორგანოსაგან მოეთხოვა ზიანის ანაზღაურება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილება სააჩელის დაკმაყოფილების ნანილში საკასაციო წესით გაასაჩივრა ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიზის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიამ, რომელმაც გასაჩივრებულ ნანილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სააჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორი აღნიშნავს, რომ სასამართლომ არასწორად განმარტა „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიზის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის №525 ბრძა-

ნებულებით დამტკიცებული „ფიზიკური და კერძო სამართლის იუ-  
რიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მი-  
ნის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესით“ გათვა-  
ლისნინებული ხორმები. კასატორის მითითებით, კომისიის მიერ  
შესწავლილ და გამოკვლეულ იქნა საქმისთვის არსებითი მნიშვნე-  
ლობის მქონე გარემოებები და დადგინდა, რომ დაინტერესებული  
პირის – ზ. გ-ის მოთხოვნა საკუთრების უფლების მონმობის გაცე-  
მასთან დაკავშირებით და მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტა-  
ცია შესაბამისობაში იყო ზემოხსენებულ საკანონმდებლო აქტებ-  
თან.

კასატორის განმარტებით, თბილისის სააპელაციო სასამარ-  
თლომ საეჭვოდ მიიჩნია კომისიის მიერ ზ. გ-ის 2015 წლის 22 ივნი-  
სის განცხადებაზე ადმინისტრაციული წარმოების ჩატარება. კა-  
სატორი მიუთითებს, რომ საკუთრების უფლების აღიარების შესა-  
ხებ მოთხოვნის განხილვის საფუძველია დაინტერესებული პირის  
ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ კომისიაში წერი-  
ლობითი განცხადების წარდგენა. მიწის ნაკვეთის ერთობლივად  
თვითნებურად დაკავების შემთხვევაში, განცხადება შეიძლება  
წარდგენილ იქნეს ერთ-ერთი თვითნებურად დამკავებლის მიერ.  
ასეთ შემთხვევაში, კომისია იხილავს მიწის ნაკვეთზე განმცხადებ-  
ლის და სხვა შესაბამისი პირის საერთო საკუთრების უფლების აღი-  
არების საკითხს. კომისია კი თავის ფუნქციებს ახორციელებს ფორ-  
მალური ადმინისტრაციული წარმოებით.

კასატორი აღნიშნავს, რომ მას განცხადებით მიმართა ზ. გ-ის  
წარმომადგენელმა – ნ. გ-ემ, რომელმაც ითხოვა ზ. გ-ის მიერ მემ-  
კვიდრებით მიღებული მიწის ნაკვეთის მიმდებარედ, უფლების  
დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშე თვითნებურად დაკავე-  
ბულ მიწის ნაკვეთზე ზ. გ-ის საკუთრების უფლების აღიარება. ად-  
მინისტრაციული წარმოების პროცესში კომისიამ განმცხადებელს  
მოსთხოვა წარმოედგინა დედის – ი. გ-ის ნოტარიულად დამოწმე-  
ბული მინდობილობა. 2011 წლის 31 მაისის სხდომაზე კი კომისიამ  
მიიღო გადაწყვეტილება საკუთრების უფლების აღიარების შესა-  
ხებ და საფასურის გადახდის შემდგომ საკუთრების უფლების მონ-  
მობის ი. გ-ის სახელზე გაცემის თაობაზე. 2011 წლის 6 ივნისს კო-  
მისიამ ზ. და ი. გ-ებს აცნობა, რომ საკუთრების მონმობის მისაღე-  
ბად საჭირო იყო მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარე-  
ბის საფასურის გადახდა, როს შემდგომაც კომისია მიიღებდა გა-  
დაწყვეტილებას. კასატორი აღნიშნავს, რომ კომისიას საკუთრე-  
ბის უფლების აღიარების მოთხოვნით მიმართა ზ. გ-ემ. მართალია,  
კომისიის მიერ მოთხოვნილ იქნა ი. გ-ის მინდობილობა, თუმცა უშუ-  
ალოდ ი. გ-ეს კომისიისათვის არ მიუმართავს. ზ. გ-ის განცხადება

კი არ შეიცავდა მითითებას მიწის ნაკვეთის ი. გ-ესთან ერთობლივად თვითნებურად დაკავების თაობაზე და ამაზე მსჯელობას არ შეიცავდა არც აღიარების კომისიის ოქმი. ამდენად, კასატინი თვლის, რომ შესაბამისი საფასურის გადახდის შემდგომ, კომისიამ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად მიიღო გადაწყვეტილება საკუთრების უფლების მოწმობის ზ. გ-ის სახელზე გაცემის შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 26 მარტის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამონმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 16 სექტემბრის განჩინებით ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემონმების შედეგად მიიჩნევს, რომ ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: დადგენილია, რომ 2006 წლის 22 დეკემბერს ზ. გ-ის სახელზე გაიცა სამკვიდრო მოწმობა პ. ბ-ის სამკვიდრო ქონებაზე – 938 კვ.მ მიწის ნაკვეთსა და მასზე არსებულ შენობა-ნაგებობაზე, მდებარე ქ. ბორჯომი, ...ის ქ. №29. 2010 წლის 26 აპრილს ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიისა განცხადებით მიმართა ზ. გ-ის ნარმომადგენელმა – ნ. გ-ემ და ითხოვა ზ. გ-ის მიერ მემკვიდრეობით

მიღებული ქ. ბორჯომში, ...ის ქ. №29-ში მდებარე უძრავი ქონების მიმდებარედ უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშე არსებულ 321 კვ.მ მიწის ნაკვეთსა და მასზე მდებარე შენობა-ნაგებობაზე ზ. გ-ის საკუთრების უფლების აღიარება. 2010 წლის 15 ივნისს ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფიზიკურ და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიამ ზ. გ-ის განცხადებასთან დაკავშირებით დამატებით მოითხოვა ზ. გ-ის დედის – ი. გ-ის ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, რომელიც ი. გ-ის მიერ წარდგენილ იქნა.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2011 წლის 31 მაისის №136 ოქმით დადგენილია, რომ ზ. და ი. გ-ების ნარმომადგენლის – ნ. გ-ის განცხადების საფუძველზე მოხდა საკუთრების უფლების აღიარება 146.48 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე მასზე მდგარი შენობა-ნაგებობით, მდებარე: ქ. ბორჯომი, ...ის ქ. №29. კომისიის გადაწყვეტილებით ასევე განისაზღვრა, რომ მიწის ნაკვეთზე გადასახდელი იყო თანხა, ჯამში – 914.35 ლარი, თანხის გადახდის ქვითრის ნარდგენის შემდგომ კი მოხდებოდა საკუთრების უფლების მოწმობის გაცემა ი. გ-ის სახელზე. 2011 წლის 6 ივნისს აღიარების კომისიის თავმჯდომარემ წერილით მიმართა ი. და ზ. გ-ების ნარმომადგენლს – ნ. გ-ეს და აცნობა, რომ საკუთრების მოწმობის მისაღებად საჭირო იყო აღიარების საფასურის გადახდა 914.35 ლარის ოდენობით, ხოლო ქვითრის ნარდგენის შემდეგ კომისია სამი დღის შემდეგ მიიღებდა გადაწყვეტილებას ი. გ-ის მიმართ საკუთრების უფლების მომზრის გაცემის თაობაზე. 2011 წლის 12 ოქტომბერს ზ. და ი. გ-ების ნარმომადგენლის მიერ გადახდილ იქნა საკუთრების უფლების აღიარების საფასური.

საქმის მასალებით ასევე დადგენილია, რომ 2015 წლის 22 ივნისს ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიას განცხადებით მიმართა ზ. გ-ემ, ნარადგინა გასწორებული ნახაზი და ითხოვა განცხადების ხელმეორედ განხილვა კომისიაზე, ვინაიდან ვერ მოახერხა საკუთრების მოწმობის დროულად გატანა. ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2015 წლის 7 ივლისის №5 ოქმით დადგე-

ნილია, რომ აღიარების კომისიამ განიხილა ზ. გ-ის განცხადება, რომლითაც იგი ითხოვდა საკუთრების უფლების მოწმობას და და-ადგინა, რომ კომისიის 2011 წლის 31 მაისის №... ოქმით აღიარებულ იქნა განმცხადებლის საკუთრების უფლება 146.48 კვ.მ არასასოფ-ლო-სამეურნეო დანიშნულების მინის ნაკვეთზე მასზე მდგომი შე-ნობა-ნაგებობით, მდებარე ქ. ბორჯომი, ...ის ქ. №29, რაზეც გადახ-დილ იქნა შესაბამისი საფასური. ამდენად, კომისიამ გადაწყვიტა ზ. გ-ის სახელზე საკუთრების უფლების მოწმობის გაცემა.

დადგენილია, რომ 2015 წლის 13 ივლისს ბორჯომის მუნიციპა-ლიტეტის საკრებულომ ზ. გ-ის სახელზე გასცა №... საკუთრების უფლების მოწმობა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 146.48 კვ.მ მინის ნაკვეთზე, მდებარე ქ. ბორჯომი, ...ის ქ. №29. 2015 წლის 27 ივლისს ხსენებული უძრავი ქონება აღირიცხა ზ. გ-ის საკუთრებად.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალა-ქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომ-ლის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტი-ლებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამარ-თლებრივი თვალსაზრისით. ამავე კოდექსის 384-ე მუხლის თანახ-მად, სააპელაციო ინსტანციის სასამართლო უფლებამოსილია შეც-ვალოს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მხო-ლოდ იმ ფარგლებში, რასაც მხარეები მოითხოვენ. ამავე კოდექსის 409-ე მუხლის თანახმად კი, საკასაციო სასამართლო უფლებამო-სილია შეცვალოს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მხოლოდ იმ ფარგლებში, რასაც მხარეები მოითხოვენ.

განსახილველ შემთხვევაში, წარმოდგენილი სარჩელით მოთ-ხოვნილია ზ. გ-ის ნაწილში ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრე-ბულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მინის ნაკვეთებზე სა-კუთრების უფლების აღიარების კომისიის 2015 წლის 7 ივლისის №5 ოქმის, ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგე-ბლობაში) არსებულ მინის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღი-არების კომისიის 2015 წლის 13 ივლისს ს.კ. ..., უძრავ ქონებაზე და-მოწმებული და ზ. გ-ის სახელზე გაცემული №... საკუთრების მოწ-მობისა და ს.კ. ..., უძრავ ქონებაზე ზ. ჭ-ს სახელზე 2017 წლის 14 აგვისტოს გაცემული იძულებითი აუქციონის შესახებ №..., განკარ-გულების ბათილად ცნობა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილება აღიარების

კომისიის სადაც აქტების ნაწილში გაასაჩივრა ბორჯომის მუნიციპიალიტეტის მერიის ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მინის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიამ. რაც შეეხება აღსრულების ეროვნული ბიუროს აქტებს, აღნიშნულ ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილება უფლებამოსილი მხარეების მიერ არ გაასაჩივრებულა და შესულია კანონიერ ძალაში, რის გამოც საკასაციო პალატა მოკლებულია ფაქტობრივ და პროცესუალურ-სამართლებრივ შესაძლებლობას, შეამონმის სასარჩელო მოთხოვნის ხსენებული ნაწილის საფუძვლიანობა. შესაბამისად, განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატა ნარმოდგენილი საკასაციო საჩივრის ფარგლებში იმსჯელებს მხოლოდ გასაჩივრებული, ბორჯომის მუნიციპიალიტეტის მერიის ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მინის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის სადაც პერიოდში მოქმედი რედაქციის 5<sup>1</sup> მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, თუ დაინტერესებული პირის მოთხოვნა თვითნებურად დაკავებულ მინაზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ მთლიანად ან ნაწილობრივ აკმაყოფილებს ამ კანონით განსაზღვრულ პირობებს და კომისია დადებით გადაწყვეტილებას მიიღებს, დაინტერესებულ პირს კომისია უგზავნის წერილობით შეტყობინებას საკუთრების უფლების აღიარების საფასურის შესაბამისი ოდენობისა და მისი სრულად გადახდის ვალდებულების თაობაზე. თუ დაინტერესებული პირი საკუთრების უფლების აღიარების საფასურს გადაიხდის წერილობითი შეტყობინებით დადგენილი ოდენობით, კომისია გასცემს საკუთრების უფლების მოწმობას და დამონმებულ საკადასტრო აზომვით ნახაზს, რომელზედაც სხვა საკადასტრო მონაცემებთან ერთად ასახული უნდა იყოს საკუთრებისუფლებააღიარებული მინის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობის საზღვრები და ფართობი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მინის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის სადაც პერიოდში მოქმედი რედაქციის მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტზე, რომლის შესაბამისად, თვით-

ნებურად დაკავებული მიწა არის ამ კანონის ამოქმედებამდე ფიზიკური პირის მიერ თვითნებურად დაკავებული სახელმწიფო სა-კუთრების სასოფლო ან არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომელზედაც განთავსებულია საცხოვრებელი სახ-ლი (აშენებული ან დანგრეული) ან არასაცხოვრებელი დანიშნუ-ლების შენობა (აშენებული), ასევე დაინტერესებული ფიზიკური პირის საკუთრებაში ან მართლზომიერ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავე, თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკ-ვეთი (შენობით ან მის გარეშე), რომლის ფართობიც ნაკლებია სა-კუთრებაში ან მართლზომიერ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის ფართობზე, ასევე კერძო სამართლის იურიდიული პირის საკუთრებაში ან მართლზომიერ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავე, თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთი, რომელზედაც განთავსებულია არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობა (აშენებული), რომლის ფართობიც ნაკლებია საკუთრებაში ან მართლზომიერ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის ფარ-თობზე და რომელიც საკუთრების უფლების აღიარების მოთხოვ-ნის მომენტისათვის სახელმწიფოს მიერ არ არის განკარგული, გარ-და ამ მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევები-სა. ამავე მუხლის „დ“ ქვეპუნქტი კი განსაზღვრავს, რომ საკუთრე-ბის უფლების აღარება არის ფიზიკური ან კერძო სამართლის იუ-რიდიული პირისათვის ან კანონით გათვალისწინებული სხვა ორგა-ნიზებული წარმონაქმნისათვის სახელმწიფო საკუთრების სასოფ-ლო ან არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობით (აშენებული, მშენებარე ან დანგრეული) ან მის გარეშე, ამ კანონითა და საქართველოს მთავ-რობის შესაბამისი დადგენილებით დამტკიცებული ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებ-ლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღი-არების წესით განსაზღვრული პირობებისა და პროცედურის შესა-ბამისად საკუთრებაში სასყიდლიანი ან უსასყიდლო ფორმით გა-დაცემა.

ზემოხსენებული კანონის მე-2 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბა-მისად, დაინტერესებული პირი არის ფიზიკური პირი, ასევე მისი საკარაუდო მემკვიდრე ან უფლებამონაცვლე, რომელიც მარ-თლზომიერად ფლობს (სარგებლობს) ან რომელმაც თვითნებურად დაიკავა სახელმწიფო საკუთრების სასოფლო ან არასასოფლო-სა-მეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომელზედაც განთავსე-ბულია საცხოვრებელი სახლი (აშენებული ან დანგრეული) ან არ-ასაცხოვრებელი დანიშნულების შენობა (აშენებული), ასევე კერძო სამართლის იურიდიული პირი, რომელმაც მის საკუთრებაში ან მარ-

თლზომიერ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავედ თვითნებურად დაიკავა მიწის ნაკვეთი, რომელზედაც განთავსებულია არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობა (აშენებული), აგრეთვე კერძო სამართლის იურიდიულ პირი ან კანონით გათვალისწინებული სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნი ან მისი უფლებამონაცვლე, რომელიც მართლზომიერად ფლობს (სარგებლობს) სახელმწიფო საკუთრების სასოფლო ან არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობით (აშენებულით ან დანგრეულით) ან მის გარეშე და რომელსაც ამ კანონით დადგენილი წესით სურს მასზე საკუთრების უფლების მოპოვება, ასევე ის ფიზიკური პირი ან კერძო სამართლის იურიდიული პირი ან სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნი, რომელმაც სახელმწიფო საკუთრების სასოფლო ან არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთით მოსარგებლისაგან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შეიძინა/მოიპოვა ამ მიწის ნაკვეთზე განთავსებულ შენობა-ნაგებობაზე საკუთრების უფლება.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 ივლისის №376 დადგენილებით დამტკიცებული „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების წესის“ მე-11 მუხლის მე-2 პუნქტზე, რომლის თანახმად, საკუთრების უფლების აღიარების შესახებ მოთხოვნის განხილვის საფუძველია დაინტერესებული პირის ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ წერილობითი განცხადების წარდგენა კომისიაში.

ამდენად, საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს საკუთრების უფლების აღიარების ორ ძირითად წინაპირობას – სახელმწიფო საკუთრების სასოფლო ან არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის თვითნებურად დაკავება, როდესაც აღნიშნულ ნაკვეთზე განთავსებულია საცხოვრებელი სახლი (აშენებული, მშენებარე ან დანგრეული) ან არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობა (აშენებული, მშენებარე ან დანგრეული) და დაინტერესებული ფიზიკური პირის საკუთრებაში ან მართლზომიერ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავე, თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთის აღიარება. ამასთან, საკასაციო პალატა ხაზს უსვამს, რომ თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთის შემთხვევაში, აუცილებელია აღნიშნულ მიწაზე შენობა-ნაგებობის არსებობა, მომიჯნავე მიწის ნაკვეთის აღიარების შემთხვევაში კი ასეთი აუცილებლობა კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მართალია, განსახილ-ველ შემთხვევაში ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფი-ზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელო-ბაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფ-ლების აღიარების კომისიას განცხადებით მიმართა ზ. გ-ის წარმო-მადგენელმა – ნ. გ-ემ და მოთხოვა ზ. გ-ის მიერ მემკვიდრეობით მიღებული ქ. ბორჯომში, ...ის ქ. №29-ში მდებარე უძრავი ქონების მიმდებარედ უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშე არსებულ 321 კვ.მ მიწის ნაკვეთსა და მასზე მდებარე შენობა-ნა-გებობაზე ზ. გ-ის საკუთრების უფლებს აღიარება, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საკითხის განხილვისას აღიარების კომისიამ ზ. გ-ის განცხადებასთან დაკავშირებით დამატებით მოთხოვა განმცხა-დებლის დედის – ი. გ-ის ნოტარიულად დამოწმებული მინდობი-ლობა. საქმის მასალებით დადგენილია, რომ ი. გ-ის მიერ წარდგე-ნილ იქნა როგორც ნ. გ-ძის სახელზე გაცემული მინდობილობა, ასე-ვე მისი მეზობლების – მ. ე-სა და ნ. მ-ის ნოტარიულად დამოწმებუ-ლი ხელნერილები, რომლითაც ისინი ადასტურებდნენ, რომ ი. გ-ე 1980 წლიდან ნამდვილად ფლობდა და სარგებლობდა 342 კვ.მ მი-წის ნაკვეთითა და მასზე განთავსებული 228.3 კვ.მ შენობა-ნაგე-ბობით, მდებარე ქ. ბორჯომი, ...ის ქ. №29. შედეგად, როგორც საქ-მის მასალებით იკვეთება, ადმინისტრაციულმა ორგანომ ი. გ-ე პრაქტიკულად საქმის წარმოებაში ჩააბა. აღნიშნულზე მეტყვე-ლებს როგორც კომისიის მიერ ი. გ-ის მიერ გაცემული მინდობილო-ბის წარდგენის დავალება, ასევე ის ფაქტი, რომ ბორჯომის მუნი-ციპალიტეტის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იუ-რიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მი-წის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2011 წლის 31 მაისის №136 ოქმში მითითებულ იქნა, რომ კომისია განი-ხილავდა ქ. ბორჯომში, ...ის ქ. №29-ში მდებარე მიწის ნაკვეთსა და მასზე მდგომ შენობა-ნაგებობაზე საკუთრების უფლების აღიარების თაობაზე ნ. გ-ის, როგორც ზ. გ-სა და ი. გ-ის წარმომადგენლის განცხადებას. გარდა ამისა, 2011 წლის 6 ივნისს, აღიარების კომი-სიამ №., მიმართვით მიმართა ნ. გ-ეს, როგორც ზ. და ი. გ-ების წარმომადგენელს და აცნობა, რომ საკუთრების მოწმობის მისა-დებად საჭირო იყო აღიარების საფასურის გადახდა 914.35 ლარის ოდენობით, ხოლო ქვითოის წარდგენის შემდეგ, კომისია სამი დღის შემდეგ მიიღებდა გადაწყვეტილებას. ამდენად, მართალია წარმო-ება დაიწყო ზ. გ-ის განცხადების საფუძველზე, თუმცა აღიარების კომისიის მიერ განხორციელებული მოქმედებების შედეგად, ი. გ-ე იქცა აღნიშნული წარმოების მონაწილე პირად. ამდენად, საკასა-ციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მითითებას იმის თა-

ობაზე, რომ ი. გ-ის მითითების გარეშე, ზ. გ-ის მიმართ საკუთრების მოწმობის გაცემა იყო კანონიერი, ვინაიდან ი. გ-ეს საერთოდ არ მიუმართავს ადმინისტრაციული ორგანოსთვის საკუთრების უფლების აღიარების მოთხოვნით.

საკასაციო სასამართლო საგულისხმოდ მიიჩნევს, რომ იმ პირობებში, როდესაც ზ. გ-ის მიერ თავდაპირველად მოთხოვნილი იყო მის მიერ მემკვიდრეობით მიღებული მიწის ნაკვეთის მიმდებარედ არსებულ ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარება, ი. გ-ის წარმოებაში ჩაბმა დამატებით მეტყველებს იმაზე, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ პრაქტიკულად შეცვალა მოთხოვნის და შესაბამისად, საკუთრების უფლების აღიარების საფუძველი. მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების მოთხოვნა თავის თავში გულისხმობს აღნიშნული მოთხოვნის დამყენებელი პირის მხრიდან იმის დადასტურებას, რომ მისი მოთხოვნის საფუძველია არა თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთზე შენობა-ნაგებობის არსებობის ფაქტი, არამედ ის გარემოება, რომ მოთხოვნილი მიწის ნაკვეთი წარმოადგენს მის საკუთრებაში ან მართლზომიერ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავე ნაკვეთს, რომელიც მის მფლობელობაშია. განსახილველ შემთხვევაში, ვინაიდან სადაც მიწის ნაკვეთზე განთავსებული იყო შენობა-ნაგებობა, აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ სადაც, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, მიწის ნაკვეთის მიმართ შესაძლებელია არსებობდეს როგორც მომიჯნავედ არსებული მიწის ნაკვეთის აღიარების მოთხოვნის, ასევე თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების მოთხოვნის ერთმანეთისგან დამოუკიდებლად არსებული ორი საფუძველი. მოცემულ შემთხვევაში, ადმინისტრაციულმა ორგანომ თავად მოსთხოვა ი. გ-ეს 6. გ-დის სახელზე გაცემული მინდობილობის წარდგენა, რითიც გამოხატა მისი, როგორც მონაწილე მხარის, წარმოებაში ჩაბმის მიზანი. ი. გ-ის მიერ, მინდობილობასთან ერთად წარმოდგენილ იქნა მისი მეზობლების – მ. ე-სა და ნ. მ-ის ნოტარიულად დამოწმებული ხელწერილები, რომლითაც ისინი ადასტურებდნენ, რომ ი. გ-ე 1980 წლიდან ნამდვილად ფლობდა და სარგებლობდა 342 კვ.მ მიწის ნაკვეთითა და მასზე განთავსებული 228.3 კვ.მ შენობა-ნაგებობით, მდებარე ქ. ბორჯომი, ...-ის ქ. №29. ამდენად, მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების საკითხის განხილვის პროცესში, ადმინისტრაციულმა ორგანომ მოახდინა აღიარების საფუძვლის ტრანსფორმაცია და საკითხი განიხილა არა მომიჯნავედ არსებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების, არამედ თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების საფუძვლით, რის გამოც წარმოების მო-

ნაწილე პირად, გარდა ზ. გ-ისა, რომელსაც ასევე ჰქონდა აღიარების მოთხოვნის უფლება, აქცია ი. გ-ეც.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომელის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. ამავე მუხლის მე-2 ნაწილი კი განსაზღვრავს, რომ დაუშვებელია, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებულ აქტში მითითებულ იქნა, რომ თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარდგენის შემდგომ საკუთრების უფლების მოწმობის გაცემა ი. გ-ეზე უნდა მომხდარიყო. ი. გ-ის წარმოებაში ჩართვა, ასევე აღიარების კომისიის 2011 წლის 31 მაისის №... ოქმში ი. გ-ის მითითება, მეტყველებს იმაზე, რომ ი. გ-ე წარმოადგენდა სადაცო მინის წაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების პროცესის მონაწილე ერთ-ერთ სუბიექტს.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის შეფასებას, რომ კომისია ისე დაეყრდნო ზ. გ-ის განცხადებას, წარდგენილ საფასურის გადახდის ქვითარს და ისე გასცა საკუთრების უფლების მოწმობა ზ. გ-ის სახელზე, რომ არ დაუდგენა, იყო თუ არა წამსჯელი და მიღებული გადაწყვეტილება აღიარების კომისიის მიერ ზ. გ-ის სასარგებლოდ. ადმინისტრაციულმა ორგანომ 2015 წლს ისე მიიღო გადაწყვეტილება ზ. გ-ის მიმართ საკუთრების უფლების გაცემის თაობაზე, რომ მხედველობაში არ მიიღო აღიარების კომისიის 2011 წლის 31 მაისის №... ოქმში გაკეთებული ჩანაწერი, რომელიც საფასურის გადახდის შემდგომ, საკუთრების უფლების აღიარებას ი. გ-ის მიმართ ითვალისწინებდა. თუმცა, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ ერთხელ გადაწყვეტილი საკითხი მეორედ, უკვე განსხვავებულად გადაწყვიტა. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სადაცო მინის წაკვეთსა და მასზე არსებულ შენობა-ნაგებობაზე ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო 2011 წლს. აღიარების კომისიის 2011 წლის 31 მაისის №... ოქმით განისაზღვრა, რომ საკუთრების მოწმობის მისაღებად განსაზღვრული საფასურის – 914.35 ლარის გადახდის დამადასტურებე-

ლი ქვითრის წარდგენის შემდგომ, კომისია სამი დღის ვადაში მიიღებდა შესაბამის გადაწყვეტილებას. ამდენად, 2011 წლის 31 მაისის №... ოქმის გამოცემით ადმინისტრაციული წარმოება არ დასრულებულა. ზ. გ-ის მიერ შესაბამისი ქვითრისა და განცხადების წარდგენის შემდგომ, აღიარების კომისიის მიერ 2015 წლის 7 ივნის №..., ოქმით, ადმინისტრაციული წარმოება არა თუ ხელახლა დაიწყო, არამედ გაგრძელდა 2011 წელს დაწყებული წარმოება და მიღებულ იქნა საბოლოო დოკუმენტი, საკუთრების უფლების აღიარების შესახებ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 ივნისის №376 დადგენილებით დამტკიცებულ „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მინის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესზე“, რომლის მე-11 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, მინის ნაკვეთის ერთობლივად თვითნებურად დაკავების შემთხვევაში, განცხადება შეიძლება წარდგენილ იქნეს ერთერთი თვითნებურად დამტკიცებლის მიერ. ასეთ შემთხვევაში, კომისია იხილავს მინის ნაკვეთზე განმცხადებლის და სხვა შესაბამისი პირის (პირების) საერთო საკუთრების უფლების აღიარების საკითხს.

საკასაციო პალატა დამატებით მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 23 სექტემბრის განჩინებაში მოყვანილ სამართლებრივ მსჯელობაზე: „ადმინისტრაციული წარმოების ჩატარება მოიცავს ადმინისტრაციული ორგანოს უმნიშვნელოვანეს პროცედურულ ვალდებულებას – გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. აქტის გამოცემისათვის კანონმდებლობით დადგენილია პროცედურის დაცვა, რამდენადაც მიუკერძოებლად, საქმის გარემოებათა ყოველმხრივი და ობიექტური გამოკვლევის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთებულობა-კანონიერების ხარისხი გაცილებით მაღალია, ხოლო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის დადგენილი წარმოების პროცედურის დაცვა განმსაზღვრელ მნიშვნელობას ანიჭებს თვით აქტის კანონიერებას. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ეს უმნიშვნელოვანესი იმპერატიული ხასიათის დანაწესი ემსახურება საჯარო მმართველობის კანონიერების პრინციპს, რამდენადაც ყოველი მმართველობითი გადაწყვეტილების მიღება უნდა ეფუძნებოდეს განსაზიღველი საკითხის გარემოებისა და ფაქტების ობიექტურ შესწავლა-გამოკვლევას, რომლის შეფასებიდან უნდა გა-

მომდინარეობდეს საკითხის გადასაწყვეტად ჩამოყალიბებული დასკვნა“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 23 სექტემბრის განჩინება საქმეზე №ბს-246-243(კ-14)).

საკუთრების უფლების ზ. გ-ის მიმართ აღიარებასა და საკუთრების უფლების მოწმობის გაცემასთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო კიდევ ერთხელ ხაზს უსავამს იმ გარემოებას, რომ განსახილველ შემთხვევაში ზ. გ-ეს პქონდა საკუთრების უფლების აღიარების მოთხოვნის საფუძველი, როგორც იმ გარემოებაზე დაყრდნობით, რომ სადაც მინის ნაკვეთი წარმოადგენდა მის მიერ მეტვიდრეობით მიღებული ნაკვეთის მომიჯნავე ნაკვეთს, ასევე იმ საფუძვლით, რომ მის ოჯახს და თავად მას, როგორც ოჯახის ერთ-ერთ წევრს, 1980 წლიდან პქონდა დაკავებული მინის ნაკვეთი მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობით. რაც შეეხება დედას – ი. გ-ეს, იგი ასაღიარებელ ქონებას ოჯახთან ერთად ფლობდა და სარგებლობდა წლების მანძილზე, ... წასვლამდე. ამდენად, განსახილველ შემთხვევაში, იმის მიუხედავად, 2011 წლის 31 მაისის №... ოქმა და 2015 წლის 7 ივნისის №., ოქმით კონკრეტულად რომელი მათგანის სახელი იქნებოდა მითითებული საკუთრების უფლების აღიარების სუბიექტად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ორივე მათგანი წარმოადგენდა საკუთრების უფლების აღიარების სუბიექტს და საკუთრების მოწმობა უნდა გაცემულიყო როგორც ზ. გ-ის, ასევე ი. გ-ის სახელზე. საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღინიშნავს, რომ აღიარების კომისიისათვის ოჯახის რომელიმე წევრის მიმართვის შემთხვევაში, როდესაც დასტურდება მის მიერ ამა თუ იმ მინის ნაკვეთის ან/და მასზე არსებული შენობა-ნაგებობის ფლობა-სარგებლობის ფაქტი და დაინტერესებული პირი აკმაყოფილებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, კომისიას აქეს უფლებამოსილება განიხილოს ამ პირის განცხადება და დააკმაყოფილოს მისი მოთხოვნა, დამატებით იმის გამოკვლევისა და მოძიების გარეშე, აღნიშნულ ქონებაზე ოჯახის სხვა წევრს, ნათესავს ან/და ნებისმიერ სხვა პირს აქვს თუ არა თანაზიარი უფლება, თანამფლობელობა ან რაიმე პრეტენზია.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 20 მარტის განჩინებაში მოყვანილ სამართლებრივ მსჯელობაზე: „საკუთრების უფლების აღიარების კომისია უფლების აღიარებას ან მასზე უარის თქმას წარდგენილი დოკუმენტების შემოწმებითა და მათი შეფასებით ახორციელებს...საკუთრების უფლების აღიარების კომისიის პირდაპირ ვალდებულებაში არ შედის განმცხადებლის მემკვიდრეთა ძიება იმისათვის, რომ სადაც ქონებაზე განხორციელდეს საკუთრების უფლების მემკვიდრეებზე თანაბარი თუ კონკრეტული პროპორ-

ციულობით გადანაწილება. ადმინისტრაციული ორგანოსათვის მემკვიდრეთა შესახებ ინფორმაციის მოძიების ვალდებულების განსაზღვრა განპირობებს მისთვის კანონით გაუთვალისწინებელი იმ ტვირთის დაკისრებას, რომელიც საფრთხეს შეუქმნის განმცხადებლებზე საკუთრების უფლების აღიარების ეფექტურ განხორციელებას, რამდენადაც აღნიშნული ვალდებულების დაკისრებით აღიარების კომისია მოკლებული იქნება შესაძლებლობას, მემკვიდრეთა მოძიების საჭიროების ფონზე დროულად უდიაროს პირს საკუთრების უფლება. ამასთან, საკითხის ამგვარი გადაწყვეტით, კონკრეტული სადაც მიწის ნაკვეთით დაინტერესებული ყოველი ახალი, თავდაპირველად მოუძიებელი და ნარმოებაში გაუთვალისწინებელი მემკვიდრის გამოჩენა გამოიწვევს საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების უკანონობას, რაც კიდევ უფრო გააჭანურებს და არაგონივრულად გაართულებს მოთხოვნილ მიწის ნაკვეთზე განმცხადებელთა საკუთრების უფლების აღიარების პროცედურას... მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების პროცესში კომისია ენდობა განმცხადებლის მიერ მემკვიდრეთა არსებობა-არარსებობის შესახებ ნარდგენილ ინფორმაციას, რომლის მართებულობის გადამოწმება საკუთრების უფლების აღიარების კომისიის ვალდებულებას არ წარმოადგენს. მისთვის უმთავრესია დადგინდეს, ნარმოადგენს თუ არა თავად განმცხადებელი „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ დაინტერესებულ პირს, მის სავარაუდო მემკვიდრეს ან უფლებამონაცვლეს, რომელსაც უფლება აქვს კონკრეტულ მიწის ნაკვეთზე მოთხოვოს საკუთრების უფლების აღიარება“. (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 20 მარტის განჩინება საქმეზე №ბს-1514(კ-18)).

საკასაციო პალატა ასევე მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 30 სექტემბრის განჩინებაში მოყვანილ სამართლებრივ მსჯელობაზე: „სხვა პირის დაინტერესება, არ გამორიცხავს საკუთრების უფლების აღიარებას იმ პირის სასარგებლოდ, რომელსაც აღნიშნული უფლების რეალიზებისთვის საკმარისი საფუძვლები გააჩნია“. (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 30 სექტემბრის განჩინება საქმეზე №ბს-327(კ-21)).

საკასაციო სასამართლო კვლავ ადასტურებს ზემოხსენებულ განჩინებებში მითითებული სამართლებრივი შეფასებების მართებულობას, თუმცა აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში, სახეზე გვაქვს სხვა ფაქტობრივი მოცემულობა – ადმინისტრაციულ-

მა ორგანომ თავად ჩააბა ი. გ-ე წარმოებაში, სწორედ იმ ფაქტზე დაყრდნობით, რომ მისთვის მეზობლების ხელნერილებსა და სხვა მტკიცებულებებზე დაყრდნობით ნათელი გახდა ი. გ-ის მიერ სა-დავო მიწის ნაკვეთითა და მასზე არსებული შენობა-ნაგებობით ფლობის-სარგებლობის ფაქტი. ამდენად, საკასაციო სასამართლო ერთმანეთისგან განსახვავებს ინფორმაციის მოძიებისა და ადმი-ნისტრაციული ორგანოსთვის უკვე ხელთარსებული ინფორმაციის შეფასებისა და მხედველობაში მიღების ვალდებულებას და მიიჩ-ნევს, რომ მართალია, ადმინისტრაციულ ორგანოს ზოგადად არ ეკისრება დამატებითი შოკვლევის ჩატარება სხვა დაინტერესე-ბული პირების დადგენის მიზნით, თუმცა იმ პირობებში, როდესაც დაინტერესებული პირის ჩაბმა თავად კომისიის მიერ მოხდა და კომისია ინფორმირებული იყო, როგორც ი. გ-ის, ასევე ზ. გ-ის მი-მართ აღიარების საფუძვლის არსებობის თაობაზე, საკუთრების უფლების აღიარება და საკუთრების მოწმობის გაცემა ორივე მათ-განის მიმართ უნდა მომხდარიყო.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ზ. გ-ის მიმართ საკუთ-რების უფლების აღიარებას ჰქონდა შესაბამისი საფუძველი და იყო კანონიერი, თუმცა საკუთრების უფლების აღიარება უნდა მომხდა-რიყო ი. გ-ზეც და აქტი უნდა გამოცემულიყო ორივე მათგანის მი-მართ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სა-სამართლო მიიჩნევს, რომ ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობე-ლობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრე-ბის უფლების აღიარების კომისიის საკასაციო საჩივარი უნდა დაკ-მაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სა-სამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 23 სექ-ტემბრის გადაწყვეტილება გასაჩივრებულ ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, ი. გ-ის სარჩელი გასაჩივ-რებულ ნაწილში დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ბორჯომის მუნი-ციპალიტეტის მერიის ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიუ-ლი პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკ-ვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიას დაევალოს ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობა-ში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2015 წლის 7 ივლისის №5 ოქმსა და ბორჯომის მუნიციპა-ლიტეტის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდი-ული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკ-ვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2015 წლის

13 ივლისს დამოწმებულ და ზ. გ-ის სახელზე გაცემულ №... საკუთრების მოწმობაში შეიტანოს ცვლილება და ნაცვლად ზ. გ-ისა მიუთითოს – ზ. გ-ე და ი. გ-ე.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანხმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოპასუხეს – ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული მინის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიას ი. გ-ის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ი. გ-ის მიერ რაიონულ და სააპელაციო სასამართლოებში საქმის განხილვისათვის სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი თანხის ნახევრის – 87.5 (ოთხმოცდაშვიდი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარის გადახდა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ც ყ ვ ი ტ ა:**

1. ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული მინის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილება გასაჩივრებულ ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. ი. გ-ის სარჩელი გასაჩივრებულ ნაწილში დაკმაყოფილდეს ნა-

წილობრივ;

4. ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობა-ში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიას დაევალოს ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფიზიკურ და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობა-ში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2015 წლის 7 ივლისის №5 ოქმსა და ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფიზიკურ და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობა-ში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2015 წლის 13 ივლისს დამოწმებულ და ზ. გ-ის სახელზე გაცემულ №... საკუთრების მოწმობაში შეიტანოს ცვლილება და ნაცვლად ზ. გ-ისა მიუთითოს – ზ. გ-ე და ი. გ-ე;

5. მოპასუხეს – ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობა-ში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 0. გ-ის სასარგებლოდ დაეკისროს 0. გ-ის მიერ რაიონულ და სააპელაციო სასამართლოებში საქმის განხილვისათვის სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი თანხის ნახევრის – 87.5 (ოთხმოცდაშვიდი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარის ანაზღაურება;

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**თვითონაბურად დაკავებულ მინის ნაკვეთზე  
საკუთრების უფლების აღიარების საფუძველი**

**გადაცყვაფილება  
საქართველოს სახელით**

№ბს-1008(კ-20)

16 მარტი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: 6. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ქ. ცინცაძე,  
ბ. სტურუა

**დავის საგანი:** თვითნებურად დაკავებულ მინის ნაკვეთზე სა-  
კუთრების უფლების აღიარება

**აღწერილობითი ნაწილი:**

მ. ც-ებ 27.04.2018წ. სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო  
სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე ქ.  
თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან არსებულ თვითნებურად და-  
კავებულ მინაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მი-  
მართ, მოსარჩელემ მოითხოვა კომისიის 12.03.2018წ. №401 გან-  
კარგულების ბათილად ცნობა და საქმისათვის არსებითი მნიშვნე-  
ლობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ  
კომისიისათვის ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-  
თლებრივი აქტების გამოცემის დავალება.

„მინის ნაკვეთზე მ. ც-ების საკუთრების უფლების აღიარების შე-  
სახებ“ 12.03.2018წ. №401 განკარგულებით მ. ც-ებ უარი ეთქვა მი-  
ნის ნაკვეთზე (მისამართი: ქ. თბილისი, ...ის ქ. №..., საერთო ფარ-  
თობი – 328 კვ.მ.) საკუთრების უფლების აღიარებაზე. „ფიზიკური  
და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარ-  
გებლობაში) არსებულ მინის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღი-  
არების შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის დანაწესი-  
დან გამომდინარე კომისიამ აღნიშნა, რომ თვითნებურად დაკავე-  
ბული მინის ნაკვეთის კატეგორია არ ენიჭება და საკუთრების უფ-  
ლების აღიარებას არ ექვემდებარება ის მინის ნაკვეთი, რომელ-  
ზეც განთავსებულია დროებითი ხასიათის ნაგებობა ან/და მსუბუ-  
ქი კონსტრუქცია, რომელიც მყარად არ არის დაკავშირებული მი-  
ნის ნაკვეთან. კომისიამ მიუთითა აგრეთვე, რომ არ დასტურდე-  
ბა მ. ც-ების მიერ მოთხოვნილი მინის ნაკვეთის თვითნებურად და-  
კავების და ფლობის ფაქტი „ფიზიკური და კერძო სამართლის იუ-

რიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მინის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ კანონის ამოქმედებამდე. კომისიამ მიიჩნია, რომ ზემოაღნიშნული კანონის ამოქმედებამდე ნაკვეთზე განთავსებულია დროებითი შენობა, რაც უარის თქმის საფუძველს წარმოადგენს. ამასთანავე, ნაკვეთი მოქცეულია სსიპ თვითმმართველი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკადასტრო ერთეულის საზღვარში.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 1980 წლიდან ფლობს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 310 კვ.მ. ფართის მინის ნაკვეთს ოჯახ-თახ ერთად. ნაკვეთზე განთავსებულია კაპიტალურად აშენებული საცხოვრებელი სახლი, კაპიტალური სველი წერტილები და ვაგონი, რომელიც კაპიტალურად არის დამაგრებული მინის ნაკვეთზე 1980 წლიდან. მოსარჩელე დღემდე ცხოვრობს აღნიშნულ ფართში და იხდის კომუნალურ გადასახადებს. 21.07.2005წ. მომზადდა საკადასტრო აზომვითი ნახაზი, რომელ ზედაც დატანილია კაპიტალური სველი წერტილი და მინის ნაკვეთზე კაპიტალურად დამაგრებული ვაგონი. მოსარჩელე თვლის, რომ დასტურდება კანონის ამოქმედებამდე მის მიერ ასაღიარებელი ნაკვეთის ფლობა და არ არსებობდა საკუთრების უფლების აღიარების დამაბრკოლებელი საფუძვლები. მოსარჩელე მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ სათანადოდ არ გამოიკვლია საქმის გარემოებები, არ დაადგინა საკითხის გადასაწყვეტად მინიშვნელოვანი ფაქტები, არ გამოიკვლია მინის ნაკვეთზე განთავსებული ვაგონის კაპიტალურ შენობა-ნაგებობად მიჩნევის შესაძლებლობა, ასევე არ დაადგინდა მ. ც-ეის მიერ ნაკვეთის ფლობისა და სარგებლობის ფაქტი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 30.10.2018წ. გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ მიუთითა „ფიზიკური და ეკონო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მინის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებზე, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტზე, მე-4 მუხლზე, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტზე, 5<sup>1</sup> მუხლის მე-7 პუნქტზე და აღნიშნა, რომ მ. ც-ეის მიერ მითითებული მინის ნაკვეთი მოქცეული იყო სპეციალური ზონაში და მასზე გათვალისწინებული იყო შეზღუდვა, რის გამო მ. ც-ეის მოთხოვნა არ შეესაბამებოდა დედაქალაქის სივრცით-ტერიტორიულ დაგეგმვის პირობებს, რაც გამორიცხავდა მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 30.10.2018წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა მ. ც-ეის მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-

მეთა პალატის 28.02.2020წ. განჩინებით მ. ც-ეის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება. პალატამ აღნიშნა, რომ თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარება შესაძლებელია ორი საფუძვლით. განმსაზღვრელია ნაკვეთის დაუფლების დრო (კანონის ამოქმედებამდე – 2007 წლის ივლისამდე) და მასზე შენობა-ნაგებობის არსებობის საკითხი (საცხოვრებელი სახლი (აშენებული ან დანგრეული) ან არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობა (აშენებული)). სადაც მიწის ნაკვეთი არ ნარმოადგენს მ. ც-ეის საკუთრებაში ან მართლზომიერ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავე, თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთს. ამდენად, მ. ც-ე მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარებას ითხოვს კანონის ამოქმედებამდე ნაკვეთის თვითნებურად დაუფლების საფუძვლით. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ სადაც მიწის ნაკვეთზე „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ კანონის ამოქმედებამდე არ ყოფილა განთავსებული საცხოვრებელი სახლი (აშენებული ან დანგრეული) ან არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობა (აშენებული). სააპელაციო პალატა თვლის, რომ საქმის მასალების მიხედვით, კანონის ამოქმედებამდე მიწის ნაკვეთზე განთავსებული იყო დროებითი შენობა-ნაგებობა, რის გამო მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების წინაპირობები არ არსებობს. პალატამ მიუთითა, რომ „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ კანონის მიზნებისათვის „შენობა“ (მე-2 მუხლის „ე“ ქვპ.) განიმარტება, როგორც სამშენებლო მასალებისა და ნაერთობებისა გან შექმნილი კონსტრუქციული სისტემა, რომელიც გრუნტთან უძრავად არის დაკავშირებული, ქმნის გადახურულ სივრცეს და შემოსაზღვრულია კედლებით, კოლონებით ან/და სხვა შემომზღვდავი კონსტრუქციებით, გარდა დროებითი შენობისა. იმავე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, დროებითი შენობა ნარმოადგენს ანაკრები ელემენტებისაგან შედგენილ, ასაწყობ-დასაშლელ ან/და მობილურ სისტემას, რომელიც მიწასთან დაკავშირებულია საკუთარი წონით ან/და მშრალი არამონოლითური ჩამაგრებით და რომელსაც არ გააჩნია მიწისქვეშა სათავსები. პალატამ მიიჩნია, რომ სადაც მიწის ნაკვეთზე დროებითი შენობის არსებობის დამადასტურებელი მტკიცებულებების უარსაყოფად მ. ც-ეს არ მიუთითებია შესაბამის ფაქტებსა და მტკიცებულებებზე, მათ შორის მ. ც-ეის დაკვეთით ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნაც არ ადასტუ

რეპს სარჩელის საფუძვლიანობას. სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა აგრეთვე იმ გარემოებაზე, რომ ქ. თბილისში, ...ის ქ. №...-ში მდებარე 328 კვ.მ. მიწის ნაკვეთი კვეთს ... საკადასტრო ერთეულს. ამასთანავე, თბილისის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 21.03.2014წ. ნერილის თანახმად, მ. ც-ეის მიერ აღიარების წესით მოთხოვნილი მიწის ნაკვეთი რეგისტრირებულია ქ. თბილისის თვითმმართველ ერთეულსა და ა(ა)იპ „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტზე“, რის გამოც მას უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 28.02.2020წ. განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრდა მ. ც-ეის მიერ. კასატორმა აღნიშნა, რომ სადაც მიწის ნაკვეთს ფლობს 1980 წლიდან. მიწის ნაკვეთზე განთავსებულია კაპიტალური შენობები. კასატორის მოსაზრებით, სასამართლო ყურადღებას ამახვილებს მიწის ნაკვეთზე განთავსებულ ვაგონის ტიპის საცხოვრებელ ფართზე, მაგრამ უგულებელყოფს ნაკვეთზე სხვა კაპიტალური საცხოვრებელი სახლის არსებობას. საქმეში წარმოდგენილი ორთოფოტოებით, კომუნალური გადახდის ქვითრებით, საკადასტრო აზომვითი ნახაზებით დასტურდება საკუთრების უფლების აღიარების საფუძვლების არსებობა. კასატორმა აღნიშნა, რომ ქ. თბილისის მერიას ერთხელ უკვე ჰქონდა გაცემული თანხმობა საკუთრების უფლების აღიარებაზე, თუმცა შემდგომში შეცვალა გადაწყვეტილება. მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარებაზე უარი არღვევს მესაკუთრედ ყოფნის კონსტიტუციურ უფლებას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, გასაჩივრებული განჩინებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლების კანონიერების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტების მოსმენის შედეგად თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე დადგენილია, რომ 06.11.2015წ. მ. ც-ემ განცხადებით მიმართა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიას და მოითხოვა ქ. თბილისში, ...ის (ყოფ. ...ის) ქ. №...-ში მდებარე 328 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარება. ქალაქ-გეგმარებითი თვალსაზრისით დასკვნის მისაღებად მ. ც-ეის გან-

ცხადება საკუთრების უფლების აღიარების კომისიაშ სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქტიტექტურის სამსახურს გადაუგზავნა. არქიტექტურის სამსახურის 02.03.2016წ. წერილით კომისიას ეცნობა, რომ მ. ც-ეის განცხადებაში მითითებული, ქ. თბილისში, ...ის (ყოფ. ...ის) ქ. №....-ში მდებარე 328 კვ.მ. მიწის ნაკვეთი დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით მოქცეული იყო სპეციალურ ზონაში და მასზე გათვალისწინებული იყო შეზღუდვა, ამასთან, მიწის ნაკვეთი კვეთდა ... საკადასტრო ერთეულს. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 01.02.2018წ. სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, კომისიის 12.03.2018წ. სადაცო №401 განკარგულებით საკუთრების უფლების აღიარების თაობაზე მ. ც-ეის განცხადება არ დაკმაყოფილდა იმ საფუძვლით, რომ მიწის ნაკვეთზე კანონის ამოქმედებამდე განთავსებული იყო დროებითი შენობა-ნაგებობა, ამასთანავე, მიწის ნაკვეთი ექცევიდა მუნიციპალიტეტის საკუთრების საკადასტრო საზღვრებში.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კანონმდებლობა ითვალისწინებს მიწაზე საკუთრების უფლების მოპოვების შესაძლებლობას იმ შემთხვევაშიც, თუ პირს არ აქვს საკუთრების უფლების დამდგენი დოკუმენტები, კონკრეტულ პერიოდში ნაკვეთზე ფაქტობრივი მფლობელობის დამყარების და სხვა ნორმატიული წინაპირობების დაქმაყოფილების გათვალისწინებით, პირის მფლობელობა აფუქნებს საკუთრების უფლებას. „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ კანონი აწესრიგებს პირის მიერ თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების საფუძვლებს, წესსა და პირობებს, აგრეთვე იმ ორგანოების უფლებამოსილებას, რომლებიც საკუთრების უფლების აღიარების პროცესში წარმოადგენს სახელმწიფოს. კანონის 1-ელი მუხლის თანახმად, ამ კანონის მიზანია თვითნებურად დაკავებულ სახელმწიფო საკუთრების მიწაზე ფიზიკური, კერძო სამართლის იურიდიული პირების ან კანონით გათვალისწინებული სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნების საკუთრების უფლების აღიარებით სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ფონდის ათვისება და მიწის ბაზრის განვითარების ხელშეწყობა. როგორც სადავო აქტის გამოცემისას, ისე ამჟამად მოქმედი რედაქციით კანონი ერთმანეთისგან მიჯნავს თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების მოპოვების ორ შემთხვევას: ერთ შემთხვევაში ნაკვეთი უნდა ესაზღვრებოდეს პირის საკუთრებასა თუ მართლზომიერ მფლობელობაში მყოფ

ნაკვეთს, ხოლო მეორე შემთხვევაში საკუთრების უფლების აღიარებისათვის აუცილებელია დადასტურდეს კანონის ამოქმედებამდე ნაკვეთზე საცხოვრებელი სახლის ან არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობის არსებობა. განსახილველ შემთხვევაში მ. ც-ე ქ. თბილისში, ...ის (ყოვ. ...ის) ქ. №....-ში მდებარე 328 კვ.მ. ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარებას არ ითხოვს თავის საკუთრებაში ან მართლზომიერ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავე მინაზე. კომისიაში 06.11.2015წ. წარდგენილ განცხადებაში მ. ც-ე უთითებდა, რომ 1980 წლიდან ოჯახთან ერთად ცხოვრობს ასაღიარებელ მიწის ნაკვეთზე, რის გამო ითხოვს მის დაკანონებას. კომისიის სადავო 12.03.2018წ. განკარგულებით მ. ც-ეს საკუთრების უფლების აღიარებაზე უარი ეთქვა იმ საფუძვლით, რომ მიწის ნაკვეთზე კანონის ამოქმედებამდე განთავსებული იყო დროებითი შენობა-ნაგებობა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ კანონის მიხედვით სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის განკერძოება ხდება იმ შემთხვევაში უკეთუ მიწის თვითნებურად დაკავების, მასზე საცხოვრებელი სახლის ან/და არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობის განთავსება დასტურდება კანონის ამოქმედებამდე (კანონი მიღებულია 11.07.2007წ.). რომელიმე დასახელებული წინაპირობის არარსებობა გამორიცხავს კონკრეტული საფუძვლით მინაზე საკუთრების უფლების მოპოვების შესაძლებლობას. თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების მიზნებისათვის აუცილებელია უტყუარად დადასტურდეს კანონის ამოქმედებამდე ნაკვეთის დაუფლების და მასზე საცხოვრებელი სახლის – საცხოვრებელი დანიშნულების ნაგებობის ან არასაცხოვრებელი შენობის არსებობა. კანონის მიზნებისათვის „შენობა“ განიმარტება, როგორც სამშენებლო მასალებისა და ნაკეთობებისგან შექმნილი კონსტრუქციული სისტემა, რომელიც გრუნტთან უძრავად არის დაკავშირებული, ქმნის გადახურულ სივრცეს და შემოსაზღვრულია კედლებით, კოლონებით ან/და სხვა შემომზღვდულავი კონტრუქციებით, გარდა დროებითი შენობისა (მე-2 მუხ. „ვ“ ქვ.პ.). ამასთანავე, ნორმა არ აკონკრეტულს შემომზღვდულავი კონსტრუქციებისა და კედლების მასალებს. სადავო აქტის თანახმად, მ. ც-ეს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მთავარი საფუძველი მის მიერ მოთხოვნილ ნაკვეთზე განთავსებული ნაგებობის სტატუსი გახდა, თუმცა ნაგებობის სტატუსის დასადგენად კომისიის მიერ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევის მიზ-

ნით რაიმე ქმედებების განხორციელება არ დასტურდება. კანონის მე-2 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, დროებითი შენობა-ნაგებობა არის ანაკრები ელემენტებისაგან შედგენილი, ასაწყობ-და-საშლელი ან/და მობილური სისტემა, რომელიც მიწასთან დაკავშირებულია საკუთარი წონით ან/და მშრალი არამონოლითური ჩამაგრებით და რომელსაც არ გააჩნია მიწისქვეშა სათავსები. ადმინისტრაციულ ორგანოს არც თავად დაუდგენია სადაც მიწის ნაკვეთზე მდებარე საცხოვრებელი დანიშნულების ნაგებობის მახასიათებლები და არც დაინტერესებული პირისათვის დაუვალებია დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენა. სზაკ-ის 83.2 მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია. კომისიას მსგავსი ქმედება არ განუხორციელებია, თუმცა აგრეთვე არ დაუსაბუთებია წარდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის საკმარისობა საკითხის გადასაწყვეტად.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელე სულ მცირე 2003 წლიდან ცხოვრობს კონკრეტულ ტერიტორიაზე განთავსებულ საცხოვრებელი დანიშნულების ფართში. საქმეში დაცულია ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 12.06.2003წ. გადაწყვეტილება, რომლის მიხედვით მ. ც-ე შვილებთან ერთად ცხოვრობდა ...ის ქ. №...-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე განთავსებულ „ვაგონში“. სარჩელი აღძრული იყო სწორედ მ. ც-ეს მიმართ თვითნებურად დაკავებული ნაკვეთის გამოთავისუფლების მოთხოვნით. სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 12.06.2003წ. გადაწყვეტილებით მ. ც-ეს დაევალა მიწის ნაკვეთზე მოწყობილი ვაგონის აღება. სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ფორმულირება ქმნის ვარაუდს, რომ ვაგონი შესაძლოა საკუთარი წონით კი არ იდგა მიწის ნაკვეთზე, არამედ მიწასთან გარკვეული საშუალებებით იყო დაკავშირებული, რადგან სასამართლო უთითებს არა უბრალოდ ნაკვეთიდან ვაგონის გატანაზე, არამედ მოწყობილი ვაგონის აღებაზე, ანუ დემონტაჟზე. გასათვალისწინებელია აგრეთვე ის გარემოება, რომ მართალია, სარჩელი დაკმაყოფილდა, თუმცა მხარეთა შორის სადაცოდ არ არის გამხდარი სასამართლოს 12.06.2003წ. გადაწყვეტილების აღუსრულებლობა, მოსარჩელის მიერ მიწის ნაკვეთის ამჟამადაც ფლობა და მასზე განთავსებულ ნაგებობაში ცხოვრება.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს აგრეთვე საქმეში

დაცულ, 2011წ. შედგენილ ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნაზე, რომლის თანახმად, ნაკვეთში განთავსებულია ლითონის ელემენტებისაგან შედგენილი საცხოვრებელი შენობა-ნაგებობა, ხის ელემენტებისაგან შესრულებული შენობა-ნაგებობა, რომელიც ასრულებს სამზარეულოს დანიშნულებას და კაპიტალური შენობა-ნაგებობა, რომელშიც მოწყობილია მოქმედი სველი წერტილი; ნაკვეთი შემოსაზღვრულია ნანილობრივ ლითონისა და ხის ელემენტებისაგან შესრულებული კონსტრუქციით, ხოლო ნანილობრივ კაპიტალური ლობით, ნაკვეთში არის განსხვავებული ასაკის ხეხილის მრავალსახეობა (ორი კავლის ხე, გარგარი, კომში, ქლიავი და სხვ.), ნაკვეთზე გაშენებულია ვაზის მრავალწლიანი ტალავერი. დასკვნის თანახმად, ნაკვეთის შემომზღუდავი ლითონის ელემენტები მნიშვნელოვნად კოროზირებულია წლების განმავლობაში ლია გარემოში მდებარეობის შედეგად, ასევე გამოყენებულ ბეტონის ელემენტებზე აღინიშნება მნიშვნელოვანი განმრევებების უბნები წლების განმავლობაში ლია გარემოში ტემპერატურული ცვალებადობის გამო, მინაზე ფიქსირდება წლების მანძილზე დამუშავების კვალი. ექსპერტმა მოახდინა ნაკვეთში მდებარე ლითონის ელემენტების აპარატული დამუშავება კოროზიულობის ხარისხის დადგენის მიზნით და მიჩნია, რომ უანგვის ხარისხი დასაშვებ მნიშვნელობას აღემატება, რაც მიუთითებს აგრესულ გარემოში წლების მანძილზე განთავსებაზე. დასკვნაში აღნიშნულია, რომ საკვლევი ობიექტის ასაკი სამუალოდ 15-18 წლის დაიპაზონით განისაზღვრება. დასკვნის შესავალი ნანილის მიხედვით, ექსპერტის საკვლევი ობიექტი იყო ნაკვეთის შემომზღუდავი კონსტრუქციის ელემენტებისა და ნაკვეთში განთავსებული საცხოვრებელი შენობა-ნაგებობების ხანდაზმულობის შეფასება. ამდენად, ექსპერტის 2011წ. დასკვნის თანახმად, საცხოვრებელი შენობა-ნაგებობის ასაკი შეადგნდა 15-18 წელს. საქმეში დაცულია აგრეთვე სამი პირის ნოტარიულად დამონბებული ახსნა-განმარტება, რომლითაც ისინი ადასტურებენ, რომ მ. ც-ეის ოჯახი 1980 წლიდან ფლობს და სარგებლობს ...ის ქ. №...-ში მდებარე ნაკვეთითა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობით. გასათვალისწინებელია, რომ ნოტარიუსის მითითებით აღნიშნული პირები აგრეთვე ცხოვრობენ ქ. თბილისში, ...ის ქუჩაზე.

კომისიის სადავო აქტი არ შეიცავს რაიმე სახის დასაბუთებას არა მხოლოდ ზემოაღნიშნულ მტკიცებულებებთან, არამედ ზოგადად – დამდგარ სამართლებრივ შედეგთან მიმართებით. მხოლოდ ნორმათა ციტირება და დასკვნა, რომ კანონის ამოქმედებამდე ნაკვეთზე განთავსებული იყო დროებითი ნაგებობა, რაც მ. ც-ეის მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას გამორიცხავს, არ ქმნის

საკმარის დასაბუთებას. სადაცო გადაწყვეტილებიდან არ იკვეთება გარემოებები, რომელთა გამოკვლევის შედეგად ადმინისტრაციული ორგანო კონკრეტულ შედეგამდე მივიდა. „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მინის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ კანონის 4.1 მუხლის თანახმად, აღიარების კომისია თავის ფუნქციებს ახორციელებს სზაკ-ის მე-8 თავით განსაზღვრული ფორმალური ადმინისტრაციული ნარმოების წესით. ამასთანავე, ფორმალური ადმინისტრაციული ნარმოება მიმდინარეობს მარტივი ადმინისტრაციული ნარმოებისათვის დადგენილი წესით, უკეთუ კანონით სხვა რამ არ არის განსაზღვრული (სზაკ-ის 107.2 მუხ.). სზაკ-ის 53-ე მუხლის მე-5 ნანილის მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული ნარმოების დროს. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ განსახილველ შემთხვევაში ადმინისტრაციული ნარმოების დროს არ იქნა დაცული ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნები ადმინისტრაციული ნარმოების ჩატარებასთან დაკავშირებით. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული ნარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯვრების საფუძველზე (სზაკ-ის 96-ე მუხ.). ადმინისტრაციულ ორგანოს საკითხის გადაწყვეტისას არსებულ მტკიცებულებათა შეფასების, საჭიროების შემთხვევაში დამატებით მტკიცებულებათა მოპოვების გზით უნდა დაედგინა საქმისათვის განმსაზღვრელი მნიშვნელობის მქონე გარემოებები, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. რაიმე მტკიცებულება, რომელიც საცხოვრებელი ნაგებობის დროებით ნაგებობად მიჩნევის წინაპირობებს დაადასტურებს საქმეში არ არის დაცული, მხოლოდ ის გარემოება, რომ ნაგებობა ლითონის ელემენტებისაგან შედგება, არ ქმნის ნაგებობის დროებითად მიჩნევის საკმარის საფუძველს. კომისია ვალდებულია უზრუნველყოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევა (საქართველოს მთავრობის 28.07.2016წ. №376 დადგენილებით დამტკიცებული „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მინის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესის“ 13.5 მუხ.), რაც განსახილველ შემთხვევაში არ მომხდარა.

კომისიის მოსაზრება, რომ 2005წ. ორთოფოტოზე ჩანს მხოლოდ დროებითი შენობა-ნაგებობა, აგრეთვე არ არის დასაბუთებული.

მოსარჩელე აღნიშნავს, რომ 2005წ. ორთოფოტოზე აღბეჭდილია ორი ნაგებობა: ერთი საცხოვრებელი დანიშნულების შენობა და მეორე – მის მიმდებარედ არსებული კაპიტალური სველი წერტილი. მ. ც-ე ორთოფოტოზე მიანიშნებს აღნიშნულის მიუხედავად, კომისიას არ დაუსაბუთებია მ. ც-ეის მოსაზრების გაზიარებაზე უარი, მისი მოსაზრების არასარწმუნობა, არ უმსჯელია ორთოფოტოზე არსებულ ობიექტებზე. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ორთოფოტო არის კონკრეტულ პერიოდში მინის ნაკვეთის ფაქტობრივი საზღვრების, მასზე ნაგებობების არსებობის დამადასტურებელი ობიექტური მტკიცებულება, ორთოფოტოზე ასახული მონაცემების სათანადო შესწავლა შესაძლოა განმსაზღვრელი იყოს მინის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების საკითხის გადაწყვეტისათვის. ორთოფოტო (აეროფოტოგადაღება) მიჩნევა მინის თვითნებურად დაკავების დამადასტურებელ დოკუმენტად (საქართველოს მთავრობის 28.07.2016წ. №376 დადგენილებით დამტკიცებული „ფიზიკური და ეკრძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მინის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების წესის“ მე-2 მუხ. „ე“ ქვ.პ.). საქმეში დაცულ 2005წ. გაცემულ ორთოფოტოზე საცხოვრებელი დანიშნულების ნაგებობის გარდა ჩნდს აგრეთვე შედარებით მცირე ზომის ნაგებობაც ნაკვეთის შემომსაზღვრავი ღობის მიმდებარედ, რაც კომისიას გადაწყვეტილების მიღებისას არ გაუთვალისწინებია. კანონმდებლობა ითვალისწინებს საკუთრების უფლების აღიარებას არა მხოლოდ იმ ნაკვეთზე, რომელზედაც განთავსებულია საცხოვრებელი სახლი, არამედ აგრეთვე იმ ნაკვეთზე, რომელზედაც არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობაა განთავსებული. უგულებელყოფილია აგრეთვე კომისიაში კანონის ამოქმედებიდან რამდენიმე თვეში – 25.12.2007წ. მ. ც-ეის მიერ წარდგენილი განცხადება, რომელშიც მოსარჩელე უთითებდა ასაღიარებელ ნაკვეთზე ორი ნაგებობის არსებობაზე.

კომისიის მოსაზრება, რომ ორთოფოტოთი შეუძლებელია ნაგებობათა სტატუსის, მათი მუდმივ თუ დროებით ნაგებობად მიჩნევის შესაძლებლობა, არ ასაბუთებს სარჩელის უსაფუძვლობას. კომისიამ უგულებელყო ის გარემოება, რომ ერთმნიშვნელოვნად დასტურდება კანონის ამოქმედებამდე (სულ მცირე 2003 წლამდე) მ. ც-ეის მიერ ქ. თბილისში, ...ის (ყოვ. ....ის) ქ. №...-ში მდებარე ნაკვეთის თვითნებურად დაკავების ფაქტი, ასევე მასზე ისეთი ნაგებობის არსებობა, რომელიც გამოიყენებოდა მ. ც-ეის ოჯახის საცხოვრებელი მიზნით. აღნიშნული გარემოება დასტურდება არა მხოლოდ მონმეთა ჩვენებებითა და ექსპერტიზის დასკვნით, არამედ აგრეთ-

ვე სასამართლოს კანონიერ ძალაში მყოფი გადაწყვეტილებით. საქ-  
მეში დაცულ 2005 წლის შემდგომ გაცემულ ორთოფოტოებსა და  
საკადასტრო ნახაზებზე კვლავ ფიქსირდება 2005 წლის ორთოფო-  
ტოზე არსებული ნაგებობები, ამასთანავე, კომუნალური გადახ-  
დის ქვითრები, კონკრეტულ მისამართზე მ. ც-ეის რეგისტრაცია,  
ნაკვეთისა და მასზე მდებარე ნაგებობების ფოტოსურათები ადას-  
ტურებს, რომ მ. ც-ეს ნაკვეთის ფლობა არ შეუწყვიტავს, იგი დღემ-  
დე ცხოვრობს სადავო ნაკვეთზე განთავსებულ საცხოვრებელ  
ფართში. აღნიშნული მტკიცებულებების გათვალისწინებით, კომი-  
სის მითითება საცხოვრებელი ნაგებობის დროებით ხასიათზე არაა  
სათანადოდ დასაბუთებული. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სა-  
კუთრების უფლების აღიარების მიზნებისათვის მიწის ნაკვეთზე  
შენობის და არა დროებითი ნაგებობის არსებობის დადგენის მიზა-  
ნია – პირის მიერ მიწის ნაკვეთის რეალურად დაკავების, ფლობის,  
მასზე ფაქტობრივი ბატონობის განხორციელების, ასევე პირის ნაკ-  
ვეთის, როგორც საკუთარის, ფლობის და სარგებლობის ნების და-  
დასტურება. კანონის მიზანია კერძო პირის მფლობელობაში არსე-  
ბული სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი არა ყველა მიწის ნაკვე-  
თის განკერძოება, არამედ მხოლოდ იმ მიწის ნაკვეთების კერძო  
საკუთრებაში გადაცემა, რომელზეც უტყუარად დასტურდება 2007  
წლამდე დაუფლების ფაქტი, ნაკვეთის გამოყენება დაინტერესე-  
ბული პირის სასარგებლოდ, კერძო პირის მიერ ნაკვეთის „მისაკუთ-  
რება“, რაც დგინდება კონკრეტულ მიწის ნაკვეთზე ცხოვრებით  
ან/და საქმიანობით, ნაკვეთის დაუფლების არადროებითი ხასია-  
თით, ნაკვეთის, როგორც საკუთარის ფლობით. უკეთუ უტყუარად  
დასტურდება კანონის ამოქმედებამდე პირის მიერ ნაკვეთის და-  
უფლება, სარგებლობა, მოვლა-პატრონობა, ნაკვეთზე 2007 წლამ-  
დე განთავსებულ ნაგებობაში მუდმივი ცხოვრება, დაუსაბუთებე-  
ლია საკუთრების უფლების აღიარებაზე უარის თქმა. ფიზიკური  
და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარ-  
გებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების  
აღიარების კომისიაში ჯერ კიდევ 25.12.2007წ. წარდგენილ განცხა-  
დებაში მ. ც-ე უთითებდა, რომ მისი ოჯახი ფლობს და სარგებლობს  
თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთით და მასზე განთავსე-  
ბული საცხოვრებელი ნაგებობით. ამდენად, საკასაციო პალატა მი-  
იჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით უტ-  
ყუარად დგინდება კანონის ამოქმედებამდე მ. ც-ეის მიერ სადავო  
ნაკვეთის თვითნებურად დაკავების ფაქტი. თავად სადავო აქტშიც  
მითითებულია, რომ დადასტურდა კანონის ამოქმედებამდე მიწის  
ნაკვეთზე ნაგებობის არსებობა.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს აგრეთვე საქმეში

დაცულ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 20.06.2016წ. წერილზე, რომლის თანახმად, ქ. თბილისის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიამ განიხილა საკუთრების უფლების აღიარების შესახებ მ. ც-ეის განცხადება და 23.05.2016წ. №503 ოქმით მიიღო გადაწყვეტილება დაინტერესებაში არსებულ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების აღიარების თხოვნის დაკმაყოფილების თაობაზე იმ შემთხვევაში, თუ ეს უძრავი ქონება გათავისუფლდება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სახელზე არსებული რეგისტრაციისაგან. აღნიშნული წერილის მიხედვით, კომისია აფიქსირებს დადებით პოზიციას მ. ც-ეის საკუთრების უფლების აღიარებასთან დაკავშირებით და არ უთითებს საკუთრების უფლების აღიარების რაიმე დამაბრკოლებელ გარემოებაზე ნაკვეთზე მუნიციპალური საკუთრების გავრცელების გარდა. აღნიშნულის გათვალისწინებით მით უფრო გაურკვეველია აღიარებაზე უარი იმ საფუძვლით, რომ კანონის ამოქმედებამდე ნაკვეთზე განთავსებული იყო დროებით ნაგებობა.

მ. ც-ე სარჩელში უთითებს 21.07.2005წ. საკადასტრო აზომვითი ნახაზის შედგენაზე, რომელზეც დატანილი იყო კაპიტალური სველი წერტილი და მიწის ნაკვეთზე კაპიტალურად დამაგრებული ვაგონი. 21.07.2005წ. შედგენილ საკადასტრო აზომვით ნახაზზე მითითება ხდება აგრეთვე ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნაში. აღნიშნული ნახაზის გაცემისას მოქმედი „მიწის რეგისტრაციის შესახებ“ კანონის (ძალადაკარგულია 20.03.2006წ.) 11.2 მუხლის თანხმად, კადასტრულ რუკაზე მოცემული უნდა ყოფილიყო მიწის და სხვა უძრავი ქონების საზღვრები, გეოგრაფიული ადგილმდებარეობა. ამდენად, აღნიშნული საკადასტრო ნახაზი, რომელიც საქმეში არ არის დაცული, აგრეთვე საჭიროებს შესწავლას, რადგან მასზე დატანილი უნდა ყოფილიყო ინფორმაცია მიწის ნაკვეთისა და მასზე მდებარე უძრავი ქონების შესახებ. ნახაზზე ე.წ. „ვაგონის“ დაფიქსირების შემთხვევაში, უნდა შეფასდეს მისი დროებით ნაგებობად მიჩნევის შესაძლებლობა.

საქმის გარემოებათა ხელახლა გამოკვლევისას შეფასებას საჭიროებს აგრეთვე მ. ც-ეის მიერ მითითებული მიწის ნაკვეთის ფართობი, რადგან კომისიაში 06.11.2015წ. წარდგენილი განცხადებით მ. ც-ე მართალია, ითხოვს საკუთრების უფლების აღიარებას ქ. თბილისში, ...ის (ყოფ. ....ის) ქ. №...-ში მდებარე 328 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე, თუმცა კომისიაში მოსარჩევის მიერვე 2015 წლამდე წარდგენილ განცხადებებში, ისევე როგორც 2011წ. გაცემულ ექსპერტიზის დასკვნაში მიწის ფართად მითითებულია 310 კვ.მ., ხოლო მონ-

მეები, რომლებიც მ. ც-ეის მიერ სადაცონ ნაკვეთის ფლობასა და სარგებლობას ადასტურებენ, მიწის ფართად უთითებენ 300კვ.მ.-ს. ამდენად, დადგენას საჭიროებს ასაღიარებელი მიწის ნაკვეთის ზუსტი ფართობი.

სადაცო აქტით მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მეორე საფუძვლად მითითებულია აგრეთვე ის გარემოება, რომ მ. ც-ეის მიერ მოთხოვნილი მიწის ნაკვეთი მოქცეული იყო ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ტერიტორიის საზღვრებში. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საჯარო რეესტრში მიწის ნაკვეთზე თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების აღრიცხვა არ უნდა იქნეს მიჩნეული სახელმწიფოს მიერ მის განკარგვად „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ კანონის მიზნებისთვის, მიწის ნაკვეთის თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში აღრიცხვით აღიარების მიზნებისთვის არ იცვლება მაწის ნაკვეთის სამართლებრივი სტატუსი. მ. ც-ეის მიერ საკუთრების უფლების აღიარებისას მოთხოვნილი მიწის ნაკვეთი ნარმოადგენდა მუნიციპალიტეტის საკუთრებას, თუმცა იგი ვერ ჩაითვლებოდა განკერძოებულ მიწის ნაკვეთად. კანონში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის მოხსენიება არ ნიშნავს, რომ განცხადების განხილვის მომენტში მიწა უცილობლად მხოლოდ სახელმწიფო საკუთრებაში უნდა იმყოფებოდეს. ნაკვეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დარეგისტრირებით არ გაუქმდებულა ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების შესაძლებლობა, ვინაიდან აღნიშნულით არ მოხდარა ნაკვეთის პრივატიზება, მისი განკერძოება. ამგვარი განმარტება შესაბამისობაშია „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ კანონის მიზანთან, რომელიც აწესრიგებს პირის მიერ თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ კანონის 1-ელი მუხლის თანახმად, ამ კანონის მიზანია მართლზომიერ მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ, აგრეთვე თვითნებურად დაკავებულ სახელმწიფო საკუთრების მიწაზე ფიზიკური, კერძო სამართლის იურიდიული პირების ან კანონით გათვალისწინებული სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნების საკუთრების უფლების აღიარებით სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ფონდის ათვისება და მიწის ბაზრის განვითარების ხელშეწყობა. „ფიზიკური და კერძო

სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობა-ში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ კანონის მიზნის განსაზღვრისას გასათვალისწინებელია მისი მიღების პერიოდისათვის არსებული ფაქტობრივი თუ სამართლებრივი რეალობა. აღნიშნული კანონის მიღებით კანონმდებელ-მა წახალისა კერძო ინიციატივა და მოახდინა არსებული მიწის რესურსის ათვისების სტიმულირება ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ. ხსენებული კანონის საფუძველზე, ფიზიკურ პირებს და კერძო სამართლის იურიდიულ პირებს მიენიჭათ უფლება, დადგენილი წესით და დადგენილი წინაპირობების არსებობისას, მოეხდინათ საკუთრების უფლების აღიარება. ზემოაღნიშნული კანონის მიღებით, მიწის ფონდის ათვისების ხელშეწყობის მიზნით, სახელმწიფომ დაადგინა სახელმწიფო ქონების – მიწის ნაკვეთების პრივატიზების გარკვეული შეღავათების შემცველი რეჟიმი (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 27.12.2013წ. №2/3/522,553 გადაწყვეტილება, ჭ17,46,47). კანონის მიღების მიზნით სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწის ფონდის მნიშვნელოვანი ნაწილის მართლზომიერ მფლობელობასა და სარგებლობაში არსებობა და თვითნებური დაკავება გახდა, რაც აფერხებდა მიწის ფონდის ათვისებას, მიწის ბაზრისა და მიწის განკარგვის სახელმწიფო სტრატეგიული გეგმის განვითარებას. ამასთანავე, მიუხედავად მოქალაქეთა მიერ აღნიშნული მიწებით მრავალწლიანი სარგებლობისა, მათზე საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია დაკავშირებული იყო მთელ რიგ სირთულეებთან, თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების რეგისტრაცია შეუძლებელი იყო. არსებული ვითარება განაპირობებდა სახელმწიფო ბიუჯეტის ზრდის შეფერხებას, რადგან ვერ ხერხდებოდა მიწების საჯარო რეესტრში იდენტიფიცირება და, შესაბამისად, მათი მიწის გადასახადით დაბეგვრა (იხ. „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ კანონის პროექტის განმარტებითი ბარათი). ამდენად, ნათელია, რომ კანონის მიღება ემსახურებოდა ზემოაღნიშნული პრობლემების აღმოფხვრას, რაც თანაბრად ავრცელებდა მის მოქმედებას, როგორც სახელმწიფოს, ისე ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებთან მიმართებით. სახელმწიფოს მიზანს შეადგენდა ქვეყნის მასშტაბით არსებული ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ რეალურად დაკავებული, დაურეგისტრირებელი მიწების ოდენობის დადგენა, აღრიცხვა და მათი რეგისტრირება, რაც თავისთავად გულისხმობს არა მხოლოდ სახელმწიფო საკუთ-

რებაში, არამედ თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ მიწებსაც (იხ. სუსგ 28.10.2019წ. №ბს-504-501(კ-17)). ამდენად, მ. ც-ეის მიერ მოთხოვნილი მიწის ნაკვეთის თბილისის მუნიციპალიტეტის საკადასტრო ერთეულის საზღვრებში მოქცევა, არ ქმნიდა მ. ც-ეის საკუთრების უფლების აღიარებაზე უარის თქმის საფუძველს.

საკითხზე ხელახალი მსჯელობისას კომისიამ უნდა გაითვალისწინოს აგრეთვე არქიტექტურის სამსახურიდან მის მიერვე გამოთხოვილი ინფორმაცია. სსიპ არქიტექტურის სამსახურის 05.02.2016წ. წერილის თანახმად, მართალია მიწის ნაკვეთი დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის მიხედვით, მოქცეულია სპეციალურ (სპეც) ზონაში, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ კანონი მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების გამომრიცხავ გარემოებებს შორის არ ასახელებს ნაკვეთის მდგრადრებას ზოგადად სპეციალურ (სპეც) ზონაში (3.2 მუხ.). ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 24.05.2016. №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესებს“ თანახმად, სპეციალური ზონა მოიცავს: არსებულ/დაგეგმილ საგანმანათლებლო, სამეცნიერო, სამედიცინო, ასევე საქალაქო ინფრასტრუქტურის და სასაწყობო გამოყენების ტერიტორიებს, არსებულ/დაგეგმილ სასაფლაო გამოყენების ტერიტორიებს და არსებულ/დაგეგმილ სამხედრო გამოყენების ტერიტორიებს (მე-15 მუხ. მე-2 პუნქტის „დ“ ქვ.პ., მე-5 პუნქტის „ვ“, „ზ“, „თ“ ქვ.პ.). ამდენად, მართალია, სპეციალური ზონა სამხედრო გამოყენებისათვის განკუთვნილი მიწის ნაკვეთების გარდა მოიცავს სხვა არა ერთი კატეგორიის მიწის ნაკვეთს, თუმცა მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარება გამოირიცხება მხოლოდ სპეციალური დანიშნულების – თავდაცვისა და მობილიზაციისათვის განკუთვნილ მიწის ნაკვეთებზე (კანონის 3.2 მუხ. „კ“ ქვ.პ.), ხოლო განსახილვები შემთხვევაში ასაღიარებელი მიწის ნაკვეთის მდებარეობა თავდაცვისა და მობილიზაციისათვის განკუთვნილ ტერიტორიაზე არ დადასტურებულა. საგულისხმოა აგრეთვე, რომ კომისიის სადაცვო აქტით აღნიშნული საფუძველი არ გამხდარა მ. ც-ეის განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ არსებობს სადაცვო აქტის სასკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე ბათილად ცნობის წინაპირობები, რადგან ადმინის-

ტრაციულ პროცესში მოქმედი ინკვიზიციურობის პრინციპის გათვალისწინებით (სასკ-ის მე-4, მე-19 მუხ.) მართალია, სასამართლოს აქვს შესაძლებლობა ფაქტობრივი გარემოებების სრულყოფილად გამოკვლევის მიზნით შეაგროვოს დამატებითი მტკიცებულებები, თუმცა აღნიშნული უზრუნველყოფს ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში დაშვებული ხარვეზების აღმოფხვრას და არა ორგანოში განსახორციელებელი წარმოების ჩანაცვლებას. განსახილველ შემთხვევაში გამოკვლევას საჭიროებს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე რიგი გარემოებები. კომისია ვალდებულია მასთან წარდგენილ განცხადებაში დასტული საკითხი შეისწავლოს სზაკ-ით დადგენილი წესით, სრულად გამოიკვლიოს საქმესთან დაკავშირებული გარემოებები და მიიღოს სათანადოდ დასაბუთებული გადაწყვეტილება. განსახილველ შემთხვევაში სადაც აქტი ვერ აკმაყოფილებს აღნიშნულ სტანდარტს. ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ მ. ც-ების სასარჩელო მოთხოვნაა სადავო აქტის ბათილად ცნობა და კომისიისათვის საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება. ამდენად, მ. ც-ე სასამართლოსგან არ ითხოვს კომისიისათვის აღიარების შესახებ აქტის გამოცემის დავალებას, მოსარჩელის მოთხოვნას შეადგენს კომისიისათვის საქმის გარემოებათა ხელახლა გამოკვლევის და შემდგომში აქტის გამოცემის დავალება. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სასამართლო შეზღუდულია სასარჩელო მოთხოვნით, იგი არ არის უფლებამოსილი მიაკუთხნოს მხარეს ის, რაც მას არ უთხოვია, ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა (სსკ-ის 248-ე მუხ.), შესაბამისად, სადაც აქტი ბათილად უნდა იქნეს ცნობილი სასკ-ის 32.4 მუხ-ლის საფუძველზე.

რაც შეეხება სარჩელზე, სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის საკითხს, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სასკ-ის 10.2 მუხლის თანახმად, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემული იყო საქმის გარემოებების სათანადო გამოკვლევის გარეშე, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია აანაზღაუროს პროცესის ხარჯები მის სასარგებლოდ გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაშიც. პროცესის ხარჯები მოიცავს სახელმწიფო ბაჟს (სსკ-ის 37-ე მუხ.). მოცემულ შემთხვევაში დადასტურდა, რომ კომისიის მიერ სადავო 12.03.2018წ. №401 განკარგულების გამოცემა მოხდა საქმის გარემოებების სათანადოდ გამოკვლევის გარეშე. ამდენად, სწორედ კომისიას უნდა დაეკისროს მოსარჩელის სასარგებლოდ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის აანაზღაურება.

## **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 411-ე მუხლებით და

## **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ს ტ ა:**

1. მ. ც-ეის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 28.02.2020წ. განჩინება და საქმეზე მიღებული იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. მ. ც-ეის სარჩელი დაკმაყოფილდეს;
4. ბათილად იქნეს ცნობილი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან არსებულ თვითნებურად დაკავებულ მინაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 12.03.2018წ. №401 განკარგულება და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან არსებულ თვითნებურად დაკავებულ მინაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიას დაევალოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალურა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა;
5. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან არსებულ თვითნებურად დაკავებულ მინაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიას 6. ჭ-ეის (პ.ნ. ...) სასარგებლოდ დაეკისროს გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 250 ლარის ანაზღაურება;
6. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან არსებულ თვითნებურად დაკავებულ მინაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიას თ. ა-ის (პ.ნ. ...) სასარგებლოდ დაეკისროს გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 300 ლარის ანაზღაურება;
7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

# ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მინის საკუთრების უფლებას აღიარებაზე უარის თქმის პაროლი

## გადაცევატილება საქართველოს სახელი

№ბს-129(კ-21)

14 აპრილი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: გ. გოგიაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ქ. ცინცაძე,  
ნ. სხირტლაძე

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-  
თლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალური ადმი-  
ნისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა

### აღწერილობითი ნაწილი:

ტ. გ-ემ 2019 წლის 10 მაისს სარჩელით მიმართა თბილისის საქა-  
ლაქო სასამართლოს, მოპასუხის – ქალაქ თბილისის მუნიციპალი-  
ტეტის მერთან არსებული თვითნებურად დაკავებულ მინაზე სა-  
კუთრების უფლების აღიარების კომისიის მიმართ და „საკუთრე-  
ბის უფლების აღიარებაზე უარის თქმის შესახებ“ ამავე კომისიის  
2019 წლის 11 თბერვლის №214 განკარგულების ბათილად ცნობა,  
ასევე, კომისიისთვის, ქალაქ თბილისში, ...ის ქ. №27-ში მდებარე  
მინის ნაკვეთის მომიჯნავე 182 კვ.მ. მინის ნაკვეთზე ტ. გ-ის სა-  
კუთრების უფლების აღიარების თაობაზე, ახალი ინდივიდუალური  
ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დაგაალება  
მოითხოვა.

სარჩელის თანახმად, ტ. გ-ე მრავალი წელია ფლობს და სარგებ-  
ლობს ქალაქ თბილისში, ...ის №27-ში მდებარე 382 კვ.მ. მინის ნაკ-  
ვეთით, რომელიც მისი კუთვნილი, 1995 წელს შეძენილი 450 კვ.მ.  
მინის ნაკვეთისა და მასზე მდებარე შენობა-ნაგებობების მომიჯ-  
ნავედ მდებარეობს. 2015 წელს ქალაქ თბილისის საკრებულომ ტ.  
გ-ის მოთხოვნა დააკმაყოფილა და თვითნებურად დაკავებული მი-  
ნის ნაწილი (185 კვ.მ.) ულიარა, თუმცა დანარჩენი ნაწილის (182  
კვ.მ.) აღიარება თავად არ მოუთხოვია შესაბამისი ღირებულების  
გადახდის საშუალების არქონის გამო. მოსარჩელისვე აღნიშვნით,  
მიტაცებული მინის დაკანონებაზე გარკვეული შეღავათების გავ-  
რცელების გამო, 2017 წელს განცხადებით კვლავ მიმართა ქალაქ  
თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან არსებულ თვითნებურად და-

კავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიას და მოითხოვა მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარება, თუმცა მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა იმ მიზეზით, რომ მოსარჩელეს თავის დროზე ორივე ნაკვეთზე უფლების აღიარება არ მოუთხოვია, ასევე, არ დგინდებოდა საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთებისა და მოთხოვნილი მომიჯნავე მიწის ნაკვეთის ერთიან სასაზღვრო მიჯნაში არსებობის ფაქტი. მოსარჩელეს მიაჩნია, რომ აღიარების კომისიამ დაუსაბუთებლად უთხრა უარი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, რის გამოც მან სადაც აქტის ბათილად ცნობა შორითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილებით ტ. გ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი „ტ. გ-ის თვის საკუთრების უფლების აღიარებაზე უარის თქმის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2019 წლის 11 თებერვლის №214 განცარგულება და ადმინისტრაციულ ორგანოს დაევალა, კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაში, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შედეგად, ქალაქ თბილისში, ...ის №27-ის მიმდებარედ არსებულ 182 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე ტ. გ-ის მოთხოვნასთან დაკავშირებით ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ტ. გ-ებ 2014 წლის 23 ივნისს განცხადებით მიმართა ქალაქ თბილისის საკუთრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიას და ქალაქ თბილისში, ...ის ქუჩა №27-ში მდებარე, ტ. გ-ისა და პ. კ-ის თანასაკუთრებაში არსებული, №... საკადასტრო კოდის მქონე 450 კვ.მ. მიწის ნაკვეთის მომიჯნავედ – 185 კვ.მ. მანის ნაკვეთის დაკანონება მოითხოვა. კომისიის 2015 წლის 13 იანვრის გადაწყვეტილებით მოთხოვნილ მიწის ნაკვეთს (თბილისი, ...ის ქ. №27-ის მიმდებარედ) მიენიჭა თვითნებურად დაკავებულის კატეგორია (სასყიდლიანი) და როგორც საკუთრების მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე, საკუთრების უფლება ელიარა ტ. გ-ეს. აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მის შესაბამისად გაცემული საკუთრების უფლების მოწმობის საფუძველზე, ქალაქ თბილისში, ...ის ქ. №27-ში მდებარე მიწის ნაკვეთის მომიჯნავე 185 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, №... საკადასტრო კოდით, დარეგისტრირდა ტ. გ-ის საკუთრებად.

ტ. გ-ემ 2017 წლის 19 სექტემბერს განცხადებით მიმართა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და ქალაქ თბილისში, ...ის ქ. №27-ში მდებარე, ტ. გ-ისა და პ. კ-ის თანასაკუთრებაში არსებული №... საკადასტრო კოდის მქონე 450 კვ.მ. მინის ნაკვეთის მომიჯნავედ მდებარე 182 კვ.მ. მინის ნაკვეთზე სახელმწიფო პროექტის ფარგლებში უფლების რეგისტრაცია მოითხოვა. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 18 ოქტომბერს ტ. გ-ის განცხადება მასთან დაკავშირებული დოკუმენტები განსახილველად გადაეგზავნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საკუთრების უფლების აღიარების კომისიას.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საკუთრების უფლების აღიარების კომისიამ 2019 წლის 11 თებერვლის №214 განკარგულებით, ტ. გ-ეს უარი უთხრა მოთხოვნილ მინის ნაკვეთზე (მისამართი: ქალაქ თბილისი, ...ის ქ. №27-ის მიმდებარედ 182.00 კვ.მ. მინის ნაკვეთი) საკუთრების უფლების აღიარებაზე, უფლებააღიარებული მინის ნაკვეთისა და მოთხოვნილი მომიჯნავე მინის ნაკვეთის ერთიან სივრცესა და ერთიან სასაზღვრო მიჯნაში არარსებობისა და ამავდროულად, მინის კანონის ამოქმედებამდე თვითნებურად დაკავების დაუდასტურებლობის საფუძვლით.

საქმეზე დართული საკადასტრო გეგმებისა და ორთოფოტოების მიხედვით, დადასტურებულია, რომ 2005 და 2010 წლების მდგომარეობით, №... საკადასტრო ერთეულის ჩრდილოეთით მოსაზღვრე მინის ნაკვეთი (სადაც მინის ნაკვეთი) ნარმოადგენს საჯარო რეესტრში აღიარებულ მინის ნაკვეთებს შორის მოქცეულ, დაურეგისტრირებელ ერთიან სივრცეს.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასებისას, პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუთითა „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მინის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონზე და მიიჩნია, რომ სადაც აქტი გამოცემული იყო საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტებისა და გარემოებების გამოკვლევის გარეშე. სასამართლომ განმარტა, რომ დასახელებული კანონის (სადაც პერიოდში მოქმედი) თანახმად, მართლზომიერ მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მინას ნარმოადგენს სახელმწიფო საკუთრების სასოფლო ან არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის ნაკვეთი მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობით (აშენებული, მშენებარე ან დანგრეული) ან მის გარეშე, რომელზედაც (მინის ნაკვეთზე ან შენობა-ნაგებობაზე) ფიზიკურ ან კერძო სამართლის იურიდიულ პირს ან კანონით გათვალისწინებულ სხვა ორგანიზაციულ ნარმონაქმნს მართლზომიერი მფლობელობის უფლება ნარმო-

ეშვა ამ კანონის ამოქმედებამდე, ასევე ტექნიკური ინვენტარიზაციის არქივში აღრიცხული, 1994 წლამდე თვითნებურად დაკავებული მინა, ხოლო თვითნებურად დაკავებულ მინას წარმოადგენს – ამ კანონის ამოქმედებამდე ფიზიკური პირის მიერ თვითნებურად დაკავებული სახელმწიფო საკუთრების სასოფლო ან არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის ნაკვეთი, რომელზედაც განთავსებულია საცხოვრებელი სახლი (აშენებული ან დანგრეული) ან არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობა (აშენებული), ასევე დაინტერესებული ფიზიკური პირის საკუთრებაში ან მართლზომიერ მფლობელობაში არსებული მინის ნაკვეთის მომიჯნავე, თვითნებურად დაკავებული მინის ნაკვეთი (შენობით ან მის გარეშე), რომლის ფართობიც ნაკლებია საკუთრებაში ან მართლზომიერ მფლობელობაში არსებული მინის ნაკვეთის ფართობზე, ასევე კერძო სამართლის იურიდიული პირის საკუთრებაში ან მართლზომიერ მფლობელობაში არსებული მინის ნაკვეთის მომიჯნავე, თვითნებურად დაკავებული მინის ნაკვეთი, რომელზედაც განთავსებულია არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობა (აშენებული), რომლის ფართობიც ნაკლებია საკუთრებაში ან მართლზომიერ მფლობელობაში არსებული მინის ნაკვეთის ფართობზე და რომელიც საკუთრების უფლების აღიარების მოთხოვნის მომენტისათვის სახელმწიფოს მიერ არ არის განკარგული.

სასამართლომ მიიჩნია, რომ ვინაიდან №... საკადასტრო ერთეულის ჩრდილოეთით მოსაზღვრე მინის ნაკვეთი წარმოადგენდა საჯარო რეესტრში აღრიცხულ მინის ნაკვეთებს შორის მოქცეულ, დაურეგისტრირებელ ერთიან სივრცეს, შესაბამისად, ამ მინის ნაკვეთის ნაწილის №... საკადასტრო ერთეულის მესაკუთრის მიერ თვითნებურად დაკავების ფაქტი შესაძლებელია შეფასდეს იმის მტკიცებულებად, რომ იგივე მესაკუთრებ თვითნებურად დაიკავა საკუთრებაში არსებული მინის ნაკვეთის ჩრდილოეთით მოსაზღვრე მინის ნაკვეთის მეორე ნაწილიც, თუ №... მინის ნაკვეთზე თანამესაკუთრეთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ ფაქტობრივად არსებული მონაცემები სხვაგვარ დასკვნას არ განაპირობებს. შესაბამისად, ტ. გ-ის განცხადების განხილვისას საქმის გარეობების ყოველმხრივ გამოკვლევისთვის არსებობს №... მინის ნაკვეთზე თანამესაკუთრების უფლებრივი მდგომარეობისა და ტ. გ-ის მოთხოვნაზე №... საკადასტრო კოდის მქონე მინის ნაკვეთზე თანამესაკუთრის პოზიციის გამოკვლევისა და შეფასების საჭიროება, ასევე, დასადგენ გარემოებებთან დაკავშირებით დაინტერესებული პირისაგან განმარტებებისა და დამატებითი მტკიცებულებების (როგორიცაა განსახილველი მინის ნაკვეთის მეზობელი ნაკვეთების მესაკუთრეთა პოზიციებიან/და სხვა) მოთხოვნის

შესაძლებლობა, რასაც ადგილი არ ჰქონია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადაც აქტი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი და საკუთრების უფლების აღიარების კომისიას ტ. გ-ის მოთხოვნასთან დაკავშირებით სათანადოდ გამოეკვლია საქმის გარემოებები და გამოეცა შესაბამისი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან არსებულმა თვითნებურად დაკავებულ მინაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიაში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 14 სექტემბრის განჩინებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული თვითნებურად დაკავებულ მინაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის სააპელაციო საჩივარი არ დაემაყოფილდა. შესაბამისად, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, მათი სასამართლებრივი შეფასება და დამატებით, აღნიშნა, რომ კომისიის მიერ დაირღვა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 ნაწილისა და 96-ე მუხლის მოთხოვნები. კერძოდ, მინის ნაკვეთზე მხოლოდ სასაზღვრო მიჯნის არარსებობაზე მითითება არ წარმოადგენდა პირის მიერ უფლებასაღიარებელი მინის ნაკვეთის თვითნებურად დაკავების ფაქტის გამომრიცხველ საკამარის გარემოებას, რადგან კანონით დადგენილი წესით შეგროვებული მტკიცებულებების ერთობლივი ანალიზის საფუძველზე უნდა დადგინდეს მოსარჩევის ან მისი მამკვიდრებლის მიერ უფლებასაღიარებელის მინის ნაკვეთის თვითნებურად დაკავების ფაქტი (ნაკვეთის შემოსაზღვრა, საკუთრებაში არსებულ მინის ნაკვეთთან გაერთიანება, მოვლა, კულტურული ხე-მცენარეების დარგვა, უძრავი შენობა-ნაგებობის განთავსება, სხვადასხვა დანიშნულების საინჟინრო-საკომუნიკაციო ქსელის არსებობა და სხვა), ასევე პირის განზრახვა, კერძოდ განმცხადებლის მიერ შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე სახელმწიფოს კუთვნილი მინის ნაკვეთის ამ კანონის ამოქმედებამდე თვითნებურად დაკავება მიზნად ისახავდა მასზე, როგორც საკუთარზე ფაქტობ-

რივი ბატონობის მოპოვებას ამ უფლების შემდგომში საკუთრებად ტრანსფორმირების მიზნით, თუ ეს იყო დროებითი ხასიათის მოქმედება, რაც საჭიროების გავლის შემდეგ მიწის ნაკვეთის მიტოვებაში გამოიხატებოდა.

სააპელაციო სასამართლომ ასევე გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს განმარტება მასზედ, რომ ტ. გ-ის განცხადების განხილვისას არსებობდა №... მიწის ნაკვეთზე თანამესაკუთრების უფლებრივი მდგომარეობისა და ტ. გ-ის მოთხოვნაზე №... მიწის ნაკვეთზე თანამესაკუთრის პოზიციის გამოკვლევისა და შეფასების საჭიროება, ასევე, დასადგენ გარემოებებთან დაკავშირებით დაინტერესებული პირისაგან განმარტებებისა და დამატებითი მტკიცებულებების (როგორიცაა განსახილველი მიწის ნაკვეთის მეზობელი ნაკვეთების მესაკუთრეთა პოზიციები ან/და სხვა) მოთხოვნის შესაძლებლობა, რასაც კონკრეტულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 14 სექტემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან არსებულმა თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიამ, რომელმაც ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორი „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირის მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტზე მითითებით აღნიშნავს, რომ ამ კანონის მიზნებისთვის, თვითნებურად დაკავებული მიწის ცნების ქვეშ მოიაზრება ორგვარი კატეგორიის მინა: 1) მიწის ნაკვეთი, რომელზეც კანონის ამოქმედებამდე და საკითხის განხილვის დროისთვის განთავსებულია კაბიტალური საცხოვრებელი სახლი (აშენებული ან დანგრეული) ან არასაცხოვრებელი დანიშნულების კაპიტალური შენობა (აშენებული); 2) საკუთრებაში ან მართლზომიერ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავე მიწის ნაკვეთი (შენობით ან მის გარეშე). მოცემულ შემთხვევაში, ტ. გ-ე საკუთრების უფლების აღიარებას ითხოვს მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავედ დაკავებულ მიწის ნაკვეთზე. როგორც უკვე აღინიშნა, აუცილებელია, რომ განმცხადებელს დასახელებული კანონის ამოქმედებამდე – 2007 წლამდე გააჩნდეს მიწის ნაკვეთზე საკუთრების/მართლზომიერი მფლობელობის უფლება და ამ მიწის ნაკვეთის მომიჯნავედ, ასევე კანონის ამოქმედებამდე თვითნებურად ჰქონდეს დაკავებული მიწის ნაკვეთი.

კასატორის მითითებით, საქმის მასალებით, აეროფოტოგადაღე-

ბებითა და საჯარო რეესტრიდან ამონაწერებით დასტურდება, რომ ტ. გ-ეს საკუთრებაში აქვს №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი (საერთო ფართობი 185 კვ.მ.), ასევე, თანასაკუთრებაში აქვს №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი (საერთო ფართობი 170,19 კვ.მ.). აღსანიშნავია, რომ ტ. გ-ე №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრე გახდა 2015 წელს, კომისიის მიერ გაცემული საკუთრების უფლების მონმდინარეობის საფუძველზე. უფლების აღიარება კი მოხდა, როგორც ტ. გ-ის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავე. ამასთანავე, დადგენილია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში მოსარჩელე ითხოვდა ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთებს შორის მოქცეული მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარებას.

დადგენილი გარემოებების, ასევე აეროფოტოგადაღებების გათვალისწინებით, კომისიამ მიიჩნია, რომ არ დასტურდებოდა საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთისა და მოთხოვნილი მომიჯნავე მიწის ნაკვეთის ერთიან სასაზღვრო მიჯნაში არსებობის ფაქტი. ასევე არ დაგინდებოდა მოთხოვნილი მიწის ნაკვეთის თვითნებურად დაკავებისა და ფლობის ფაქტი, რამდენადაც პირველდელი მოთხოვნის განხილვის დროისთვის, საკუთრების უფლების აღიარება მოთხოვნილი იყო 185 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე და იგი თავის დროზე არ მოიცავდა უფლებასასალარებულ მიწის ნაკვეთს. ამდენად, მოსარჩელე ვერ აკმაყოფილებდა თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთის ვერცერთ კატეგორიას, რის გამოც კასატორი თვლის, რომ სადაც აქტი გამოცემულია კანონის მოთხოვნათა დაცვით და არ არსებოს მისი ბათოლად ცნობის სამართლებრივი საფუძველი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 28 მარტის განჩინებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა მიჩნეული.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო, საქმის მასალებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის შედეგად, მიიჩნევს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ტ. გ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდება.

**საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:**

1. ტ. გ-ემ 2014 წლის 23 ივნისს განცხადებით მიმართა ქალაქ თბილისის საკურებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიას და ქალაქ თბილისში, ...ის ქუჩის №27-ში მდებარე, ტ. გ-ისა და პ. კ-ის თანასაკუთრებაში არსებული, №... საკადასტრო კოდის მქონე 450 კვ.მ. მიწის ნაკვეთის მომიჯნავე 185 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარება მოითხოვა.

2. კომისიის 2015 წლის 13 იანვრის გადაწყვეტილებით (სხდომის ოქმი №420) მოთხოვნილ მიწის ნაკვეთს (ქალაქ თბილისში, ...ის ქუჩის №27-ის მიმდებარედ) მიენიჭა თვითნებურად დაკავებულის კატეგორია (სასყიდლიანი) და საკუთრების უფლება ელიარა ტ. გ-ეს. აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მის შესაბამისად გაცემული საკუთრების უფლების მოწმობის საფუძველზე, ქალაქ თბილისში, ...ის ქუჩა №27-ში მდებარე მიწის ნაკვეთის მომიჯნავე 185 კვ.მ. მიწის ნაკვეთი №... საკადასტრო კოდით დარეგისტრირდა ტ. გ-ის საკუთრებად;

3. ტ. გ-ემ 2017 წლის 19 სექტემბერს განცხადებით მიმართა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და ქალაქ თბილისში, ...ის ქუჩის №27-ის მიმდებარედ 182 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე სახელმწიფო პროექტის ფარგლებში უფლების რეგისტრაცია მოითხოვა;

4. საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს 2017 წლის 18 ოქტომბრის მიმართვით ტ. გ-ის განცხადება და მასთან დაკავშირებული დოკუმენტები, კომპეტენციის ფარგლებში, საკითხის განსახილებად გადაეგზავნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საკუთრების უფლების აღიარების კომისიას;

5. საკუთრების უფლების აღიარების კომისიამ ტ. გ-ის განცხადება ქალაქების მარებითი თვალსაზრისით დასკვნის მისაღებად გადაუგზავნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურს. აღნიშნული სამსახურის 2018 წლის 27 აპრილის წერილით კომისიას ეცნობა, რომ ტ. გ-ის განცხადებით მითითებული მიწის ნაკვეთი, დედაქალაქის მიწათსარებლობის გენერალური გეგმის მიხედვით, საცხოვრებელ ზონაში (სტ) იყო მოქცეული;

6. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საკუთრების უფლების აღიარების კომისიამ 2019 წლის 11 თებერვლის №214 განკარგულებით, ტ. გ-ეს უარი უთხრა მოთხოვნილ მიწის ნაკვეთზე (მისამართი: ქალაქ თბილისი, ...ის ქ. №27-ის მიმდებარე 182.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი) საკუთრების უფლების აღიარებაზე, უფლებააღირებული მიწის ნაკვეთისა და მომიჯნავე მიწის ნაკვეთის ერთიან სივრცესა და ერთიან სასაზღვრო მიჯნაში არარსებობის, ასევე,

მიწის კანონის ამოქმედებამდე (2007 წლამდე) თვითნებურად და-კავებისა და ფლობის დაუდასტურებლობის საფუძვლით.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ განსახილველ საქმეში მთა-ვარ სადაც საკითხს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ტ. გ-ისთვის საკუთრების უფლების აღიარებაზე უარის თქმის კანონიერება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „ფიზიკური და კერძო სა-მართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შე-სახებ“ საქართველოს კანონზე, რომელიც თვითნებურად დაკავე-ბულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების ძირითად პირობებს განსაზღვრავს. ამავე კანონის მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის სადა-ვო პერიოდში მოქმედი რედაქციის თანახმად, თვითნებურად და-კავებულ მიწას წარმოადგენს ამ კანონის ამოქმედებამდე ფიზი-კური პირის მიერ თვითნებურად დაკავებული სახელმწიფო საკუთ-რების სასოფლო ან არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მი-წის ნაკვეთი, რომელზედაც განთავსებულია საცხოვრებელი სახ-ლი (აშენებული ან დანგრეული) ან არასაცხოვრებელი დანიშნუ-ლების შენობა (აშენებული), ასევე, დაინტერესებული ფიზიკური პირის საკუთრებაში ან მართლზომიერ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავე, თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკ-ვეთი (შენობით ან მის გარეშე), რომლის ფართობიც ნაკლებია სა-კუთრებაში ან მართლზომიერ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის ფართობზე. ამრიგად, თუკი დაინტერესებული პირი, მი-წის ნაკვეთის თვითნებურად დაკავების ფაქტიდან გამომდინარე, საკუთრების უფლების აღიარებას ითხოვს მომიჯნავე მიწის ნაკ-ვეთზე და საკითხი არ ეხება თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკ-ვეთს საცხოვრებელი სახლით ან არასაცხოვრებელი დანიშნულე-ბის შენობით, მან უნდა დაამტკიცოს დასახელებული კანონის ამოქ-მედებამდე (2007წ.) მომიჯნავე მიწის ნაკვეთის ფლობისა და სარ-გებლობის ფაქტი, ამასთან, მოთხოვნილი მიწის ფართობი ნაკლები უნდა იყოს საკუთრებაში ან მართლზომიერ მფლობელობაში არსე-ბული მიწის ნაკვეთის ფართობზე (დღეს მოქმედი რეგულაციით კი, საკუთრებაში არსებული და აღიარებამოთხოვნილი მიწის ნაკ-ვეთების ჯამური ფართობი ბარში არ უნდა აღემატებოდეს 1.25 ჰექტარს, ხოლო „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესა-ხებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განსაზღვრულ მაღალ-მთიან დასახლებაში – 5 ჰექტარს). იმავე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, საკუთრების უფლების აღიარება განიმარტება, როგორც ფიზიკური ან კერძო სამართლის იურიდიული პირისათვის ან კანო-ნით გათვალისწინებული სხვა ორგანიზებული წარმონაქმნისათვის

სახელმწიფო საკუთრების სასოფლო ან არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობით (აშენებული, მშენებარე ან დანგრეული) ან მის გარეშე, ამ კანონითა და საქართველოს მთავრობის შესაბამისი დადგენილებით დამტკიცებული ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესით განსაზღვრული პირობებისა და პროცედურის შესაბამისად, საკუთრებაში სასყიდლიანი ან უსასყიდლო ფორმით გადაცემი.

დასახელებული კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარებაზე უფლებამოსილია შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსთან (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან) არსებული თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისია, რომელიც თავის ფუნქციებს ახორციელებს საქართველოს ზოგადი აღმინისტრაციული კოდექსის VIII თავით განსაზღვრული ფორმალური აღმინისტრაციული წარმოებისა და ამ კანონით დაგენილი წესით.

ამასთანავე, „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის 5<sup>1</sup> მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ მოთხოვნის განხილვის საფუძველია დაინტერესებული პირის მიერ წერილობითი განცხადების წარდგენა კომისიაში. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად კი, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ მოთხოვნის დასადასტურებლად დაინტერესებულმა პირმა უნდა წარადგინოს ა) მიწის თვითნებურად დაკავების დამადასტურებელი დოკუმენტი ან/და მოწმის ჩვენება; ბ) მიწის ნაკვეთის საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზი, ხოლო ამ კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – მიწის ნაკვეთის საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზი, რომელზედაც მითითებული უნდა იყოს მაგისტრალური მილსადენის ადგილმდებარეობა და მაგისტრალურ მილსადენსა და მიწის ნაკვეთს შორის მანძილი; გ) ინფორმაცია საკუთრების უფლების აღიარების საფასურის ოდენობის დასადგენად; დ) დაინტერესებული პირის საიდენტიფიკაციო დოკუმენტების ასლები.

საკასაციო სასამართლო დამატებით მიუთითებს საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 ივლისის №376 დადგენილებით დამტკი-

ცებული „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესზე“, რომელიც არეგულირებს მართლზომიერ მფლობელობაში ან სარგებლობაში არსებულ, აგრეთვე თვითნებურად დაკავებულ სახელმწიფო საკუთრების სასოფლო ან/და არასასოფლო-სამურნეო დანიშნულების მიწაზე ფიზიკური, კერძო სამართლის იურიდიული პირის ან კანონით გათვალისწინებული სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნის საკუთრების უფლების აღიარების პროცედურებსა და პირობებს, განსაზღვრავს საკუთრების უფლების აღიარების უფლებამოსილების მქონე ორგანოს სამართლებრივ სტატუსს, კომპეტენციასა და სამართლებრივ საფუძვლებს, აგრეთვე საკუთრების უფლების აღიარების პროცესში მონაწილე მხარეთა უფლება-მოვალეობებს. მითითებული წესის მე-2 მუხლი განსაზღვრავს უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის, მიწის თვითნებურად დაკავების დამადასტურებელი დოკუმენტისა და მოწმის ჩვენების, როგორც მითითებულ წესში გამოყენებულ ტერმინთა, მნიშვნელობას. კერძოდ, ხსენებული წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“, „ე“ და „თ“ კვებუნებებით განსაზღვრულია, რომ უფლების დამადასტურებელ დოკუმენტს წარმოადგენს მიწის მართლზომიერი მფლობელობის (სარგებლობას) ან/და თვითნებურად დაკავების დამადასტურებელი დოკუმენტი. ამასთან, მიწის თვითნებურად დაკავების დამადასტურებელი დოკუმენტი არის ცნობა-დახასიათება უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშე, სასამართლოს აქტი, ორთოფოტო (აეროფოტოგადაღება), აპონენტად აყვანის დოკუმენტი, გადახდის ქვითარი ან/და სხვა დოკუმენტი, ხოლო მოწმის ჩვენება კი – მიწის თვითნებურად დაკავების ფაქტის თაობაზე მოწმის ნოტარიულად დამოწმებული განცხადება.

განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელის მიერ მოთხოვნილია მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების მომიჯნავე მიწაზე საკუთრების უფლების აღიარება, აღიარებამოთხოვნილი მიწის ნაკვეთის კანონის ამოქმედებამდე (2007 წლის 27 ივლისამდე) თვითნებურად დაკავებისა და ფლობის საფუძვლით, თუმცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საკუთრების უფლების აღიარების კომისიის სადაცო განკარგულებით, ტ. გ-ის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. განკარგულებაში მიეთითა, რომ არ დასტურდებოდა განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი მიწის ნაკვეთის თვითნებურად დაკავებისა და ფლობის ფაქტი, რამდენადაც ტ. გ-ის თავდაპირველი განცხადების განხილვისას, საკუთრების უფლების აღიარება, წარდგენილი საკადასტრო აზომვითი ნახაზის საფუძველზე, მოთხოვნილი იყო 185 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე და იგი არ მოიცავდა განსახილ-

ველი განცხადებით მოთხოვნილ მიწის ნაკვეთს. შესაბამისად, გა-დაწყვეტილების მიღების დროისთვის (2015წ.) განმცხადებელი პრე-ტენიას არ აცხადებდა დღეის მდგომარეობით მოთხოვნილი მიწის ნაკვეთის ფლობასთან დაკავშირებით. განკარგულებით ასევე აღი-ნიშნა, რომ საქმის მასალებითა და აეროფოტოგადაღებებით არ დას-ტურდებოდა საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთებისა და მოთ-ხოვნილი მომიჯნავე მიწის ნაკვეთის ერთიან სივრცესა და ერთიან სასაზღვრო მიჯნაში არსებობის ფაქტი. შესაბამისად, კომისიის მი-ერ 2019 წლის 11 თებერვალს მიღებული იქნა №214 განკარგულება „ტ. გ-ისთვის მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარებაზე უარის თქმის შესახებ“. ამდენად, საკასაციო სასამართლო აღნიშ-ნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში შესაფასებელია, ნარმოადგენდა თუ არა აღნიშნულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარებისათვის შემაფერხებელ გარემოებას მოთხოვნილი მიწის მომიჯნავე დო-სარჩელის საკუთრებაში იმ მიწის ნაკვეთების არსებობის ფაქტი, რომლებსაც საკუთრების უფლებით ფლობდა, თუმცა ერთი მხრი-დან მოსაზღვრე მიწის ნანილი, თავის დროზე, სწორედ აღიარების საფუძველზე იქნა საკუთრებაში გადაცემული და იმ პირობებში და-ნარჩენ მიწის ნანილზე, როგორც მომიჯნავე ნაკვეთზე ტ. გ-ეს სა-კუთრების უფლების აღიარება არ მოუხოვია.

როგორც ზემოთ აღინიშნა, „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ სა-ქართველოს კანონის მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, თვითნებურად დაკავებული მიწა არის ამ კანონის ამოქმედებამდე „...დაინტერესებული ფიზიკური პირის საკუთრებაში ან მართლზო-მიერ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავე, თვით-ნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთი (შენობით ან მის გარეშე), რომლის ფართობიც ნაკლებია საკუთრებაში ან მართლზომიერ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის ფართობზე...“, რომე-ლიც საკუთრების უფლების აღიარების მოთხოვნის მომენტისათ-ვის სახელმწიფოს მიერ არ არის განკარგული, გარდა ამ მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა. მითითებული მუხლის დეფინიციდან გამომდინარე, ამ საფუძვლით, მიწის ნაკ-ვეთის თვითნებურად დაკავებულად მიიჩნევისთვის აუცილებელია განმცხადებლის მიერ კანონის ამოქმედებამდე მის საკუთრებაში ან მართლზომიერ მფლობელობაში არსებული მიწის მომიჯნავედ მდებარე თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთის (შენობით ან მის გარეშე) ფლობისა და სარგებლობის ფაქტის დადასტურება, რომლის ფართობიც ნაკლები იქნება საკუთრებაში ან მართლზო-მიერ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის ფართობზე.

საკასაციონ სასამართლო აღიარებამოთხოვნილ მიწის ნაკვეთზე მოსარჩელის საკუთრების უფლების აღიარების გამორიცხვის დასაბუთებისთვის მიუთითებს საქმეზე დადასტურებულ გარემოებზე-ზე. კერძოდ, სადაც არ არის, რომ მოსარჩელემ ქალაქ თბილისში, ...ის ქუჩა №27-ში მდებარე, ტ. გ-ისა და პ. კ-ის თანასაკუთრებაში არსებული №... საკადასტრო კოდის მქონე 450 კვ.მ. მიწის ნაკვეთის მომიჯნავე 185 კვ.მ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარება მოითხოვა. აღიარების კომისიის 2015 წლის 13 იანვრის გადაწყვეტილებით (სხდომის ოქმი №420) თბილისში, ...ის ქუჩა №27-ში მდებარე, ტ. გ-ისა და პ. კ-ის თანასაკუთრებაში არსებული, №... საკადასტრო კოდის 450 კვ.მ. მიწის ნაკვეთის მომიჯნავე 185 კვ.მ მიწის ნაკვეთზე აღიარებულ იქნა ტ. გ-ის საკუთრების უფლება. საჯარო რეესტრის ამონანერის მიხედვით, ქალაქ თბილისში, ...ის ქუჩა №27-ში მდებარე მიწის ნაკვეთის მომიჯნავე 185 კვ.მ მიწის ნაკვეთი №... საკადასტრო კოდით დარეგიტრირდა ტ. გ-ის საკუთრებად. რეგისტრაციის საფუძველი გახდა უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი – საკუთრების მოწმობა №10287 (დამოწმების თარიღი 25.02.2015.). აღნიშული მოწმობის გაცემას კი, თავის მხრივ, საფუძვლად დაედო აღიარების კომისიის 2015 წლის №420 საოქმონ გადაწყვეტილება, რომლითაც მოთხოვნილ მიწის ნაკვეთს მიენიჭა თვითხებურად დაკავებულის კატეგორია (სასყიდლიანი) და მოსარჩელეს ელიარა მოთხოვნილი მიწის ნაკვეთი. ამასთანავე, დასტურდება, რომ საკუთრებააღიარებული მიწის ნაკვეთის დანარჩენ – 182 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე მოსარჩელეს პრეტენზია არ განუცხადებია და არ მიუთითებია მისით სარგებლობისა და ფლობის შესახებ. ამრიგად, დასახელებული გარემოებებით უდავოდ დასტურდება, რომ აღიარებამოთხოვნილი მიწის ნაკვეთი მდებარეობს მოსარჩელის საკუთრებაში არსებული, ასევე უფლებააღიარებული მიწის ნაკვეთების მომიჯნავედ. ეს უკანასკნელი კი ტ. გ-ეს საკუთრებაში გადაეცა 2015 წელს აღიარების საფუძველზე. აქედან გამომდინარე, ცალსახად გამოირიცხება მოთხოვნილი მიწის ნაკვეთის კანონის ამოქმედებამდე (2007წ.) მესაკუთრედ ყოფნისა და მომიჯნავედ მოთხოვნილი მიწის ნაკვეთის, ასევე, კანონის ამოქმედებამდე თვითნებურად დაკავებისა და ფლობის ფაქტი.

საკასაციონ სასამართლო აღნიშნავს, რომ დასახელებული მოცემულობით, მიზანშეუწონელი და გაუმართლებელია აღიარებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავედ არსებული თვითნებურად დაკავებული მიწის მომიჯნავეობის საფუძვლით დაუსრულებელი ათვისება და შემდგომ მასზე საკუთრების უფლების აღიარება. მართალია, აღიარებამოთხოვნილი მიწის ნაკვეთი ერთი მხრიდან ესაზღვრება აღიარების საფუძველზე რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთს,

ხოლო მეორე მხრიდან საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს, თუმცა საქმის მასალებით უტყუარად დასტურდება, რომ მასზე პირველად მოთხოვნის ფარგლებში მოსარჩელეს მიწის თვითნებურად დაკავებისა და ფლობის საფუძვლით საკუთრების უფლების აღიარება არ მოუთხოვია. ამასთანავე, ტ. გ-ისა და პ. კ-ის 450 კვ.მ. თანა-საკუთრების გამიჯნა, რომლიდანაც ტ. გ-ის საკუთრებად დარეგისტრირდა ბინა №1, საერთო ფართი - 170.19 კვ.მ., თუმცა მანამდეც თანასაკუთრების 450 კვ.მ.-დან ტ. გ-ის ნილი 1/2-ს შეადგენდა. ამდენად, აღიარების კომისიის მიერ პირველადი განცხადების განხილვის პირობებში, მოსარჩელეს საკუთრების უფლება ეღიარაზუსტად იმ კვადრატულობით, რაც კანონითაა განსაზღვრული (აღიარებამოთხოვნილი მიწის ნაკვეთი ნაკლები უნდა ყოფილიყო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე). აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ტ. გ-ის მოთხოვნა უსაფუძვლოა, იგი არ აკმაყოფილებს მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარებისათვის კანონით დადგენილ მოთხოვნებს. ამდენად, ის ვერ ჩაითვლება „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე საკუთრების უფლებასასალიარებელი მიწის ნაკვეთის თვითნებურ დამკავებლად.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-7 პუნქტზე, რომლის თანახმად, თუ დაინტერესებული პირის მოთხოვნა საკუთრების უფლების აღიარების შესახებ არ აკმაყოფილებს ამ კანონით განსაზღვრულ პირობებს ან განცხადებისათვის დართული დოკუმენტებით არ დასტურდება თვითნებურად დაკავების ფაქტი, კომისია იღებს წერილობით გადაწყვეტილებას საკუთრების უფლების აღიარებაზე უარის თქმის თაობაზე. ამასთანავე, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 ივლისის №376 დადგენილებით დამტკიცებული „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესის“ მე-17 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, თუ დაინტერესებული პირის მოთხოვნა, საკუთრების უფლების აღიარების შესახებ, არ აკმაყოფილებს „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონით და ამ წესით განსაზღვრულ პირობებს ან განცხადებისათვის დართული დოკუ-

მენტებით არ დასტურდება თვითნებურად დაკავების ფაქტი, კო-მისია იღებს წერილობით გადაწყვეტილებას, საკუთრების უფლე-ბის აღიარებაზე უარის თქმის თაობაზე.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ზო-გადი ადმინისტრაციული კოდექსის 60<sup>1</sup> მუხლის პირველ და მეორე ნაწილებზე, რომელთა თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებ-რივი აქტი ბათილია, თუ იგი ენინაალმდევება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებობით დარღვევად ჩაით-ვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კო-დექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვე-ვით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმი-ნისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკით-ხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ჭ. გ-ეზე ქა-ლაქ თბილისში, ...ის ქ. №27-ის მიმდებარედ 182 კვ.მ. მინის ნაკვეთ-ზე საკუთრების უფლებით აღიარებაზე უარის თქმის შესახებ ქა-ლაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული თვითნებუ-რად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომი-სიის 2019 წლის 11 თებერვლის №214 განკარგულება კანონშესაბა-მისია და არ არსებობს მისი სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბა-თილად ცნობის საფუძვლები. მითითებული აქტის კანონიერების პირობებში კი, არ არსებობს კომისიისთვის საქმისათვის არსებითი მნიშვნელოვის მქონე გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევი-სა და შეფასების შემდეგ, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაცი-ულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების ფაქტობრივი და სამართლებრივი წინაპირობები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პა-ლატა მიიჩნევს, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა არას-წორი სამართლებრივი შეფასება მისცეს საქმეზე დადგენილ ფაქ-ტობრივ გარემოებებს, რადგან გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის, საქართველოს ადმინისტრაციული საპრო-ცესო კოდექსის 32-ე მუხლის თანახმად, ბათილად ცნობის საფუძ-ველი არ არსებობს. შესაბამისად, სახეზეა გასაჩივრებული გადაწ-ყვეტილების გაუქმების, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებული საფუძვლები, რის გა-მოც უნდა გაუქმდეს სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩი-ნება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმა-ყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

საკასაციო პალატა დამატებით მიუთითებს საქართველოს სა-მოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისა-გან. ამავე მუხლის მეორე და მესამე ნაწილების მიხედვით კი, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარ-ჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის საპე-ლაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელა-ციონ ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გა-მოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, შესაბამისად, იგი შეცვლის სა-სამართლო ხარჯების განაწილებასაც. იმავე კოდექსის 37-ე მუხ-ლიდან გამომდინარე კი, პროცესის ხარჯებს შეადგენს სასამარ-თლო ხარჯები და სასამართლოსგარეშე ხარჯები. სახელმწიფო ბა-ჟი კი მიეკუთვნება სასამართლო ხარჯებს.

სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის პირობებში, ტ. გ-ის წარმომადგენლის მიერ სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 100 ლარი უნდა ჩაითვალოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგე-ლოდ გადახდილად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ად-მინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, საქარ-თველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე, 411-ე მუხლე-ბით და

### **გ ა ღ ა ნ ყ ვ ი ტ ა:**

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული თვით-ნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კო-მისიის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრა-ციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 14 სექტემბრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. ტ. გ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;

4. ტ. გ-ის წარმომადგენლის მიერ სარჩელზე გადახდილი სახელ-მწიფო ბაჟი – 100 (ასი) ლარი დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში გა-დახდილად;

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო  
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6  
ტელ.: (995 32) 298 20 75  
[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)